კვირის პალიტრა

გზა

№1 (239) 6/I.-12/I.2 [illegible] 0 60 თ.

1168
2005

73

თემა: რაზე იცინიან ჩვენთან

„...ამის გამო სექტანტობაც დაგვაბრალეს“

გზავნილები: ასე თვრებიან საქართველოში

ანუ „მინდოდა, საახალწლოდ შავი ქალის გემო გამეგო...“

მადლი — „აქ არ არიან დათრგუნვილები...“

2004 წლის ყველაზე: [illegible]ალური, „ძველი“, [illegible]ებული, ჯიგარი და სხვა...

„ქარი გიმღერის ნანასა“, ნიშნულებიანი ბოძი და... ჰესიდან გამოშვებული რიონი

უკვე იყიდება

ყოველთვიური სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალი

ყველაზე კაცური ჟურნალი არა მარტო მამაკაცებისთვის

№1 (239)
6 — 12 იანვარი 2005
ფასი 60 თეთრი

მინიატურები
„ზესმით კარზე კაკუნი“ ანუ თოვლის ბაბუა ბამოძახებით 3
პოლიტიკა
„კონფლიქტების გამწვავებას უნდა ველოდეთ... კონფლიქტების გადაწყვეტაც ამ პერიოდშია მოსალოდნელი...“ 4
ჭრელი მსოფლიო 4, 5, 6, 14
ოფსაიტი
აპაკი ასათიანი: „ზვიადმა მომცა შანსი, ჩემი გზით მევლო“ 7
სასიძო-საპატარძლო
2004 წლის ყველაზე, ყველაზე... გოგო-ბიჭები 10
პირველი პაემანი
„სიყვარული ჩვენი გაცნობის ადგილას — კონსერვატორიის დიდ დარბაზში ამიხსნა...“ 12
კრიმინალი
- თავდასხმა სამორინე „ფლამინგოზე“ 14
- გლადიოლუსების ქურდის დაკავება ბიუჯეტს 5.000 ლარი დაუჯდა 15
- პოლიციელმა ყაჩაღ ლეიდაშვილს „ნაკოლი“ მისცა 16

ბადლი
„აქ არ არიან დათრგუნვილები“... ანუ ყრუ და სმენადაქვეითებულ ბავშვთა საოცარი სამყარო 17
თემა
რაზე იცინიან საქართველოში 19
შეამოწმეთ თქვენი ცოდნა
ტესტი ერუდიციაზე 22
სახე
ბავშვობის დროინდელი სათამაშოები და იმპროვიზაციაზე აგებული შლაპიანი კაცი 23
ანტიდეპრესანტი
ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაქი ბოჩა დვალის უბის წიგნაკიდან 24
ნამდვილი ამბავი
გადაფხიკე და მოიგებ!.. 24
წლების მიჯნაზე
მარიანა ნინიაშვილის მეკვლეობას უეჭველად ქორწინება მოჰყვება 26
გზავნილები
„ბებო გადაბრუნებულ სკამზე დოლს უკრავდა, მე კი ცეკვა-ცეკვით დავდიოდი...“ 27
მოგონება
„ქარი ბიმლერის ნანასა“, ნიშნულებიანი ბოძი და ჰესიდან გამოშვებული რიონი 30

რაზე იცინიან საქართველოში

პაროდიის თეატრი გაზაფხულზე ათი წლის გახდება...

როგორები არიან პაროდისტები? როგორ იქმნება პაროდიები? რამდენად იოლია ქართველი მაყურებლის გაცინება? პაროდიის თეატრის მსახიობებს ამასთან დაკავშირებით ძალზე ორიგინალური პასუხები აქვთ...

19

2004 წლის ყველაზე, ყველაზე... გოგო-ბიჭები

დაპირებისამებრ, ვაგრძელებთ წლის ყველაზე, ყველაზე... „სასიძო-საპატარძლოების“ წარდგენას...

ერთმა მკითხველმა კი დამიმესიჯა: მარი, ყველაზე სექსუალური გამოგრჩაო. არ გამომრჩა, გემრიელი „ლუკმა“ ბოლოსთვის მოვიტოვე და ახლა სწორედ ამით დავიწყებ.

10

„ფარული კამერების“ ჯგუფს სამოთავლოდ „ფარული ბეგემები“ აქვს

„...სხვათა შორის, ეგ ბიჭი, მეგონა, გაგიჟდა, რადგან ლოგინიდან წამოხტა და აივანზე გავარდა. ვიფიქრე, არ გადახტესმეთქი და სერიოზულად შემეშინდა. ეგ ხომ „ტრუსიკიანმა“ კაცმა გააღვიძა და ამის გამო შეშფოთდა...“

48

ბავშვობის დროინდელი სათამაშოები და იმპროვიზაციაზე აგებული შლაპიანი კაცი

ზურაბ ყიფშიძე ახალ წელს სევდანარევი ღიმილით შეეგება. როგორც თეატრში მოღვაწე ნებისმიერი მსახიობისთვის, მისთვისაც ახალი მიჯნა სექტემბერთან ასოცირდება — თეატრალური სეზონი ხომ მაშინ იწყება!.. ამავე დროს, როგორც ჩანს, წლების მატების შეგრძნებაც ნაკლებად მძაფრია, ვიდრე პირველ იანვარს...

23

ჯანმრთელობა
- ეგზოტიკა საღღესასწაულო სუფრაზე 32
- მეტეოროლოგიური ნევროზი 33

ღღესასწაული
რატომ ინება უფალმა შობა სიღატაკეში? 34

ტაძარი
რამდენი სახე აქვს ნაყროვანებას? 35

ფავორიტები
განქორწინების ეპიდემია უეხურთის ვარსკვლავთა სამყაროში 36

ვარსკვლავი
მარისა ტომეი: „შემთხვევითი „ოსკარი“ არ არსებობს“ 38

ბომონდი 40

ქართული დეტექტივი
ლუბა ელიაშვილი. კვირუასი მკვლელი და ჩიპოლინო (გაგრძელება) 42

დიზაინერი
რა ფერებში გამოვეწყოთ საახალწლო ღღეებსა და მამლის წელიწადში 46

ტესტი
ერთგული მკითხველი 47

კულისები
„ფარული კამერების“ ჯგუფს სამომავლოდ „ფარული გეგმები“ აქვს 48

ბიზნესი
პრადას ხალასი ფერებითა და სიცოცხლით სავსე სამყარო 50

ავტო 56

შემოქმედი
ირაკლი ჩარკვიანი მეფობისთვის სერიოზულად ემზადება 57

ჰოროსკოპი
კვირის (10-16 იანვარი) ასტროლოგიური პროგნოზი 60

სპანფორდი 61

იუმორი 62

ტესტი 63

კალეიდოსკოპი
ჭრელ-ჭრელი ამბები 64

გარეკანზე: ირმა ლიპარტელიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
რედაქტორი: გოჩა ტყეშელაშვილი
მენეჯერი: მათე კბილაძე

მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8
ტელ: 33-50-32 email: gza@kvirispalitra.com

ჟურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“

მარიანა ნინიაშვილის მეკვლეობას უეჭველად ქორწინება მოჰყვება

„სრულიად განსხვავებული ტიპები არიან: „ცარო მოკრძალებული, მორცხვი, კომპლექსიანი ქალია, მარეხი კი უფრო თამამი, უკომპლექსო იყო. ყველაფერი შეეძლო ეკეთებინა თავისი სურვილისამებრ. შეიძლება ითქვას, რომ ერთი საერთო მაინც აქვთ – ორივე გულუბრყვილოა, როგორც ქალების უმეტესობა.“

26

ირაკლი ჩარკვიანი მეფობისთვის სერიოზულად ემზადება



„...მეფობის შეგრძნება ჩემში ბავშვობიდანვე იყო.

იმიტომ კი არა, რომ განდიდების მანიით ვარ შეპყრობილი, უბრალოდ, ეს ჟღერადობა ჩემთვის უფრო მისაღებია, ვიდრე ირაკლი ჩარკვიანი, რომელიც თავისი არსით, დაიღალა „სმარებით“...“

57

მარისა ტომეი: შემთხვევითი „ოსკარი“ არ არსებობს

პატარა მარისა არქეოლოგობაზე ოცნებობდა, მაგრამ ეს ოცნება უკვალოდ გაქრა, როდესაც თორმეტი წლისა ბროდვეის ერთ-ერთ წარმოდგენას დაესწრო. პატარა გოგონა დრამატულმა ხელოვნებამ ისე გაიტაცა, რომ ეს სფერო მისი ცხოვრების მთავარ ორიენტირად იქცა.

38

ძვირფასი მკვლელი და ჩიპოლინო

ლუბა ელიაშვილი

– За каким паспортом? – შევუბრუნე კითხვა.

– Избавься от этого типа и поговорим, – ელვისებური მზერა ისროლა ქერათმიანმა ლამაზმანმა დახლისკენ მიმავალი ლევანის მიმართულებით და სასწრაფოდ მოშორდა მაგიდას.



42

„გესმით ყარზე ყაყუნი"
ანუ თოვლის ბაბუა გამოძახებით

არ ღირდა ამაზე ზედმეტი ლაპარაკი: პირდაპირ წელში გაგვმართა ევროპისკენ ინტეგრაციამ. გნებავთ, ახალი წელი ავიღოთ: ჩვენი ბავშვობის დროინდელი და ახლანდელი ახალი წელი შეედრება ერთმანეთს? ადრე მარტო თოვლის ბაბუას მოჰქონდა საჩუქრები და ახლა სანტა-კლაუსსაც მოაქვს. აღარაფერს ვამბობ იმ ტრადიციულ „ბომბოჩკებზე", ახალი წლის ღამეს რომ უხდება: ადრე თვითონ ვჩალიჩობდით ბავშვები ასანთის ღერებით და „მარგანცოვკით" და თუ ოდნავ მეტი დოზა მოგვივიდოდა, ხმას ვინ დაეძებს, მეზობლების ფანჯრები ჩარჩოებიანად მიფრინავდა ჰაერში. ახლა ჩინური მაშხალებია შემოსული, რა გინდა, სულო და გულო, რომ ვერ იშოვო: გინდა, „მაკაროვის" მოკრძალებულ ხმას გამოსცემს და გინდა, „ტ-80" ტანკის გასროლის ხმას მიიღებ. მოკლედ, წელს საქართველოში „ზალპები" იყო, რომ გაგვეყო ორად, ნახევარი ენგურის შუაწელზე დაგვეცალა და ნახევარი — ერგნეთთან, ახლა აფხაზეთიც ჩვენი იქნებოდა და ე.წ. სამხრეთ ოსეთიც.

წლევანდელი ახალი წელი ხომ მთლად ზღაპრული გამოდგა. თუნდაც იმიტომ, რომ მამლის წელი დადგა და მამალს რა სარგებლობაც მოაქვს, ყველამ კარგად იცის. ერთადერთი ცუდი ისაა, რომ მამლის დაკვლა არ შეიძლება. შარშან რომ არ დაგვიკლავს მაიმუნი, კი გვქონდა მშვიდობიანი წელიწადი. ოღონდ ჩვენც დაგვადგეს საშველი: ცოტა ვიყივლოთ ამაყად, აღარ „მოგვჩინჩღლოს" და სულ არ შევჭამთ, ბატონო, მამლის ხორცს.

ჩვენმა „მამალმა და მარჩენალმა" ისეთი დამაჯერებლობით თქვა, — მამლის წელიწადი ყველა სურვილის ახდენას მოგვიტანსო, — იმდენი სურვილი ჩამოვწერე საქართველოსთვის, რომ მინიმუმ სამი „თოვლის ბაბუა" დასჭირდება ასასრულებლად: ბუში, პუტინი და სოროსი. კი ვიცი, რომ სხვისი წერილების კითხვა ვერაფერი ზრდილობაა, მაგრამ პროვოკატორულმა ცნობისმოყვარეობამ მძლია და ჩვენი პოლიტბიმონდის წარმომადგენელთა ნაძვის ხეებს ჩამოვუარე, ნეტავ, რა სურვილები „დაუზაკაზეს" თოვლის ბაბუას-მეთქი:

მთავარი ლეიბორისტის წერილი ისეთ გახუნებულ ფურცელზე ეწერა, მივხვდი, რომ ბოლო წლებია ერთი და იგივე ნატვრა აქვს და ჯერ არ ასრულებია. ამიტომ ბატონი ოპოზიციონერი ისევ პარლამენტარობას სთხოვდა სასწაულმოქმედ თოვლის ბაბუას, რომლის შესაძლებლობები, როგორც ჩანს, შეუზღუდავი ჰგონია...

უშიშროების და შს სამინისტროების გაერთიანებული მინისტრის წერილში რაღაც კარდიოგრამისნაირი ეწერა. თურმე ეს კაცი როგორც ლაპარაკობს, ისე წერს და რა თქმა უნდა, ვერაფერი გავარკვიე და სანამ მეტყველებას თუ არა, კალიგრაფიას მაინც არ გამოასწორებს, არა მგონია, სურვილი თოვლის ბაბუამაც კი აუსრულოს...

პრემიერ-მინისტრის ნაძვის ხის ძირში ასეთი იდუმალი წერილი დამხვდა: „მე და შენ რომ ვიცით, ის სურვილი ამისრულე მხოლოდ"... და მანამ ვერ მივხვდი ამ საიდუმლო სურვილის არსს, სანამ პრეზიდენტის წერილი არ წავიკითხე: „ძვირფასო თოვლის ბაბუავ, არაფერს გთხოვ ერთის გარდა: პრემიერ-მინისტრის ნაძვის ხესთან რომ წერილი დაგხვდება, არ წაიკითხო!.."

ყველაზე საინტერესო, ეკონომიკის ექსმინისტრის ნაძვის ხეზე დაკიდებული წერილის შინაარსი აღმოჩნდა: „იყიდება 100 ლარად. შენ, თოვლის ბაბუავ, ცოტას დაგიკლებ".

ენერგეტიკის მინისტრის ნაძვის ხის ძირში წერილი კი არა, მთელი არზა დამხვდა, რომელშიც მუდამ გაფუჭებული მე-9 ბლოკის რემონტისათვის საჭირო ნაწილების სია ეწერა. იმდენი კბილანა, ლილვი და სხვა დეტალები ჩამოეთვალა, რომ თოვლის ბაბუას ელიავას ბაზრობაზე გამოვლა დასჭირდებოდა.

ბოლოს, ყველაზე მდიდრულად გაწყობილმა ნაძვის ხემ მიიქცია ჩემი ყურადღება: სათამაშოების ნაცვლად ასდოლარიანები ეკიდა, წერილი კი მილიონიან საბანკო ჩეკზე ეწერა: „შარშან ახალ წელს რომ ტელევიზია გთხოვე და მაჩუქე, არ გამომადგა და იქნებ, უკან წაიღო. ეს ჩეკიც ცოტა ხანი გეყოფა, მერე კიდევ გამოგიგზავნი"...

ცხოვრებაში არაფერი მინატრია ისე, როგორც იმ წუთში თოვლის ბაბუობა ვინატრე, მაგრამ დავინახე გახარებული თოვლის ბაბუა, რომელიც ცარიელი ხურჯინით მოიჩქაროდა საჩუქრების მოსატანად კი არა, არამედ წასაღებად. თურმე თოვლის ბაბუასაც ჰყოლია თოვლის ბაბუა...

P.S. პარლამენტში განიხილება კანონპროექტი თოვლის ბაბუის უფლება-მოვალეობების შესახებ.

ოპოზიცია: — ჩვენ მოვითხოვთ თოვლის ბაბუის დასჯას, რადგან იმდენი საჩუქარი ჩამოვწერეთ და არც ერთი არ მოუტანია.

სპიკერი: — თოვლის ბაბუამ საჩუქრები რომ მოგიტანოთ, მთელი წლის განმავლობაში სანიმუშოდ უნდა მოიქცეთ და არა ისე, როგორც თქვენ იქცევით.

პროვოკატორი

სამიზნე ჟურნალისტი

ერთ-ერთი ყველაზე სახიფათო პროფესიის წარმომადგენლებად აღიარებული ჟურნალისტები 2004 წელსაც ემსხვერპლნენ პროფესიონალური მოვალეობების შესრულებას. ჟურნალისტთა დაცვის საერთაშორისო კომიტეტის მონაცემებით, გასულ წელს მათმა რიცხვმა 56-ს მიაღწია, რაც იმას ნიშნავს, რომ 2004 წელი ჟურნალისტთათვის ყველაზე მძიმე აღმოჩნდა. როგორც კომიტეტის მოხსენებაშია აღნიშნული, მასმედიის 56 დაღუპული თანამშრომლიდან, 36 მოკლეს, 23 მათგანი – ერაყში მუშაობის დროს; იქვე ამერიკელი სამხედროების მიერ ნასროლმა ბრმა ტყვიებმა 6 ჟურნალისტი იმსხვერპლა. ჟურნალისტთა დაცვის კომიტეტის აღმასრულებელი დირექტორი ენ კუპერი აღნიშნავს: „ცხადია, ჩვენ ძალზე გვაშფოთებს თვით დაღუპულ ჟურნალისტთა რაოდენობა. მაგრამ განსაკუთრებული აღშფოთების საფუძველს იწვევს ის გარემოება, რომ მათი მკვლელების უმრავლესობა დაუსჯელი რჩება. შესაბამისი სახელმწიფოების მთავრობები ვალდებული არიან, გამოავლინონ ბოროტმოქმედები და საკადრისად დასაჯონ ისინი“. ■

პრინცესას სახლი

გსურთ, შეიძინოთ უელსის პრინცესა დაიანას ყოფილი რეზიდენცია, მაგრამ ფული არ გყოფნით?.. გულს ნუ გაიტეხთ, „სულ რაღაც“ 200 ათას გირვანქა სტერლინგად თქვენ შეძლებთ, მისი გრიგორიანული სტილის სასახლის (აგებულია 1766 წელს) ზუსტი ასლის შეძენას. დიზაინერ კევინ მალვანის ქმნილებას სამართლიანად უწოდებენ მსოფლიოში ყველაზე ძვირად ღირებულ თოჯინის სახლს. ლონდონის ცენტრში მდებარე სასახლის ზუსტი ასლის შექმნას დიზაინერმა 2 წელზე მეტი მოანდომა. ის მამულის ყოველ დეტალს სკრუპულოზური სიზუსტით ქმნიდა, დაწყებული გობელენებით და

ლამისაა, გამუდმებით კარდინალური ცვლილებების მოლოდინში მცხოვრები საქართველოს მოსახლეობა 2005 წელს, იმედის თვალით შეპყურებს. საქართველოს პრეზიდენტი და მთავრობა პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას გვპირდებიან. პოზიტიური ძვრები მოხდება, სახელისუფლებო შეცდომებს კი, მაიმუნის წელს გაატანენო, — ასეთია მოსახლეობის იმედი და სურვილი. თუ რამდენად გამართლდება ოპტიმისტური პროგნოზები — ამის შესახებ ექსპერტმა პოლიტოლოგებმა უნდა გვითხრან. ამიტომ კითხვებით — როგორი იქნება 2005 წელი საქართველოსთვის? რა პერსპექტივაზე შეიძლება საუბარი დღეს, როცა ქვეყნის ხელისუფლებამ სამოღვაწეო პრიორიტეტები უკვე გამოკვეთა და ამასთანავე, სამხრეთ კავკასიის პრობლემები მსოფლიო პოლიტიკის კონტექსტში განიხილება? — პოლიტოლოგ რამაზ საყვარელიძეს მივმართეთ.

„კონფლიქტების გამწვავებას უნდა ველოდეთ... კონფლიქტების გადაწყვეტაც ამ პერიოდშია მოსალოდნელი...“

ხათუნა მაღრაძე

– პირველ რიგში, ოპტიმისტური პროგნოზის გაკეთების საშუალებას იძლევა 2004 წლის მიწურულს დამტკიცებული საგადასახადო კოდექსი, რომელმაც კარდინალურად უნდა შეცვალოს ცხოვრების წესი მთელ ქვეყანაში. ეს შეეხება, როგორც ცალკეულ ადამიანებს, ასევე მთლიანად სახელმწიფოს. როცა ნებისმიერ ადამიანს შეეძლება, ჩაერთოს ბიზნესსექტორში, მეტ-ნაკლებად მოგვარდება ის სოციალური პრობლემებიც, რომელთა წინაშეც ვდგავართ. დღევანდელი მონაცემებით, საქართველოს მოსახლეობის თითქმის 30% უმუშევარია და მინიმალური შემოსავლის გარეშე, ქუჩაშია დარჩენილი. უმუშევრობის ასეთი მაღალი მაჩვენებელი, სოციალური ნაღმია ნებისმიერი სახელმწიფოსთვის. ახალი ბიზნესგარემოს შექმნით, ხელისუფლება ალბათ მოახერხებს სოციალური აფეთქების თავიდან აცილებას. ეკონომიკა ამუშავდება და ინვესტორებისთვის ხელსაყრელი პირობები შეიქმნება, თუ საგადასახადო კოდექსმა შეასრულა ის ფუნქცია, რომელიც მას აკისრია. მთავარია, რომ ქვეყნის მმართველობითმა სტრუქტურებმა სწორი რეაგირება მოახდინონ იმ ლაფსუსებზე, რომლებიც მუშაობის პროცესში გამოჩნდება და მათი წინამორბედების მსგავსად, ახალფეხადგმული ეკონომიკის მიმართ გულგრილობა არ გამოიჩინონ.

— ახალი საგადასახადო კოდექსის ამოქმედებამ 2005 წლის პირველსავე თვეს, ფასების ზრდაში იჩინა თავი. აქციზური მარკების გაძვირებამ პირველადი მოხმარების საგნებზე 60-70%-ით გაზარდა ფასები. რამდენად ადეკვატური იქნება ამ მატებისა, მიმ-

დინარე წლისთვის დაგეგმილი ხელფასების მატება?

— არცთუ ისე დიდი ხნის წინ, თამბაქოზე ფასების გაზრდამ რუსეთში ლამის, რევოლუციამდე მიიყვანა საქმე. ყოველდღიური მოხმარების საგნებზე ფასების მკვეთრი მატება, გარკვეული მიზეზებით შეიძლება, გამართლებულად ჩაითვალოს. მაგრამ იმ სოციალურ პირობებში, რომელშიც ჩვენი საზოგადოება იმყოფება, რამდენად დროული იყო ასეთი გადაწყვეტილების მიღება, ძნელი სათქმელია. მსგავს ნაბიჯებს, როგორც წესი, უცხოეთის ქვეყნებს ვესესხებით. მართალია, ევროპაში თამბაქო საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა, მაგრამ სჯობდა, ჯერ ევროპული ხელფასების პრაქტიკა დაგვენერგა და ფასების გათანაბრებაზე შემდეგ გვეზრუნა. პრეზიდენტი მოსახლეობას შრომის ანაზღაურების გაზრდას ჰპირდება, თუმცა, ეს ლარის გაუფასურების პირობებში ხდება. გაორმაგებულ ხელფასსაც კი აღარ ექნება ის მსყიდველობითი უნარი, რაც ადამიანს მინიმალურ საარსებო თანხად სჭირდება. ეკონომისტებს დიდი ძალისხმევა დასჭირდებათ იმისათვის, რომ ეროვნულ ვალუტას კუპონის ბედი არ ეწიოს და არ დავუბრუნდეთ იმ დროს, როცა ერთ პურში მილიონს ვიხდიდით. ამის მსგავსი ნებისმიერი სიახლე სისხლის გადასხმის წესს შეიძლება შევადაროთ: სისხლის გადასხმა ერთბაშად არ ხდება — ის ორგანიზმში წვეთ-წვეთად შეჰყავთ... ნოვაციები სწორედ წვეთ-წვეთად უნდა მიეწოდოს საზოგადოებას და არა ერთდროული, რადიკალური გადაწყვეტილების სახით.

— 2005 წლის პრიორიტეტად, საინვესტიციო გარემოს შექმნა და ბიზნესის ამოქმედება დაასახელეს. ფინანსური ამნისტიაც სწორედ ამ მიზნის მისაღწევად იქნა მიღებული. მაგრამ პრობლემა, რომელიც პოლიტიკისგან ეკონომიკის გათავისუფლებას უკავშირდება, არ მოხსნილა...

— პოლიტიკურ ხელმძღვანელთა გავლენისგან ეკონომიკის გათავისუფლება პოსტსაბჭოურ სივრცეში ყველაზე რთული პრობლემაა. დასავლეთში ბიზნესიდან პოლიტიკაში მიდიან, საბჭოთა ტრადიციის მიხედვით კი, ჩინოვნიკები საკუთარ ბიზნესს პოლიტიკური ძალაუფლების წყალობით ქმნიან და ავითარებენ. დღეს მათ მართვის ბერკეტები სწორედ საკუთარი ბიზნესის ლობირებისთვის სჭირდებათ. ამ ავადმყოფობისგან გათავისუფლება ძალზე ძნელია. თუ ეს სენი თავიდან არ მოვიშორეთ, ყოველთვის გვექნება ისეთი სიტუაცია, როგორიც რუსეთში ხოდორკოვსკისა და მისი მსგავსი ფიგურების ირგვლივ იქმნება. ეს უმძლავრესი ეკონომიკის მქონე ქვეყნებსაც კი უქმნის საფრთხეს. რა ბედი ელის ასეთ პირობებში საქართველოს, იოლი მისახვედრია... რაც შეეხება ფინანსურ ამნისტიას — მისი მიღება მხოლოდ კეთილი ნების გამოხატულება არ ყოფილა; ხელისუფლება შეეცადა, ამ ფორმით, ქართული კაპიტალის უცხოეთში გადინება შეეჩერებინა. მთავრობას, ბიზნესწრეებში ნდობის მოპოვება სურს. მაგრამ ამნისტია ფორმალური არ უნდა იყოს. რეალური ამნისტია, როგორც პოლიტიკური კურსი, ისეა გასატარებელი. ფურცელზე დაწერილი მკვდარი კანონი არავის სჭირდება. თუ ეკონომიკა პოლიტიკური ფიგურების დაქვემდებარებაში დარჩა, ბიზნესმენები კვლავ ხელისუფლებას შეეკვრებიან და ახალი კორუფციული მექანიზმი ამუშავდება.

— თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, ბიზნესის განვითარება ალბათ კვლავ დისტრიბუციის დონეზე დარჩება, რადგან ახალი კანონმდებლობით, სამამულო პროდუქცია იმპორტთან შედარებით უფრო ძვირი ეღირება, ეს კი ადგილობრივი წარმოების განვითარებას ხელს ნამდვილად არ შეუწყობს.

— ეს მთლიანად ჩვენი ხელისუფლების ბრალი არ არის. დასავლეთი მოითხოვდა, რომ მიგვეღო ისეთი კანონი, რომელიც იმპორტსა და სამამულო პროდუქციას თანაბარ პირობებში ჩააყენებდა. დასავლეთს გასაღების ბაზარი სჭირდება, ამიტომ საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი საქართველოს ხელისუფლებას დათმობაზე წასვლას აიძულებდა. ჩვენს მთავრობას შეეძლო, უფრო პრინციპული პოზიცია დაეკავებინა, რათა ადგილობრივი წარმოებისთვის მეტი გასაქანი მიეცა. მცირე ქვეყნებს ხშირად უწევთ მსხვილი საერთაშორისო ორგანიზაციების ინტერესების გათვალისწინება...

— მიუხედავად იმ პოლიტიკისა, რომელსაც საქართველო დასავლეთის სტრუქტურებში ინტეგრირების მიზნით ახორციელებს, ევროპისა და აშშ-ის პოზიცია საქართველოს მიმართ კვლავ ბუნდოვანია. რა პერსპექტივას ხედავთ საქართველოს საგარეო პოლიტიკური ცხოვრების სფეროში 2005 წელს?

— ეს საკითხი მსოფლიო პოლიტიკის კონტექსტში უნდა განვიხილოთ. ვნახოთ, რას მოგვიტანს ახალი წელი და რა პოლიტიკური თამაშის წესებს შესთავაზებს ამერიკა მთელ მსოფლიოს.

დამთავრებული ფერწერული ტილოებით, რომლებიც რეზიდენციის კედლებზეა განთავსებული. თოჯინის სახლი ელექტროგაყვანილობითაც კი არის აღჭურვილი. 22-კარატიანი ოქროთი მოოჭვილი სურათის ჩარჩოებზე სინათლის სხივების ანარეკლი კი საოცარ ილუმინაციას ქმნის. ■

საცობზე გადასახტომად

რაზე ოცნებობს ხანგრძლივი დროით საცობში მოხვედრილი ავტომფლობელი? ალბათ იმაზე — კარგი იქნებოდა, მანქანას ჩიტივით ფრენა და საკუთარი პატრონის პირდაპირ სახლთან მიყვანა რომ შესძლებოდაო. ცოტა ხნის წინ, ჰოლანდიელმა დიზაინერებმა გა-

მამზეურეს თავიანთი ახალი, პროპელერიანი მანქანის პროექტი, რომელსაც ავტორებმა PALV უწოდეს. სამბორბლიანი აგრეგატი აღჭურვილია დასაკეცი პროპელერითა და ძლიერი ძრავათი, რომელიც მანქანას 500 მეტრის სიმაღლეზე აფრენის საშუალებას აძლევს. მფრინავი მანქანა ჰაერში, 195 კმ/სთ სიჩქარეს განავითარებს. მიწაზე კი PALV კიდევ უფრო დამაჯერებლად იმოქმედებს, ვიდრე ჰაერში და ეს გასაკვირი სულაც არ გახლავთ: ის ხომ 213 ცხ.ძ-ის მქონე ძრავათია აღჭურვილი, რომელიც 100 კმ/სთ-ს განვითარების საშუალებას 5 წამში ახერხებს (მისი მაქსიმალური სიჩქარეა 200 კმ/სთ). მიწაზე დაშვებისას, საფრენ აპარატს არანაირი პრობლემა არ ექმნება. ჯერ ერთი, „ჩიტუნიას" მონიშნული 5 მ დიამეტრის წრეზე ზუსტად დაფრენა შეუძლია, მეორეც, ის არ დაიმტვრევა მაშინაც, თუკი შემთხვევით ძრავა ჩაუქრება. კონსტრუქციის თავისებურებები PALV-ს მიწაზე ნარნარად დაშვების საშუალებას აძლევს. ■

საქართველოს პროდასავლური ორიენტაცია აღიზიანებს რუსეთს და მისი მხრიდან, წელსაც უამრავი სიურპრიზია მოსალოდნელი. თუ ამერიკის „ნავთობის პოლიტიკა“ გაგრძელდა, მაშინ რუსეთი სამხრეთ კავკასიის რეგიონზე ზემოქმედებას კიდევ უფრო გააძლიერებს. იმ ქვეყნებიდან რუსეთის გაყვანა, სადაც ნავთობი გადის, ამერიკას გარკვეული თანხა დაუჯდება. რუსეთი ამ ფასს მოითხოვს. თანაც, ეს არ არის მხოლოდ

— ბატონო რამაზ, რაც შეეხება შიდაპოლიტიკურ პროცესებს, მმართველობით სტრუქტურებს და ნახევრად განხორციელებულ რეფორმებს — რა ცვლილებები და პერსპექტივებია მოსალოდნელი ამ კუთხით?

— პირველ რიგში, ყურადღებას შევაჩერებ საქართველოს პარლამენტზე. დეპუტატის მანდატი უამრავმა ღირსეულმა ადამიანმა ჩაიბარა, მაგრამ პარლამენტი, როგორც საკანონმდებლო

თუ ამერიკის „ნავთობის პოლიტიკა“ გაგრძელდა, მაშინ რუსეთი სამხრეთ კავკასიის რეგიონზე ზემოქმედებას კიდევ უფრო გააძლიერებს. იმ ქვეყნებიდან რუსეთის გაყვანა, სადაც ნავთობი გადის, ამერიკას გარკვეული თანხა დაუჯდება

დოლარები — მას მომავალ ნავთობწარმოებაში საკუთარი ნიშა სჭირდება... რუსეთის მხრიდან ამერიკაზე ზეწოლის მექანიზმი სწორედ ჩვენი რეგიონია. რაც უფრო მეტი დათმობა დასჭირდება ამერიკისგან, მით უფრო მეტად შეაჯანჯღარებს სამხრეთ კავკასიას. ამიტომ 2005 წელს, საქართველოში კონფლიქტების გამწვავებას უნდა ველოდეთ. ამავე დროს, კონფლიქტების საბოლოო გადაწყვეტაც სწორედ ამ პერიოდშია მოსალოდნელი. 2005 წლიდან, ნავთობსადენი ექსპლუატაციაში შედის, ამიტომ ნავთობის გამტარი ქვეყნები კონფლიქტებისგან უნდა გაიწმინდოს. ეს შეეხება, როგორც აფხაზეთსა და სამაჩაბლოს, ასევე ყარაბახს.

— ასეთ პირობებში, საქართველოს ხელისუფლება „ცხელ წერტილებში“ სიტუაციის გამწვავებას უნდა მოერიდოს?

— ჩვენი ხელისუფლების წინდაუხედავი ნაბიჯების გამო ცხინვალში საომარი მოქმედებები რომ განახლებულიყო, რუსეთზე ბედნიერი ქვეყანა არ იქნებოდა. საბედნიეროდ, სააკაშვილმა დროულად შეძლო საკუთარი შეცდომის გამოსწორება და სიტუაცია 180 გრადუსით შემოაბრუნა... რუსეთს არც იარაღი ენანება და არც საკუთარი ჯარისკაცები. ის მიიღებდა ცხელ-ცხელ კონფლიქტს, რომლის ჩასაწყნარებლად, შემდეგ, უფრო დიდ ფასს მოსთხოვდა ამერიკას... რუსეთი მუდმივად ეცდება სიტუაციის გამწვავებას, ამიტომ ჩვენს ხელისუფლებას მეტი დაფიქრება მართებს.

ორგანო, ვერ შედგა. საჭიროა, ამ კუთხით მნიშვნელოვანი გარდატეხის შეტანა. მრავალპარტიულობის დეფიციტი, რომელიც გამსახურდიას და შევარდნაძის დროს იყო, სააკაშვილის მმართველობაშიც უამრავ პრობლემას ქმნის. თუმცა, ეს ხელისუფლების ბრალი ნამდვილად არ არის. მოსახლეობას აქვს პლურალიზმის საშუალება, მაგრამ ერთპარტიული სახელმწიფოს შექმნისკენ მიისწრაფვის. არადა, რომელიმე პარტიის მონოპოლიურ მდგომარეობაში მოხვედრა, ქმნის დიქტატურის საშიშროებას და იმის პირობებს, რომ მოსამართლეს დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღების ეშინოდეს... ჩვენ გვყავს ამომრჩეველი, რომელიც უმწიფრობის გამო, ხმას აძლევს არა პოლიტიკურ პროგრამას, არამედ კონკრეტულ სახეებს. ამიტომ ნებისმიერ დაპირებას იოლად ვიღებთ და იმედგაცრუების შემთხვევაშიც, ასევე იოლად ვფეთქდებით. იმისათვის, რომ აღმასრულებელმა და საკანონმდებლო ხელისუფლებამ ეფექტურად იმუშაოს, საჭიროა, პოლიტიკურ ელიტაში არსებობდეს ერთმანეთის გამაწონასწორებელი ორი ძალა მაინც, რომელიც სახელმწიფო ასიმეტრიის განვითარებას შეუშლის ხელს.

— იქნებ, ამ ასიმეტრიის დარღვევა პრეზიდენტის, პრემიერ-მინისტრისა და პარლამენტის თავმჯდომარის ხელოვნური ერთიანობის დაშლის შედეგადაც იყოს შესაძლებელი?

— საკითხის ასე დასმა მართებულად მიმაჩნია. ეს სამეული გამალებით ექაჩება ერთმანეთს — ერთიანობა შევინარჩუნოთო. მაგრამ ვის რაში სჭირდება მათი „სამ ხმაში გალობა“, ჩემთვის გაუგებარია. არც ერთ სახელმწიფოში მსგავსი ერთიანობა არ არსებობს. დედა და შვილი ვერ იქნებიან ერთიანნი, თუკი მათ განსხვავებული პოლიტიკური ფუნქციები ეკისრებათ. პარლამენტი მთავრობას უნდა უპირისპირდებოდეს, პრემიერ-მინისტრი პრეზიდენტს აკრიტიკებდეს და — პირიქით. ეს პოლიტაკაა და არა დედათა მონასტერი: ასეთი დაპირისპირების შედეგად, უფრო ადვილია სწორი გზის მოძებნა. იმედი მაქვს, საქართველოს პირველი პირები ამ წლიდან მაინც გაიზიარებენ ევროპულ გამოცდილებას და უფრო კრიტიკულები გახდებიან ერთმანეთის მიმართ.

— მიუხედავად იმ ნეგატიური მოვლენებისა, რომლებზეც უკვე ვისაუბრეთ, ქვეყანაში რეფორმები უკვე დაწყებულია, პრიორიტეტები განსაზღვრულია და ხელისუფლება პირობას დებს, რომ დაშვებულ შეცდომებს აღარ გაიმეორებს...

— ცალკეულ სფეროებში სასიკეთო ძვრები უდავოდ, შეინიშნება. თუმცა, რეფორმების განხორციელებას შესაბამისი პროგრამა სჭირდება, რომელსაც მთავრობა ალბათ, 2005 წელს წარმოადგენს. მაგრამ მე მაინც მინდა, მკითხველები დავარწმუნო იმაში, რომ გადარჩენის გზა არა ხელისუფლებაზე, არამედ თითოეულ ჩვენგანზე გადის. ხელისუფლება ჩვენი დაკვეთის შემსრულებელია და როგორ იმოქმედებს ის წელს, ესეც საზოგადოებაზეა დამოკიდებული. ■

ფრაზა

ბრძოლას იგებს არა ის, ვინც კარგი რჩევა გაილო, არამედ ის, ვინც იკისრა პასუხისმგებლობა იმისთვის, რომ ეს რჩევა გამოეყენებინა და შესაბამისი ბრძანებები გაეცა

ნაპოლეონ ბონაპარტე

გენიალური

„ზვიადი რომ დამერწმუნებინა და როგორმე საპარლამენტო არჩევნების იდეა ბოლომდე გამეტარებინა, სიტუაცია განიმუხტებოდა და დღეს ქვეყანა გაცილებით წინ წასული იქნებოდა. აღარც ქართველები ივლიდნენ სამუშაოდ რუსეთში, თურქეთსა და საბერძნეთში. ახლა ბალტიისპირელებს შევნატრი, რომლებიც ჩვენზე გაცილებით დაბალი ევროპული განვითარების დონეზე, მაგრამ უფრო მდიდრები არიან“, — დანანებით ამბობს ქვეყნის „მთავარი ტრადიციონალისტი“ და ამავე დროს, „პროგრესისტი“ აკაკი ასათიანი და დასძენს: „დიდი ფრანგი ისტორიკოსი ჟაკ ლეგოფი 15 წელი წერდა წმინდა ლუის ბიოგრაფიას, ოღონდ, მარტო ამ საქმით იყო დაკავებული. მე ასეთი ფუფუნების საშუალება არა მაქვს, რამდენიმე წელია, ვწერ ჩვენი ოქროს ხანის ისტორიას. ვფიქრობ, შესანიშნავი მონოგრაფია გამოვა“. მართალია, „ტრადიციონალისტები“ როგორც თავად ამბობს, ბევრჯერ „ჩამოწერეს“, მაგრამ მათ ლიდერს სჯერა, რომ ოქროს ხანა მათაც დაუდგება.

აკაკი ასათიანი: ზვიადმა მომცა შანსი, ჩემი გზით მევლო

ნანა ფიცხელაური

— ბატონო აკაკი, ამას წინათ, ნაცნობთა წრეში იკითხეს — კიდევ არსებობენ „ტრადიციონალისტებიო“?.. რატომ აღარ ჩანხართ ასპარეზზე და არ აფიქსირებთ თქვენს პოზიციას?

— ტრადიციონალისტები არასოდეს გაქრებიან — არც ჩვენი კავშირი და არც ამ მრწამსის ხალხი. ჩვენ ვჩანვართ მაშინ, როცა გვეძახიან, მათთან, ვისაც ჩვენი გამოჩენის არ ეშინია. არსებობს ტელეკომპანიები, რომელთაც აკრძალული აქვთ ჩვენთან ინტერვიუები. ანუ დღეს, მასობრივ საინფორმაციო საშუალებებზე დიქტატი ხორციელდება. რაც შეეხება, ბეჭდვით ორგანოებს, პრესას — საბედნიეროდ, ის ინარჩუნებს დემოკრატიის ნიშნებს. ეს ადასტურებს იმას, რომ ქვეყანაში მართლა არსებობს მედია და იქ ისეთი ადამიანები მუშაობენ, ვისთვისაც რაღაც მნიშვნელობა აქვს დემოკრატიას, განსხვავებით ჩვენი ხელისუფლებისგან, რომელიც ოპოზიციაში დემოკრატი ხდება, ხელისუფლებაში კი, ავტორიტარიზმის დამკვიდრებას ცდილობს. მათ ძალაუფლება იდეების განსახორციელებლად კი არ უნდათ — ამ ქვეყანაში ძალაუფლება ფულს ნიშნავს. ნუ ეწყინებათ და, ისინი ფულისა და საკუთარი ცხოვრების მოსაწყობად იბრძვიან. შევარდნაძეს წელიწად-ნახევარი ჰქონდა დარჩენილი. ესენი ავსებენ იმ პერიოდს, მაინც შევარდნაძის ხალხია. უბრალოდ, შეატყვეს, რომ შენობა ინგრეოდა და ნანგრევებიდან გამოასწრეს — ეს იყო და ეს... რამდენადაც დღევანდელობა იძლევა ამის საშუალებას, იმდენად ვჩანვართ და მალე, უფრო მეტად გამოვჩნდებით.

— იმას ხომ არ გულისხმობთ, რომ როგორც ამბობენ, მთელი ოპოზიცია გაერთიანებას აპირებს...

— სამწუხაროდ, ყველა ძველს იმეორებს და რეალურ პარტნიორს ვერ ვხედავთ. ჯერჯერობით, ჩვენი პარტნიორია ქართველი საზოგადოება, რომელიც ინარჩუნებს ღირსებას და გონიერებას. ოპოზიციის გაერთიანებაზე — არა, მაგრამ კოორდინაციაზე კი არის ლაპარაკი და კიდევ — კონსულტაციები „თავისუფლების“ ლიდერ კოკო გამსახურდიასთან. არ ვიცი, რა იქნება მომავალში...

— ვინც კი დიდი პოლიტიკიდან წავიდა, ნებსით თუ უნებლიეთ, სამეცნიერო მუშაობას მიჰყო ხელი ან ფილმებს ახმოვანებს. თქვენ თუ მოიცალეთ თქვენი პროფესიისთვის?

— იმედი მქონდა, რომ მოვიცლიდი და დავწერდი, რას წარმოადგენდა ეს ქვეყანა და რა მოხდა ამ ბოლო 15 წლის მანძილზე. ამას მაინც გავაკეთებ. საქართველოს სახელმწიფოს ჩამოყალიბებისათვის ბრძოლა ჯერ არ დამთავრებულა, ის ახლა იწყება. ვიმეორებ — დღევანდელი ხელისუფლება შევარდნაძის ხელისუფლების ნაშთია. პარტიები კი, შპს-ებს ჰგვანან. დღემდე, სერიოზული პარტიები ვერ ჩამოყალიბდა. თუ შევარდნაძის პარტია და სახელმწიფო, ერთი პირის საწარმო იყო, სააკაშვილის — შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოა. საზღვარგარეთ ყოფნა და იქ 2-წლიანი სწავლა ბევრს არაფერს ნიშნავს. ბევრი ყოფილა პარიზში, მაგრამ ბალზაკი ერთი იყო. კანტს კენიგსბერგიდან არ გაუდგამს ფეხი, მაგრამ როცა პარიზელ კაცს შეხვდა, გამოჰკითხა — იმ ქუჩაზე რომ სახლი იდგა, კიდევ არსებობსო?.. ესა და ეს შენობაო?.. — შენ რა იციო? — შეუბრუნა კითხვა პარიზელმა. კანტმა კი უპასუხა — არ არის აუცილებელი, პარიზში იყო ნამყოფი, მას რომ იცნობდეო... ჩვენ ჩვენი ისტორიიდან და გეოგრაფიიდან უნდა ამოვიდეთ, ჩვენი კულტურული ფასეულობებიდან, რომლებიც, სხვათა შორის, ემთხვევა ევროპულს.

— ბევრს მიაჩნია, რომ თქვენ კარგი შანსი გაუშვით ხელიდან, როცა რევოლუციის შემდგომ, მის ლიდერებს განუდექით...

— ჩვენი ერთადერთი ამოცანა იყო შევარდნაძის გასტუმრება და ამ მიზნით გავერთიანდებოდი ნებისმიერთან, ვინც კი ამას თავს გაართმევდა...

— დღეს ბევრი ირწმუნება — ვიცოდით, თუ რა სცენარით განვითარდებოდა მოვლენებიო. თუ ყველაფერი წინასწარ იყო ნათელი, მაშინ რა აუცილებლობას წარმოადგენდა თქვენი გაერთიანება „ბურჯანაძე-დემოკრატებთან“?

— ვინც ამას ამბობს, თავის იდიოტიზმს ადასტურებს. არაფერიც არ იყო წინასწარ გადაწყვეტილი. „სცენარი“ ის იყო, რომ რაღაც უნდა შეცვლილიყო — ჩვენი საზოგადოების მოთხოვნაც ხომ ეს იყო!.. რა ფულიც არ უნდა დაეხარჯა სოროსს, 100000 კაცს მაინც ვერ გამოიყვანდნენ. მოდით, თავს ნუ მოვიტყუებთ. რა თქმა უნდა, არსებობდა სქემა, რომელიც არ ითვალისწინებდა ხელისუფლებაში მაინცდამაინც საკაშვილის მოსვლას. ამ პროცესებში იმიტომაც ვმონაწილეობდი, რომ მოვლენები სისხლის ღვრაში არ გადაზრდილიყო. 1991-92 წლებში, ეს ვერ შევძელი და ამას სულ ვნანობ. მაგრამ უნდა გამოგიტყდეთ, რომ მაშინ ამის არანაირი საშუალე-

ვიდექი იმ კაცის გვერდით და ის ერთადერთი იყო, ვისაც ვემორჩილებოდი. ნამდვილად ვიცოდი, რომ უსპეტაკესი კაცი იყო და იმის პატიოსნებაში ეჭვი არასდროს შემპარვია. ვიცოდი, რისთვისაც იბრძოდა და ისიც, რისთვისაც დაიღუპა

ბა არ არსებობდა. ზვიადმა გადაწყვიტა, რომ გავრიდებოდი ამ პროცესებს. მან ჩათვალა, რომ ჩვენ ერთი და იგივე კი გვწამდა, მაგრამ განსხვავებული გზებით უნდა გვევლო. იმ დროს, ქობულეთიდან იმიტომაც არ ჩამოვედი, რომ არ დამიძახა. შეიძლებოდა, ეროვნულ ხელისუფლებას და ეროვნულ მოძრაობას უფრო მოქნილი გზებით გვევლო... ზვიადი იყო ის კაცი, ვინც შეგნებულად გაწირა თავი და დატოვა მაგალითი. მე უფრო რაციონალური ადამიანი ვარ და მიმაჩნია, რომ რამდენიმე წლის მანძილზე, ეროვნული სახელმწიფოებრიობის დამკვიდრება უნდა გვეცადა. ზვიადმა მომცა შანსი, ჩემი გზით მევლო.

— ...და დღემდე, ამ გზით მიდიხართ და არ გადაგიხვევიათ? ვგულისხმობ იმას, რომ პრინციპებისთვის არასდროს გიღალატიათ?

— ბევრი ლაპარაკობს ამას, მაგრამ ვინც ტლიკინებდა, ზოგი შევარდნაძესთან აღმოჩნდა, ზოგი — კაცმა არ იცის, სად. რადგან არ ვილანძღებოდი, ქვას და თოფს არ ვისროდი, იმიტომ?.. ეს არც მიმაჩნია გამართლებულად. ვინც შევარდნაძეს ლანძღავდა, დავინახეთ — ყველა მის ბლოკში აღმოჩნდა, მათ შორის — „აღორძინების“ ბლოკის ძირითადი ნაწილიც შეადგინა.

— რატომ აირჩიეთ მაინცდამაინც „ბურჯანაძე-დემოკრატები“?

— მე და ჩემმა მეგობრებმა ეს ნაბიჯი შეგნებულად გადავდგით. ჩემთვის ცხადი გახდა, რომ მათი ძირითადი ამოცანა სახელისუფლებო ბლოკის დამარცხება იყო. ისინი შედარებით ზომიერები და მისაღებნი იყვნენ. გამოგიტყდებით, საკაშვილს და მის გუნდს მაინცდამაინც სერიოზულად ვერ აღვიქვამდი. ვიცოდი, რომ რევოლუცია მალე დამთავრდებოდა. წინასწარ შევთანხმდით და ამის შესახებ ყველამ იცოდა — შემდეგ, ერთად აღარ დავრჩებოდით. სასურველი იყო, რომ შევარდნაძის წასვლა არჩევნების გზით მომხდარიყო. რაკი შევარდნაძემ საკუთარი მარცხის აღიარება არ მოინდომა, საქმე რევოლუციამდე მივიდა, თორემ, ამ ადამიანებისგან იმდენად განსხვავებული შეხედულებები მაქვს... მათთან დარჩენილიყო, გამოეყენებინაო, — ამბობენ... თუ არ მჯერა და არ მწამს, იმ ადამიანთან როგორ ვიყო?.. ეს იქნებოდა გაიძვერას პოზიცია. მე ჩემს ხალხთან ერთად ვიდექი. ერთი ფოტო და ერთი კადრიც კი არ არსებობს, სადაც ჩემი და რევოლუციის ლიდერების ერთად ყოფნაა დაფიქსირებული. თქვენ გგონიათ, ეს შემთხვევით მოხდა?.. წინასწარ ვიცოდი, რომ ამ გუნდთან აღარ ვიქნებოდი და არ მინდოდა, ეს ვინმეს გამოეყენებინა. პატიოსანი პოზიცია ყველაზე სწორი პოზიციაა და გარკვეული დროის შემდეგ, ის იმარჯვებს. ჩემს პერსონაზე დღეს არაფერი აქვთ სალაპარაკო. ჩემი უფროსი შვილი ჯარში მსახურობს, სახლია და, თვითონაც იციან — კრედიტით მაქვს ნაყიდი და დღესაც გირაოში დევს. არც ჩემი ფული აქვთ სალაპარაკო. ქობულეთის ამბავიც წარსულს ჩაჰბარდა. ეს რომ ზვიადს დანაშაულად ჩაეთვალა, ის თვითონ იტყოდა ამას. ისე, ამ ბლოკის ხალხი პატიოსნად იქცევა: კაციშვილს არ უთქვამს, რომ თანამდებობა მოვითხოვე ან — თანამდებობა არ ერგო და იმიტომ წავიდაო.

— ისიც მითხარით, თავის დროზე, „აღორძინების“ ბლოკში რამ შეგიყვანათ?

— რევოლუციამდე და პარლამენტში ჩვენი შესვლისთანავე, დაიწყო რღვევის პროცესი და იმიტომ შევედით „აღორძინებაში“. სასაცილო ის იყო, რომ ოპოზიცია და „აღორძინება“ მსაყვედურობდნენ — ოპოზიციას ღალატობო, — და სწორედ იმ ოპოზიციის დიდი ნაწილი შევარდნაძის მხარეს აღმოჩნდა. მე ჩემს პოზიციაზე დავრჩი, მათ კი გადაათამაშეს პოზიციები. ვინ აღმოჩნდა მოღალატე?.. ახლაც იგივე მოხდა. საკაშვილი რასაც ქადაგებს, ჩემთვის სრულიად მიუღებელია. ვთქვათ, მის ხელისუფლებაში აღმოვჩენილიყავი. აი, პირადად თქვენ, რას იფიქრებდით ჩემზე — თაღლითიაო, არა?.. ვისაც ჭკუა შერჩენია, ის განიცდის „მოდერნიზებას“. სრულიად ახალი მიდგომებია საჭირო, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე — გარეთ. ვისაც ამის უნარი აღმოაჩნდება, ის დარჩება ასპარეზზე.

— თქვენ დარჩებით ასპარეზზე?

— აუცილებლად. ჩვენ ამის უნარი გვაქვს და არაერთხელ დაგვიმტკიცებია. ბევრჯერ ჩამოუწერივართ და მერე აღმოუჩენიათ, რომ კიდევ უფრო ძლიერები ვბრუნდებოდით. გარკვეული თვალსაზრისით, საკაშვილი კიდევ უფრო დიდი ანაქრონიზმია, ვიდრე შევარდნაძე. პირველი მეორის, 70-იან წლებში დაშვებულ შეცდომებს იმეორებს — როცა შევარდნაძე ხალხს იჭერდა, ვითომ, კორუფციას ებრძოდა და მერე იმავე კორუფციაში ჩაეფლო ისიც და მისი ხელისუფლებაც.

— სამ ხელისუფლებას — ეროვნულს, შევარდნაძის და დღევანდელს შორის მსგავსებებს თუ ხედავთ და რომელს მიანიჭებთ უპირატესობას?

— უპირატესობა ეროვნულ ხელისუფლებას დიდი ხანია, მივანიჭე. მისი იდეალები ცხადი იყო. ვიდექი იმ კაცის გვერდით და ის ერთადერთი იყო, ვისაც ვემორჩილებოდი. ნამდვილად ვიცოდი, რომ უსპეტაკესი კაცი იყო და იმის პატიოსნებაში ეჭვი არასდროს შემპარვია. ვიცოდი, რისთვისაც იბრძოდა და ისიც, რისთვისაც დაიღუპა. მაგრამ სამივე ხელისუფლების ერთი ძირითადი შეცდომა ის არის, რომ თვითმმართველობის გზას დაადგა. ჩვენს დროს ამას კიდევ ჰქონდა გამართლება, რადგან საბჭოთა წყობილების სისტემაში ვიმყოფებოდით და არ მივეცით ხალხს იმის საშუალება, რომ თვითონ აერჩია მმართველები. მაგრამ საერთოდ, ეს ყველა ხელისუფლების ძირეული შეცდომაა — ერთპარტიული მმართველობის დამკვიდრების მცდელობა. სახელმწიფოს ყველა სათავისოდ ქმნის, რაც უეჭველად მარცხით მთავრდება.

— მიხეილ სააკაშვილს რევოლუციის დროს, ზვიად გამსახურდიას ადარებდნენ ხოლმე. რას იტყვით ამაზე?

— სააკაშვილი, უკეთეს შემთხვევაში, ზვიადის კარიკატურაა, გარკვეული თვალსაზრისით. თუ აკვირდებოდით, როგორ ჰბაძავდა მას... შინაარსით კი, ის შევარდნაძის კარიკატურაა. ნებისმიერი კაცის კარიკატურის შემთხვევაში, მისი სასაცილო მხარეები წამოიწევს ხოლმე წინ. სამწუხაროდ, სინამდვილეში, უკვე მარაზმატული მმართველობაა... ან, ის არ არის მარაზმი, სტუდენტს ტელევიზიით რომ ეკითხებიან — რას კითხულობ? — და პასუხობს — სააკაშვილის წიგნსო?! ახალგაზრდა კაცს მეტი საქმე არა აქვს?.. იმ წიგნს კაცი მაშინ თუ წაიკი-

თხავს, როცა დასჯი, თორემ... უკეთეს შემთხვევაში, ის კარიერისტია და საკაშვილს აწონებს თავს, თორემ, თუ მართლა იმას კითხულობს, ის ბავშვი სამკურნალო ყოფილა.

— როგორც „მთავარი ტრადიციონალისტი“, როგორ ფიქრობთ — ვის აძლევს ხელს ქართული ტრადიციების ხელყოფა?

— ამას ორი უკიდურესობა აქვს. ერთი მხრივ, არსებობენ ადამიანები, რომლებიც ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებენ, თითქოს შემთხვევით, თვითმფრინავიდან ჩამოფრინდნენ ამ ქვეყანაში; ეს მათი პრობლემაა, ოჯახში ვერ აღზარდეს ნორმალურ ადამიანებად და ქართველებად! ლომაიაზეა ატეხილი ერთი ამბავი. ეს კაცი ბიოლოგიურად ქართველია, მაგრამ ისე აღზარდეს, რომ არ იცის ამ ქვეყნის არც ისტორია, არც კულტურა. ჩვენ ლომაიასთან კი არ გვაქვს საქმე, არამედ იმასთან, ვინც ის მინისტრად დააყენა — აი, ეს არის პრობლემა!.. კიდეც მიკვირს, ქართულად გამართულად რომ ლაპარაკობს. მის ოჯახს არ სჯეროდა, რომ საქართველო იარსებებდა, თორემ, რატომ მიაბარებდნენ რუსულ სკოლაში?.. აბა, სხვა რა ახსნა აქვს ამას?.. ესენი ერთი მხრივ, ტრადიციების მოშლას ცდილობენ, მეორე მხრივ, უკირკიტებენ ისეთ ტრადიციებს, რომლებიც ჩვენში ტრადიციას არ წარმოადგენდა, — მაგალითად, უაზრო სმას. რასაც ადრე ქეიფი და დროს ტარება ერქვა, ახლა იმას პროფანაციის სახე აქვს მიღებული. სინამდვილეში, ჩვენი ტრადიცია ნორმალური ურთიერთობებია — ოჯახი, სუფრა, ნათესავები, ერთმანეთის პატივისცემა და ანგარიშგაწევა. ერთ-ერთმა ამერიკელმა ელჩმა მითხრა — თქვენ ისეთები ხართ, როგორებიც ოდესღაც, ჩვენი კარგი წინაპრები იყვნენო და ამას ნუ დაკარგავთო. ეს უცხოელმა უნდა გვითხრას? აგერ, მერს ქართლის დედა არ მოსწონს. უნდა გამოგიტყდეთ, რომ ეს ძეგლი ბავშვობიდანვე არც მე მომწონდა. ასე რომ დასმულიყო საკითხი, კიდევ მესმის, მაგრამ ჭიაბერაშვილის პრობლემა სხვაა: მან ფროიდი წაიკითხა და ვითომ ფსიქოანალიტიკოსების გაცვეთილ ჭეშმარიტებებს გვიქადაგებს... ესენი ადამიანის მოქმედებას ისე განიხილავენ, როგორც ცხოველისას. ჟვანია, მაგალითად, ცხოველთა ქცევას აკვირდებოდა და დარწმუნებული ვარ, ეს მიდგომა დღემდე გამოჰყვა. არადა, ადამიანი ცხოველივით არ მოქმედებს. ცხოველებმა არც სამშობლო იციან, არც მართლმადიდებლობა. ვისაც სჯერა, რომ ადამიანი მაიმუნისგან წარმოიშვა, ის თვითონაც მაიმუნია. ვისაც გვჯერა, რომ ღმერთმა შეგვქმნა, ვცდილობთ, შესაბამისად მოვიქცეთ. იმ სტატიის დაწერაც სისულელე იყო და მასზე აჟიოტაჟის ატეხაც. კაცმა წაიმეტიჩრა, რა! ვინც რასაც ხედავს, ღმერთმა ის მისცეს...

— როგორია ზოგადად, პოლიტიკოსის გზა და ცხოვრების თავიდან დაწყების შემთხვევაში, ისევ ამ გზას თუ აირჩევდით?

— როგორც ჩერჩილი იტყოდა, პოლიტიკოსის გზა — ჭეშმარიტი მრწამსის გზა და იდეის სამსახურია. ალბათ, ისევ პოლიტიკას ავირჩევდი. დანიაში ან საფრანგეთში რომ დავბადებულიყავი, პოლიტიკოსი — არა, მაგრამ მწერალი, ისტორიკოსი ან ფილოლოგი ვიქნებოდი.

— ფილოლოგი ხომ აქ, ამ ქვეყანაშიც ხართ.

— უფრო კარგი ფილოლოგი ვიქნებოდი. თავის დროზე, „ცისკარში“ მოთხრობებს ვაქვეყნებდი. მაგრამ ხანდახან, ერთი ნიკარაგუელი პოლიტიკოსის ნათქვამის არ იყოს, დგება მომენტი, როცა კალმის ნაცვლად, ხიშტი უნდა აიღო ხელში.

— თქვენთვის თუ უთქვამთ, რომ შესანიშნავი ბარიტონი გაქვთ. არ მღერით?

— ბარიტონი კი მაქვს, მაგრამ კარგი სმენით არ გამოვირჩევი. მხოლოდ ნასვამი ვმღერი ხოლმე. ისე, მუსიკა ძალიან მიყვარს — ბლუზი, ამერიკული „ქანთრი“, ასევე — კლასიკა. მიყვარს მოდერნისტული მუსიკა. მძიმე როკი ხომ ცოტა პრიმიტიულად ითვლება, მაგრამ ვაღიარებ რომ მომწონს. როცა დასცხებენ ხოლმე, ჩემში 60-70-იანი წლების განწყობა იღვიძებს. „ბითლზი“ კი, დაახლოებით მოცარტისა და ბეთჰოვენის ტოლი მოვლენაა. სამწუხაროდ, აღარ არსებობს ასეთი ჯგუფები. გარდატეხის ეპოქაა და ასეთი ეპოქა ტიტანებს არ შობს.

— თქვენი აზრით, როგორი იქნება მამლის წელიწადი?

— ვერ გეტყვით, ჰოროსკოპს დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებ. მაგრამ ერთია — ქალებს დიდი იღბალი გჭირდებათ. ქალი ისეთი არსებაა — თან სუსტი, თან ძლიერი, — რომ ალბათ, მართლა უნდა იღბალი. არ მინახავს მამაკაცი, რომ საკუთარ წარმატებასა თუ წარუმატებლობაში თავად არ იყოს დამნაშავე, მაგრამ ბევრი ღირსეული ქალი მინახავს, რომელსაც არ გამართლებია და ამის გამო გული მტკენია — მაშინ, როცა მამაკაცი არასდროს მეცოდება.

— თქვენს მეუღლეს თუ გაუმართლა თქვენთან შეხვედრით?

— არა მგონია, ძალიან მეეჭვება...

— ვინ არიან თქვენი ოჯახის წევრები?

— მყავს დედა, და, მეუღლე და ორი ვაჟი, ასევე — შესანიშნავი რძალი და 6 წლის შვილიშვილი ირინე, ძალიან სასაცილო გოგონა. მე და ჩემმა მეუღლემ ერთი ფაკულტეტი დავამთავრეთ, ისიც ფილოლოგია და საპატრიარქოს ჟურნალს რედაქტორობს. უფროსი ვაჟი — თორნიკე ისტორიკოსია, მაგრამ სულ არმიისკენ მიუწევდა გული. ბავშვობიდან ერთად ვაგროვებდით სათამაშო ჯარისკაცებს და ეტყობა, რაღაცნაირად ჩაენერგა ეს სიყვარული. მან დისერტაციაც დაიცვა, მაგრამ მერე, მოქმედ არმიაში სამსახური გადაწყვიტა. ოფიცრის კურსები ამერიკაში გაიარა. ახლა ალბათ, სადაც გაამწესებენ, იქ წავა. უმცროსი ვაჟი — რატი სკოლის მოსწავლეა, ქართულ-ამერიკულ აკადემიაში სწავლობს.

— რატომ — ამერიკულში? ზოგ-ზოგებივით, თქვენც არ გჯერათ, რომ საქართველო იარსებებს?..

— მოგეხსენებათ, დასავლეთთან დაახლოების პროცესი მიმდინარეობს. მოგწონს თუ არა, ის სამყარო უნდა იცოდე. ზეგავლენის ნამდვილად არ მეშინია: ჩემმა შვილმა სადაც არ უნდა ისწავლოს, მაინც ქართველი იქნება... ■

რატი



თორნიკე მეუღლესთან — რუსუდანთან ერთად

შვილიშვილი ირინე

დაპირებისამებრ, ვაგრძელებთ წლის ყველაზე, ყველაზე... „სასიძო-საპატარძლოების“ წარდგენას. ჩვენმა მკითხველმა უკვე იცის, რომ სწორედ მკითხველთა მესიჯებზე დაყრდნობით მიენიჭათ ჩვენი რუბრიკის სტუმრებს ესა თუ ის ტიტული. წინა ნომერში წარმოგიდგინეთ ყველაზე პერსპექტიული, ყველაზე მშვიდი, ყველაზე პატარა, ყველაზე „მტირალა“, ყველაზე მრავალქმრიანი, ყველაზე მაღალი, ყველაზე მძიმეწონიანი, ყველაზე მორიდებული, ყველაზე მოკრძალებული და ყველაზე „პიგიენური“ „სასიძო-საპატარძლოები“. ერთმა მკითხველმა კი დამიმესიჯა: მარი, ყველაზე სექსუალური გამოგრჩაო. არ გამომრჩა, გემრიელი „ლუკმა“ ბოლოსთვის მოვიტოვე და ახლა სწორედ ამით დავიწყებ.

2004 წლის ყველაზე, ყველაზე...

ბოლო-პიჯუკი

მარი ხაფარიძე

„გზის“ მკითხველმა მამაკაცებმა ყველაზე მეტად მაშინ „შემომიტიეს“, როდესაც მათ წინაშე ანი გიუნტერი წარდგა „საპატარძლოს“ ამპლუაში. ის ინტერვიუში საკუთარ თავს ასე ახასიათებს – შემიძლია, დავშორდე საყვარელ მამაკაცს და ბედნიერი ვიყო; ხანდახან ძალზე ჯიუტი ვარ და ძალზე იოლად ვკარგავ ადამიანებს; წყენა დიდხანს მიმყვება ხოლმე; როგორი მამაკაცები მომწონს და... კარგები და ძალიან კარგები; დაბლები, მელოტები და ღიპიანები ნუ გამომეხმაურებიან; ძალიან მიყვარს სარკე, ტელევიზორის ყურებასაც კი სარკეში ყურება მირჩევნიაო... მიუხედავად იმისა, რომ ანიმ საკუთარ ნაკლზე უფრო მეტი ილაპარაკა, ვიდრე ღირსებებზე, მისი თაყვანისმცემელი მამაკაცები მაინც ძალზე აქტიურობდნენ. ვფიქრობ, ამაში „დამნაშავე“ ანის მშვენიერი ფეხებია, რომლებიც „საპატარძლომ“ ფოტოს გადაღებისას „დაუნანებლად“ წარმოაჩინა და ბევრ მამაკაცს თავბრუც დაახვია: – აუჰ, ეს რა სექსუალური ქალი ყოფილაო!.. ჰოდა, სწორედ ამის გამო, დღისა თუ ღამის ნებისმიერ მონაკვეთში, ჩემი მობილური „გამწარებული“ წკრიალებდა. ზოგი მთხოვდა, ზოგიც მოითხოვდა, ანის დამალაპარაკეთო. ამის შემდეგ, გასაოცარი სულაც არ არის, რომ ჩვენმა მკითხველებმა **ყველაზე სექსუალურ „საპატარძლოდ“** სწორედ ანი აღიარეს.

როგორი მამაკაცები მომწონს და... კარგები და ძალიან კარგები

ყველაზე „შავი“, ყველაზე „ძველი“ და ყველაზე „პრინცი“ აკაკი ბაბუნაშვილი, იგივე „შავი პრინცი“ გახლავთ. ხომ წარმოუდგენელია, რომ გითხრათ – მე მას **ყველაზე „აზიატ“ „სასიძოს“** დავარქმევდი-მეთქი?.. ნუ გგონიათ, რომ მის კლიპებში გადაღებული შიშველი ქალები მოსწონს და სწორედ ასეთ ქალბატონზე შეაჩერებს არჩევანს. აბა, მოუსმინეთ: – ვაღიარებ, რომ აზიატი ვარ, რადგან ქართველი ვარ... ვცდილობ, ჩემი აზიატობა მხოლოდ შესაფერის სიტუაციაში გამოვამჟღავნო ხოლმე... თუ ჩემს კლიპებში შორტიანი და „კუპალნიკიანი“ ქალები იჩითებიან, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ რეალურ ცხოვრებაში ეს მომწონს; კაბის სიგრძით არასოდეს განვსაზღვრავ ქალის ღირსებას... თუ განათხოვარი ქალი შემიყვარდება, ვფიქრობ, ცოლად მოვიყვან, მაგრამ სასურველია, ჩემი მეუღლისთვის პირველი მამაკაცი მე ვიყოო... თუმცა, თვითონაც აღიარებს, რომ ქალის გარეგნობას ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს: ერთხელ, ბიძაჩემს ვუთხარი – ერთი გოგო მომეწონა, გარეგნულად დიდი არაფერი, მაგრამ ძალზე კარგი ბუნება აქვს-მეთქი... იცით, რა მითხრა? – კარგი ბუნება ბორჯომშია, ქალი კი, პირველ რიგში, გარეგნობით უნდა შეაფასოო... ვფიქრობ, აბსოლუტურად სწორი მიდგომაა... „პრინცზე“ მეოცნებე გოგონებმა კი მესიჯები არ დაიშურეს აკაკისთვის და ყოველი მეორე ერთგულებასა და სიყვარულს ეფიცებოდა. მაგრამ აკაკი მაინც გულგატეხილი ამბობს – იცი, რა ხდება?.. გოგონები, სანამ გამიცნობენ, ზღაპრულ პრინცად აღმიქვამენ და ჩემთან ნაცნობობაზე ოცნებობენ. შემდეგ, გავა დრო და უკვე იწყებენ ნაკლის ძებნას. თავიდან კი ყველა ყველაფერზე თანახმაა...

ვაღიარებ, რომ აზიატი ვარ, რადგან ქართველი ვარ...

ერთმა კახელმა მკითხველმა კი დამიმესიჯა: მაგაი, ჩემნაირი ჯანიანი ქმარი მოუსდებაო

ამ ცოტა ხნის წინ კი, პრესა და ტელევიზია მართლაც, ალაპარაკდა მისი და პარლამენტის დაცვის თანამშრომლის შეხლა-შემოხლაზე

ყველაზე წარმატებული „საპატარძლოს“ ტიტული პარლამენტარ ნინო კალანდაძეს ერგო. ხუმრობა ხომ არ არის, მე-11 კლასის დამთავრების შემდეგ, გერმანიაში გაემგზავრო, იურიდიულ ფაკულტეტზე ისწავლო, გაიკეთო კარიერა სამოდელო ბიზნესში და წლების შემდეგ, საქართველოს პარლამენტარად დაუბრუნდე!.. თაყვანისმცემლების წინაშე ნინომ დიასახლისობით თავი ვერ მოიწონა: სიმართლე რომ გითხრათ, არ მიყვარს საოჯახო საქმის კეთებაო, — ამბობს ის ინტერვიუში და დასძენს — მირჩევნია, დრო მაქსიმალურად დავხარჯო მეცადინეობასა და წიგნის კითხვაზეო... ჰოდა, დაუფასდა ჩვენს „საპატარძლოს“ უცხოეთში მიღებული სწავლა-განათლება და დღესდღეობით პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე გახლავთ. მის თაყვანისმცემლებს კი, დანანებით ვეტყვი — ნინო ძალზე მოუცლელია და ამის გამო გათხოვებაზე არ ფიქრობს, თუმცა, ერთმა კახელმა მკითხველმა კი დამიმესიჯა: მაგაი, ჩემნაირი ჯანიანი ქმარი მოუხდებაო, მაგრამ...

პარლამენტარზე გამახსენდა — ასეთი რანგის „სასიძო-საპატარძლოებს“ შორის მკითხველებმა კიდევ ერთი — ყველაზე ახალგაზრდა პარლამენტარი, დათო კირკიტაძე გამოარჩიეს და მას **ყველაზე ჯიგარი „სასიძოს“** ტიტული მოარგეს, მისი სიტყვებიდან გამომდინარე: ისე მეგობრები მეუბნებიან ხოლმე, რომ „კაი“ ბიჭი ვარ და ჯიგარიო, — ამბობს ის ინტერვიუში. დათო 25 წლის გახლავთ და გული პარლამენტის სხდომათა დარბაზზე მეტად, გართობისკენ მიუწევს, თუმცა ცდილობს, ისე მოიქცეს, როგორც მის სამსახურებრივ მდგომარეობას შეეფერება. მას ცხოვრების განსხვავებულ რეჟიმთან ერთად, ჰალსტუხთან შეგუებაც გაუჭირდა: თავიდან ცოტა გამიჭირდა, მაგრამ ახლა ჰალსტუხს უკვე შევეჩვიე, მეტი რა გზა მაქვს?.. ეს გახლავთ პარლამენტის რეგლამენტით გათვალისწინებული, აუცილებელი მოთხოვნა, რომ კოსტიუმითა და ჰალსტუხით გამოვცხადდეთ სხდომაზეო... სხვა ღირსებებთან ერთად, დათო გულახდილობითაც გამოირჩევა: არ არის გამორიცხული, რომ კონფლიქტურ სიტუაციებში მუშტიკრივიც გამოვიყენოო, — ამბობდა ის ჩემთან ინტერვიუში. ამ ცოტა ხნის წინ კი, პრესა და ტელევიზია მართლაც,

ნინო ყოველი წლის 13 იანვარს, გულმოდგინედ ცდილობს, მაგიდის ქვეშ თავფეხიანად შეეტიოს

ალაპარაკდა მისი და პარლამენტის დაცვის თანამშრომლის შეხლა-შემოხლაზე, თუმცა, რამდენიმე დღის შემდეგ, ისინი შერიგდნენ, ერთმანეთი გადაკოცნეს და ხელი ჩამოართვეს... ესეც დათოს ხასიათის ერთ-ერთი თვისების შედეგია: ჩემი შემორიგება ძალზე იოლია; უცებ ავფეთქდები ხოლმე, მაგრამ წყენა მალევე მავიწყდებაო, — აღნიშნა მან. საინტერესო თვისებებთან ერთად, ჩვენი „სასიძო“ სიმპათიური გარეგნობითაც გამოირჩევა და სწორედ ამიტომ, ბევრი გოგონას თაყვანისცემის ობიექტიც გახდა...

მხოლოდ ერთადერთმა „სასიძომ“, ჟურნალისტმა გიორგი კალანდიამ თქვა, რომ პუტკუნა გოგონები მოსწონს

კიდევ ერთი ტიტული — **ყველაზე ხალისიანი „საპატარძლო“** — ჟურნალისტ ნინო შუბლაძეს ერგო. ვარ ძალიან ფართხაფურთხა; ასეც მეძახიან; მშვიდად ვერაფერს ვაკეთებ, სულ ვშფოთავ, გავრბივარ და გამოვრბივარ; ხანდახან გულმავიწყი ვარო, — ამბობს ის და როგორც ჩანს, სწორედ გულმავიწყობის ბრალია, რომ ეს მშვენიერი გოგო დღემდე გასათხოვარია. თუმცა, თვითონ ამის მიზეზად სულ სხვა რამეს ასახელებს — ჩემი გაუთხოვრობა სულ იმის ბრალია, მაგიდის ქვეშ რომ ვერ ვეტევიო, — ამბობს ნინო და ყოველი წლის 13 იანვარს, გულმოდგინედ ცდილობს, მაგიდის ქვეშ თავფეხიანად შეეტიოს და ახალ წელს ისე შეხვდეს. თურმე, ვინც საათის გონგის ჩამოკვრისას მაგიდის ქვეშ შეძვრება, გათხოვდებაო, — სჯერა ჩვენს „საპატარძლოს“. მაგრამ მკითხველს ვურჩევ, ნუ ეცდება, ნინოს მეთოდი გაიმეოროს, რადგან როგორც ჩანს, არ ამართლებს, ვინაიდან 28 წლის ასაკში ის ისევ ცალად დადის, მიუხედავად იმისა, რომ თაყვანისმცემლების ნაკლებობას სულაც არ განიცდის...

ყველაზე ხელმარჯვე „საპატარძლოდ“ მკითხველმა მომღერალი თამუნა ამონაშვილი დაასახელა, რადგან მას თურმე, ყველანაირი საოჯახო საქმე ეხერხება და ძალზე გემრიელ კერძებსაც ამზადებს. მე მას დამატებით, ყველაზე „მზითვიანს“ ვუწოდებდი. სხვა საპატარძლოებისგან განსხვავებით, რომლებიც იპრანჭებიან ხოლმე და ამბობენ — მზითვი არ მაქვს, ყველაზე კარგი მზითვი მე თვითონ ვარო, თამუნამ გულახდილად აღიარა: ვაიმე-ე!.. ნეტავ, იცოდე, რა მაგარი მზითვი მაქვს! დედაჩემი წლების განმავლობაში აგროვებდა ბალიშებს, ლეიბებს, საბნებსო... — თან, მეტი დამაჯერებლობისთვის, საძინებელ ოთახში შემიყვანა და მაჩვენა, რომ ოთახი მართლაც, ბალიშებით აქვს სავსე. ხედავ, რამდენია?.. ხანდახან მიჩნდება სურვილი, ეს ბალიშები დავარიგოო, — გამიმხილა თამუნამ. მე კი მინდა, მისი თაყვანისმცემლების საყურადღებოდ ვთქვა: თამუნა კვლავ გასათხოვარია და იაქტიურეთ, ვიდრე მზითვი მართლაც, სხვებისთვის დაურიგებია...

ჩემი „ხანუმობის“ პრაქტიკა თითქმის ორ წელს ითვლის და ასამდე რესპონდენტი... უფრო სწორად „კლიენ-

ტი“ მყავდა. მათი ნახევარი, მამაკაცი გახლდათ და მხოლოდ ერთადერთმა „სასიძომ“, ჟურნალისტმა გიორგი კალანდიამ თქვა, რომ პუტკუნა გოგონები მოსწონს, დანარჩენი „სასიძოები“ აქცენტს მაღალ, გამხდარ, ქერა ლამაზმანებზე აკეთებდნენ. ამიტომ, პუტკუნა გოგონები მათ ვერ ეხმაურებოდნენ. სამაგიეროდ, გიორგი „დაბომბეს“ მესიჯებით, მაგრამ უსამართლობა იქნება, თუ მათ აქტიურობას მხოლოდ ამ ფაქტორს დავაბრალებთ. გიორგიმ ისე წარმოაჩინა თავი თაყვანისმცემლების წინაშე, რომ საყოველთაო მოწონება დაიმსახურა. თვითონ გიორგის კი, ლაზი ან გურჯი ქალები მოსწონს, მაგრამ სერიოზული მიზეზიც აქვს საიმისოდ, რომ იქაურ გოგონაზე არ იქორწინოს: იქაური ქალი რომ ითხოვო, მის მშობლებს გარკვეული თანხა უნდა გადაუხადო, ცხვრები, ძროხები და ღორები უნდა მიუყვანო... თანაც, ლაზები იგივე მეგრული სისხლის ხალხია და ვიცი მე მეგრელი ქალების ამბავიო... მისი გემოვნების შესაფერისმა უამრავმა გოგონამ დაუმესიჯა გიორგის და იქნებ, ამ წელს მაინც დავაქორწინოთ?.. გიორგი კალანდიას **ყველაზე ორიგინალური გემოვნების მქონე „სასიძოს“** ტიტული ერგო.

ჩვენი ჟურნალი 2005 წელშიც აგრძელებს „სასიძო-საპატარძლოების“ წარდგენას თქვენ წინაშე. იმედია, ყურადღებასა და მესიჯებს არ მოაკლებთ მათ. ■

მინდა, მისი თაყვანისმცემლების საყურადღებოდ ვთქვა: თამუნა კვლავ გასათხოვარია და იაქტიურეთ

„სიყვარული ჩვენი გაცნობის ადგილას — კონსერვატორიის დიდ დარბაზში აქმიხსნა...“

როგორც წინა მასალიდან შეიტყვეთ, ანი გიუნტერმა 2004 წელს, რუბრიკაში — „საპატარძლო“ — გამორჩეული ადგილი დაიკავა. მით უფრო უცრიანი იყო, ჩვენს რუბრიკაში მოგვეწვია და მის თაყვანისმცემელთა საყურადღებოდ, გერმანული წარმოშობის ამ მომხიბვლელი გოგონას „სასიყვარულო ბიოგრაფიის“ ზოგიერთი ეპიზოდი გამოგვემზეურებინა...

მერი კობიაშვილი

ანი ტელეგადაცემების — „მუსკულები“ და „დიდი სახლი“ — წყალობით, თაყვანისმცემლების ნაკლებობას მართლაც, არ განიცდის. თუმცა, როგორც დავადგინე, მისი გული უკვე დაკავებული ყოფილა. როგორც თვითონ ამბობს, მას ისეთი სიყვარული ეწვია, როგორზეც ყოველთვის ოცნებობდა. თუმცა, შეყვარებულები „ურთიერთობის დაკანონებას“ ჯერჯერობით არ ჩქარობენ: ფიქრობენ, რომ საჭიროა, მათი გრძნობა დრომ გამოცადოს.

— ანი, შენი სასიყვარულო ამბები ალბათ, საბავშვო ბაღიდან დაიწყო, არა?

— საბავშვო ბაღში არავინ შემყვარებია, მიუხედავად იმისა, რომ უამრავი მეგობარი ბიჭი მყავდა. სიყვარული პირველად, მეცხრე კლასში რომ ვსწავლობდი, მაშინ მეწვია. ყოველთვის ვცდილობდი, იმ ბიჭის სიახლოვეს დავმჯდარიყავი. მისი ხათრით ხშირად, შატალოზეც წავსულვარ.

— პირველად პაემანზე მასთან წახვედი?

— სამწუხაროდ, პაემანზე ხშირად არ დავდიოდი. არ მიყვარს, დაგეგმილ ადგილას გადაპრანჭულები რომ მიდიან ხოლმე. შეხვედრაზე ჩემი დაყოლიება ადვილი არ იყო. ერთხელ (მაშინ 16 წლის ვიქნებოდი), მეგობრებთან და ახლობლებთან ერთად სიონში ვისვენებდი. ყოველ საღამოს, წყალსაცავთან ჩავდიოდით და კოცონს ვანთებდით ხოლმე. ერთ საღამოს, ვარსკვლავების ცქერით გავერთე. უეცრად აღმოვაჩინე, რომ ყველა წასულიყო, ჩემი ერთი თაყვანისმცემლის გარდა. მანამდე, ის ბიჭი მთელი წელი მეხვეწებოდა, რომ შევხვედროდი, მაგრამ სულ ტყუილად... კოცონის პირას მივხვდი, რომ შემთხვევას ხელიდან არ გაუშვებდა და სიყვარულს ამიხსნიდა. ასეც მოხდა. მაგრამ მე ვუთხარი — მეგობრები ვიყოთ-მეთქი... ეს ბავშვური, დაუფიქრებლად ნათქვამი პასუხი იყო. ასეთ რამეს ბიჭს აღარასოდეს ვეტყვი...

ჩვენი ურთიერთობა, რა თქმა უნდა, სიყვარულში არ გადაზრდილა. პირველი პაემანი კი, სასაცილო სიტუაციასთანაა დაკავშირებული. ერთხელ, ჩემმა პატარა დისშვილმა გამაბრაზა. სახლიდან გასვლა არ უნდოდა. მე კი გადავწყვიტე, ზოოპარკში წამეყვანა. დისშვილი სახეში სხვადასხვა ნივთს მესროდა. მანიკიური პირდაპირ თვალში მომხვდა. ამ დროს, თაყვანისმცემელმა დამირეკა. ვუთხარი — ზოოპარკში მივდივარ-მეთქი. გადავწყვიტე, იქ შევხვედროდით ერთმანეთს. საკმაოდ ბევრი მაკიაჟის გაკეთება დამჭირდა, რომ

სილურჯე დამეფარა... შეხვედრისას, სათამაშო თაგვი მაჩუქა, რომელსაც მოგვიანებით, ანი დავარქვით. იმ ბიჭს მთელი პაემნის მანძილზე, შავი სათვალე ეკეთა. გამახსენდა, ერთი დაქალის ნათქვამი – პაემანზე შავი სათვალით უნდა მიხვიდე, რომ თვალებმა შენი სათქმელი არ გასცესო... ინტერესით ვკვდებოდი – ძალიან მინდოდა გამეგო, ჩემთვის რა ჰქონდა სათქმელი...

ის ბიჭი ჩემი შეყვარებული გახდა. სიყვარული ჩვენი გაცნობის ადგილას – კონსერვატორიის დიდ დარბაზში ამიხსნა. ერთხანს ვფიქრობდი, რომ ის ჩემი ნამდვილი სიყვარული იყო, მაგრამ ახლა, როცა უკვე ნამდვილად შემიყვარდა, ვხვდები, რომ მაშინ უბრალოდ, გატაცებული ვიყავი.

— შეგიძლია, გაგვიმხილო, ვინ არის შენი რჩეული?

– ამის თქმა ახლა არ შემიძლია. მე და ჩემმა შეყვარებულმა ერთმანეთი მეგობრების „სასტავში“ გავიცანით. მაგრამ მთელი საღამო მისგან ზურგით ვიჯექი. მეგობრები რაღაც საკითხებზე ვმსჯელობდით, მე მხოლოდ მისი ხმა მესმოდა. მეორე დღეს, შემხვდა და მომესალმა. თავიდან ვერ ვიცანი. მერე მივხვდი, რომ სწორედ ის ბიჭი იყო, მთელი საღამო, ჩემს ზურგს უკან რომ იჯდა, თორემ, ასეთ სიმპათიურ ბიჭს აუცილებლად დავიმახსოვრებდი...

— თქვენი ურთიერთობა ადვილად აეწყო?

– ჩემი შეყვარებული საკმაოდ პირდაპირი ადამიანია და თავის „დაფასებები“, „მიხვედრები“ და „ნამიოკები“ ჩვენს ურთიერთობაში არასდროს ყოფილა.

— ქორწილს როდისთვის გეგმავთ?

– ამას წინასწარ ვერ დაგეგმავ... ალბათ მაშინ, როცა ერთმანეთის ნაკლიც კი შეგვიყვარდება. მე ჯერჯერობით, მხოლოდ მისი დადებითი მხარეები ვიცი და მიყვარს...

— შენი შეყვარებული არ ეჭვიანობს, სერიალში — „დიდი სახლი“ რომ მონაწილეობ?

– მე მაგალითად, „მუსკულებზე“ უფრო ვიეჭვიანებდი... ადამიანი როცა გიყვარს, თავისთავად ეჭვიანობ. ჩემი შეყვარებულიც ეჭვიანია, მაგრამ ეს არ აძლევს იმის საფუძველს, რომ არ მენდობოდეს.

— როგორც ვიცი, თქვენი ურთიერთობა გასული წლის ოქტომბერში დაიწყო. იმ პერიოდში კი, თბილისში დადიოდა ჭორი, თითქოს შენ და ზვიად ბლიაძეს, იმავე ზვიოს, ერთმანეთი გიყვარდათ. ამ ჭორზე როგორი რეაქცია ჰქონდა შენს შეყვარებულს?

– ეს ჭორი რატომ აგორდა, არ ვიცი. ალბათ უნდოდათ, რომ ასე ყოფილიყო... ჩემს შეყვარებულთან ამ თემაზე საუბარი არასდროს მქონია. ზვიოზე არასდროს უეჭვიანია.

— ყველაზე ხშირად, რა კომპლიმენტს გეუბნება?

– წესით, ჩემში ყველაფერი უნდა მოსწონდეს, მაგრამ მამაკაცებს რას გაუგებ?!. ხან ერთს ამბობენ და ხან – მეორეს. ისე, ბიჭებს ჩემი გარეგნობიდან ყველაზე მეტად, თვალები მოსწონთ!

წესით, ჩემში ყველაფერი უნდა მოსწონდეს, მაგრამ მამაკაცებს რას გაუგებ?!. ხან ერთს ამბობენ და ხან – მეორეს.

— თუ შეგიძლია, თაყვანისმცემლისგან მოძღვნილი ყველაზე ორიგინალური საჩუქარი გაიხსენო?

– რამდენიმე თვის წინ, ბინის ტელეფონი გათიშული მქონდა. მთელი დღეები, მობილურზე ვლაპარაკობდი. მეშინოდა კიდეც, ავად არ გავმხდარიყავი... ერთხელ, ჩემს შეყვარებულთან 4 საათი ვილაპარაკე. გადავწყვიტე, რამდენიმე ხნით ტელეფონი აღარ დამეტენა. მინდოდა, ამ პერიოდში, ჩემს გრძნობებში გავრკვეულიყავი. შეყვარებულთან საუბრისას ვთქვი – ტელეფონი მიჯდება, დამტენი კი გამიფუჭდა-მეთქი. ამის თქმიდან ნახევარ საათში, კარზე ზარის ხმა გაისმა. სულ მალე, ოთახში დედაჩემი შემოვიდა და მითხრა – ვიღაც ბიჭმა საჩუქარი დატოვა შენთვისო. ყუთში მობილურის დამტენი აღმოვაჩინე. მაშინ მივხვდი, რომ საკმაოდ „მძიმე“ შემთხვევასთან მქონდა საქმე. ვინანე, რომ მოვიტყუე.



საბავშვო ბაღში არავინ შემყვარებია...

— შეყვარებული როგორი ხარ?

– შეყვარებულთან კამათის დროს, ცივი ვარ; რაც არ უნდა მოხდეს, ჩემზე არ მოქმედებს. ამ დროს, ფაშისტს და გერმანელს მეძახიან... ხან კი, ძალიან თბილი ვარ და სიყვარულისთვის ბოლომდე ვიხარჯები. დანამდვილებით იმის თქმა შემიძლია, რომ სხვის გრძნობებს ყოველთვის პატივს ვცემ.

— პაემანზე წამსვლელებს რა რჩევებს მისცემდი?

– შეუძლიათ, წინასწარ მოამზადონ ტექსტი: უფრო მშვიდად იქნებიან... მაგრამ აქვე იმასაც ვეტყვი, რომ იმ სიტყვებს ვერ გამოიყენებენ. ამიტომ მაინც ჯობს, პაემანზე რაც შეიძლება ბუნებრივები იყვნენ: ამას ყველა ბიჭი აფასებს. და კიდევ – გოგონებს ვურჩევდი, პაემანზე ძალიან გადაპრანჭულები ნუ მივლენ. იმ შემთხვევაში კი, თუ ბიჭი გოგონას მისი ძველი სასიყვარულო ამბების მოყოლას სთხოვს, გოგომ პასუხს თავი აარიდოს. ანდა – უთხრას, რომ მისი ყველაზე ძვირფასი ადამიანი მის წინ ზის.

■

სამართალდამცავთა დასახმარებლად დარაზმული მლოცველები

ბრიტანეთის ქალაქ ბორნმუტის პოლიციელებს იმდენად გასჭირვებიათ დამნაშავეობასთან ბრძოლა, რომ გადაუწყვეტიათ, ადგილობრივი სასულიერო პირებისთვის მიემართათ – დაგვეხმარეთ, აღავლინეთ ლოცვები, რომ უფალმა მოიღოს მოწყალება და ჩვენს ქალაქში დამნაშავეობა შეგვამცირებინოსო... ქალაქის პოლიციის შეფმა ბობ ბულტონმა ამ ნაბიჯის გადადგმა მაშინ გადაწყვიტა, როცა ჟურნალში წაიკითხა სტატია ლოცვის ძალის შესახებ. მისი ინიციატივის შედეგად, ბორნმუტის 15 ეკლესიაში 40 დღის მანძილზე აღავლენენ ლოცვას და შეევედრებიან უფალს, დაეხმაროს დორსეტის საგრაფოს პოლიციას, შეამციროს კრიმინალური მაჩვენებლები, რომლებიც ბოლო დროს, 20%-ით გაიზარდა. 40 დღის შემდეგ კი, წმინდა ენდრიუს ეკლესიაში საღღეღამისო წირვა გაიმართება. ■

სექსსათამაშოების მოყვარული მძარცველები

გერმანიის ქალაქ ცვიკაუში უცნობმა ბოროტმოქმედებმა სექსშოპი გაძარცვეს. ყველაზე საინტერესო ის გახლავთ, რომ მათ სალაროდან არც ერთი ევრო არ წაუღიათ, მხოლოდ მოზრდილთათვის განკუთვნილი „სათამაშოები“ – ვიბრატორები, ხელბორკილები, პორნოფილმები და სხვა მსგავსი აქსესუარები გაიტაცეს. პიკანტური ნივთების შერჩევისას, მძარცველებმა მაღაზიაში ყველაფერი აურ-დაურიეს და მიიმალნენ. გამომძიებლები ჯერჯერობით ამაოდ ეძებენ ბოროტმოქმედთა ჯგუფს. პოლიციამ აგრეთვე მიმართა მოსახლეობას თხოვნით – თუ სადმე სექსსათამაშოთი ხელიდან მოვაჭრე მოზარდს წააწყდებიან, დაუყოვნებლივ შეატყობინონ ამის შესახებ. ■

თავდასხმა სამორინე „ფლამინგოზე“

მუტრუკა დაუსჯელი დარჩა

ლ. ფხაკაძესა და კ. სულაქველიძეს 8-8 წლით თავისუფლების აღკვეთა (მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით) იმის გამო მიუსაჯეს, რომ ერთ დღეს, მათ ფულის შოვნა განიზრახეს და ამ მიზნის მიღწევა, არა კეთილსინდისიერი შრომით, არამედ რომელიმე მსხვილ საწარმოზე ან ორგანიზაციაზე ყაჩაღური თავდასხმის გზით გადაწყვიტეს. თავდასხმის ობიექტად, თბილისში მდებარე, სამორინე „ფლამინგო“ აირჩიეს.

ჩანაფიქრის განსახორციელებლად, ბოროტმოქმედებს მოკავშირეები დასჭირდათ. ფხაკაძე და სულაქველიძე, როგორც განაჩენში წერია, დაუკავშირდნენ ვინმე ზ. კაპანაძეს, ასევე, გამოძიებით დაუდგენელ პირს, მეტსახელად მუტრუკას და გეგმის შემუშავებასაც შეუდგნენ.

დანაშაულის ჩადენის დროდ, ღამის პირველის ნახევარი დათქვეს. ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებულები და სახეებზე ნიღბებაფარებულები მიადგნენ სამორინეს, შენობაში შესვლისთანავე, იარაღი მიმართეს და ფული მოითხოვეს. რამდენიმე წამში, გასროლის ხმაც გაისმა: ზ. კაპანაძემ გადაწყვიტა, რომ მიზანს ასე უფრო ადვილად მიაღწევდა და იარაღიდან ცეცხლი გახსნა. სროლის შედეგად, დაიჭრა იმ დროს სამორინეში მყოფი, სატრანსპორტო დეპარტამენტის პოლიციის უმცროსი სერჟანტი ნ. ნადირაძე. მას ტყვიები სხეულის სხვადასხვა ადგილას მოხვდა. თუმცა, ჭრილობების მიუხედავად, მან მაინც შეძლო საპასუხო სროლა. ტყვია ზ. კაპანაძეს მოხვდა. მუცლის ღრუში მიყენებული, გამავალი ჭრილობა სასიკვდილო აღმოჩნდა და ის საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა.

შექმნილმა სიტუაციამ ბოროტმოქმედებს განზრახვის განხორციელებაში ხელი შეუშალა. მათ შემთხვევის ადგილიდან გაქცევა ამჯობინეს. გაქცეული სულაქველიძე და ფხაკაძე პოლიციამ კაზინოსთან ახლოს დაიკავა. იმ დროს, სულაქველიძეს ორლულიანი, გადაჭრილი თოფი ეჭირა ხელში.

ორივე მათგანს, ყაჩაღობასთან ერთად, რა თქმა უნდა, ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-ტარებაშიც დასდეს ბრალი. ფხაკაძე ამ ბრალდებას არ დაეთანხმა და თავისი ინტერესების დამცველი ადვოკატის დახმარებით, საკასაციო პალატას განაჩენის გაუქმების მოთხოვნით მიმართა. ფხაკაძე ირწმუნებოდა, რომ მას სამორინეზე ყაჩაღურ თავდასხმაში მონაწილეობა არ მიუღია, მაგრამ წინასწარი გამოძიების პირველ ეტაპზე, მას სამართალდამცავებისთვის აღიარებითი ჩვენებები ჰქონდა მიცემული. სასამართლოში მან ამ ჩვენებების სისწორე უარყო და განაცხადა, რომ აღიარება მას პოლიციის თანამშრომლებმა ფიზიკური ზემოქმედების შედეგად დააწერინეს. ისიც დასძინა, რომ სინამდვილეში, გამოძიებას არანაირი დაპირისპირება არ ჩაუტარებია, რომ ის არც ერთ მოწმეს არ ამოუცნია. უფრო მეტიც – მსჯავრდებულის ადვოკატის თქმით, როგორც გაირკვა, სამორინე „ფლამინგო“ თურმე, იმ საღამოს (ანუ როცა დანაშაული მოხდა), საერთოდ არ მუშაობდა.

ასეთივე არგუმენტებით წარდგნენ პალატის წინაშე მეორე მსჯავრდებული – სულაქველიძე და მისი ადვოკატი. *„მას ყაჩაღობა არ ჩაუდენია, მის წინააღმდეგ გამოძიებამ ყველაფერი გამოიგონა და შეთითხნა“*, – განაცხადა პროცესზე სულაქველიძის ადვოკატმა და მისი დაცვის ქვეშ მყოფის წინააღმდეგ აღძრული საქმის შეწყვეტა მოითხოვა.

პალატამ, მიუხედავად ადვოკატებისა და მათი კლიენტების დიდი მონდომებისა და სიცხარისა, აღნიშნული საჩივრები არ დააკმაყოფილა. მოსამართლეების თქმით, დადგენილი და უტყუარია ის ფაქტი, რომ ყაჩაღობის ჩადენისთანავე, ორივე დააკავეს იმავე ქუჩაზე, ორივემ აღიარა დანაშაული და აღწერა ყაჩაღობის ჩადენის დეტალები. პალატამ განაცხადა, რომ მათ ჩვენებებში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს.

მოსამართლეებმა განაჩენი უცვლელი დატოვეს. ყაჩაღობის მონაწილე დანარჩენი პირები კი, მათ შორის მუტრუკაც, დაუსჯელები დარჩნენ. მათი ვინაობა არც მსჯავრდებულებმა გათქვეს და ვერც სამართალდამცავებმა დაადგინეს. ■

გლადიოლუსების ქურდის დაკავება ბიუჯეტს 5.000 ლარი დაუჯდა

მეზობლის შავი ყურძნის ქურდობისთვის კი დამნაშავე მკაცრად დაისაჯა

უცნაური ქურდობის ფაქტი დაფიქსირდა თბილისში, მეტროს სადგურ „ახმეტელის“ მიმდებარე ტერიტორიაზე. ახალგაზრდა, სანდომიანმა და არცთუ ისე ურიგოდ ჩაცმულმა მამაკაცმა ყვავილების გამყიდველს გვერდით სწრაფად ჩაუქროლა და გლადიოლუსებით სავსე წყლიანი ვედრო მოსტაცა... სამართალდამცავებმა ჩადენილ დანაშაულს ქურდობის კვალიფიკაცია მიანიჭეს, საქმის განხილვა კი, რაიონული და საოლქო სასამართლოების შემდეგ, უზენაეს სასამართლოსაც მოუხდა.

მომხდარ ფაქტს უცნაურობას ისიც მატებს, რომ დანაშაული დილის 6 საათზე მოხდა. შუა აგვისტოში, დილაუთენია, ნასვამმა კ.კ-იამ მეტროს სადგურ „ახმეტელთან“ მდებარე ბაზრობასთან, უფრო ზუსტად, ყვავილების სავაჭრო სექციასთან ჩაიარა და გამყიდველ გ. ლომთაძეს 45 ლარად ღირებული 19 ცალი გლადიოლუსი და პლასტმასის ვედრო მოჰპარა. გამყიდველმა რამდენიმე წამში გააცნობიერა, რაც მოხდა და ყვირილი მორთო. იქვე მყოფმა სხვა გამყიდველებმა და შემთხვევითმა გამვლელებმა გაქცეულ ქურდსაც შეასწრეს თვალი. არც ახლომახლო მყოფმა პოლიციელებმა დაიზარეს და ყვავილების ქურდი მაშინვე, მეტროს სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე დააკავეს.

ვედრო და ყვავილები, რა თქმა უნდა, გამყიდველს მაშინვე უკან დაუბრუნეს, დამნაშავე კი, პოლიციის განყოფილებაში წაიყვანეს. ქურდობისთვის აღმკვეთი ღონისძიების სახით, მას პატიმრობა შეუფარდეს.

თუმცა მოგვიანებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ პროკურატურის მიერ საბრალდებო დასკვნაში მითითებული ღირებულება მოპარული ნივთისა, სინამდვილეს არ შეესაბამებოდა. საოლქო სასამართლო სააპელაციო პალატის განჩინების თანახმად, მოპარული ყვავილებისა და პლასტმასის ვედროს ღირებულება ერთად, სულ 5 ლარსაც კი არ აღემატებოდა. განსასჯელი პატიმრობიდან გაათავისუფლეს, რადგან მისი ქმედება, სისხლის სამართლის წესით, დასჯად დანაშაულად არ შეაფასეს.

აღსანიშნავია, რომ ოფიციალური ცნობების თანახმად, კ.კ. წარსულში სწორედ ქურდობისთვის გახლდათ ორჯერ ნასამართლევი. აქედან გამომდინარე, ზემოთ აღნიშნული ქმედება მისთვის ალბათ, პირველი და მით უმეტეს, სიმთვრალის გამო გაუცნობიერებელი და უნებლიე არ იქნებოდა. მიუხედავად ამისა, სასამართლომ განსასჯელისთვის სასარგებლო განჩინება გამოიტანა. თუმცა, კ.კ. არც ამას დასჯერდა. მან განცხადებით მიმართა თბილისის საოლქო სასამართლოს, საკუთარი თავის რეაბილიტირებულად ცნობა და ამასთანავე, მატერიალური და მორალური კომპენსაციის სახით, მისთვის 91.680 ლარის გადახდაც კი მოითხოვა; ასევე განაცხადა, რომ გლდანი-ნაძალადევის საგამოძიებო სამსახურისა და რაიონული სასამართლოს შესაბამის მუშაკებს მისთვის წერილობით ბოდიშიც უნდა მოეხადათ.

სწორედ ამ მოთხოვნებით წარდგა უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატის წინაშე კ.კ. პალატის მოსამართლეებმა აღნიშნეს, რომ ის მეტისმეტად ბევრს მოითხოვდა. მისი მოთხოვნა ქონებრივი ზიანის ანაზღაურების შესახებ არ დაკმაყოფილდა. როგორც გაირკვა, კ.კ-მ იმის დამადასტურებელი საბუთი, რომ მას დაკავების დროს რაიმე ნივთი ან მისი ღირებულება ჩამოართვეს და ამით რაიმე მატერიალური ზარალი მიაყენეს, ვერ წარმოადგინა.

კ.კ-მ ისიც აღნიშნა, რომ უკანონო პატიმრობის პერიოდში, მას მნიშვნელოვნად შეერყა ჯანმრთელობა და დიდი ხარჯი გასწია დიაგნოსტიკისა და მკურნალობისთვის. საქმის მასალებში არც ამის დამამტკიცებელი რაიმე დოკუმენტი აღმოჩნდა. თუმცა, რეაბილიტირებულისთვის მორალური ზიანის ასანაზღაურებლად, პალატამ ფინანსთა სამინისტროს ბიუჯეტიდან 5.000 ლარის გადახდა მაინც დააკისრა.

მსგავსი, თუმცა არცთუ ისე უჩვეულო ქურდობის ფაქტი დაფიქსირდა თერჯოლის რაიონშიც. ამჯერად, ახალგაზრდა მამაკაცი ყურძნის ქურდობისთვის გაასამართლეს. თუმცა, ის ზემოთ ხსენებული ყვავილების ქურდისგან განსხვავებით, ასე იოლად ვერ დაუძვრა მართლმსაჯულებას. პირიქით, ყურძნის ქურდი მოსამართლეებმა მკაცრად დასაჯეს და მას 4 წლით თავისუფლების აღკვეთაც კი მიუსაჯეს, საერთო რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით.

განაჩენის თანახმად, დაზარალებულებს ჩადენილი დანაშაულით მნიშვნელოვანი ზარალი მიადგათ. სექტემბრის შუა რიცხვებში, ზ.ჭ. თანასოფლელ გ.კ-ს დაუკავშირდა და თავისი განზრახვა გაანდო: გადაწყვეტილი ჰქონდა, ორი მეზობლის – ჭანტურიძისა და ფოცხვერაშვილის საკარმიდამო მიწის ნაკვეთიდან შავი, „ჯვარისას“ ჯიშის ყურძენი მოეპარა, გაეყიდა და აღებული თანხა თავად მოეხმარა. გ.კ-ს მან დანაშაულში თანამონაწილეობა შესთავაზა. ისიც დათანხმდა და მოილაპარაკეს, რომ მოპარული ყურძნის რეალიზაციის შედეგად მიღებულ თანხას თანაბრად გაინაწილებდნენ.

განზრახვის სისრულეში მოყვანა იმავე საღამოსთვის დაგეგმეს. სათანადოდ მოემზადნენ და დაახლოებით საღამოს 11 საათისთვის, ზ.ჭ-ს კუთვნილი ავტომანქანით მიადგნენ ჭანტურიძის ვენახს, ერთად მოკრიფეს, როგორც გამოძიებით დადგინდა, 20 კილოგრამი შავი ყურძენი, რომლის ღირებულება 30 ლარს შეადგენდა. ამისთვის ქურდებს ნახევარი საათი დასჭირდათ.

ჭანტურიძის ვენახიდან მეორე მეზობლის – ფოცხვერაშვილის მიწის ნაკვეთში გადაინაცვლეს. ღამის 12-ის ნახევრისთვის, მათ ამ ვენახში გაცილებით მეტი – დაახლოებით 130 კილოგრამი „ჯვარისა“ მოკრიფეს (ღირებულება 130

ლარი), შემდეგ, ნაქურდალი ყურძნით დატვირთულ ავტომანქანაში ჩასხდნენ და იქაურობა დატოვეს.

მაგრამ მათი „საქმე“ წარმატებული მაინც არ აღმოჩნდა. გაქურდული ვენახის პატრონებმა საქმეში პოლიცია ჩართეს და სოფელში მალე გავრცელდა ეჭვმიტანილთა გვარები. ისინი იმალებოდნენ, მაგრამ ერთ-ერთი მათგანი – ზ.ჭ. მალე დაიკავეს. დაკავებულმა დანაშაული აღიარა და ჩადენილი საქციელი მოინანია კიდეც. მიუხედავად ამისა, სასამართლომ მას 4 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. განაჩენით უკმაყოფილო ზ.ჭ-მ საჩივრით უზენაეს სასამართლოს მიმართა. პალატას მოახსენა, რომ მისი ოჯახი უკიდურესად გაჭირვებულად ცხოვრობდა და მისი ციხეში ჯდომა კიდევ უფრო დაამძიმებდა მათ მდგომარეობას. ამასთანავე, აღთქმა დადო, რომ მომავალში, მართლსაწინააღმდეგო ქმედებას აღარასოდეს ჩაიდენდა. დაზარალებულისთვის მიყენებული მატერიალური ზარალი მთლიანად იყო ანაზღაურებული და ისინი რაიმე პრეტენზიას მსჯავრდებულის მისამართით არ გამოთქვამდნენ. სხვა შემამსუბუქებელ გარემოებებთან ერთად, მოსამართლეებმა ესეც გაითვალისწინეს და მსჯავრდებულის თხოვნა დააკმაყოფილეს – სასჯელი მას 2 წლით შეუმცირეს. ■

პოლიციელმა ყაჩაღ დეიდაშვილს „ნაკოლი“ მისცა

შს სამინისტროს თანამშრომელი, ოფიცერი გ. არველაძე სამსჯავროს წინაში მძიმე ბრალდებებით წარდგა. ეს გახლავთ მონაწილეობა დიდი ოდენობით მოძრავი ნივთის მისაკუთრების მიზნით განხორციელებულ ჯგუფურ, ყაჩაღურ თავდასხმაში, რომელიც დაზარალებულთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიში ძალადობითა და ძალადობის მუქარით ხასიათდებოდა.

ყაჩაღურ თავდასხმაში, როგორც საქმის მასალებით ირკვევა, მის გარდა, კიდევ 3 პირი მონაწილეობდა. გაირკვა ისიც, რომ ინფორმაცია დაზარალებულის – ბულგარეთის მოქალაქის, ბულგარეთის ფირმა „სომატის“ თანამშრომლის შესახებ (მას ყაჩაღობის შედეგად, სოლიდური თანხა წაართვეს), შავი სამყაროს წარმომადგენლებს – თავის დეიდაშვილსა და მის მეგობრებს არველაძემ მიაწოდა.

არველაძე იმ პერიოდში, ქალაქ ფოთში, ბულგარეთის რესპუბლიკის საქართველოს საკონსულოს შენობის დასაცავად გახლდათ მივლინებული. საბრალდებო დაკვნის თანახმად, მისთვის სწორედ იქ ყოფნისას გახდა ცნობილი, რომ ფირმა „სომატის“ წარმომადგენელს საქართველოში – პანჩო ბიმბელოვს, დაცვის თანამშრომლის – ტ. გოცირიძის თანხლებით, თბილისიდან ფოთში დიდი თანხა – 80-დან 100 ათას დოლარამდე მიჰქონდა. როგორც პროკურატურა აცხადებს, ეს ინფორმაცია არველაძემ, ყაჩაღობისა და სხვა დანაშაულებისთვის წარსულში ნასამართლევ დეიდაშვილს – ზ. ხარებავას მიაწოდა. აცნობა მას, რომ ბულგარელი, ფოთის მიმართულებით, „ვაზ 2109“ მარკის ავტომანქანით იმგზავრებდა. ბრალდების თანახმად, ხარებავა, თავის მხრივ, მეგობრებსა და დანაშაულების ჩადენისას თანამზრახველებს – ამჟამად ძებნილ უ. ჯიქიასა და გამოძიებით დაუდგენელ კიდევ 2 პირს დაუკავშირდა. მოილაპარაკეს, რომ ბიმბელოვს საავტომობილო ტრასაზე დახვდროდნენ და დაეყაჩაღებინათ.

განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, შეიარაღდნენ 4 ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით, ერთი პისტოლეტით, ჩასხდნენ „ვაზ 21011“ მარკის ავტომანქანაში და ხობის რაიონის სოფელ საგვიჩიოს ტერიტორიაზე, საავტომობილო გზაზე ჩაუსაფრდნენ მსხვერპლს.

საღამოს 6 საათისთვის, „ვაზ 2109“ გამოჩნდა. მანქანაში ბიმბელოვი და გოცირიძე ისხდნენ. სახეებზე ნიღბებაფარებული, შეიარაღებული ბოროტმოქმედები მანქანას გზაზე გადაუდგნენ და ავტომატიდან ჯერით ჰაერში სროლა დაიწყეს. როცა მანქანა გაჩერდა, მათ ბიმბელოვს წაართვეს: საფულე, ტყავის ხელჩანთა, 120 ლარი და 402 დოლარი, ასევე 20 დოლარის ეკვივალენტის აზერბაიჯანული მანათი, „ნოკიის“ ფირმის მობილური ტელეფონი და პირადი ნივთები – სულ 1.650 ლარის ღირებულების ქონება; ასევე – ბიმბელოვის პირადი და სამსახურებრივი დოკუმენტები, მანქანის საბარგულიდან კი, ფირმა „სომატის“ კუთვნილი თანხა – 350 ათასი დოლარი ამოიღეს. რაც შეეხება მეორე დაზარალებულს, ტ. გოცირიძეს – მას 80 ლარი და „ერიქსონის“ ფირმის მობილური ტელეფონი წაართვეს.

დანაშაულის ჩადენის შემდეგ, ხარებავამ და მისმა თანამზრახველებმა დაზარალებულები იმ ავტომანქანაში ჩასვეს, რომლითაც საყაჩაღოდ იყვნენ გამოსულები და რამდენიმე კილომეტრის გავლის შემდეგ, ჩამოსვეს და მიატოვეს.

გატაცებული თანხიდან, თავის წილად, ხარებავამ, როგორც საბრალდებო დასკვნაშია აღნიშნული, 42 ათასი დოლარი აიღო. აქედან 20 ათასი მან დეიდაშვილს, ინფორმაციის მიწოდებისთვის გადაუხადა. 16.700 დოლარი ხარებავასგან პოლიციამ დაკავების დროს ამოიღო; ასევე ამოიღეს ბულგარეთის საკონსულოს შენობაში არველაძის მიერ გადამალული 20.000 დოლარი.

ბრალდებულებმა გამოძიებას აღიარებითი ჩვენებები მისცეს. თუმცა საქმის სასამართლო განხილვის დროს, გაჩნდა ეჭვი, არსებულ მტკიცებულებათა უტყუარობისა და საკმარისობის თაობაზე. ეს ეჭვი ქუთაისის საოლქო სასამართლომ განსასჯელთა სასარგებლოდ გადაწყვიტა და მათ მიმართ გამამართლებელი განაჩენი გამოიტანა. განაჩენი პროკურატურამ უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრა.

საკასაციო პალატის მოსამართლეებმა აღნიშნეს, რომ ქუთაისის საოლქო სასამართლომ ერთი ძალზე მნიშვნელოვანი დეტალი არ გაითვალისწინა: საპროცესო კოდექსის 132-ე მუხლის თანახმად, მართალია, მსგავსი ეჭვი ბრალდებულის სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მისი დადასტურება დამატებითი მტკიცებულებებით შეუძლებელია. პალატამ მიიჩნია, რომ აღნიშნულ დანაშაულზე დამატებითი გამოძიების შედეგად მტკიცებულებების გადამოწმება და მოპოვება სავსებით შესაძლებელი გახლდათ და ამ მოტივით, გამამართლებელი განაჩენი გააუქმა, საქმე კი დამატებით ძიებაში დააბრუნა. ასე რომ, არ არის გამორიცხული, ჩადენილი ყაჩაღობისთვის არველაძემ, ხარებავამ და მათმა თანამზრახველებმა მკაცრად აგონ პასუხი. ■

რუბრიკა მოამზადა მეგი ცანავამ

საახალწლო ნაძვის ხეს ყრუ და სმენადაქვეითებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატში განსაკუთრებულად დიდი დატვირთვა აქვს. წლების მიჯნაზე, მოსწავლეთა-გან ბევრი, არდადეგების გასატარებლად, რაიონ-ებში გაემგზავრა, მშობლებთან შესახვედრად, რომ-ლებიც ზოგიერთს 6 თვეა, არ უნახავს... მათი მოვლა-პატრონობა, აღზრდა და სწავლა ინტერნა-ტის პედაგოგებს აბარიათ. საახალწლო ზეიმზე საოცარი — თან, სასიხარულო და თანაც, გულის ამაჩუყებელი სანახავი იყო ყრუ ბავშვთა ცეკვა, ლექსების წაკითხვა... სკოლისა და მოსწავლეთა ცხოვრების შესახებ ინტერნატის დირექტორი, ქალ-ბატონი ლამარა სარჩიმელია მოგვითხრობს.

„აქ არ არიან დათრგუნვილები...“ ანუ ყრუ და სმენადაქვეითებულ ბავშვთა საოცარი სამყარო

ლევან ებრალიძე

— საქართველოში ყრუ ბავშვთა სწავ-ლება თითქმის 100 წელიწადს ითვლის. დღეს 2 სკოლა-ინტერნატი — ყრუ და სმენადაქვეითებული ბავშვების — ერთ შენობაშია მოთავსებული. ისინი განსხ-ვავებული პროგრამებით ხელმძღვანელობენ, ერთს თავისი სასწავლო ნაწილი ჰყავს, მეორეს — თავისი. გაკვეთილების დროს ერთმანეთთან შეხება არა აქვთ, მაგრამ ყოფა-ცხოვრება, ერთმანეთის მსგავსი აქვთ. ერთად სძინავთ, ერთად თამაშობენ. ჭა-მის დროს ჯერ ერთი ნაწილი მიირთ-მევს, მერე — მეორე, რადგან სასადილოში ყველანი ვერ ეტევიან, თორემ იქაც არ გავყოფდით.

— სულ რამდენი მოსწავლეა ინტერნატში?

— ორივე სკოლაში ერთად 183 ბავშ-ვია. ადრე უფრო მეტნი იყვნენ, მაგრამ ახლა, საბედნიეროდ, მედიცინის განვი-თარებამ, ამ საკითხის მიმართ მშობლებ-ის მომეტებულმა ყურადღებამ, ფეხმძი-მობის პერიოდში ექიმის მითითებების დაცვამ, პრობლემების თავიდან აცილებ-ის საშუალება მოგვცა. ამიტომ ინვალი-დი ბავშვების რიცხვმა იკლო.

— ზოგიერთი მშობელი ერიდება ინტერნატში ბავშვის მოყვანას.

— ძალიან ბევრი მაგალითი გვაქვს იმისა, რომ ჩვენთან მოსული სმენადაქვეითე-ბული ბავშვი დაწყებითი კლასების გავ-ლის შემდეგ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში გადასულა და იქ უპრობლემ-ოდ გაუგრძელებია სწავლა. ეს ჩვენთვის ძალიან დიდი მიღწევაა, მაგრამ საუბ-დუროდ ისეთი შემთხვევებიც გვაქვს, როცა მშობელი ვერ ეგუება სკოლა-ინტერნა-ტის სპეციფიკას, სადაც ბავშვმა შეი-ძლება, დამატებითი ჟესტიკულაცია აითვი-სოს. ეს ხდება განსაკუთრებით მაშინ, როცა მშობელი მოლაპარაკეა. ამიტომ ჩვეულებრივ სკოლაში მიჰყავთ ხოლმე. იქ წლები გადის ისე, რომ კლასიდან კლასში მასწავლებლის შეცოდებით, ვი-ღაცის ხათრით, ამხანაგების სიყვარუ-ლით გადაჰყავთ, დაბოლოს, ეს ბავშვი ვეღარც მოლაპარაკეებში შეძლებს სწავ-ლის გაგრძელებას და ვეღარც აქ დაეწ-ევა თანატოლებს, რაც გარდატეხის ასაკში ძალიან რთულად აისახება. მათთან თავიდანვე უნდა მუშაობდეს ის პედაგო-გი, ვინც მოახდენს სმენის კორექციას და ნარჩენი სმენის გამოყენებაზე იმუშავებს.

— რა მეთოდით მუშაობენ?

— ჩვენთან შემოდიან ისეთი ბავშვე-ბიც, რომლებსაც ბგერა აბსოლუტურად არა აქვთ, ვერაფერს წარმოთქვამენ. ხდე-ბა გამაძლიერებელი აპარატურის ჩადგმა, მექანიკური ჩარევა, მუშაობენ არტიკუ-ლაციაზე და ასე შემდეგ. ყველაფერ ამას მივყავართ იქამდე, რომ ლექსებსაც კი ამბობენ. ვერ ვიტყვი, რომ ჩვენი ბავშ-ვები ჩვეულებრივად, ისე ლაპარაკობენ, რომ ყველაფერი გასაგებია, მაგრამ ელე-მენტარულად დედას „დედას“ რომ დაუძა-ხებს, რაც მანამდე მისთვის წარმოუდ-გენელი იყო, ესეც ხომ ბევრს ნიშნავს?!. ამეტყველებისთვის თითოეული ბგერის არტიკულაციური ჩამაგრება ხდება. სა-გნებს ცალკე მასწავლებლები ასწავლიან. შემდეგ სმენის მასწავლებელი ინდივიდ-უალურად თითოეული ასო-ბგერის, სი-ტყვის წარმოთქმაზე ამუშავებს ბავშვებს. ანბანს სამი წლის განმავლობაში ვას-წავლით. ჟესტიკულაციას ერთ კვირა-ში ითვისებენ, მაგრამ არტიკულაცია, ბგერის წარმოთქმა მათთვის ძალიან ძნე-ლია. მაგალითად, ასო-ბგერა „ხ“-ს გამოთქმა რომ ასწავლო, მას ხელი უნდა დაადებინო ყელის ძირში. როცა ამ თანხ-მოვანს წარმოვთქვამ, ჩემი ხიხინით გამოწვეულ ვიბრაციას ის ხელით გრძნობს და ხვდება, თუ რა გავაკეთე ყელში. თუ ჩვეულებრივ პირველად „აი იას“ ასწავ-ლიან, ჩვენთან ყველაზე ადვილად ასათვისე-ბელი სიტყვებია „ფაფა“, „პაპა“, „მამა“ და ა.შ. ამ შემთხვევაში ბავშვის ხელი უნდა მიიტანო პირთან და „ფაფას“-ს წარმოთქმისას ჰაერის ნაკადის ხელზე მოხვედრით ხვდება, თუ როგორ წარ-მოთქვამ ამ სიტყვას.

— რა დონის განათლებას იღებენ მოსწავლეები?

მათი ჩანგლითა და კოვზით სარგებლობას თუ არ იუკადრისებთ, ბედნიერები არიან...

თუ სითბო იგრძნეს – შეუყვარდებით, ბოლომდე თქვენი ერთგულები იქნებიან, მაგრამ ასევე, თუ რამეს აწყენინებთ, ძნელად მოაბრუნებთ თქვენკენ

– აქამდე სრულყოფილი საშუალო განათლების მიცემა არ შეგვეძლო. წელს კი 12 ბავშვს სრული საშუალო განათლება მივეცით და თორმეტივე, უნივერსიტეტ „ალმა მატერში", სტომატოლოგიურზე ჩარიცხეს. მართალია, ლექციების წაკითხვა თარჯიმნის მეშვეობით ხდება, მაგრამ თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ვამაყობ მათით, დღეს ისინი თითით საჩვენებლები არიან, თავიანთი მონდომებით, სწავლით, ყოფაქცევით. ეს პროფესია მათთვის ზედგამოჭრილი იქნება, რადგან ხელებით არაჩვეულებრივად აღიქვამენ. ძალიან კარგად ქარგავენ, ხატავენ. ვფიქრობ, რომ ჩინებული სპეციალისტები გამოვლენ, თუ სწავლის დამთავრების შემდეგ თითოეულს პოლიკლინიკაში მიამაგრებენ.

სტუმრებს ვაკვირდებოდი, როგორი გაფაციცებით, ცრემლმორეული უყურებდნენ ბავშვებს...

ისინი მაინც მოსწყდებიან ქუჩას... თუმცა, მართალია, ჩვენს ქვეყანაში ჯერ მოლაპარაკისთვისაა სამსახურის შოვნა ძნელი და მით უმეტეს რთულია ყრუსთვის. ამიტომ ბედნიერი ვარ, რომ ეს 12 ბავშვი მაინც დავაყენეთ გზაზე.

— როგორც ვიცი, სმენადაქვეითებულები ადრე სხვა შენობაში სწავლობდნენ. როგორ მოხდა ამ ორი ინტერნატის გაერთიანება?

– სმენადაქვეითებულებს დელისის III ქუჩაზე ცალკე, ძალიან ლამაზი შენობა ჰქონდათ. მაგრამ სახურავი და კედლები დაზიანდა და წყალი ჩამოდიოდა, მიწისძვრის შემდეგ კი ავარიული გახდა. ამიტომ 1993 წელს, ჩვენთან გადმოიყვანეს, რათა ის შენობა კაპიტალურად შეეკეთებინათ და გაერემონტებინათ. მაგრამ მოგეხსენებათ, ამავე წელს თბილისში უამრავი ლტოლვილი ჩამოვიდა. 500 მათგანი იმ შენობაში შესახლდა და სანამ აფხაზეთის პრობლემა არ გადაწყდება, იქ დაბრუნებაზე ალბათ საუბარიც არ იქნება, რადგან ლტოლვილები უფრო მძიმე მდგომარეობაში არიან, ვიდრე აქ ეს ბავშვები. აქ არ არიან დათრგუნვილები, შეშინებულები და დაკომპლექსებულები. ერთმანეთთან საოცარი ურთიერთობა აქვთ, არაჩვეულებრივი სამყარო აქვთ შექმნილი. თავს ლაღად გრძნობენ. საახალწლო ნაძვის ხეზე მოსულ სტუმრებს ვაკვირდებოდი, როგორი გაფაციცებით, ცრემლმორეული უყურებდნენ ბავშვებს. მაგრამ თავად ბავშვები ყურადღებას არ აქცევდნენ უცხოებს, თავისთვის ცეკვავდნენ, ერთობოდნენ და საერთოდ, ამ პრობლემას არ აღიქვამენ ისე, როგორც ჩვენ. ამიტომ ეს სამყარო სკოლის დამთავრების შემდეგაც უნდა შევუნარჩუნოთ. ახალგაზრდებს არა აქვთ ჩვენგან წასვლის შემდეგ თავშეყრის ადგილი. მოდებული არიან ბაზრობებზე, მათ იყენებენ მუშახელად და ა.შ.

— რა ასაკის მოსწავლეები არიან სკოლაში?

– ექვსი წლიდან ზევით. ეს იმას ნიშნავს, რომ სწავლა 13 წელი გრძელდება, მაგრამ ზოგ მშობელს გვიან, უფროსი ასაკის ბავშვი მოჰყავს და შესაბამასად, სწავლასაც დიდ ასაკში ამთავრებს. ამიტომ მშობლებმა ჩვილ ასაკშივე დიდი ყურადღება უნდა მიაქციონ ბავშვის მეტყველებას. ჩვეულებრივზე გვიან და ძნელად თუ დაიწყებს ტიტინს, მაშინვე უნდა ჩაუტარონ აუდიოგამოკვლევა და შესაბამისი ზომები მიიღონ, რათა შემდეგ მდგომარეობა არ გართულდეს.

...მაგრამ თავად ბავშვები ყურადღებას არ აქცევდნენ უცხოებს, თავისთვის ცეკვავდნენ

— ყურადღება თუ ექცევა ინტერნატს სახელმწიფოს მხრიდან?

– სახელმწიფო დაფინანსებაზე ვართ. განათლების სამინისტროს ახალი ხელმძღვანელობა ინტერნატის მდგომარეობას ყურადღებას აქცევს. ახალი კადრია, მათთვის აქაურობა უცხოა და ამიტომ უფრო მეტად აინტერესებთ. ვერ ვიტყვი, რომ მიტოვებული და დაჩაგრული ვართ. თუკი ვინმე სტუმარი მოდის, უცხოელი იქნება თუ ჩვენებური, ყველას სურს, ამ ბავშვებს რაღაც გაუკეთოს. თვითონ სკოლასაც ეტყობა, რომ არ არის მიგდებული და მიტოვებული. შარშან ქალბატონი სანდრა რულოვსი იყო მოსული, ბავშვებს ფეხსაცმელები მოუტანა. აშშ-ის ელჩის მეუღლე, ქალბატონი მაილსიც რამდენჯერმე იყო და თქვა, რომ ქართველებს შეგვიძლია ვიამაყოთ ასეთი კარგი სკოლა-ინტერნატით. აქ ძალიან ალალი, თბილი და ხალასი ბავშვები არიან. თუკი რამე გატეხეს ან გააფუჭეს, არ დამალავენ, აუცილებლად იტყვიან. თუ სითბო იგრძნეს – შეუყვარდებით, ბოლომდე თქვენი ერთგულები იქნებიან, მაგრამ ასევე, თუ რამეს აწყენინებთ, ძნელად მოაბრუნებთ თქვენკენ. ზოგი ექვსი თვის მანძილზე მშობლებს ვერ ნახულობს, მათთვის ჩვენ მხოლოდ დირექტორი და მასწავლებლები არ ვართ. როცა მათთან ერთად სასადილოში საჭმელს მივირთმევ, ისე უხარიათ, რომ მოდიან და ცდილობენ საკუთარი ულუფა გამიყონ. მათი ჩანგლითა და კოვზით სარგებლობას თუ არ იუკადრისებთ, ბედნიერები არიან. ■

პაროდიის თეატრი გაზაფხულზე ათი წლის გახდება. ეს დრო მისთვის საკმარისი აღმოჩნდა, მაყურებლის სიყვარულისა და ერთგულების მოსაპოვებლად, რაზეც გადაჭედილი დარბაზები მეტყველებს.

როგორები არიან პაროდისტები? როგორ იქმნება პაროდიები? რამდენად იოლია ქართველი მაყურებლის გაცინება? პაროდიის თეატრის მსახიობებს ამასთან დაკავშირებით ძალზე ორიგინალური პასუხები აქვთ...

რაზე იცინიან საქართველოში

ლელა ჭანკოტაძე

— რაზე იცინიან საქართველოში?

მერაბ გეგეჭკორი:

— ჩვენთან იცინიან ყველაფერზე, რაც სასაცილოა და დამატებით იცინიან პოლიტიკოსებზე. პოლიტიკოსს, რომელიც ხალხში პოპულარულია, აუცილებლად უნდა მოვუნახოთ ისეთი თვისებები, რომელზე დაყრდნობითაც შევქმნით მის მხიარულ „ორეულს“. ეს არის პოლიტიკური პაროდია. მერაბ სიჭინავა, ჩვენი ყველაზე სტაჟიანი პაროდისტი, ამბობს ხოლმე: ადრე პოლიტიკურ პაროდიას ვინ გაგაკეთებინებდა ან ამას რომელი პაროდისტი გაბედავდაო?! ბიძინა მახარაძემ მითხრა: უწინ პოლიტიკურად ითვლებოდა პაროდია, თუ ტექსტი ბინის მშენებლობას ეხებოდა, უფრო მეტის თქმას ვინ გაგაბედვინებდაო?.. უკვე 12-14 წელია, რაც საქართველოში პოლიტიკური პაროდიები თავისუფლად კეთდება. როცა პრეზიდენტ შევარდნაძის პაროდიას ვაკეთებდი, მისგან „დაბრო“ მქონდა.

ბიძინა მახარაძე:

— ზოგჯერ ჩემი და მაყურებლის აზრი არ ემთხვევა ერთმანეთს. მაყურებელი, როცა ფელეტონს ვკითხულობ, ისეთ დროს გაიცინებს, მერე ვფიქრობ — ნეტავ, იქ სასაცილო რა იყო-მეთქი?.. ხდება პირიქითაც. მაყურებელს პაროდია უნდა შესთავაზო იმის გათვალისწინებით, თუ რა დროა, როგორი გარემოა. არსებობს სოციალური იუმორი, რომელზეც დღეს გაეცინებათ, ხვალ — არა. დღეს შევარდნაძეზე პაროდია რომ გააკეთო, ისე აღარ გაიცინებენ, როგორც გუშინ და გუშინწინ იცინოდნენ. რუსულ ესტრადაში მიღებულია ე.წ. „შავი იუმორი“ ანუ იუმორი, რომელიც შავ სამყაროს ეხება. ჩვენში ეს არ ჭრის, ამ თემაზე აქ ვერ იხუმრებ, ე.ი. იუმორს ეროვნებაც აქვს. რუსეთში რომ არ მეცხოვრა, ალბათ ვერც მე გავიგებდი რუსულ იუმორს... როცა სოციალური პრობლემები არ გვქონდა, ჩვენი ხალხი სულ ხუმრობდა, მე კი ამ ხუმრობებს ვაგროვებდი. ახლა ასე აღარ არის. უმეტესობა მოწყენილია, ხალხი დაბეჩავებულია. უწინ მხიარულ ხალხს ვუბრუნებდი ხალხშივე მოარულ იუმორს, მხიარულებას. დაბეჩავებულ ხალხს რა იუმორი უნდა დაუბრუნო?!. ამიტომ პაროდისტები მთლიანად ჩვენს ფანტაზიასა და გემოვნებას ვეყრდნობით და ვაკეთებთ პაროდიებს.

მამუკა ლომაშვილი:

— ხალხი ყველაზე გულიანად პოლიტიკურ პაროდიაზე იცინის. ალბათ, ჩვენი საზოგადოება იმდენად პოლიტიზებულია, რომ იუმორში გაჟღერებული პოლიტიკური პაროდიები ნამდვილ აჟიოტაჟს იწვევს. თავიდან, აგრარული უნივერსიტეტის სახელით გამოვდიოდი. არ მეგონა, თუ ჩემი პაროდია ასეთი წარმატებული აღმოჩნდებოდა. პრეზიდენტის ხმით ნათქვამმა უმნიშვნელო ფრაზამ განაპირობა ის, რომ ახლა პაროდიის თეატრის წევრი ვარ. მიხეილ სააკაშვილის გარდა, სხვა პოლიტიკოსების პაროდიებსაც ვაკეთებ, მაგრამ მაყურებელი ჩემგან მხოლოდ სააკაშვილის პაროდიას ითხოვს.

— როგორ მოხვდით პაროდიის თეატრში?

ბიძინა მახარაძე:

— დიდ სცენაზე რომ დავდექი, მეხუთეკურსელი ვიყავი. პაროდიები მქონდა ლუი დე ფიუნესზე, სპარტაკ ბაღაშვილზე, აკაკი ვასაძეზე, რამაზ ჩხიკვაძეზე და იოსებ ნონეშვილზე. მაშინდელმა პარტკომმა ჯემალ კუხალაშვილმა და კომკავშირის კომიტეტის მდივანმა ზურაბ ერქვანიამ თქვეს — ეს კაცი „გეპეიდან“ გასაშვები არ არისო. იმხელა შთაბეჭდილება მოახდინა ჩემმა პაროდიებმა, კათედრაზე დამტოვეს. ფილარმონიის სცენაზე რომ დავდექი, მღელვარებას ვერ ვფარავდი. ვერ ვიჯერებდი, რომ იმ სცენაზე ვიდექი, სადაც არკადი რაიკინი მდგარა. ხალხს ყველა ეპოქაში სჭირდება იუმორი. ამიტომ რეპერტუარი სულ ახალი და ახალი უნდა იყოს. ახალ რეპერტუარს ვამზადებ, რომელსაც ჩემს თეტარში — „ბომბორაში“ წარმოვადგენ. „ბომბორას“ არანაირი დაფინანსება არა აქვს. ამიტომ მსახიობებს ხელფასებს ვერ ვუხდი. ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტები მყავს აყვანილი. მათ ვეუბნები: გიხარიათ სცენაზე გამოსვლა?.. გამოდით-მეთქი... ასე რომ, ახალგაზრდებსაც ვზრდი. მაყურებელი ბევრი არ გვყავს, მაგრამ ახლა „იუმორინის“ წყალობით, ხალხს ისევ გავახსენდი და ალბათ, მდგომარეობა გამოსწორდება. „იუმორინა“ უჩემოდაც ტარდებოდა. ერთ დღეს კი, დავურეკე ჯემალ ბაღაშვილს და შევთავაზე, კარგი ნომრები მაქვს-მეთქი. მომისმინა

და მას შემდეგ, პაროდიის თეატრის წევრი ვარ.

დათო როსტომაშვილი:

— მე და ბესო ბერულაშვილი მეგობრები ვართ. სომხეთიდან მოვდიოდით. გზაში ბესომ თქვა: „იუმორინის“ რეპეტიციები გვეწყება, ხომ არ წამოხვიდოდი ჩვენთანო? გავიკვირვე: რაღა დროს ჩემი სცენაა?.. დავბერდი-მეთქი. მაშინ 28 წლის ვიყავი. რას ამბობ, მე შენზე ერთი წლით უფროსი ვარო, — თქვა და ბატონ ჯემალ ბაღაშვილთან რეკომენდაცია გამიწია. გურამმაც მიშუამდგომლა: მე და გურამ ჯაშს თითხმეტ-წლიანი მეგობრობა გვაკავშირებს. მამუკა ონაშვილმაც მხარი დამიჭირა. კარგი ბიჭიაო და მიმიღეს. მაშინ აქტუალური იყო ანეკდოტები სვანებზე. მეც სვანი კაცის პაროდიას ვაკეთებდი. სვანური აქცენტის პაროდირების მსგავსი არ არსებობს. შეგიძლიათ, იკითხოთ სვანებში: პაროდიები სვანებზე მართლა დაპატენტებული მაქვს...

— სვანებმა ხომ არ დაგიწუნეს პაროდიები?

— უამრავი მეგობარი მყავს სვანი. თავიდან სწყინდათ. ამბობდნენ: „დაგვცინი და!..“ ავუხსენი — ეს არ არის დაცინვა, ესაა პაროდია ანუ მიბაძვა-მეთქი. მერე დამიჯერეს. კაცს რომ ჰბაძავ, სიკარგეში უნდა მიჰბაძო, თორემ, ცუდი ისედაც იოლად ვრცელდება. მიბაძვაში საწყენი რა არის?! ანეკდოტი ჩემი მოგონილი ხომ არაა! თანაც, სვანური ხასიათი იმდენჯერ ვაქციე პაროდიად, რომ ბოლოს გადმომედო და სიმთვრალეში შარზე ვარ ხოლმე.

— რამდენად აუცილებელია, ვიზუალურად დაემსგავსო იმ ადამიანს, რომლის პაროდიასაც ასრულებ? რაშია პაროდისტის წარმატების საიდუმლო? რა არის გადამწყვეტი — ნიჭი, შრომისმოყვარეობა თუ უბრალოდ, გამართლება?

მამუკა ლომაშვილი:

— შეიძლება, იყო ძალიან კარგი პაროდისტი, როგორიც მაგალითად, მერაბ სიჭინავაა და ქმნიდე უამრავ, ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული ადამიანის პაროდიას. პაროდისტის და მსახიობის ოსტატობა სწორედ იმაშია, რომ შექმნას მისგან განსხვავებული ტიპაჟი. ცხადია, ვიზუალური მსგავსების დროს წარმატება გაცილებით იოლი მისაღწევია. მე ჩემს თავს მიხეილ სააკაშვილს ვერ ვამსგავსებ, მაგრამ ხალხი ასე არ ფიქრობს. იყო შემთხვევები, როცა ქუჩაში ჩემს დანახვაზე, რამდენიმე ადამიანს დაუყვირია — მიშა! მიშაო! ერთხელ მეტროში ასაკიანი კაცი წამოხტა და ადგილი დამითმო!.. პირველად სააკაშვილის ხმით მეთერთმეტე კლასში ავლაპარაკდი. მანამდე არ ვცდილობდი, მისთვის მიმებაძა. უბრალოდ, მეუბნებოდნენ, რომ ისეთი ქცევები, ხელის მოძრაობები და მანერები მქონდა, როგორიც სააკაშვილს.

ამის გამო, ხშირად ისე ვიქცეოდი, როგორიც სინამდვილეში არ ვიყავი, მაგრამ ფიზიკურ მსგავსებას ვერსად გავექეცი. სწორედ ამის გამო ისმოდა დარბაზში სიცილი და ტაში, თორემ, უმნიშვნელო ფრაზას ვამბობდი: „ეს პენიტენციარული სისტემა შეცვალა ხალხმა“. მაშინ ის იუსტიციის მინისტრი იყო.

ბიძინა მახარაძე:

— რაც წლები გადის, მით უფრო ნაკლებად მჯერა ნიჭის და მეტად — შრომის. სწორედ დიდი შრომის შედეგად შევქმენი ის მეთოდები, რომლითაც ახლა პაროდიებს ვაკეთებ. თორემ, ნიჭიერი ჩემ ირგვლივ უამრავია. ტექსტზე მუშაობა ზოგჯერ წლები გრძელდება. პარალელურად რამდენიმე მასალას ვაკეთებ. ახლა 50-მდე თემა მაქვს ჩაფიქრებული. როცა საინტერესო მასალას ვპოულობ, იმაზეც ვფიქრობ, ამ 50 თემიდან რომელი გამოვიყენო. ადრე, რომ არ ვიცოდი მუშაობა, წელიწადში ერთ-ორ მონოლოგს ვაკეთებდი, ახლა სხვა ტემპი მაქვს აღებული. ყოველთვის ვთავაზობ მაყურებელს იმას, რაზეც თავად მეცინება. მე ჩემი თეატრი მაქვს. პირველად იქ გამაქვს პაროდიები. მაყურებლის რეაქციების მიხედვით ამ პაროდიებს ვხვეწ დიდი ხნის მანძილზე. რაიკინიც ასე მუშაობდა: 2 წელი ამზადებდა ერთ მასალას მაყურებელთან ერთად.

მერაბ გეგეჭკორი:

— მე ასლან აბაშიძესაც მამსგავსებენ და ოტია იოსელიანსაც. ოტია მიცნობს და ჩემთან ძალიან კარგი დამოკიდებულება აქვს. მეუბნება ხოლმე: გიზოია კაკაურიძე არის სატანა, ჩემს პაროდიას რომ აკეთებს, შენ შედარებით უკეთესი ხარო. გიზო კაკაურიძე უკვე დიდი ხანია, რაც ოტია იოსელიანის პაროდიას აკეთებს. მეც მისგან ვისწავლე. პაროდიის სიცოცხლის ხანგრძლივობა იმ ადამიანზეა დამოკიდებული, ვისზეც პაროდიას აკეთებ. მაგალითად, კახა ბენდუქიძის პაროდიამ შეიძლება დიდხანს გაძლოს სცენაზე ბატონი კახას უცნაური ხასიათიდან გამომდინარე. „დიდების ზღაპარში“ მაყურებელს ძალიან უყვარდა ზურაბ ჟვანიას და ელენე თევდორაძის თოჯინები. ასლან აბაშიძის თოჯინას კარგად ვახმოვანებდი, მაგრამ მაყურებელმა მაინც არ შეიყვარა. პაროდისტები ვცდილობთ, პოლიტიკოსი სხვა რაკურსით წარმოვაჩინოთ, ვთქმევინოთ ის, რაც მათში ზის და რაზეც ხმამაღლა არ ლაპარაკობენ. ამ შინაგანის გამომზეურებაა ჩვენი საქმე. კეთილი ინებონ პოლიტიკოსებმა და მოითმინონ.

— საქართველოს რომელ კუთხეში ხუმრობენ ყველაზე უკეთ?

ბიძინა მახარაძე:

— ხშირად ვამბობ, რომ საქართველოში არის იუმორის სამი მწვერვალი: გურია, კახეთი და ქუთაისი. გურული ხან არის ხასიათზე, ხან — არა. ასევეა კახელიც, მაგრამ ქუთაისელი სულ ღადაობს, თანაც

— ყველაფერზე. ასეთი, კარგი გაგებით არასერიოზული ხალხი სხვაგან არ შემხვედრია. დედა რომ მოუკვდეს, მაინც ღადაობს. ქუთაისელს შეუძლია თქვას: — რაფერ ხარ, ძმა? — გეწყინება, მაგრამ კარგად. — რაფერ გყავს სიდედრი? — გაგიხარდება, მაგრამ ცუდად... ქუთაისი იუმორის აკვანია. სხვა კუთხეებში ასეთი რამ არ ხდება. ყველაზე ნაკლებად კი, ქართლში ხუმრობენ.

ბით ვიწყებ; გულიანად რომ დაიწყებენ სიცილს, შემდეგ გადავდივარ სვანებზე და ა.შ. მე მგონი, ყველა ანეკდოტი ცხოვრებისეულია და რეალობას ასახავს. საკუთარი ცხოვრებიდან მოგიყვებით ერთ ანეკდოტურ შემთხვევას. ჩემს სოფელს ზემო ყანდაურა (საგარეჯოს რაიონი) ჰქვია. მე თბილისში დაბადებული და გაზრდილი ვარ. სოფელში ზაფხულობით ჩავდიოდი ხოლმე. ბადიაურის ხიდზე რომ გადახვალთ, არის რესტორანი — „სამაწვნე“. ამ რესტორანში მივდიოდით. კახეთში იასამნისფერი ვირი დიდი იშვიათობაა. ეს სახეობა „წითელ წიგნშია“ შეტანილი. მას კახელები თავმჯდომარის ვირს ეძახიან. ჩამოვიარეთ „სამაწვნესთან“ და რას ვხედავთ? — რესტორნის კარზე ვიფიქრე, მაგარი ჩხუბი დაიწყება-მეთქი. მაგრამ თურმე, ძმაკაცები ყოფილან. არადა, დედა აგინეს ორ შაურად ერთმანეთს. ასეთი რამ კახეთშიც იციან. „შეხუმრებულს“ უძახიან... ერთი სიტყვით, უფალმა უნდა მოგცეს იუმორის ნიჭი და არა აქვს მნიშვნელობა, სად დაიბადე — ქართლში თუ კახეთში, გურჯაანში თუ თელავში. ტელევიზორში რა უთქვამთ, ხომ იცი? გურჯაანის ადგილას ზღვა რომ იყოს, კახეთზე ლამაზი კუთხე არ იქნებოდაო...

— როგორები ხართ სცენის მიღმა? როგორ ახერხებთ გამუდმებით კარგ ხასიათზე ყოფნას?

მერაბ გეგეჭკორი:

— პაროდისტები ერთმანეთს „შემთხვევებს“ ვუწყობთ ხოლმე. „იუმორინა 2003“-ზე სიძის როლს ვასრულებდი. სცენაზე იდგნენ მამუკა ონაშვილი, დათო როსტომაშვილი, ბესო ბერულაშვილი და ლევან შენგელია. ხელები გამოწეული ჰქონდათ. მე უნდა გადავმხტარიყავი და მათ გამოწვდილი ხელებით დავეჭირე, რაც ძნელი სულაც არ იყო. მე მსუბუქი ვარ, ისინი დევებივით არიან. რა უნდა ჩემს დაჭერას?! ბოლო კონცერტი იყო. ერთმა თქვა, სხვებმა მხარი დაუჭირეს და რომ გადავხტი, ყველამ ხელები ჩამოუშვა... დავენარცხე ძირს. ორი კვირა არც ერთს ხმას არ ვცემდი. ხან ერთი მირეკავდა და ხან მეორე — შეგვირიგდიო. ბოლოს, ჩვენმა საერთო მეგობარმა დარეკა: რესტორანში ვარ, მოდიო — ეგ თავგასივებულებიც მანდ არიან-მეთქი? — ვკითხე. მივხვდი, რომ იქ იქნებოდნენ. რესტორანში სუფრა გააწყვეს, რომ შევრიგებოდი... ცუდად იხუმრეს. როცა ხტები, მოზომილად როგორ გადახტები ან მსუბუქად როგორ დაეცემი?.. ძლივს ავდექი... ბოლო „იუმორინაზე“ ლექს-სენისა და თიკოს დუეტის დროს, პაროდისტებს ერთმანეთზე გვქონდა ხელები გადაბმული და ტალღებს ვაკეთებდით. მამუკა ონაშვილის გვერდით ვიდექი. მის გვერდით იცით, როგორ ვჩანვარ?.. სკამი რომ დადგათ გარდერობის გვერდით, ისე. პირველი ტალღა მე უნდა გამეშვა. გავუშვი, მეორე ტალღაც იქიდან წამოვიდა, მაგრამ რა წამოვიდა!.. მამუკამ ისე დამცხო ტორი,

უწინ მხიარულ ხალხს ვუბრუნებდი ხალხშივე მოარულ იუმორს, მხიარულებას. დაბეჩავებულ ხალხს რა იუმორი უნდა დაუბრუნო?!.

დათო როსტომაშვილი:

— კახელი კაცის იუმორი ამოუწურავია. კახელი იუმორში ფენომენია. ისეთ რამეს იტყვის, შეიძლება, ნახევარი საათი იცინო. მაგრამ ამას ვერ მიხვდება ჩვეულებრივი მოკვდავი, რომელსაც იუმორის გრძნობა არა აქვს. ჩვენი მეგობრის მამა დაიღუპა, გასვენებაში მივდიოდით. გზაში შევჩერდით. ძალიან გვშიოდა და ყველა და პური ვიყიდეთ, წინანდალში ჩასვლამდე რომ დავნაყრებულიყავით. უეცრად ვირმა დაიყროყინა. კახეთში ვირი რომ დაიყროყინებს, ინსტინქტურად საათს უნდა დახედო. საათს რომ დავხედე, ყველის გამყიდველმა თქვა: ეგ ვირი ათი წუთით უკან არისო. მართლაც, თერთმეტს ათი წუთი აკლდა.

— ვირის ყროყინისას საათს რატომ უნდა დავხედოთ?

— კახეთში ვირი ყოველ ნახევარ საათში ერთხელ ყროყინებს. კახელები ვირის ყროყინზე საათს ასწორებენ.

— კახელებს არ სწყინთ, კახელი კაცი სვანებს რომ ჰბაძავთ?

— კახელებსაც ვბაძავ. „იუმორინაში“ ხომ ვიყავი შავი გაგების მურა დათვი! ის დათვი ხომ კახელი იყო!.. ანეკდოტების მოყოლასაც კახელების ანეკდოტებუთ კახელს მიყენებული ჰყავს იასამნისფერი ვირი და ბეისბოლის ჯოხებით სცემს. ამ დროს პროკურორმა ჩამოიარა, გული დაეწვა და იყვირა: კარგით, ბიჭო, განა რა დააშავა მაგ პატიოსანმა ცხოველმა, ხუთი რომ სცემთო? — რაღა რა ქნა? — ორმოცდარვაფურცლიანი ნისიების რვეული შეგვიჭამაო, — უპასუხეს გაგიჟებულმა კახელებმა. თურმე, რესტორნის მეპატრონეები ყოფილან... მთელი საქართველოა ისეთი ქვეყანა, რომლის ყოველ კუთხე-კუნჭულს განსაკუთრებული იუმორი აქვს. ამ მხრივ ქართლია ცოტა დაჩაგრული. თუმცა ქართლური იუმორიც არსებობს — ისე კოხტად აგინებენ ერთმანეთს... ერთხელ, ორი ქართლელის გინება რომ გავიგონე,

ჩვენი გული ჩვენს გონებას ხშირად დასცინის და ბურთივით ათამაშებს ხოლმე.

ლაროშფუკო

ტესტი ერუდიციაზე

1. ვინ დაადგინა არყის მეცნიერულად ოპტიმალური სიმაგრე — 40 გრადუსი?

ა) პეტრე პირველმა;
ბ) დიმიტრი მენდელეევმა;
გ) ნილს ბორმა.

2. იუნესკოს გადაწყვეტილებით, რომელი დღეა გამოცხადებული წიგნისა და საავტორო უფლებათა დაცვის დღედ?

ა) 4 ივნისი;
ბ) 27 სექტემბერი;
გ) 23 აპრილი.

3. რა სტატუსით მოხვდა რონალდ რეიგანი გინესის რეკორდების წიგნში?

ა) როგორც საბჭოთა კავშირის დაშლის „ავტორი“;
ბ) როგორც მსახიობი, რომელსაც ეკრანზე ყველაზე ხანგრძლივი კოცნა შეუსრულებია;
გ) როგორც ერთადერთი ექსპრეზიდენტი, რომელსაც ალცჰაიმერის დაავადება ჰქონდა.

4. ვისი ხსენების დღეს დაამთავრეს თბილისის უნივერსიტეტის გახსნის დღე მისმა დამაარსებლებმა?



ა) აღდგომის დღეს;
ბ) 8 თებერვალს — დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს;
გ) 7 იანვარს — შობის დღეს.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

რომ ხელი ამომიგდო. ასეთი რაღაცები ჩვენში ხშირია.

— თქვენ არ მოუწყვეთ „შემთხვევა“ მამუკას?

— რა თქმა უნდა! სცენაზე გავდიოდით ცეკვით. მარცხენა მხარეს გადიოდა ბესო, შემდეგ — მერაბი, ბოლოს ვრჩებოდით მამუკა და მე. მამუკამ წამჩურჩულა — ბიჭო, ფეხსაცმლის თასმა შემეხსნაო. ამის გაგონება მინდოდა?! უფრო მაგრად მოვიქნიე ეს პატარა ფეხები, უფრო ენერგიულად მოვუსვი ხელებიც და როგორც იქნა, ზონარზე ფეხი დავაბიჯე. მამუკა არ დაეცა, მაგრამ მისმა ფეხსაცმელმა კარგად გადაუფრინა სცენას. რომ მისაყვედურა, თავი ვიმართლე: შენ სპეციალურად ამომიგდე ბეჭი, დამანარცხე სცენაზე, მე კი შემთხვევით დამებიჯა ფეხიმეთქი... კულისებში უფრო მეტს ვხალისობთ, მოწყენილები ნამდვილად არვართ.

მამუკა ლომაშვილი:

— ყველას ჰგონია, რომ რადგან სცენაზე გამოდიხარ, ხელებს შლი და იცინი, სულ კარგ ხასიათზე ხარ, ასე არ არის. ზოგჯერ საშინელ ხასიათზე ვყოფილვარ, მაგრამ რა უფლება მქონდა, ჩემი ცუდი გუნებაგანწყობა ხალხისთვის გადამედო?!. პაროდიის თეატრის მსახიობები პირველ ივნისს ცხინვალში ვიყავით. ჩვენები გამეხუმრნენ: ფრთხილად იყავი, ვინმეს მიშა არ ეგონო, თორემ, კარგი დღე არ დაგადგებაო. გასტროლის ბოლოს, ნუგზარ ერგემლიძემ დამიძახა: იცი, ქალები რას ამბობენ? ნახეთ, საკაშვილმა ხალხი წინ როგორ გაუშვა, თვითონ კი უკან იმალებაო... ასე რომ, თავისუფლად ვედარ დავდივარ: ხომ შეიძლება ვინმემ ჩემი რომელიმე მოქმედება პრეზიდენტს მიაწეროს!.. ამ ზაფხულს ჩემი მეზობელი ლამარა დეიდაც გამომიტყდა: მიშა მეგონე, ვიფიქრე, სახურავის შესაკეთებლად მოსული მუშების შესამოწმებლად მოვიდა, მერე მივხვდი, რომ პრეზიდენტი ჩვენთან შორტებით არ მოვიდოდაო...

მერაბ გეგეჭკორი:

— ბესო იგონებს რაღაცებს ჩემზე. ადრე ამბობდა — შევარდნაძე ჰგონია თავი და სახლში ბრიფინგებს ატარებსო... მეგობარს ბაბუა გარდაეცვალა და მივედი სამძიმარზე. მერე ბესოც მოვიდა. მკითხა — რამდენი ხანია, რაც აქ ხარო? — დილიდან აქა ვარ-მეთქი, — ვუპასუხე. მიუბრუნდა ჩვენს მეგობარს და უთხრა: ალიკა, ჯიბეები გაუჩხრიკე მიცვალებულს, წერილი არ გაატანოს დედამისთან და მამამისთანო... მეც კარგ რამეებს ვუკეთებ ხოლმე. მამუკა ონაშვილმა იცის ხოლმე სუფრაზე მოულოდნელად ხელების გაშლა — ვითომ ჩაძინებული იყო და უცბად გამოფხიზლდა. ამის გამო მიმტანმა ხარჩო პირდაპირ სახეში შეისხა. ერთხელ იგივე მეც გავაკეთე და მიმტანმა მდულარე თვითონ კი არ შეისხა, ჩაი მე გადამასხა. ვაი, შენს მერაბს, ისეთი დღე დამადგა. ერთჯერადი ჩაის პაკეტი ყურზე მქონდა ჩამოკიდებული. შემდეგ ამას ბესო აშარჟებდა და თუ სადმე მოვხვდებოდით, ყველა სუფრასთან ჰყვებოდა. ერთხელ კახეთში ხელები ისე გაიქნია, რომ ჩაის ჭიქებით სავსე „პოდნოსი“ პირდაპირ გულმკერდზე დაეფარა. მაშინვე ვკითხე: „რას შობი, ბესო? რაფერ ხარ?..“ როცა ერთად ვართ, თამადობს ბესო, როსტიკა ან მამუკა. გურამ ჯაშს თამადად იშვიათად ვაყენებთ: არ უყვარს ლაპარაკი. „არ უნდა ახლა მაგას თქმა, ვიცით, რაც გვინდა!“ — იტყვის და გადაკრავს... ცხოვრებაში ყველანი დიდი ბავშვები არიან, მაგრამ რატომღაც გურამს მკაცრი სახე აქვს. ცხადია, ეს არც ჯემალ ბაღაშვილს დარჩენია შეუმჩნეველი. გურამი თავს არიდებდა ოქრუაშვილის პაროდიის შესრულებას. ბატონმა ჯემალმა ჩვეული რიხით ჰკითხა: შენ ჰგავხარ ოქრუაშვილს, სხვამ რატომ უნდა გააკეთოსო?.. ასე რომ, ვიზუალურ მსგავსებას პაროდიების განწილების დროსაც ექცევა ყურადღება.

დათო როსტომაშვილი:

— პაროდისტები სცენის მიღმაც ერთმანეთის გვერდით ვდგავართ და ერთმანეთს არასდროს ვღალატობთ. სიცილ-კისკისი ჩვენთვის აუცილებელია. შეიძლება, ხასიათზე არ იყო, მაგრამ მაინც უნდა იცინო. პირველად სცენაზე რომ გამოვედი, მამა ერთი კვირის დაღუპული მყავდა. ორმოცი არ გვქონდა გადახდილი, მაგრამ კონცერტი უკვე დანიშნული იყო და მეგობრებს ხომ ვერ ვუღალატებდი?! პროფესიონალი თუ ხარ, ყოველთვის უნდა შეგეძლოს, რომ შენც გაიცინო და სხვაც გააცინო... ამას წინათ, ახლობელს მივყევი საგადასახადო ინსპექციაში. გაოცებული დავრჩი, ერთ-ერთი იქაური თანამშრომლის ენერგიულობით. თავი ვერ შევიკავე და ვკითხე — განა, იმხელა ხელფასი გაქვს, ამდენ ენერგიას რომ ხარჯავ-მეთქი? კითხვა შემომბრუნა: განა, შენ გაქვს იმდენი ხელფასი, ხალხს რომ ამდენს აცინებო?! პაროდისტები ხალხის იმხელა სიყვარულს ვგრძნობთ, ყველაზე დიდ ხელფასს რომ სჯობს...

■

ნდობის ტელეფონი
ფსიქოლოგიური
კონსულტაციები
☎822 009 005
ზარი ფასიანია, 18 წლიდან

დაკავშირება შესაძლებელია
ტელეკომ-ბარათებითაც

ბავშვობის დროინდელი სათამაშოები და იმპროვიზაციაზე აგებული შლაპიანი კაცი

ზურაბ ყიფშიძე ახალ წელს სევდანარევი ღიმილით შეეგება. როგორც თეატრში მოღვაწე ნებისმიერი მსახიობისთვის, მისთვისაც ახალი მიჯნა სექტემბერთან ასოცირდება — თეატრალური სეზონი ხომ მაშინ იწყება!.. ამავე დროს, როგორც ჩანს, წლების მატების შეგრძნებაც ნაკლებად მძაფრია, ვიდრე პირველ იანვარს...

ლევან ებრალიძე

— მიუხედავად იმისა, რომ ახალი წელი მთელი ქვეყნიერების ანუ სრულიად დედამიწის დღესასწაულია, მე მაინც მიმაჩნია, რომ ოჯახურია. ამ დღეს ყველა სახლში უნდა შეხვდეს და მერე წავიდეს ახლობლებთან. ამ პერიოდს მძიმე დღეებსაც ეახიან, რადგან იტვირთები, ცდილობ, ყველას მოუხერხო საჩუქარი, დღესასწაული მოუწყო. ამბობენ, როგორც შეხვდები ახალ წელს, მომავალი წელი ისეთი იქნებაო...

— ესე იგი, ახალ წელს სახლის გარეთ მხოლოდ „ნეილონის ნაძვის ხეში“ შეხვდით?

— ამ ფილმს, ვინაიდან უკვე გაზაფხული იდგა, ან ღამით ვიღებდით, ან გვირაბში, ან სპეციალურად გამოშვებულ ბოლში: ბურუსის ეფექტის შესაქმნელად, 2 თვე, საშინელი შხამებით გაჟღენთილ ჰაერზე ვმუშაობდით. ამ ფილმის პირველი ნაწილი მიყვარს, სანამ ავტობუსი წავა...

— თქვენი პერსონაჟი გამორჩეულია...

— სცენარში ამ პერსონაჟზე უბრალო მინიშნება იყო — შლაპიანი კაცი, ყოველგვარი დამახასიათებლის გარეშე. მაგრამ რეზო ესაძე ფანტაზიებს მერე, მუშაობაში რთავს ხოლმე. მეც რეზოს იმედი მქონდა და იმიტომ დავთანხმდი ამ როლზე. თუმცა, ვერ გავიგეთ ვინ იყო — უბრალოდ, შლაპიანი კაცი.

— რაიმე განსხვავებული, საახალწლო ტრადიცია ხომ არ გაქვთ?

— ოჯახში — არაფერი განსაკუთრებული. თეატრში, 31 დეკემბერს დღის 12 საათზე ვხვდებით ხოლმე ახალ წელს. ყველანი ვიკრიბებით, ვლაპარაკობთ განვლილ წელიწადზე, იმაზე, თუ რა გამოგვივიდა და რა — არა. შემდეგ ჩვენი ტრადიციისამებრ, შავ ღვინოში ვაწობთ ვაშლს და მივირთმევთ. ამის გამო სექტანტობაც დაგვაბრალეს. ჭორი აგორდა — სანთლებს ანთებენ და რაღაცებს აკეთებენო... ასაკის მომატებასთან ერთად, დრო უფრო ჩქარა გადის. ახალი წელი, რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ თან გახსენებს, რომ დრო გარბის.

— ანუ სიხარულთან ერთად, სევდაც ახლავს, ხომ?

— რა თქმა უნდა. საერთოდ, კალენდარულ ახალ წელს, სექტემბრიდან ვითვლიდი ხოლმე. ჩემთვის, ალბათ ბევრისთვისაც, ახალი წელი ახლაც სექტემბრიდან იწყება. მაგრამ საახალწლო სადღესასწაულო გრძნობისთვის ზამთარი, თოვლის ბაბუა და ნაძვის ხე უნდა იყოს. თუ რომელიმე პარტიაში შევიდოდი, გავწევრდებოდი „მწვანეებში“, რადგან ეკოლოგიურად საშინელ დღეში ვართ. ამიტომ ჩვენში ხელოვნური ნაძვის ხეების დადგმის წესი უნდა დამკვიდრდეს. საინტერესოა, რომ ცოცხალ ნაძვს უარყოფითი მუხტის წაღება შეუძლია სახლიდან, მაგრამ ამისთვის შეგვიძლია, უბრალოდ, პატარა ტოტები დავკიდოთ.

— თოვლის ბაბუის გჯერდათ ბავშვობაში?

— კი, რა თქმა უნდა. თოვლის ბაბუის საჩუქრები კარგ რიტუალს გულისხმობს. ამას წინათ, ჩემი ბავშვობის დროინდელი, ნაძვის ხის სათამაშოები აღმოვაჩინე. ჩემმა შვილიშვილმა პირველსავე შეხებაზე, რა თქმა უნდა, დატეხა... საერთოდ, ჩემს ბავშვობაში ნაკლებად იყო სათამაშოები. თუ იყო, რკინის ჭარბობდა. ისეთი ტანკები და „გრუზავიკები“ გვქონდა, ვინმესთვის რომ გესროლა, მოკლავდა.

— 2005 წლისგან რას ელით?

— ჯერჯერობით, არც კინომსახიობთა და არც მარჯანიშვილის თეატრებში ჩემთვის არაფერი ახალი არ ხდება. ისე, თუ რამეში გამოვადგები, სიამოვნებით ვიმუშავებდი ზაზა პაპუაშვილთან, მერაბ ნინიძესთან და მათ გამოშვებასთან ერთად.

ახალი წელი, რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ თან გახსენებს, რომ დრო გარბის...

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა დვალი

უბის წიგნაკიდან:

1. ჩიკაგო კანფეტების წარმოების მსოფლიო ცენტრია.

2. შექსპირის სონეტები რეზო თაბუკაშვილის თარგმნილია.

3. 1799 წელს, პეტერბურგში აიკრძალა ბაკენბარდების ტარება.

4. ბორის ელცინი გასული საუკუნის უკანასკნელ დღეს გადადგა.

5. „ენციკლოპედია“ ბერძნული სიტყვაა და „ცოდნის წრეს“ ნიშნავს.

6. პოლონეთის ყოფილი პრეზიდენტი ლეხ ვალენსა 7 შვილის მამაა.

7. „მაზოხისტ ვ ადუ, რაისკოე ნასლაჟდენიე“ – იცინის მიხაილ ზადორნოვი.

8. ჯუჯა ტირიფი, რომელიც გრენლანდიის ტუნდრაში იზრდება, 5-6 სმ სიმაღლისაა.

9. ჰუსართა პირველი პოლკი 1727 წელს, რუსეთში გადასახლებული სერბებისგან შეიქმნა.

10. „ზაბერიტე ვსიო, ტოლკო ასტავტე ზურაბა ცერეტელი“ – უთქვამს ელცინს ქართველებისთვის.

11. ანტიკურ ლექსებს, რომლებშიც გაიდეალებულია სოფლის ყოფა, სოფლის მეურნეობა, გეორგიკები ჰქვია.

12. „კარგი იქნება, სიმღერა სოფელში დაგვებრუნებინა, რადგან ხალხური სიმღერებით ქალაქს ყოველთვის სოფელი ამარაგებდა“ – განაცხადა ერთ-ერთ ინტერვიუში ანზორ ერქომაიშვილმა.

13. ფანჯრის სპეციალურ მინებს, რომლებიც კასკადიორმა თავით უნდა გაამტვრიოს, ჰოლივუდში შაქრისაგან ამზადებენ.

14. მსოფლიოს ყველაზე მაღალი ჩანჩქერი – ანხელი ვენესუელაშია, იგი 979 მეტრია და 220-სართულიან სახლზე მაღალია.

15. რუსეთის მეფის ნიკოლოზ მეორის ვაჟი ალექსეი ჰემოფილიით (სისხლის შეუდედებლობით) იყო დაავადებული.

16. მსოფლიოს მოსახლეობის დაახლოებით 35%-ს პირველი ჯგუფის სისხლი აქვს, 40%-ს – მეორე ჯგუფის, 20%-ს – მესამე ჯგუფის და მხოლოდ 5%-ს აქვს მეოთხე ჯგუფის სისხლი.

17. ჩინეთში ჭამის დროს, ფიალაში ბრინჯის დატოვება სირცხვილად ითვლება. ეს იმას ნიშნავს, რომ ვერ საზღვრავ, თუ რამდენის შეჭმა შეგიძლია.

გადაფხიკე და მოიგე!..

ინგა ჯაყელი

იწვა რეანიმაციის განყოფილებაში ბიჭოლიე ჩოგოვაძე, უგდებდა ყურს ექიმების ლაპარაკს და სიმწრის ცრემლებს ყლაპავდა...

– ნეტაი, რამ დაუნგრია ასე გულის ფიცარიო?! – ეკითხებოდა ერთი მეორეს.

– რა ვიცი, ახლობლების თქმით, ფრჩხილიც არასოდეს წამოსტკივებია და გული სულ არ იცოდა თურმე სად ჰქონდა. იმ დღესაც ქეიფში ყოფილა და ყანწით სვამდა თურმე იუბილარის სადღეგრძელოს, რომ წაქცეულა და გადამხობია სუფრას...

...თავს იმკვდარუნებდა და სირცხვილით არ ახელდა თვალს, სიკვდილს ნატრობდა და ღმერთს საყვედურიც კი შეჰკადრა: რეიზა გადამარჩინე, ღმერთოო?!.

არავისი არაფერი შეშურებია ცხოვრებაში, არც აინტერესებდა თითქოს სხვისი სიმდიდრე და არსებობის წყარო, ერთი კია – უნდოდა, ყველა მისი ახლობელი და ნაცნობი, მდიდარი და შეძლებული ყოფილიყო, ხშირად იმეორებდა: მეზობლის და ნათესავის სიმდიდრე ბრიყვს და სულელს შეშურდება, რა სჯობია, ირგვლივ ყველა რომ უზრუნველად ცხოვრობს, ბოლოს და ბოლოს, დაკაკუნებაზე კარის გაღების მაინც არ შეგეშინდება, ვინმე გაჭირვებული ფულის სასესხებლად არ მომადგესო!.. – მაგრამ სადაა ასე საქართველოში, მით უმეტეს, ბიჭოლიეს სანათესავოში ვინ გააჭაჭანა მდიდარი და შეძლებული?! – ყველას ერთნაირად უჭირდა და ამიტომ ახლა იმაზე დაიწყო ოცნება – ნეტაი, რამდენიმე ათასი ჩამაგდებია ხელში, ჩემთვის „კუბოს ფული“ გედევინახო, ჩემს გაჭირვებულ მეზობელ-ნათესავებს თითო „მეშოკი“ პურის ფქვილი გოდოვუგდო ეზოში და ისე გამევიპარო, ღმერთის მეტმა არავინ იცოდეს, ვინ უყოთ ამფერი სიკეთეო!..

...ბიზნესის ნიჭი არ მისცა ღმერთმა და ვერც ბანკის მძარცველად ივარგებდა პატრიოტი კომუნისტი მამის გაზრდილი, ამიტომ სხვა ვერაფერი მოიფიქრა და ლატარიის ბილეთების ყიდვას მიჰყო ხელი – რა ვიცი, აშენდა ქვეყანა და მე რა ჭირი მეტაკებაო?!.

სიმწრით გადანახულ-გადამალული კაპიკებით კვირაში რატომ ორ-სამ ბილეთს არ ყიდულობდა და გათამაშების დაწყების წინ ღმერთსაც აწუხებდა ლოცვით, მაგრამ ორჯერ რომ მოიგო თითო-თითო ლარი, მეტი არც ღირსებია რამე...

იმ დღეს მძახალთან იყვნენ დაპატიჟებულები, უფროსი გოგოს მამამთილს შეუსრულდა 60 წელი და შვილებმა სცეს მამას პატივი. დაბადების დღეზე ხელცარიელი მისვლა სად თქმულა და ცოლმა „შავი დღისთვის“ გადანახული 10 ლარი გამოუჩინა ბიჭოლიეს: წადი ბაზრობაზე და რაცხა იმფერი შეარჩიე, თავი არ მეგვეჭრას, სასაცილო არ გავხდეთო!..

წავიდა და სწორედ ბაზრობის შესასვლელთან გადაეყარა თავის „დამღუპველს“ – „იღბლიანი ბილეთი! – გადაფხიკე და მოიგე!“ – რუპორში უკეთებდა გამყიდველი რეკლამას ლატარიას... ის იყო ჩავლა დააპირა, რომ ვიღაცამ ტელევიზორი მოიგო, გამყიდველმა ჩაილაპარაკა: დღეს ბედნიერი დღეა, ამის წინაც მოიგო კაცმა ვიდეომაგნიტოფონიო!..

...თავიდან ერთი ცალი ბილეთი

იყიდა და... არაფერი! მეორეს მესამე მოაყოლა... აზარტმა გადარია და კიდევ ორი ბილეთი აიღო ერთად. რომ გადაწყვიტა შეჩერება, ცოლის გამოტანებული ათი ლარიდან, სამი ლარიღა შერჩენოდა ხელში: ამით რა საჩუქარის ყიდვაზეა ლაპარაკიო! — და კიდევ სამი ბილეთი გამოართვა გამყიდველს...

ორში ისევ თითო ქულით წააგო და ის იყო, ბოლო ბილეთიც უნდა გადაეფხიკა, ხელი ჩაიქნია, მეტი არაა ჩემი მტერი, ამაში იყოს რამე, მივალ და ჩემს მძახალს ვაჩუქებ, გავეხუმრები: ხომ იცი, შენთვის სიცოცხლეც არ მენანება და რაც გინატრია, იმას მეიგებთქვა!..

ასეც მოიქცა და სახლში შესულმა წასასვლელად გამოწყობილ თანამეცხედრეს ლატარის ბილეთი რომ დაანახვა — შენი ათლარიანით სხვა ვერაფერი ვიყიდეო! — ძლივს გაასწრო კარებში მის ნასროლ ლარნაკს...

მარტო წავიდა იუბილეზე. ცოლმა კატეგორიულად განუცხადა: შენსავით უთავმოყვარეო კი არ ვარ, უსაჩუქროდ რავა მივალო!..

ესეც გამოსავლად მიიჩნია და გამოიყენა: დაგვიანებით მისულს სტუმრები სუფრასთან დახვდნენ. გადაეხვია მძახალს, ხელში ლატარიის ბილეთი შეაჩეჩა: აი, შენ, ჩემი საჩუქარი, თალიკო (ცოლი!) შემეგვესტრება საცაა და დანარჩენს ის მოგიტანსო!..

— გადაფხიკე და მოიგე! — ისე აჟრიამულდნენ სტუმრები, არჩევანის საშუალება არ დაუტოვეს კაცს და მანაც გულდაგულ დაუწყო ჩანგლის ტარით ფხეკა ბილეთს.

ამასობაში ბიჭოლიამ ადგილის მოძებნაც მოასწრო და ინდაურის ბარკალიც დაითრია, სწორედ ის ჰქონდა გაჩრილი პირში, იუბილარის ღრიალი რომ მოესმა: არის! არის! „ნივა“ მოვიგე, „ნივაო“! — და სიცილიც ატყდა, მოსწრებულ ხუმრობაში ჩაუთვალეს კაცს, ტაშიც შემოკრეს, მაგრამ ბედნიერმა იუბილარმა ხელში რომ აიტაცა ბიჭოლია და ჰაერში დაატრიალა — შენს გულს და ერთგულებას ვენაცვალეო! — ისეთი სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა, საყოველთაო შური კი არ იგრძნეს, „დაინახეს“ საკუთარი თვალით და შერცხვათ, გონს მოვიდნენ, მიმლოცველთა რიგში ჩადგნენ...

ბიჭოლიამაც მიულოცა და სცადა უბედნიერესი კაცის სახით მოეთხოვა ყანწი იუბილარის დასალოცად, მოართვეს კიდევაც, მაგრამ დალევა ვეღარ მოასწრო: ხანჯლად გაერჭო გულში შურიც, ხელიდან გაშვებული იღბალიც და ბედის ირონიაც... მერე ის ახსოვს, სულად რომ იქცა და ანგელოზები მორალს უკითხავდნენ: აკი მოგება იმისთვის გინდოდა, ახლობელი გაგეხარებინა და ეგაა შენი სიმართლეო?!.. იქაც ვერ იმართლა თავი, იქვე აღიარა ბედის სამდურავი და უკანაც გამოაბრუნეს: შენ სამოთხეში დატოვების რა ღირსი ხარ, წადი და იცხოვრე ისევ დედამიწისეულ ჯოჯოხეთშიო! — და გაახილა კიდევაც თვალი რეანიმაციაში, სადაც ახლობლებს შესჩიოდა მისი ცოლი: რაღა ვქნა ახლა, მკურნალობის ფული საიდან მევიტანოო?!.

— ვენაცვალე მის კეთილ გულს, სიხარულმა დოუზიანა ალბათო! — უპასუხა „ნივის“ პატრონმა მძახალმა და ასლარიანი ამოუდო სასთუმალქვეშ...

ბიჭოლიემ იმის ანგარიში დაიწყო რამდენი და რანაირი ლატარიის ბილეთის ყიდვა შეიძლებოდა ასი ლარით, მისთვის რომ დაეთმოთ?! — სხვა რაღა დარჩენოდა კაცს, სირცხვილით რომ ვეღარ ახელდა თვალს და დარდს უმატებდა თალიკოს: უგონოთაა, რაღა ვქნა, ასე ცოცხალი ლეში რომ გამატანონ სახლშიო?!.

■

ფრაზა გენიალური

ადამიანი შეიძლება, უმაღლეს მწვერვალზე ავიდეს, მაგრამ დიდხანს იქ ვერ გაჩერდება

ბერნარდ შოუ

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეიზა დვალი

უბის წიგნაკიდან:

18. 1388 წელს, ინგლისში გამოიცა განკარგულება, რომლის მიხედვითაც უნივერსიტეტის სტუდენტებს მათხოვრობის უფლება მიეცათ.

19. თევზის ქვირითს, რომელსაც მაგარი გარსი აქვს, მეაკვარიუმეები ჩვეულებრივ კონვერტში დებენ და ფოსტით უგზავნიან ერთმანეთს.

20. ყველა დროის ყველაზე მდიდარი ადამიანი „სტანდარტ ოილის“ დამაარსებელი ჯონ როკფელერი იყო. იგი 1937 წელს გარდაიცვალა. მისი ქონება თანამედროვე შეფასებით, 125 მილიარდ დოლარს აღემატებოდა.

21. ბრეჟნევი მძღოლს ხშირად გვერდით გადასვამდა და თვითონ ჯდებოდა ავტომობილის საჭესთან. ერთხელ, ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ფიქრმა გაიტაცა. მძღოლი ხედავდა, როგორ მიექანებოდა მანქანა მთელი სისწრაფით ბოძისაკენ. იგი იძულებული გახდა, ბრეჟნევისთვის საჭეზე ხელი აეკრა. მანქანამ სწორი გეზი აიღო. რამდენიმე კილომეტრის შემდეგ, ბრეჟნევმა მხოლოდ ერთი სიტყვა წარმოთქვა; „ზადუმალსა...“

22. ეგვიპტეში ხშირად შეიძლება, სილაში ყელამდე ჩაფლული კაცის ნახვა. შესაძლოა, იგი დამნაშავე იყოს, მაგრამ ეს იშვიათი შემთხვევაა — უფრო ხშირად, რევმატიზმით დაავადებული ადამიანია.

23. „არის სამი რამ, რაც ცხოვრებაში ყველაზე მეტად მიყვარდა, მაგრამ არ მესმოდა — ეს არის მხატვრობა, მუსიკა და... ქალები“ — ამბობდა ფრანგი მწერალი ფონტანელი.

24. „საცირკო ნომრის ნახვისას, როცა მომთვინიერებელი ლომს გაღებულ ხახაში უყოფს თავს, მაყურებელი ხვდება, თუ ადამიანზე რამდენად უფრო ჭკვიანი და ლმობიერია მხეცი“ — ამბობდა მსახიობი ბორის ანდრეევი.

25. „უბედურო სახელმწიფოვ! მე რომ შენი ქვეშევრდომი ვიყო, აუცილებლად ავჯანყდებოდი“ — აღმოხდა ერთხელ ფილიპ დ'ორლეანს საფრანგეთის შესახებ. მაგრამ ის არავის წინააღმდეგ აჯანყებულა, რადგან თავად განაგებდა საფრანგეთს: ეს ადამიანი მცირეწლოვანი ლუდოვიკო XV-ის მეფობისას რეგენტი იყო.

მსახიობი მარიანა ნინიაშვილი ახალ სერიალში — „კექსი დიდ ქალაქში“ ცაროს როლს თამაშობს. ინტერვიუს ჩასაწერად გადასაღებ პავილიონში ვესტუმრეთ. იქ მისულს ძალიან მხიარული ატმოსფერო დაგვხვდა. სერიალის გმირები სიცივისგან შეწუხებულები, გამათბობელთან შეკრებილიყვნენ და გადაღების დაწყებამდე ქართული სიმღერებით ირთობდნენ თავს...

მარიანა ნინიაშვილის მეკვლეობას უეჭველად ქორწინება მოჰყვება

სოფო ჭონიშვილი

— მაყურებელმა მარეხის როლით გაგიცნო და შეგიყვარა. როგორ ფიქრობ, ცარო მოგიტანს ასეთსავე პოპულარობას?

— დიდი მადლობა კომპლიმენტისთვის. იმედი მაქვს, რომ ცაროც ისევე შეუყვარდება მაყურებელს, როგორც მარეხი. ამისთვის ყველაფერს გავაკეთებ. როგორც ყველა მსახიობი, მეც ვცდილობ, ჩემი გმირი გახდეს საყვარელი და პოპულარული მაყურებლისთვის.

— რომელი როლის თამაში უფრო გიადვილდება — ცაროსი თუ მარეხისი?

— არც ერთი ჩემს ბუნებასთან ახლოს არ არის. იმის თქმაც არ შემიძლია, რომ რაიმე სირთულეები მქონდა მარეხის თამაშის დროს ან ახლა.

— მსგავსება თუ არის ამ ორ გმირს შორის?

— არანაირი მსგავსება არ არის. სრულიად განსხვავებული ტიპები არიან. ცარო მოკრძალებული, მორცხვი, კომპლექსიანი ქალია, მარეხი კი უფრო თამამი, უკომპლექსო იყო. ყველაფერი შეეძლო ეკეთებინა თავისი სურვილისამებრ. შეიძლება ითქვას, რომ ერთი საერთო მაინც აქვთ — ორივე გულუბრყვილოა, როგორც ქალების უმეტესობა.

— გადაღებების დროს იმპროვიზაციას თუ მიმართავ ხოლმე?

— სცენარი გადაღების დაწყებამდე მოაქვთ, წინასწარ არ გვაქვს დამუშავებული. მერე, გადაღების დროს ხდება იმპროვიზება. რაღაცები იცვლება, რაღაცები რჩება, მთლიანად სცენარს არ მივყვებით, მაგრამ ძირითადი ფაბულა მაინც დაცულია.

— ემორჩილები რეჟისორის გადაწყვეტილებას თუ პრეტენზიული ხარ?

— ვემორჩილები. აქ ყველაფერი შეთანხმებულად ხდება, ყველანი ერთმანეთს ვუწევთ ანგარიშს. მოკლედ რომ ვთქვა, შეხმატკბილებულად ვმუშაობთ.

— რა იმედებით შეხვდი ახალ წელს?

— ძალიან დიდი იმედებით შევხვდი. შარშან არ ვიყავი დაკავებული შემოქმედებითად, ამჯერად კი ამ წლის მანძილზე, ახალი სერიალით შევხვდი. იმედი მაქვს, რომ ახალ წელში ჩვენი სერიალი უფრო საინტერესო და კარგი გახდება. 2005 წელი არის მამლის, ცეცხლოვანი წელიწადი. მამლის ბუნებიდან გამომდინარე, უფრო ფხიზელი, ცოცხალი და ლამაზი წელი იქნება.

— როგორ ხვდები ხოლმე ახალ წელს — რაიმე ტრადიციას იცავ?

— ახალ წელს ყოველთვის ოჯახში ვხვდები, დედაჩემთან ერთად. მერე მეგობრების წრეში ვაგრძელებ ხოლმე მხიარულებას.

— სურვილების ჩაფიქრება ხომ არ გჩვევია?

— სურვილებს ჩავიფიქრებ ხოლმე, როცა 12 საათი დაჰკრავს. პირველ რიგში ჩავიფიქრებ, რომ ვიყო ჯანმრთელი, მეორე სურვილი კი, ჩემს შემოქმედებით ცხოვრებას უკავშირდება.

— ოჯახში თუ გაქვთ ტრადიციული კერძი, რომელიც ყოველთვის ამშვენებს საახალწლო სუფრას?

— როგორც ყველა ოჯახში, ჩვენთანაც საახალწლო სუფრაზე, ყოველთვის არის გოზინაყი, საცივი, გოჭის ხორცი და ნამცხვარი. ეს — ტრადიციულად და დანარჩენს ყოველ წელს, ხან რას ვამატებთ, ხან — რას.

...ერთი საერთო მაინც აქვთ — ორივე გულუბრყვილოა, როგორც ქალების უმეტესობა

— ვინ არის თქვენი მეკვლე?

— მე „იტალიურ“ ეზოში ვცხოვრობ, ამიტომ ყოველთვის რომელიღაც ჩემი მეზობელია მეკვლე — უმეტესად, ერთი და იგივე, მაგრამ ხანდახან სხვებიც.

— შენ თუ ყოფილხარ ოდესმე მეკვლე?

— კი, როგორ არა! ძალიან ხშირად ვარ მეკვლე. არაჩვეულებრივი ფეხი მაქვს — ყველას ვათხოვებ და ვაქორწინებ. გამორიცხულია, რომ ოჯახში მეკვლედ შევიდე და იქ, თუ ვინმე დასაქორწინებელია, იმ წელს არ დაოჯახდეს.

— შენს ოჯახში მეკვლედ რომ მიხვიდე, არ შეიძლება?..

— ჯერ არ მინდა *(იცინის)*, თორემ, აუცილებლად მივიდოდი მეკვლედ ჩემს ოჯახში.

— ტრადიციაა, რომ მეკვლეს საჩუქარს მიართმევენ. შენთვის თუ უჩუქებიათ რამე?

— სხვათა შორის, საჩუქრები ძალიან მიყვარს. არა აქვს მნიშვნელობა, კარგი ფეხი აქვს თუ ცუდი — ჩემს ახლობლებს ყოველთვის მინდა, მივართვა საჩუქარი. ახალ წელს უფრო ხშირად, მეგობრები ვუძღვნით ერთმანეთს საჩუქრებს. დედაჩემს აქვს ტრადიციად, რომ ახალ წელს აუცილებლად უნდა მიყიდოს რაღაც, თუნდაც — სუვენირი. ეს ტრადიცია ჩემი ბავშვობიდან მოდის და დღემდე გრძელდება: ვიცი, რომ ახალი წლის ღამეს, ბალიშის ქვეშ აუცილებლად დამხვდება საჩუქარი.

— თოვლის ბაბუის დიდხანს გჯეროდა?

— ყოველთვის ვიცოდი, რომ საჩუქარს დედაჩემი მიკეთებდა და არა თოვლის ბაბუა. მაგრამ თოვლის ბაბუა რომ არსებობს — იქ, ლაპლანდიაში, — დღემდე მჯერა, მგონია, რომ ცხოვრებაში ერთხელ მაინც მოდის...

— საახალწლო ნაძვის ხეს თუ რთავ?

— კი, ოჯახში ეს ჩემი მოვალეობაა. ძალიან მიყვარს ეს პროცესი, ბავშვივით მიხარია, ვგიჟდები ლამაზ სათამაშოებზე. ■

აი, ასეთი სიმთვრალე მაქვს...

„ბებო გადაბრუნებულ სკამზე დოლს უკრავდა, მე კი ცეკვა-ცეკვით დავდიოდი...“

სამი დალიე, შეგერგება, არ დაითვრებიო, — ჭკუას გვარიგებენ სიმღერით, მაგრამ ტექსტის ავტორს ქართველი კაცის ბუნება არ გაუთვალისწინებია. ის, რა თქმა უნდა, სამ ჭიქას გულისხმობს, მაგრამ მამაკაცების უმრავლესობა აღნიშნავს, რომ იქ ლაპარაკია სამ ლიტრზე, სამ ყანწზე, სამ „ლამფის“ შუშაზე და ა.შ. თითქმის ყველა ჩვენი მკითხველი მესიჯს ასე იწყებს — დალევა არ მინდოდა, დამაძალეს და მეც რას ვიზამდიო?.. — მართლაც, რა უნდა ქნა, როცა გეუბნებიან — დარჩი, დარჩი, ცოლი შენ გარდა, არავის ჰყავსო?.. დარჩები და დალევ, აბა, რას იზამ?!

წარმოიდგინეთ, რომ სტუმრად ხართ და მაგიდის ქვეშ რაღაც გაურკვეველი ჯიშის ცხოველი, მთელი საღამოს განმავლობაში ცდილობს, ფეხის თითი მოგაჭამოთ. როგორ მოიქცევით? ამ კითხვაზე ჩვენმა რესპონდენტმა სრულიად მოულოდნელი (ცხადია, ყოვლისშემძლე ბახუსის წყალობით) პასუხი იპოვა.

მარი ჯაფარიძე

„ხან ყეფდა, ხან კნაოდა“...

„გილოცავთ ახალ წელს! ისეთი თემა შეგირჩევიათ, „კაკრაზ“ „საპახმელიო“... მინდა, ჩემი სიმთვრალის შესახებ მოგიყვეთ. არ იფიქროთ, ლოთი ვარ და ხშირად ვსვამ, მაგრამ როცა დავლევ, მერე ისეთი გულადი ვხდები, ცხრათავიან დევსაც კი შევეჭიდები. ამბავი, რომელიც უნდა მოგიყვეთ, ზაფხულში მოხდა. ხომ იცით, ამ დროს მამაკაცთა უმრავლესობა მარტო რჩება და პაპანაქება სიცხეს ვაჟკაცურად უძლებს. რომელი „ოქროს ქვიშები“ და ანტალია შეედრება იმ დასვენებას, როცა სიდედრსა და ცოლ-შვილს გაუშვებ და შინ მარტო რჩები? დილით რომ ვიღვიძებდი, ბედნიერებისგან ვკრუტუნებდი ხოლმე. მხოლოდ ის მაფიქრებდა, როგორ მომეკლა დრო. ერთ საღამოს კორპუსთან ვაბირჟავებდი, შორტებსა და „ბასანოშკებში“ გამოწყობილი. შემთხვევით დიდი ხნის უნახავმა მეგობარმა გამოიარა. ერთმანეთი რომ მოვიკითხეთ, ლაპარაკს შევყევით და აღმოვაჩინეთ, რომ ორივენი მოწყენილობისგან ვკვდებოდით. გიგამ შემომთავაზა — ახლა ერთგან დავრეკავ, თუ საჩვენო სიტუაცია „გაიჩითება“, ნაშებს მოვაყვანინებ და გავერთოთო... ცოტა ხანში ტაქსი გავაჩერეთ, მარკეტში ათასგვარი ხაბახუბა ვიყიდეთ და საბურთალოზე, მე-12 სართულზე მცხოვრებ გიგას ნაშას ვეწვიეთ. ვიდრე პურმარილი გამზადდებოდა, კიდევ ორი გოგო და ერთი მამაკაცი შემოგვიერთდა. დივანზე მოკალათებული, აქტიურად ვერთვებოდი საუბარში და ათასგვარ სისულელეზე ვკამათობდი. დიასახლისს შინ რაღაც გაურკვეველი ჯიშის ცხოველი ჰყავდა. გარეგნობით კატას ჰგავდა, მაგრამ ხან ყეფდა, ხან კნაოდა. ეს მონსტრი გვერდიდან არ მშორდებოდა. რატომ მოვეწონე, არ ვიცი. ხან კალთაში მიჯდებოდა, ხან ფეხებზე მეგლისებოდა. მასპინძლისა და გიგას ხათრით ვითმენდი. როგორც იქნა, სუფრას მივუსხედით. ცოტა ხანში ვიგრძენი, რომ ეს მახინჯი ცხოველი ჩემს შიშველ ფეხის თითს კბილებით დაეჭიდა. ვერაფრით მოვიშორე. ხან ერთი თითის მოჭმას ცდილობდა, ხან მეორის. სანამ ფხიზელი ვიყავი, ხმას არ ვიღებდი, ნელ-ნელა სასმელი მეკიდებოდა და გონებაში ამ მხეცზე შურისძიების გეგმას ვსახავდი. თუმცა, რაც ორი ჭიქის მერე მოვიფიქრე და ძალზე სასტიკად მომეჩვენა, მეშვიდე ჭიქის მერე ვფიქრობდი, რომ ასეთი სასჯელი მისთვის მეტისმეტად მსუბუქი იყო... ავდექი და მასპინძელს ვთხოვე, ცოტა ხნით სადარბაზოში გავალ-მეთქი. ეს კატა თუ ძაღლი ფეხდაფეხ გამომყვა. არავის შეუნიშნავს, რომ ბობიკა ჩემთან ერთად გამოვიდა გარეთ. მეც ვისარგებლე შემთხვევით და მე-12 სართულიდან ძირს მოვისროლე... კვლავ შევბრუნდი ოთახში და სუფრას მივუჯექი, მაგრამ ხასიათი გამიფუჭდა და გიგას გადავეკიდე — წავიდეთ-მეთქი. ისიც მორჩილად გამომყვა და ჩემთან გავაგრძელეთ სმა... დანარჩენი საინტერესო აღარ არის. გულწრფელად ვნანობ, მაშინ ასე რომ მოვიქეცი, მაგრამ ასეთი სიმთვრალე მაქვს და რა ვქნა?“

შესაძლოა, დედამიწის დასავლეთ ნახევარსფეროში მცხოვრები რომელიმე მამაკაცი ოცნებობდეს ქართული გარეგნობის ვოვონასთან სექსზე, მაგრამ ჩვენებურ მამაკაცებს ეგზოტიკაზე სრულიად განსხვავებული წარმოდგენა აქვთ. სიმთვრალე კი სწორედაც რომ ყველაზე ხელსაყრელი მომენტია, შავ და ხუჭუჭთმიან ქალთან კოტრიალის სურვილი აისრულო.

„წითელი პომადა წაუსვამს და ზანგის ქალად ქცეულა“

„30 წლის, სიმპათიური გარეგნობის მამაკაცი ვარ. ცოლიც მყავს, საყვარელიც და არც „ერთჯერადი“ ქალები მაკლია, მაგრამ ყოველთვის რაღაც ახლის ძიებაში ვარ. როცა ისეთ ქალს ვნახავ, რომლის მსგავსიც ჯერ არ მყოლია, აუცილებლად ვიჩალიჩებ და დავითრევ. ამგვარად, ჩემს კოლექციაში ყველაზე მსუქანი, ყველაზე გამხდარი, კაკლის საბერტყი ჯოხივით მაღალი, ლილიპუტი, ალბინოსი და ათასი, სხვადასხვა ჯურის ქალია. არასოდეს მყოლია ზანგი

ნაშა და ყოველთვის ვეძებდი ხელსაყრელ მომენტს, რომ რამენაირად „შავი“ ქალის გემოც გამეგო. ერთი წლის წინ, წინა კორპუსის აივანზე ზანგი ახალგაზრდა გოგო შევნიშნე. შემდეგ გავიგე, რომ თურმე ბინა უქირავია და კარგა ხნით აპირებდა ჩვენს მეზობლად ცხოვრებას. სასწრაფოდ შევიძინე დურბინდი და საღამოობით, როცა ოთახში შუქს ანთებდა, აივნიდან ვუთვალთვალებდი ხოლმე. თავიდან ცოლი ეჭვიანობდა, მერე ახირებად ჩამითვალა და თავი დამანება. გოგოს ბეტა ერქვა და ასეთი ჩვევა ჰქონდა — დასაძინებლად რომ წვებოდა და ტანისამოსს იხდიდა, ყველაფერს ზევით, ჰაერში ისროდა და სად რა დავარდებოდა, ყურადღებასაც არ აქცევდა. კარგა ხანს ვუთვალთვალე, საგონებელში ვიყავი ჩავარდნილი — როგორ მომეხერხებინა მისი დათრევა. ორი იანვარი იყო, შინ მთვრალი ვბრუნდებოდი. ეზოში მანქანით რომ შევუხვიე, ბეტას სილუეტს მოვკარი თვალი. სადარბაზოში შედიოდა. ბევრი არ მიფიქრია, უკან გავბრუნდი, ორი ბოთლი შამპანური ვიყიდე და ბეტას კარს მივადექი. დაკაკუნებისთანავე გამიღო და რუსულად მკითხა — ვინ ხარო? — მეზობელი ვარ, შენი გაცნობა მინდა-მეთქი. შემიპატიჟა. ცოტა ხანში მის საძინებელში, საწოლზე წამოწოლილი ვეუბნებოდი — როგორც გჩვევია, ისე გადაყარე ტანისამოსი-მეთქი. მოკლედ, ავისრულე ოცნება, მაგრამ იცით, რა მოხდა? ჩემი ცოლი და ბავშვი სტუმრად ყოფილან და შინ უკვე შებინდებულზე დაბრუნებულან. მაიას ჩემი მანქანა ბეტას სადარბაზოსთან შეუნიშნავს და შინ დაბრუნებულს ჩემი დურბინდი მოუმარჯვებია. ყველაფერი, რაც ბეტას საძინებელში ხდებოდა, თავისი თვალით დაუნახავს. მე შინ არხეინად მივედი და მაშინვე დავწექი. ცოტა ხნის შემდეგ, მაიას ხმამ გამაღვიძა. თვალი გავახილე და შიშისგან შევყვირე — თავზე მაიას მსგავსი, ზანგი ქალი მედგა. თურმე სახე შავად შეუღებავს, წითელი პომადა წაუსვამს და ზანგის ქალად ქცეულა. მივხვდი, რომ „დამწვარი“ ვიყავი. მთელი თვე მაია გვერდით აღარ მიწვებოდა — ფუ, ყარხარო, მეუბნებოდა. არ ვიცი, მართლა ვყარდი თუ არა, მაგრამ როგორც კი ძვირად ღირებული სუნამო მივართვი, იმ დღესვე შემირიგდა“.

ზოგი ფიქრობს, რომ თუ ადამიანი გაიზარდა, მას უფლება აქვს, ითამაშოს მხოლოდ ფეხბურთი, კარტი ან ტოტალიზატორში ცადოს ბედი. ნურას უკაცრავად, მოზრდილ მამაკაცს შეუძლია, მოზრდილ დეიდასთან გახდაზე ითამაშოს...

„დურაკა“ გახდაზე...

„ყველას გილოცავთ ახალ წელს და ჩემი თავგადასავლით გაგამხიარულებთ. ვმუშაობ დაცვაში. ეს ისეთი ობიექტია, სადაც ღამე ერთი თანამშრომელი — ოპერატორი გოგონა რჩება მხოლოდ და მე. ერთ-ერთი გოგო ძალზე მადის აღმძვრელად გამოიყურებოდა. საკმაოდ დიდი მკერდი და ბუნჩულა ტუჩები ჰქონდა. ერთ ახალ წელს, სწორედ მასთან ერთად მომიწია მორიგეობამ. მეც და თამუნაც სასმელ-საჭმლით „შეიარაღებული“ მივედით სამსახურში. პატარა მაგიდაზე სუფრა გავშალეთ და ახალ წელს კონიაკით სავსე ჭიქების ჭახუნით შევხვდით. თამადა მე ვიყავი და ისეთ სადღეგრძელოებს ვამბობდი, თამუნა სულ მსხვილ-მსხვილი კურცხლებით ტიროდა. კარგად შევთვერით, მე გავთამამდი და გადავწყვიტე, მისი ალერსით დავმტკბარიყავი. პირდაპირ ხომ ვერ ვეტყოდი?!. მოდი, კარტი ვითამაშოთ-მეთქი, შევთავაზე. თითო ხელზე წაგებულს, თითო რამ უნდა გაეხადა. „დურაკას“ ვთამაშობდით. ხან მე ვიხდიდი, ხან ის. ბოლოს, მე ტრუსსა და „სარო ჩკაში“ დავრჩი, ის კი ლიფსა და შარვალში. თან ხმამაღლა ვიცინოდით, მე კი მის სავსე მკერდს თვალს ვერ ვაშორებდი. უცებ, კარი გაიღო და თავზე უფროსი წამოგვადგა. უფიქრია, თანამშრომლებს ახალ წელს მივულოცავო და აი, ასეთ საინტერესო პოზაში მოგვისწრო. ორივე დავფაცურდით, თამუნა ტუალეტისკენ გაიქცა, მე კი უფროსს გამოვეჭიმე. ჯერ გაოცებული მიყურებდა, მერე ჩემს შიშველ ფეხებს ააყოლა მზერა და სიცილი აუტყდა. თავი გადააქნია, ცელოფანის პარკით ტკბილეული და შამპანური დაგვიტოვა და წავიდა. თამუნა იმ დღიდან სამსახურში აღარ გამოჩენილა. მე კი ისევ იქ ვმუშაობ და ახლა მეორე გოგოზე მაქვს თვალი დადგმული. ნიკუშა“.

ბევრ ადამიანს გარდაცვლილის შიში აქვს. ბუნებრივია, სასაფლაოზე მარტო რომ მოხვდეთ, შიში დგეუფლებათ. მაგრამ ჩვენი გულადი მკითხველი თურმე მთელი ღამე მიცვალებულს დარაჯობდა.

საბრალო მიცვალებული და გულჩვილი დამკვრელი

„პროფესიით მუსიკოსი ვარ. წინათ რაიონში ვცხოვრობდი და ხშირად მიწევდა ხოლმე ქორწილსა და გასვენებაში დაკვრა. ერთხელ, ხანში შესული კაცის გასვენებაში გახლდით. მიცვალებული სასაფლაოზე რომ მიასვენეს, ჭირისუფალი გამოემშვიდობა და შვილმა მთხოვა — ერთი შენი კლარნეტი ააკვნესე, მამაჩემს ძალზე უყვარდა შენი დაკრულის მოსმენაო. ისეთ ადგილზე ვიდექი, რომ გვერდით საფლავს ვხედავდი. ქვაზე ახალგაზრდა ბიჭი იყო გამოსახული. თან ვუკრავდი, თან იმ ბიჭის სურათს თვალს არ ვაცილებდი. რაღაცნაირი, საწყალი გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს თვალებით მეუბნებოდა, მაგ მელოდიის მოსმენა მსიამოვნებსო. ბუნებრივია, ქელეხზეც გახლდით და საკმაოდ ბლომადაც დავლიე. კარგად რომ დავთვერი, შინისკენ წავედი. უკვე ბნელოდა. გზად მიმავალს გამახსენდა ის ახალგაზრდა მიცვალებული, გზიდან გადავუხვიე და სასაფლაოსკენ ავიღე გეზი. მოვძებნე საფლავი და ქვაზე ჩამოვჯექი. მთელი ღამე იქ გავათენე. სევდიან მელოდიებს ვუკრავდი და თან მიცვალებულს ველაპარაკებოდი. გამთენიისას ძილი მომერია. იქვე მივწექი და მივიძინე. დილით კი, გამოფხიზლებულმა თვალი რომ გავახილე, შევძრწუნდი. დავავლე ჩემს კლარნეტს ხელი და ნელი ძუნძულით წავედი შინ. ამის შემდეგ მარტო ქორწილში ვუკრავდი. სასაფლაოზე კი საერთოდ აღარ მივსულვარ. მთვრალი კაცი რას არ ჩაიდენს!“

ახლა კი მოკლე მესიჯებს გავეცნოთ.

„მე და ბებომ მოვილხინეთ“

„ძალიან მოვიწყინე და ერთი ამბის მოყოლა მომინდა. შარშან ზაფხულს პირველად დავთვერი. სად? ტყეში, მეგობრებთან ერთად. მერე სულ ჰარი-ჰარალეს ძახილით დავადექით სახლისკენ მიმავალ გზას. გზად მინდორი უნდა გაგვევლო, სადაც ნახირი ბალახობდა. ცხოვრებაში პირველად, ისე უშიშრად გადავჭერი მინდორი და ნახირში ისე გავერიე, რომ ხარებიც კი შეშინებული მითმობდნენ გზას... მააშ!“

„წინა წელს კომიკურ სიტუაციაში აღმოვჩნდი. სიმთვრალე ჩემზე არ მოქმედებს. 12 საათის შემდეგ, სტუმრად წავედი იმ მეზობელთან, რომლის ბიჭი — გიგა ძალიან მიყვარდა. მათ კახეთიდან ჩამოტანილი ღვინო ჰქონდათ. ისე გამოვთვერი, რომ დილით აღარაფერი მახსოვდა. დილით კი გიგა დამადგა თავზე და მეუბნება: — ჩემთან წამოდი, ჩემო საყვარელო კუდრაჭავ, გახსოვს, წუხელ სიყვარულში რომ გამომიტყდიო? შემდეგ თვითონაც სიყვარული

ამიხსნა და ცოლობაც მთხოვა. ამ ახალ წელს კი მამობას მივულოცავ. კახური ღვინისა და ახალი წლის ღამის შედეგია, რომ ასეთი ბედნიერი ვარ. მაია, ბათუმიდან".

„ერთხელ ძმაკაცის დაბადების დღეზე მაგრად დავთვერი და იმ ბიჭს, რომელიც სიცოცხლეზე მეტად მიყვარდა, ზედ... სირცხვილისგან კინაღამ მოვკვდი. „კეშა".

„ერთხელ დაქალთან დაბადების დღეზე ვიყავი. 4-5 ჭიქა ღვინო დავლიე და მაშინვე ძილი მომერია. ისე დავრეტიანდი, რომ სახლში თავად იუბილარმა და ჩემმა მეგობარმა რაცრაცით მიმაცილეს. კიდევ კარგი, იქვე, ახლოს ვცხოვრობდი. დღემდე დამცინიან ამ ამბის გამო. მას შემდეგ, რომ მომკლა, ღვინოს აღარ მივეკარები. თამთა."

„მიუხედავად ჩემი დიდი სიმპათიისა, რომელიც „გზავნილების" მიმართ გამაჩნია, არასდროს გამომიგზავნია მესიჯი. ქალბატონებისთვის უხერხულია სიმთვრალეზე საუბარი, მაგრამ სწორედ ამ თემამ აღძრა ჩემში გამოხმაურების სურვილი.

ქუთაისელი გახლავართ. მოხდა ისე, რომ რამდენიმე ხნის განმავლობაში ჩემი მშობლიური ქალაქიდან შორს ვცხოვრობდი. დეპრესია და ნოსტალგია არ მშორდებოდა ამის გამო. ერთხელ, ახალ წელს ქუთაისში ჩავედი. მეგობრები და ნათესავები დიდი ზარ-ზეიმითა და ოვაციებით შემხვდნენ. ერთმა მეგობარმა მთელი „სასტავი" დაგვპატიჟა. მაგარი ქეიფი გაიმართა. საერთოდ, სასმელს არასოდეს ვსვამ, მაგრამ... ძალიან დამაძალეს და მეც დავლიე. მერე „დავაპათოლოგე". ძლივს წამომიყვანეს იქიდან. გზაში თურმე ჩემი მშობლიური ენა დამვიწყებია, სამაგიეროდ, რუსულად მაგრად „ვსხლავდი". არც ტაქსი იყო, არც დაბარებული მანქანა მოვიდა. ჰოდა, ბალახვანის კიბეს რომ მივუახლოვდით, თურმე ჩემი მეგობარი დათო გამეხუმრა და მითხრა – ასე ძალიან თუ გიყვარს ქუთაისი, როგორც ამბობ, დაიჩოქე და მიწას აკოცეო. მეც, თურმე არ დამიყოვნებია და სულ ფორთხვით და ტირილით ვკოცნე მშობლიური ქუთაისის მიწა. თხუთმეტმა ადამიანმა ვერ გამაჩერა, მერე მთელი ქუთაისის ფეხით შემოვლა გადავწყვიტე, მაგრამ ძალიან რომ „გავაჯაზე", მიყვირეს და ისე წამომიყვანეს შინ. დილამდე ყველანი თავთან მესხდნენ. მე კი დილით თვალი რომ გავახილე და ამდენი ხალხი დავინახე, ლამის გავგიჟდი. მაგარი სასამართლო მომიწყვეს. არადა, დედას გეფიცებით, არაფერი მახსოვდა. მათ კი არ სჯერათ და მემუქრებიან იმ „ლამაზი" სიტყვებისთვის, რომლითაც მათ ვამკობდი".

„ერთხელ, სიმთვრალეში სიდედრს ვეფიცებოდი, მიყვარხარ-მეთქი. ის კი იდგა და გაბადრული სახით მისმენდა. ფუჰ, ჩემი თავი მეჯავრება ამის შემდეგ".

„ერთხელ ისე დავთვერი, რომ ზოოპარკში, მაიმუნების გალიასთან ვიდექი და მათ მოძრაობებს ვიმეორებდი. ხალხი მაგრად ვახალისე, მაგრამ რომ გამოვფხიზლდი, თავის მოკვლა მინდოდა".

„ერთხელ, მთვრალს „მარშრუტკაში" ჩამეძინა. ბოლო გაჩერებაზე მძღოლმა ძლივს გამაღვიძა. ჩემს გაჩერებას კარგა მანძილზე ვიყავი გაცდენილი. გადავჯექი სხვა „მარშრუტკაში", ისევ ჩამძინებია და ახლა მარშრუტის მეორე ბოლოში აღმოვჩნდი. კაცი მოსკოვიდან ჩამოფრინდებოდა იმ დროში, რაც მე სოლოლაკიდან საბურთალოზე გასვლას მოვანდომე".

„ერთხელ მაგრად დავთვერი. შინ რომ მივედი, კარი ქმარმა გამიღო. ძლივს მიმათრია საწოლამდე. მერე მთელი ღამე თავთან მეჯდა და გულზე სველ ტილოს მაფენდა, არყისგან რომ არ „გადავმწვარიყავი". დილით მითხრა – ახლა ვხვდები, რა ცუდ დღეში ხარ, როცა მე მთვრალი მოვდივარო".

„სოფელში მე და ბებიამ ვისადილეთ და ვთქვით, თითო ჭიქა შავი ღვინო დავლიოთ-თქო. ერთს მეორე მივაყოლეთ, მეორეს – მესამე და ისე გამოვთვერით, რომ ჩვენი სიმღერის ხმა მეზობლებმა გაიგეს. შემოვიდნენ და რას ხედავენ? ბებო გადაბრუნებულ სკამზე დოლს უკრავდა, მე კი მაგიდის გარშემო ცეკვა-ცეკვით დავდიოდი და თან ასსამეთქი, ვყვიროდი. მერე მეზობლებიც მოვიპატიჟეთ და ისე მოვილხინეთ, თქვენი მოწონებული".

„მთვრალი ქუჩაში მივდიოდი. ისეთი მოკლე კაბა მეცვა, ხელით წამდაუწუმ ვისწორებდი, რაიმე რომ არ გამომჩენოდა. გზაზე გაჩერებული პატრულის მანქანა შევნიშნე. მივედი და ვთხოვე, შინ წამიყვანეთ-მეთქი. უარი არ უთქვამთ, მაგრამ გზაში მაგრად დამცინეს. ქეთა".

„გზის" ბოლო ნომერში შემოგთავაზეთ კითხვა – ახალი წლის ჯადოსნურ ღამეს რომელ ცნობილ ადამიანად გადაქცევას ისურვებდით? მკითხველთა უმრავლესობამ კარგი იუმორის გრძნობა გამოავლინა და საკმაოდ საინტერესო პასუხებიც გამოგვიგზავნა:

„ახალი წლის ღამეს რომის პაპად გადავიქცეოდი, რადგან თეთრებში გამოწყობილი, ყურადღების ცენტრში აღმოვჩნდებოდი ან აჩიკო მეფარიძედ – იგივე მიზეზით... დათო".

„მინდა, თუნდაც ერთი დღით გაი რიჩი ვიყო, რომ მადონასთან „ვისექსაო".

„ერთი დღით დევიდ კოპერფილდად გადავიქცეოდი და ამ დღეებში ჩემი შეყვარებული რომ მეტყვის, დავქორწინდეთო, ჰაერში ავიწევი და გავქრები. ვაჟა".

„მე ლუჩანო პავაროტი ვიქნებოდი. რატომ? იმიტომ, რომ ჩემი ცოლი აღარ დაიყვირებდა, გაჩუმდიო, როცა დილაობით შხამს ვიღებ და ვმღერი. გივი".

„მე საქართველოს პრეზიდენტი გავხდებოდი, რომ ბოლოს და ბოლოს, ყველა ჩემი ნაცნობისთვის მიმელოცა ახალი წელი. არავინ გამომრჩებოდა და საყვედურებსაც აღარ მივიღებდი – რატომ არ გაგახსენდიო".

„მე ლევან შენგელიად, გია ჭანტურიად ან ნებისმიერ პაროდისტად გადავკეთდებოდი, რომ არასასურველ სატელეფონო ზარებს ქალის ხმით ვუპასუხო".

„აუ, ჩემს შეფად გადავიქცეოდი, სასწრაფოდ სოლიდური პრემიით დავაჯილდოებდი, დავაწინაურებდი და შვებულებაში გავუშვებდი საკუთარ თავს".

„სიამოვნებით გავხდებოდი რიკი მარტინი, ყველა გოგო ჩემს დანახვაზე რომ კიოდეს და საცვლებს მესროდეს".

„ნებისმიერ სხვა ადამიანად გადავიქცეოდი, რომ თუნდაც ერთხელ საკუთარი თავისთვის შორიდან შემეხედა. ნინო".

„სიამოვნებით ვიქნებოდი მაია დარსმელიძე, რომ ერთ მშვენიერ დილას სტეფანესთვის მეთქვა – ძვირფასო, ძეხვიანი ბუტერბროდი მომიტანე, რა!"

„ჰარი პოტერად გადავიქცეოდი – საცობში მოხვედრილი, „ელეგანტურად" ავიწეოდი ჰაერში ავტომობილით და დავეშვებოდი ჩემს სახლთან. P.S. ახლა სწორედ საცობში ვარ და „გზის" კითხვით ვირთობ თავს".

„ბილ გეიტსად გადავიქცეოდი, რომ სამსახურისთვის თავი დამენებებინა და დანაზოგით მეცხოვრა."

დღეს „გზავნილებს" ამით ვამთავრებთ. მომდევნო ნომრის თემად გთავაზობთ – დღე, რომელიც მთელი ცხოვრების ტოლფასია. გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8(77) 45.68.61. ბედნიერ შობას გისურვებთ და გემშვიდობებით მომავალ ხუთშაბათამდე.

„ქარი გიმღერის ნანასა“, ნიშნულებიანი ბოძი და ჰესიდან გამოშვებული რიონი

მეგობრებისთვის — ლორთქია, მაყურებლისთვის კი — აგული (ერისთავი) — ეს ორი სახელი იმდენად ჩვეულია მსახიობ გურამ ლორთქიფანიძისთვის, რომ ერთ-ერთ რეჟისორს თავისი ფილმის ტიტრებში სწორედ ასე ჩაუწერია: მსახიობი — გურამ ლორთქია... მამისეულ სახლში მელიქიშვილის გამზირზე მსახიობი უკვე სამოცდამეათე ახალ წელს ზეიმობს. ის სიამოვნებით იხსენებს ბავშვობის დროინდელ საახალწლო დღესასწაულებს და ამაყობს იმით, რომ „ქრონიკული ბავშვობა“ სჭირს...

სხვა ხმამ აბსოლუტურად შეცვალა აგული და ელდარმა გადაწყვიტა: ისევ შენი ბლუყუნი მირჩევნიაო...

ემა ტუხიამვილი

— ხასიათის კაცი ვარ, ერთი, თითქოსდა უმნიშვნელო დეტალიც კი მოქმედებს ჩემზე. მაგალითად, დღეს ტელევიზიაში მივდიოდი და არც ერთმა სამარშრუტო ტაქსიმ არ გამიჩერა. ძალიან მიჭირს, მაგრამ უნდა ვთქვა: თბილისისნაირი ზრდილობიანი ქალაქი მსოფლიოში არ მოიძებნებოდა. ახლა კი, უზრდელებმა წალეკეს ყველაფერი. არ იფიქროთ, რომ დიდაქტიკოსი ვარ, საკუთარი შვილებისთვისაც არასდროს დამირიგებია ჭკუა, თვითონ ვარ დასარიგებელი, მაგრამ ამაზე თვალის დახუჭვა არ შემიძლია... ღმერთმა გაახაროს და როგორც აღმოჩნდა, ეს ჩემი ტანჯვა გაჩერებაზე, პატრულმა შენიშნა, ტაქსი გამიჩერა და მძღოლს სთხოვა, დანიშნულების ადგილზე მივეყვანე. საქმე მის მიერ გადახდილ 2-3 ლარში კი არ არის — უბრალოდ, გამიხარდა, რომ ეს ვაჟკაცი საქართველოს ღირსეულ შვილებს გაუზრდის.

— თქვენი თაობის ადამიანებს განსაკუთრებული ნოსტალგია შემოგრჩათ ძველი თბილისის, დარბაისელი თბილისელების; როგორც ვიცი, თავადაც კოლორიტულ ოჯახში აღიზარდეთ...

— მამაჩემის მამა, კონსტანტინე ლორთქიფანიძე ძირძველი ქუთაისელი გახლდათ, ეკონომიკური განათლება რუსეთში ჰქონდა მიღებული. მამაჩემიც მის კვალს გაჰყვა და მანაც უმაღლესი განათლება მოსკოვში მიიღო. მამას მეგობრების არაჩვეულებრივი წრე ჰყავდა: მიშა გელოვანი, გერონტი ქიქოძე, კონსტანტინე გამსახურდია, ლადო ასათიანი და მრავალი სხვა გამოჩენილი ადამიანი. მეგობრებმა მამას „კარგი კოწია“ შეარქვეს. მამაჩემს დედაც კარგი ჰყავდა, დარჯანიების ქალი იყო და დიდედას ვეძახდი. მახსოვს, როდესაც გარდაიცვალა, ვერის სასაფლაოზე მისი ნეშტი ექვსცხენშებმული კატაფალკით აასვენეს... დედაჩემი ქართლელი ქალი გახლდათ. მამამისი და მისი ძმა ტიტე 1921 წელს დახვრიტეს. მახსოვს, დედაჩემის დედას დაღუპული შვილის კიტელი და ქუდი სკივრში ჰქონდა შენახული და დროდადრო ეფერებოდა ამ ნივთებს... დაობლებული დედა მათ ნათესავს, სათავადაზნაურო ბანკის მდივანს დავით კობახიძეს უშვილებია და ფუფუნებაში გაუზრდია. გამზრდელმა ელენეს გიმნაზია დაამთავრებინა და სწორედ მაშინ გაუცნია მამაჩემი. ქართლელებს თურმე, მაინცდამაინც არ მოსვლიათ თვალში იმერელი სიძე და დიდხანს ამბობდნენ: რა ქნა ამ ჩვენმა ელენემ, იმერელს გაჰყვა ცოლად და ისიც — კოწიასო!.. მამაჩემი არაჩვეულებრივად მღეროდა. ფილმში — „ქეთო და კოტე“ მის მიერ შესრულებული „მრავალჟამიერი“ აჟღერდა.

— როგორც ვხედავ, ძველ სახლში ცხოვრობთ. ალბათ, მშობლების მიერ დანატოვარი ბევრი ნივთი შემოგრჩათ, არა?

— ეს სახლი 1932 წელს, 4 ოჯახისგან შემდგარმა ამხანაგობამ ააშენა, მათ შორის იყო ჩვენი ოჯახიც. სხვათა შორის, მეც ამ სახლში დავიბადე და სიმართლე გითხრათ, აქედან გადასვლას არსად ვაპირებ. ბებიაჩემი, მამაჩემი, დედაჩემი, ჩემი პირველი მეუღლე ამ კედლებიდან გავასვენე... ჩემს მეზობლად, ცნობილი ჟურნალისტი და მომღერალი, თემურ ნაცვლიშვილი ცხოვრობდა. სიმღერისთვის — „ქარი გიმღერის ნანასა“ მუსიკა თემურმა დაწერა. მე და თემურმა სახლის აივანზე ერთი ხის ბოძი ამოვირჩიეთ, სადაც ყოველწლიურად ჩვენი სიმაღლის ნიშნულს ვავლებდით ხოლმე. ასე გრძელდებოდა წლების განმავლობაში და პირობა მივეცით ერთმანეთს, რომ სიბერეშიც გავაგრძელებდით ამ ტრადიციას და შევადარებდით, თუ რამდენად მოგვტეხდა წლები... სამწუხაროდ, თემური არ არის ცოცხალი, ბოძზეც წაიშალა ნიშნულები, მაგრამ ეს ბოძი მაინც მიყვარს. ნივთებს რაც შეეხება, თითქმის ყველაფერი ჩემს ცხონებულ დას გავატანე. გვქონდა ძალიან ლამაზი ფარდაგი, დიდი და ძვირფასი, ძველებური სარკე და მამაჩემის მიერ ლენინგრადიდან ჩამოტანილი ბული. ბული კარადა იყო, რომლის ზედაპირიც მთლიანად ჩუქურთმებით იყო დაფარული.

— გახსოვთ, როგორ ხვდებოდით თქვენს ბავშვობაში ახალ

წელს?

— ყოველთვის ჩემი საკუთარი სტუმრები მყავდა და რატომღაც ყოველ ახალ წელს, ჩემთან ვიკრიბებოდით. რა თქმა უნდა, გვედგა დიდი ნაძვის ხე და გვერდით სათამაშო თოვლის ბაბუა. მახსოვს ერთხელ ამ თოვლის ბაბუას პირში სიგარეტი გავუჩარე და ცეცხლიც მოვუკიდე. თვალის დახამხამებაში ავარდა ალი. საწყალმა ოლღა ბებიამ პროფესიონალი მეხანძრესავით ჩააქრო ცეცხლი. მეოთხე კლასში კი, საახალწლო სუფრაზე ვუთამადე კლასელებს, კლასელები კი იცით, როგორი მყავდა?.. ჯერ მარტო თხუთმეტი მათგანი აკადემიკოსი გახდა.

— **ამბობენ, მაშინ თბილისი ზამთარში უფრო თოვლიანი იყო.**

— მართალია, თოვლიც გაქრა, კაცო! გოგებაშვილის ქუჩიდან ციგებით ვეშვებოდით ხოლმე. მაგრამ ისეთი ციგები კი არ გვქონდა, ახლა რომ არსებობს და თვითმფრინავებს რომ ჰგავს, ჩვენ თვითონ ვაკეთებდით ხისგან. გაგიკვირდებათ, მაგრამ ციგურებზეც ვსრიალებდით ხოლმე თბილისის ქუჩებში. საციგურაო ფეხსაცმელი არ გაგვაჩნდა, მხოლოდ რკინის პიკები გვქონდა, რომლებსაც თოკებით ვიმაგრებდით ფეხებზე, ხოლო მეტი სიმჭიდროვისთვის წინ ფანქრებით ვიმაგრებდით. გუნდაობაზე ხომ აღარაფერს ვამბობ. თუმცა ბევრჯერ დამიშლია თანატოლებისთვის, თოვლის გუნდაში კენჭის ჩადება, მაგრამ ის კი ნამდვილად მომწონდა, როცა ეს მწარე გუნდა ქალს უკანალში მოხვდებოდა და სიმწრით შეათამაშებინებდა ჩვენი გუნდის სამიზნე ადგილს. ისე, რა სჯობია მთვარიან ღამეს გუნდაობას?.. მახსოვს, როგორ ვაჭმევდით ხოლმე გოგონებს ძალით თოვლს. მართალია, ისინი კიოდნენ, წიოდნენ და გაგვირბოდნენ, მაგრამ მაინც ვგრძნობდით, როგორ სიამოვნებდათ ყმაწვილების მკლავებში ყოფნა, ჩვენ კი — თოვლიანი ხელებით მათი სახეების მოფერება...

— **თქვენი თაობის მამაკაცებს განსაკუთრებულად ახსოვთ რუსეთის დიდ ქალაქებში გატარებული საახალწლო დღეები. თქვენ თუ გაქვთ ასეთი მოგონება?**

— ერთხელ მე და ჩემი კოლეგა თემურ დუდუჩავა ახალი წლის წინადღეს ჩავფრინდით ლენინგრადში და სასტუმრო „ასტორიაში“ დავბინავდით. მეორე საღამოსთვის, სასტუმროს რესტორანში დაახლოებით 10-კაციანი სუფრა შევუკვეთეთ, რადგან თბილისიდან მეგობრების ჩამოსვლას ველოდებოდით. მოხდა ისე, რომ უამინდობის გამო, 31 დეკემბერს თბილისიდან ლენინგრადში ფრენა არ იყო და საახალწლო სუფრასთან მხოლოდ მე და თემური აღმოვჩნდით. რესტორანი სავსე იყო უცხოელებით; ფინელები და ებრაელები ჭარბობდნენ, რუსებს კი იქ საერთოდ ვერ ნახავდით. დავრჩით მე და თემური მარტონი სუფრასთან. რამდენიმე საღეგრძელოს შემდეგ, მელანქოლია დაგვეუფლა და პირველი სიყვარული გავიხსენეთ. ის ჩიოდა, რომ ვერასოდეს გაუბედა შეყვარებულს კოცნა, მე კი ვუყვებოდი, თუ როგორ ვწითლდებოდი ჩემი სატრფოს დანახვაზე, ხოლო თუ სუფრასთან ვხვდებოდი მას, როგორ მივარდებოდა ხელიდან ხან დანა და ხან — ჩანგალი... ბოლოს, საქმე იქამდე მივიდა, რომ მე და ჩემი თანამესუფრე ერთად ვტიროდით სუფრასთან. თუმცა, ჩვენი საახალწლო ზეიმი ამით არ დასრულებულა. საბჭოთა პერიოდში, რესტორნის სამზარეულო ადრე იკეტებოდა, ამიტომ განსაზღვრული დროის შემდეგ, სუფრას ვერც სამელს შემატებდი და ვერც საჭმელს. ჩვენი მაგიდა კი, იმ საღამოს, ფაქტობრივად, ხელუხლებელი იყო, ამიტომ მოგვიანებით, მოქეიფე უცხოელებმა ჩვენს სუფრასთან მოიყარეს თავი. რუსეთში ძირითადად, ძველით ახალ წელს აღვნიშნავდით ხოლმე. მახსოვს, ამ თარიღის აღსანიშნავად, მოსკოვში მთელი შემოქმედებითი ელიტა რესტორან „სოვეცკაიაში“ იყრიდა თავს.

— **ახალი წლის დღეებში ტრადიციისამებრ, ტელევიზიები უჩვენებენ ქართული კინოს არაერთ შედევრს, მათ შორის — „არაჩვეულებრივ გამოფენას“ თქვენი მონაწილეობით. როგორც ვიცი, პროფესიით მსახიობი არ ბრძანდებით, ასე არ არის?..**

— 1955 წელს დავამთავრე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის განყოფილება, შემდეგ — სარეჟისორო კურსები მოსკოვში. რა ვარ, მე თვითონაც არ ვიცი. არც ერენბურგი გამოვედი, როგორც ჟურნალისტი, არც ეიზენშტეინი — როგორც რეჟისორი და ვერც დე ნირო გავხდი, როგორც მსახიობი... აგული კი „არაჩვეულებრივ გამოფენაში“ ელდარის *(შენგელაია. — ავტ.)* წყალობით ვითამაშე. ამ ფილმზე რეჟისორის ასისტენტად ვმუშაობდი და დიპლომის მისაღებად მჭირდებოდა პრაქტიკის გავლა. სხვათა შორის, მაშინაც, როგორც ახლა, ძალიან ცუდად ვმეტყველებდი და მახსოვს, ჩემი კინოგმირის გასახმოვანებლად ბევრი ადამიანი მოიწვიეს. თუმცა, სხვა ხმამ აბსოლუტურად შეცვალა აგული და ელდარმა გადაწყვიტა: ისევ შენი ბლუყუნი მირჩევნიაო... აქვე გადაღებებთან დაკავშირებულ ერთ ამბავსაც გავიხსენებ. ქუთაისში გვაქვს გადაღებები და ჩემი და დოდო აბაშიძის სცენას ვიღებთ, ცნობილ თეთრ ქვებზე, ხიდის ქვეშ. მაშინ გადაღების დღიური ნორმა იყო დაწესებული, რომელიც კინოფირის მეტრაჟით იზომებოდა და დღის ბოლოს, აუცილებლად უნდა ჩაგვებარებინა. ამ დროს, რამდენიმე ქუთაისელი მასპინძელი მოგვიახლოვდა და ხიდიდან ჩამოგვძახეს: მორჩით ახლა გლახაობას, გელათში პურმარილია გაშლილიო. ელდარმა აუხსნა, რომ ცოტა ხნის საქმე გვქონდა დარჩენილი და მალე გავთავისუფლდებოდით. მაგრამ ეს ვერ მოხერხდა. მასპინძლებმა კიდევ რამდენჯერმე მოგვაკითხეს გადასაღებ მოედანზე. ცოტა ხანში ვხედავ, რომ ქვა, რომელზეც ვზივარ, წყლით იფარება... მთელი გადამღები ჯგუფი პანიკაში ჩავარდა, იქით გრიმიორი ამოჰყავთ წყლიდან... როგორც გაირკვა, ჩვენს მოპატიჟეებს ჰესიდან, დაგუბებული რიონი გამოუშვიათ. რაღა უნდა გვექნა?.. იმ დღეს მაგრად ვიქეიფეთ!..

■



...მახსოვს ერთხელ ამ თოვლის ბაბუას პირში სიგარეტი გავუჩარე და ცეცხლიც მოვუკიდე. თვალის დახამხამებაში ავარდა ალი

ეგზოტიკა სადღესასწაულო სუფრაზე

რუბრიკას უძღვება ექიმი თამარ მამაცაშვილი

ბოლო დროს, საახალწლო სუფრას ჩვენშიც ხშირად ამშვენებს ეგზოტიკური ხილი, რომელიც არა მხოლოდ გემრიელი, არამედ ძალზე სასარგებლოც ყოფილა.

ზურმუხტისფერი კივი ჰიპერტონიითა და გულით დაავადებულთათვის

კივის ნაყოფი გარეგნულად ხავერდოვან კარტოფილის ბოლქვს მოგაგონებთ, შიგნიდან კი ზურმუხტისფერი მომჟავო-მოტკბო სურნელოვანი რბილობი აქვს. კივი მდიდარია კალიუმით და C ვიტამინით, რომელიც მასში უფრო მეტია, ვიდრე ლიმონში.



კივი განსაკუთრებით სასარგებლოა ჰიპერტონიით და გულით დაავადებულთათვის – იგი აქვეითებს წნევას და კვებავს გული კუნთს. დაჭყლიტეთ კივის 2-3 ნაყოფი კოვზით, მოაყარეთ 1 კოვზი შაქარი ან თაფლი და მაშინვე მიირთვით.

● დღეში 100 გ-მდე კივი უნდა მიირთვან მათ, ვისაც დაბალი მჟავიანობით მიმდინარე გასტრიტი, ყაბზობა აწუხებთ.

● კუჭქვეშა და წინამდებარე ჯირკვლების დაავადებების დროს, სასარგებლოა მკურნალობის ერთკვირიანი კურსი: დაჭყლიტეთ კივის 1-2 ნაყოფი და მიირთვით ჭამამდე 2-ჯერ დღეში.

● სიმსუქნისას შეგიძლიათ მოაწყოთ განტვირთვის დღეები, როცა დღის განმავლობაში მიიღებთ 1 კგ-მდე ნაყოფს.

ფეიხოა – იოდის წყარო

ფეიხოას ნაყოფს მუქი მწვანე ფერის, მკვრივი ქერქი აქვს. მისი გაჭრისას კი, გამჭვირვალე-მომწვანო ფერის, მარწყვისა და ანანასის სუნის მქონე ნაზ ჟელეს



აღმოაჩენთ. ფეიხოას ნაყოფი მდიდარია ვიტამინებით, მიკროელემენტებითა და შაქრით. მაგრამ განსაკუთრებული პოპულარობა მან იოდის დიდი რაოდენობით შემცველობის გამო მოიპოვა.

● ფარისებრი ჯირკვლის დაავადებებისა და ვენების ვარიკოზული გაგანიერების დროს, მიირთვით დღეში 200-300 გ ფეიხოა.

● პიელონეფრიტის, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ანთებების დროს, სვით ფეიხოას წვენი – 1/2 ჭიქა 2-ჯერ დღეში.

● რაქიტისა და ცინგის დროს ფეიხოას ნაყოფი შეუცვლელია – უნდა მიიღოთ დღეში 200-300 გ ან ერთი ჭიქა ახალგაწურული წვენი დღეში ერთხელ, რაც მნიშვნელოვნად დააჩქარებს გამოჯანმრთლების პროცესს.

ანანასს წიდები გამოაქვს

ანანასის არომატული, წვნიანი ნაყოფი ყინვიან ამინდშიც კი, ტროპიკული ტყის ატმოსფეროში ჩაძირვის წარმოსახვას გვიქმნის. მწიფე ნაყოფი შეიცავს 12%-მდე შაქარს (ფრუქტოზას, გლუკოზას, საქაროზას), პექტინურ და მინერალურ ნივთიერებებს. აგრეთვე – კალციუმს, მაგნიუმს, რკინას, B ჯგუფის, C და PP ვიტამინებს.

● ანანასი სასარგებლოა ანემიის, ნერვული სისტემის დაავადებების, აგრეთვე ძვლის მოტეხილობების დროს.

● ყელის ანთებისას გამოივლეთ ანანასის წვენი 3-4-ჯერ დღეში.

● ზემო სასუნთქი გზების კატარის დროს, დილით, უზმოზე დალიეთ ნახევარი ჭიქა ახალგამოწურული წვენი.

● პექტინის შემცველობის გამო ანანასის წვენი დადებით ეფექტს იძლევა თირკმლის, ღვიძლისა და გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებების დროს: სვით ნახევარი ჭიქა წვენი ჭამამდე 20 წუთით ადრე, 3-ჯერ დღეში.

● წიდებისაგან ორგანიზმის გასაწმენდად, დილა-



საღამოს, ჭამამდე 10 წუთით ადრე, სვით წყალში გაზავებული ანანასის წვენი (1:1); ვახშმად კი, მიირთვით მოხარშული ჭარხლის, ანანასისა და ნიახურისაგან მომზადებული სალათი, რომელიც უცხიმო იოგურტით უნდა შეაზავოთ. ■

რასისტი გენი

ამერიკელმა მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ მკერდის კიბო შავკანიან პაციენტებში თეთრკანიანებთან შედარებით გაცილებით საშიშ ფორმებში მუტაციას განიცდის. სწორედ ამით აიხსნება პარადოქსული ფაქტი: შავკანიანი ქალები იშვიათად ავადდებიან მკერდის კიბოთი, მაგრამ ეს დაავადება, თეთრკანიანებთან შედარებით უფრო ხშირად ხდება მათი სიკვდილის მიზეზი. როგორც მეცნიერებმა დაადგინეს, ასეთი განსხვავებები სპეციფიკური გენის – p53-ის მუტაციასთანაა დაკავშირებული. ეს გენი განსაზღვრავს მთელი რიგი ავთვისებიანი სიმსივნეების განვითარებას. ■

| ადამიანი, რომელიც გარდაქმნებს ატარებს | | |

მეტეოროლოგიური ნევროზი

ექიმებისთვის ცნობილია, რომ ინფარქტის, ინსულტის, ჰიპერტონიული კრიზების, შიზოფრენიის გამწვავების შემთხვევები ერთსა და იმავე დღეებში ხშირდება ხოლმე. რა არის ამის მიზეზი?

ადამიანებს მუდმივად უხდებათ გარემო პირობებთან შეგუება — ორგანიზმი ჰაერის ტემპერატურისა და წნევის ცვლილებაზე *რეაგირებს: იცვლება სისხლძარღვებში სისხ*ლის გადინების სიჩქარე, გულის შეკუმშვათა სიხშირე, ნივთიერებათა ცვლის პროცესი, ჰორმონებისა და ფერმენტების გამომუშავების ინტენსივობა... ეს საჭიროა ნორმალური ცხოველქმედების შესანარჩუნებლად. თუ სრული ადაპტაცია ვერ ხორციელდება, მაშინ პროცესი მტკივნეულად მიმდინარეობს.

ამინდის ცვლილებით გამოწვეული ძირითადი სიმპტომებია თავის ტკივილი, სისუსტე, მოუსვენრობა, სახსრებისა და კუნთების ტკივილი. მკვეთრ ცვლილებებს განსაკუთრებით ქალები და გულ-სისხლძარღვთა დაავადებების მქონენი შეიგრძნობენ.

მოწმენდილ ცაზე...

დედამიწის ატმოსფერო მშვიდ მდგომარეობაში არასდროსაა. ოკეანეების თავზე ჰაერი განუწყვეტლივ მოძრაობს: ჰაერის მასები ერთმანეთს ეჯახება, ციკლონებად ეხვევა, სქელდება და ისევ განიბნევა. როცა ისინი ერთმანეთს ავიწროებენ, ატმოსფერული წნევა იზრდება. ამ დროს ცაზე ღრუბლები ქრება. ასეთ ამინდში ადამიანის ორგანიზმში იცვლება არტერიული წნევა, ადამიანს ეწყება უძილობა. საჭიროა ფიზიკური და გონებრივი დატვირთვის შემცირება, სუნთქვითი ვარჯიშები და დამამშვიდებელი მცენარეული ჩაი.

თუ ცა ღრუბლიანია

როცა ჩვენს თავზე არსებული ჰაერის მასები იფანტება, ატმოსფერული წნევა დაბლა იწევს, ამინდიც ირევა, ცა იღრუბლება და თანდათანობით, სუნთქვა ძნელდება. ეს ცვლილებები განსაკუთრებით ძნელი გადასატანია მათთვის, ვისაც დაბალი არტერიული წნევა აქვს. ასეთ ადამიანს ეწყება ქოშინი და ტაქიკარდია. უვითარდება შეშუპება, სისუსტე, ძილიანობა. ამ სიმპტომების დაძლევაში დაგეხმარებათ ერთი *ჭიქა მწვანე ჩაი.*

წელიწადის დროები და დაავადებები

შემოდგომით და ზამთარში მოსალოდნელია დეპრესია, გაზაფხულზე და ზაფხულში უნდა ველოდოთ ნევროზსა და ქრონიკულ დაავადებათა გამწვავებებს. კანის დაავადებები თავს უფრო ხშირად ზამთარსა და შემოდგომაზე იჩენს ხოლმე. მიოკარდიუმის ინფარქტი სეზონთა გასაყარზე ხშირდება, როცა ამინდი განსაკუთრებით ცვლებადია.

ქარიან ამინდში

ქარი ამინდის ცვლილების მაჩვენებელია. ამ დროს შესაძლებელია სახსრებისა და კუნთების ტკივილი. ძლიერი ქარი და მაღალი ტენიანობა სიცივესაც და სიცხესაც უფრო აუტანელს ხდის. ქარიანი ამინდი დამთრგუნველად მოქმედებს ნერვულ სისტემაზე.

მაგნიტური ქარიშხალი

უცნობია, თუ რატომ რეაგირებს ორგანიზმი მაგნიტურ ქარიშხლებზე. მაგნიტური დღეების წინასწარ განსაზღვრა შესაძლებელია, მზის ზედაპირზე მიმდინარე ცვლილებებზე დაკვირვების შედეგად. მზის აფეთქებისას, დიდი რაოდენობით დამუხტული ნაწილი გამოიყოფა, 2-3 დღის შემდეგ კი, მზის ქარები უზარმაზარ იონების ღრუბელს დედამიწისკენ გადმოისვრის და იონოსფეროში ნამდვილი ელექტრონული ქარიშხალი იწყება, რომელიც საგრძნობლად ცვლის ორგანიზმის რეაქციას. ასეთ დღეებში სასურველია C და B ჯგუფის ვიტამინების მიღება.

ისევ წვიმს

წვიმისა და ჭექა-ქუხილის შემდეგ, ჰაერი სუფთავდება. გარკვეული დროით ყველაფერი ახლდება. *ჩვენც თავისუფლად ვსუნთქავთ,* რადგან ჰაერი ოზონითაა გაჟღენთილი. ჯანმრთელი ადამიანი წვიმების დროს თავს კარგად გრძნობს. თუმცა გადაუღებელმა წვიმებმა შეიძლება დეპრესია გამოიწვიოს.

სავსე მთვარე

თუ გრძნობები გახრჩობთ და თქვენს ცხოვრებაში ყველაფერი უკან მიდის, ცაში ახედვისას კი სავსე მთვარეს დაინახავთ, იცოდეთ, რომ ყველაფერში სწორედ ისაა დამნაშავე. სავსემთვარეობისას ხშირად უმიზეზოდ ვბრაზდებით, კონფლიქტურები ვხდებით



და ადგილს ვერ ვპოულობთ. ასეთ დღეებში ნუ დაგეგმავთ სერიოზულ შეხვედრებს და ერიდეთ სტრესულ სიტუაციებს. ექიმები ამ პერიოდში ინფარქტისა და გულის იშემიური დაავადების გამწვავებების განსაკუთრებულ გახშირებას აღნიშნავენ.

როგორ მოვიქცეთ

ამინდის ცვალებადობაზე ორგანიზმის რეაქციის ერთადერთი წამალი, ძირითადი დაავადებების მკურნალობაა. სარისკო დღეებში კი, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დავუთმოთ საკუთარ ჯანმრთელობას და მოვერიდოთ მეტისმეტ ფიზიკურ და ფსიქიკურ დატვირთვას. ■

...ანული ...ური, ანუ ...ი ...	მსახიობი ... ბელუჩი	შტატი აშშ-ში	ჟან-კლოდ ... დამი	ხილის გაჩიანი სასმელი	მარადმწვანე სუბტროპიკული ხე	კინოს დიდი მოყვარული

ციტრუსი	დასასვენებელი ოთახი გემზე: ...-კომპანია	წინასწარ გაცემული ხელფასის ნაწილი	ალაფი	მსახიობი ... ფენიქსი	სახელმწიფო არაბეთის ნახევარკუნძულზე

რატომ ინება უფალმა შობა სიღატაკეში?

საუფლო დღესასწაული შობა, იესო ქრისტეს შობის მოსახსენიებლად და განსადიდებლადაა დაწესებული, ამიტომ მას ხშირად ქრისტესშობასაც უწოდებენ: „იესო ქრისტეს ხორციელად შობა — ეს არის უდიდესი დღესასწაულის საფუძველი და დასაბამი ყველა სხვა დღესასწაულისა, ეს არის ზეიმი და გამოუთქმელი სიხარული მართლმორწმუნეთა, რომელიც ღვთის მადლითა და სახიერებითაა გაჯერებული“ — გვიქადაგებს წმინდა ეკლესია.

როგორც აღვნიშნეთ, შობის დღესასწაულით წმინდა ეკლესია იხსენიებს, იესო ქრისტეს ხორციელად მოვლინებას, რომელიც დედამიწაზე ცოდვით დაცემულ ადამიანთა მოდგმის ეშმაკის მონობისა და მარადიული სიკვდილისგან გამოსახსნელად მოვიდა. სწორედ ეს იყო უფლის შობის, მისი განკაცების მთავარი მიზანი. მეოთხე საუკუნის საეკლესიო მოღვაწე, წმინდა ეფრემ ასური შობაზე საუბრისას აღნიშნავს: „გამოანათა მოწყალებამ და დიდმა დღემ სიხარულისამ. ნურავინ იქნება მოწყენილი და ძვირისმოხსენე. ეს არის დღე, როდესაც უფალმა თავი დაიმდაბლა და განკაცდა ჩვენივე ხსნისთვის“... ამდენად შობის დღესასწაულის არსი და მნიშვნელობა განუზომელია, რომელსაც ყველა ჭეშმარიტი ქრისტიანი უდიდესი სულიერი სიხარულითა და სადღესასწაულო განწყობით უნდა ეგებებოდეს.

მორენა მერკვილაძე

ღმერთი განკაცდა, შემოქმედმა ადამიანისადმი სიყვარულის გამო მონის სახე მიიღო: „რომელი იგი არს ბრწყინვალება, დიდებაი და ხატი ძლიერებისა მისისაი“ (ებრ. 1. 3). შესაძლებელია თუ არა, ადამიანის გონება ჩასწვდეს უფლის ხორციელად შობის, მისი განკაცების საიდუმლოს?

„უფლის განკაცება, ღვთის განხორციელება“, — ეს იყო საკვირველი, კაცთა გონებისთვის მიუწვდომელი საიდუმლო, რომლის სრული გააზრება შეუძლებელია, რადგან ამქვეყნად მოხდა ის, რაც ამქვეყნიურზე გამოუთქმელად მაღლა დგას. წმინდა ათანასე ალექსანდრიელი ზედმიწევნითი სიზუსტით გამოთქვამს ამას: „რაი-მე ვთქუა, ანუ რასა-მე ვიტყოდი? მშობელსა ვხედავ და შობილსა განვიცდი თუალითა, ხოლო სახესა მას შობისასა ვერ ძალ-მიც მიწდოლვად. იძლევის ბუნებაი, იძლევიან წესნი სრბისანი, ოდეს-იგი ღმერთსა ჰნებავნ, რამეთუ არა ბუნებით იყო საქმე იგი, არამედ უფროის ბუნებისა საკვირველებაი იგი: „უქმ იქმნა ბუნებაი, არამედ იქმნა უფლისა იგი ნებაი“ — ე.ი. ღმერთს ძალუძს ბუნებრივ მოვლენათა მდინარება ზებუნებრივი წესით დაფაროს“ („ამით სძლიე!“).

როგორ მოხდა იესო ქრისტეს შობა?

როდესაც მაცხოვრის შობის დრო მოახლოვდა, გამოიცა იმპერატორ ავგუსტუს ოქტავიუსის ბრძანება, რომლის თანახმადაც, მთელ ქვეყანაში უნდა ჩატარებულიყო საყოველთაო აღწერა. ებრაული ჩვეულების თანახმად, საყოველთაო აღწერა ტომებისა და გვარების მიხედვით ტარდებოდა. თითოეულ ტომსა და გვარს თავისი ქალაქები და მამამთავართა სახელებთან დაკავშირებული ადგილები ჰქონდა. რადგან მართალი იოსები — ქმარი წმინდა მარიამისა, დავით მეფის შთამომავალი იყო, აღწერისთვის გალილეის ქალაქ ნაზარეთიდან, დავითის ქალაქში — ბეთლემში წავიდა, წმინდა მარიამთან ერთად. იმის გამო, რომ ქალაქის სასტუმროში იოსებისა და მარიამისთვის ადგილი არ გამოიძებნა, იძულებულები გახდნენ, ქალაქის განაპირას მდებარე გამოქვაბულისთვის შეეფარებინათ თავი, სადაც მწყემსები ავდარში საქონელს აბინავებდნენ. სწორედ გამოქვაბულში ყოფნისას მოუწია წმინდა ქალწულს მშობიარობის ჟამმა: „და შვა ძე, თვისი პირმშო, შეახვია და მიაწვინა იგი ბაგაში“ (ლუკა 2, 7) — აი, ასეთ ვითარებაში, ყოვლად მოუწყობელ გარემოში იშვა ღმერთკაცი, მაცხოვარი სოფლისა იესო ქრისტე.

ბუნებრივია ღმერთკაცს, ზეცისა და მიწის მეუფეს შეეძლო, საკუთარი თავისთვის ბევრად უკეთესი თავშესაფარი გამოეძებნა, დიდებითა და პატივით მოვლენოდა ადამიანებს, მაგრამ უფლის შობისთვის — ამ უდიდესი საიდუმლოს აღსრულებისთვის, გამოქვაბული და ბაგა უფრო სასურველი და წმინდა აღმოჩნდა, ვიდრე მდიდრული სასახლე ან თუნდაც, უბრალო სახლი. რატომ ინება უფალმა შობა სიღატაკეში?

მაცხოვარი, რომელსაც ელოდა მთელი კაცობრიობა და რომლის შესახებაც წერდნენ წინასწარმეტყველნი, საოცარი სიმდაბლით მოევლინა ქვეყანას. ამგვარი შობით, უფალმა სიმბადლისა და მორჩილების, ამასთანავე, მოთმინებისა და მცირედით კმაყოფილების მაგალითი გვიჩვენა. გარდა ამისა, სიღატაკეში შობით, უფალმა მიგვანიშნა, რომ გარეგნული ბრწყინვალება თუ სხვა მიწიერი სიდიადე და ღირსება, რაც ადამიანისთვის დიდებულია და რასაც კაცნი ესწრაფვიან, უფლისთვის არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენს, მისთვის მთავარია სულის მორჩილება, გულის სიწმინდე და უბრალოება.

უფლის ხორციელად შობა პირველად, უბრალო მწყემსებს ეუწყათ. როგორც ლუკა მახარებელი მოგვითხრობს: ანგელოზთა დიდძალი მხედრობა, გამოეცხადა მწყემსებს. „აქებდეს ღმერთს და იტყოდეს: დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, და ქუეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება“. სწორედ ეს უბრალო მწყემსები იყვნენ პირველმხილველნი განკაცებული უფლისა, რომელსაც მოკრძალებით თაყვანი სცეს. რა იყო ამის მიზეზი?

სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, ერთ-ერთ საშობაო ეპისტოლეში აღნიშნავს: „საოცარია, პირველმხილველნიც განხორციელებული მაცხოვრისა იყვნენ უბრალო მწყემსები და არა განმგებელნი ქვეყნისა, ანდა სხვა მაღალი თანამდებობის პირნი; მწყემსები, რომელთა ყველაზე დიდი სიმდიდრე მათი სუფთა, წრფელი გული იყო; იესო ქრისტეს განსაცვიფრებელ თავმდაბლობაშია სწორედ მისი ღვთაებრივი სიდიადე“.

გარდა მწყემსებისა, ქრისტეს შობა აღმოსავლელ მოგვებსაც (ვარსკვლავთმრიცხველებსაც) ეხარათ უჩვეულოდ კაშკაშა, ახალი ვარსკვლავის გამოჩენით. ეს ვარსკვლავი უძღოდა მოგვებს ბეთლემისკენ. ისინი ეახლნენ ღვთაე-

ბრივ ყრმას და მიართვეს ძღვენი: ოქრო, გუნდრუკი და მური. რა უნდა ვიცოდეთ მოგვთაგან მირთმეულ ძღვენთან დაკავშირებით?

ქრისტიანული მოძღვრებით, მოგვებმა სამი ძღვენი მიართვეს მაცხოვარს, თითქოსდა ნიშნად ღვთის სამსახოვნებისა. ოქრო მიართვეს, როგორც მეფეს, გუნდრუკი, როგორც ღმერთს, მური, როგორც ადამიანსა და შუამდგომელს, რომელსაც თავისი სიკვდილით უნდა დაერღვია სიკვდილის ძალაუფლება და გამოეხსნა ცოდვის მონობაში მყოფი კაცობრიობა. უსისხლო მსხვერპლის შეწირვით კი, მოგვებმა თითქოსდა დასაბამი მისცეს ახალ აღთქმისეულ უსისხლო შესაწირს, როგორც ამას გვიქადაგებს წმინდა იოანე ოქროპირი (როგორც ვიცით, მაცხოვრის მოსვლამდე, ებრაელები ჭეშმარიტი ღმერთის მიმართ პატივისცემას, ცოცხალი (სისხლიანი) მსხვერპლშეწირვით გამოხატავდნენ). „მოგვთა მსგავსად, რომელთაც თაყვანი სცეს და საუკეთესო ძღვენი მიართვეს ბეთლემის ბაგაში მწოლ ახალშობილ მაცხოვარს, ყველა ჭეშმარიტმა ქრისტიანმა თავისი შესაწირი უნდა გაიღოს უფლის სადიდებლად. ეს შესაწირი, პირველ რიგში, უნდა იყოს გულმხურვალე ლოცვა, ჩვენი ეკლესიური ცხოვრება და კეთილი საქმეები“, – გვიქადაგებს ერთ-ერთ საშობაო ეპისტოლეში, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია II.

როგორ შეჰფერის ჭეშმარიტ ქრისტიანს ქრისტესშობის დღესასწაულის აღნიშვნა?

„ნუ ვიდღესასწაულებთ ფუფუნებით, ერულად. ჩვენი დღესასწაული კი არ არის ეს, არამედ მისი, ვინც ჩვენი გახდა, არა დღესასწაული შექმნილისა, არამედ შემოქმედისა. ნუ შევამკობთ სახლის კარიბჭეებს, ნუ გავმართავთ მომღერალთა ქოროს, ნუ მოვრთავთ ქუჩებს, ნუ დავატკბობთ მზერას. სიმთვრალესა და ბილწსიტყვაობას ნუ მივეცემით. თუკი რაიმეთი დატკბობა გვსურს, დავტკბეთ ღვთის სიტყვის მოსმენით, სჯულის აღსრულებით და დღესასწაულის ჭეშმარიტ მიზეზებზე საუბრით, რათა ეს ტკბობა უცხო არ იყოს ჩვენი შემოქმედისთვის“, – შეგვაგონებს წმინდა გრიგოლ ღვთისმეტყველი. ამ შეგონებიდან გამომდინარე, შობის დღესასწაულზე ჭეშმარიტი ქრისტიანი უნდა დაესწროს სადღესასწაულო წირვა-ლოცვას და მოისმინოს ღვთისმსახურის მიერ წარმოთქმული ქადაგება. შინ მომეტებულად ილოცოს, იკითხოს სასულიერო ლიტერატურა, გასცეს მოწყალება, მოინახულოს სნეულებაში მყოფი და აღასრულოს, ღვთისთვის სხვა სათნო საქმეები, რადგან სწორედ ეს იგულისხმება ღვთის სიტყვის მოსმენასა და სჯულის აღსრულებაში. ■

რამდენი სახე აქვს ნაყროვანებას?

რვა უმთავრეს მომაკვდინებელ ცოდვათაგან, რომლებიც ადამიანის სულს მარადიული სატანჯველისთვის ამზადებს, ერთ-ერთია ნაყროვანება, რომელსაც მუცელღმერთობასაც უწოდებენ. რა შემთხვევაში ვარდება ადამიანი ნაყროვანების ცოდვაში? რომელი ცოდვები მოჰყვება ნაყროვანებას? როგორ ვძლიოთ ნაყროვანების ცოდვას? რომელი სათნოება ითვლება ნაყროვანების საპირისპირო სათნოებად?

მორენა მერკვილაძე

წმინდა მამათა მოძღვრებით, ნაყროვანებას სხვადასხვა სახე აქვს: ღორმუცელობა, გემოთმოყვარეობა და მემთვრალეობა ანუ ლოთობა.

ღორმუცელობაა: ზომაზე მეტად, გადამეტებულად მიღება საჭმლისა (სიმაძღრე, რომელიც ადამიანს ჰგვრის ძილსა და თვლემას, სიზარმაცესა და სიძაბუნეს და აღუძრავს ავ ზრახვებს); უდროო დროს საკვების მიღება; მარხვის დაუცველობა და მარხვის გატეხა; ფარულად ჭამა; ისეთი საკვების ხმევა, რაც ვნებს ჩვენს ჯანმრთელობას: „საკვები იმისათვის გვეძლევა, რომ განვამტკიცოთ ჩვენი სხეული და არა იმისათვის, რომ გავანადგუროთ იგი“, – ბრძანებს წმინდა ბასილი დიდი. ღორმუცელა ადამიანის სურვილია, რაც შეიძლება ხშირად განიცადოს საჭმლის მიღებით გამოწვეული სასიამოვნო შეგრძნება. გემოთმოყვარეობა, ეს არის განსაკუთრებით გემრიელი საკვები პროდუქტებით გატაცება, ტკბობა გემოთი, როდესაც ადამიანი იკვებება მხოლოდ ისეთი საკვები პროდუქტებით, რომელიც განსაკუთრებით მოსწონს. გემოთმოყვარეობის ვნებით შეპყრობილი ადამიანი, საჭმლის ხმევის პროცესს უდიდეს სიამოვნებად აქცევს. რაც შეეხება მემთვრალეობას ანუ ლოთობას – ადამიანი პირუტყვის დონემდე დაჰყავს. ზომაზე მეტად ნასვამი ადამიანი საკუთარი თავის კონტროლის უნარს კარგავს და ხშირად უკეთურ, ღვთისმგმობ საქმეებს სჩადის: „ლოთობა ყოველგვარი სამარცხვინო საქმის დედაა“, – ბრძანებს ნეტარი ავგუსტინე. წმინდა ბასილი დიდი კი აღნიშნავს: „ლოთობა უღმერთობის დასაწყისია, რადგან აბნელებს გონებას, რომლითაც ღმერთს შევიცნობთ“. წმინდა მამები ლოთობას ნებაყოფლობით სიგიჟესაც უწოდებენ. როგორც აღვნიშნეთ, ნაყროვანებას, მუცელღმერთობასაც უწოდებენ, რადგან ამ ცოდვით დაცემული ადამიანი აღმერთებს მუცელს და ემონება გემოს. მართალია, ადამიანს საჭმელ-სასმელი უფლისგან ეძლევა, მაგრამ არა იმიტომ, რომ გემოსა და მუცელს დაემონოს, ე.ი. მიიღოს სტომაქის საამებლად, არამედ იმისათვის, რომ იცოცხლოს და ასაზრდოოს სხეული.

რომელი ცოდვები მოჰყვება ნაყროვანებას?

ნაყროვანებისგან ნაშობი ცოდვებია: უზრუნველობა; სიზარმაცე; გულის სასტიკე; უჯერო სიცილი; მოყვასის შეურაცხყოფა; შუღლი; უხეში და უმსგავსო ზნე-ჩვეულებები (ეს ცოდვები ხშირად მოსდევს მემთვრალეობას). ნაყროვანება ასევე შობს არაგულმოდგინებას კეთილმსახურებაში – ე.ი. ლოცვისა თუ სხვა, ღვთისთვის სათნო საქმეთა აღსრულების დაზარებას: „როგორც მსუქან ფრინველს არ შეუძლია მაღლა აფრენა, ასევე არ შეუძლია ნაყროვანების ცოდვაში მყოფ ადამიანს ილოცოს გულწრფელად და იფიქროს ღმერთზე“ – ბრძანებენ წმინდა მამები. გარდა ამისა, ეს ცოდვა ხშირად ბადებს ხორციელ გულისთქმებს – მრუშობის სურვილს და სხვა. ნაყროვანი, მაძღარი ადამიანი, ვერანაირ სულიერ სარგებელს ვერ შეიძენს, პირიქით, განეშორება ღვთის მადლს და შეწევნას, რაც ყველაზე მთავარი და აუცილებელია ადამიანისათვის. არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ გადამეტებული ჭამა-სმა ვნებს ადამიანის ორგანიზმს და იწვევს სხვადასხვა ხორციელ სნეულებას: „ვინც საჭიროზე მეტად დატკბება გემოთმოყვარეობით, მას ასმაგად მიეზღვება ავადმყოფობებით“ – ბრძანებს წმინდა მარკოზ მოღვაწე.

როგორ მოვიქცეთ, რომ არ ჩავვარდეთ ნაყროვანების ცოდვაში?

ნაყროვანების ცოდვაში რომ არ ჩავვარდეთ, წმინდა მამები გვირჩევენ, რომ ტრაპეზობის დაწყების წინ, ვილოცოთ უფლის მიმართ – შევთხოვოთ შეწევნა, რათა აგვარიდოს ნაყროვანებას. ტრაპეზობისას აღვიჭურვოთ შინაგანი ლოცვით (შეიძლება, გულში ვიმეოროთ „იესოს ლოცვა“ ან მოკლე ლოცვა – „უფალო შეგვიწყალენ“), სუფრიდან კი ავდგეთ მაშინ, როდესაც შიმშილს მოვიკლავთ, მაგრამ დანაყრებას ჯერ ვერ ვგრძნობთ.

რომელია ნაყროვანების ცოდვის საპირისპირო სათნოება?

ნაყროვანების ცოდვის საპირისპირო სათნოებად ითვლება აკრძალულება. წმინდა ეგნატე ბრიანჩანინოვის სწავლებით, აკრძალულება გულისხმობს: „ზედმეტი ჭამისაგან და ზედმეტი ღვინის სმისგან თავის შეკავებას; ეკლესიის მიერ დაწესებული მარხვების ზუსტად დაცვას; ხორცის დათრგუნვას ზომიერი და ერთგვაროვანი საკვების მიღებით, რისგანაც სუსტდება ყველა ვნება – განსაკუთრებით კი თავმოყვარეობა, რომელიც შედგება საკუთარი ხორცისა და მისი განსვენების უზომო სიყვარულისაგან“. ■

განქორწინებების ეპიდემია ფეხბურთის ვარსკვლავთა სამყაროში

გასული, 2004 წელი მრავალი სპორტული მოვლენით დაგვამახსოვრდება, რომელსაც ვრცლად აშუქებდა მსოფლიოს მასმედია. საინფორმაციო საშუალებები სპორტის ვარსკვლავთა პირადი ცხოვრების დეტალების გამომზეურებასაც დიდ ყურადღებას უთმობდნენ. მოგეხსენებათ, ფეხბურთი „სპორტის მეფედ“ ითვლება (და ალბათ ეს დიდებული თამაში კიდევ დიდხ-

ვინჩენცო მონტელა

ანს შეინარჩუნებს ფიზიკური კულტურის „მონარქის“ ტიტულს). ჰოდა, ყვითელი პრესის წარმომადგენლებიც მიკროსკოპული სიზუსტით ზომავდნენ ცნობილ ოსტატთა თითოეულ ნაბიჯს. ეს არც უნდა ყოფილიყო გასაკვირი, რადგან ამის საბაბს აბეზარ პაპარაცებს თავად ფეხბურთის ვარსკვლავები აძლევდნენ. 2004 წლის საფეხბურთო სკანდალებში მთავარი ადგილი ეკავა „განქორწინებათა ეპიდემიას“, რომელმაც ვარსკვლავთა თითქმის მთელი „გალაქტიკა“ მოიცვა.

მარადონა, კანი, რონალდო, რივალდო, სალასი, მონტელა, ემერსონი, ჰელმერი — იმ ცნობილ ფეხბურთელთა არასრული სიაა, რომლებიც თავიანთ მეორე ნახევრებს გაეყარნენ. განქორწინებები ისე სწრაფად მისდევდა ერთიმეორეს და მათ იმდენად მრავალგვარი გარემოება ახლდა თან, რომ ოჯახის პრობლემატიკაზე ორიენტირებულ სოციოლოგს ამ ფაქტების საფუძველზე დისერტაციის დაწერაც არ გაუჭირდებოდა. ერთი მარტივი და ბანალური დასკვნის გამოტანა კი, ნებისმიერ ადამიანს შეუძლია: დიდი ფული ადამიანს ბევრი ცხოვრებისეული პრობლემისგან ათავისუფლებს, მაგრამ იგი ოჯახური ბედნიერების გარანტად ნამდვილად ვერ გამოდგება. უფრო მეტიც, ფაქტებს თუ დავეყრდნობით, დავრწმუნდებით, რომ მრავალმილიონიანი კონტრაქტები არათუ ამყარებს ოჯახებს, არამედ ანგრევს კიდეც.

„დიდი სურვილი გვაქვს, რომ მას საკუთარი ძალებისადმი რწმენა დავუბრუნოთ. ვცდილობთ, ყოველთვის მასთან ერთად ვიყოთ, გავამხნევოთ, ვანუგეშოთ“ — ამბობდა „მილანის“ მთავარი მწვრთნელი კარლო ანჩელოტი, როდესაც პრესკონფერენციებზე ჟურნალისტები მას რივალდოს შესახებ უსვამდნენ შეკითხვებს, უფრო სწორად — მოსვენებას არ აძლევდნენ იმის გამო, რომ ბრაზილიელი ოსტატი სულ უფრო არადამაჯერებლად გამოიყურებოდა მინდორზე. 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ტრიუმფატორს აღარც თავისი საფირმო დრიბლინგი გამოსდიოდა და აღარც მარცხენა ფეხით შესრულებული ზუსტი, ყუმბარისებური დარტყმები. გარდა ამისა, პენალტიდანაც ხშირად ვერ გაჰქონდა გოლი. ანჩელოტი მასზე საუბარს დელიკატურად თავს არიდებდა, თუმცა იტალიური გრანდის თავკაცმა კარგად იცოდა, რომ სამხრეთამერიკელი ფორვარდის წარუმატებელი თამაშის მთავარი მიზეზი, მის პირად ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებები იყო.

რივალდო 1992 წელს დაქორწინდა და მეუღლესთან — როზასთან ორი ვაჟიშვილი — რივალდინიო და ტამირისი ჰყავს. ცოლ-ქმარს შორის ურთიერთობა ჯერ კიდევ „ბრასელონის“ რიგებში მისი ასპარეზობის ბოლო პერიოდში გაუარესდა, რაც განსაკუთრებულად თვალში საცემი „მილანში“ მისი გადასვლის შემდეგ გახდა. გასული წლის იანვარში კი, როზამ მეუღლე მიატოვა და შვილებთან ერთად ბრაზილიაში წავიდა.

თომას ჰელმერი

რივალდო

შორის, ამის გამოსაძიებლად ყვითელი პრესის მესვეურებს ბევრი დრო არ დასჭირვებიათ. როგორც გაირკვა, „ბარსას“ ყოფილი ლიდერის ოჯახის დანგრევას ვინმე ვივიენ ბრუნერის ორსულობის გამჟღავნებამ შეუწყო ხელი... ასე იყო თუ ისე, რივალდომ ბრაზილიის ეროვნულ ნაკრებში მორიგი გამოძახებით ისარგებლა და განქორწინება ოფიციალურად გააფორმა.

გასული ზაფხულს მეუღლეს გაეყარა ვინჩენცო მონტელა. უფრო სწორად, „რომას“ ვარსკვლავი მისმა ულამაზესმა ცოლმა რიტამ მიატოვა, თუმცა იტალიური კლუბის პრეზიდენტი ფრანკო სენნი და ყოფილი მთავარი მწვრთნელი ფაბიო კაპელო ყოველმხრივ ცდილობდნენ, რომ ფეხბურთელს ოჯახი არ დანგრეოდა. მათ ეს ვერ შეძლეს და ვინჩენცომ და რიტამ განქორწინება გააფორმეს.

ამბობენ, რომ რიტას, რომელიც პოპულარული ტელეშოუს — Buona Domenica-ს წამყვანია, ოჯახური უღლისაგან გათავისუფლება (მას მონტელასთან ვაჟიშვილი ჰყავს) კარგა ხანია, გადაწყვეტილი ჰქონდა. ამისთვის მას კარგი საბაბი სწორედ გასულ ზაფხულს მისცემია, როდესაც იგი ვინჩენცოსთან ერთად, ერთ-ერთ კუნძულზე ისვენებდა. იქ მონტელას ყოველ ფეხის ნაბიჯზე ცნობდნენ, რაც რიტას მეტისმეტად აღიზიანებდა. ბოლოს კი, მან ერთ-ერთი ბარის მეპატრონესთან გააბა რომანი. ვინჩენცოს ცოლმა ისეთი „სპრინტი“ უჩვენა, როგორითაც თავად ფეხბურთელი ახარებს ხოლმე „რომას“ გულშემატკივრებსო, — დასცინოდნენ თურმე ფეხბურთელს კუნძულელები.

მეუღლესთან განშორების შემდეგ, მონტელას სულ უფრო ხშირად ხედავდნენ გოგონების კომპანიაში, თანაც, „რომაელი“, ლამაზმანებთან

სიმონე ინძაგი

ერთად საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებსა და გასართობ დაწესებულებებში ჩნდებოდა, თითქოს ამით პაპარაცების დაინტრიგება სურდა. თავად ყვითელი პრესის წარმომადგენლები კი, ხაზს უსვამდნენ იმას, რომ მონტელა, ამგვარი საქციელით, რიტას აეჭვიანებდა. თუმცა, ფეხბურთელმა ამას ნამდვილად ვერ მიაღწია. ყოველ შემთხვევაში, იტალიელ ლამაზმანს ყოფილი ქმრის საქციელზე არავითარი რეაგირება არ მოუხდენია. ბოლოს ვინჩენცომ ისეთ ქარიზმატულ ქალბატონს დაადგა თვალი, როგორიც საბრინა ფერილია და ერთხელ, ეს უკანასკნელი, ზემოთ ხსენებულ კუნძულზე საკუთარ ვილაშიც დაპატიჟა, მაგრამ ზრდილობიანი უარი მიიღო. სამაგიეროდ, კურორტს ხშირად სტუმრობდა რიტა, რომელსაც იქ ასევე დიდებული ვილის მფლობელი ბარმენი ელოდა.

ალბათ ფეხბურთის ქომაგებს აღარც ახსოვთ, რომ ერთ დროს, მარსელო სალასს „მატადორს“ ეძახდნენ, თუმცა მას შემდეგ, რაც ფეხბურთელი ცოლმა კაროლინამ მიატოვა, ის მოედანზე ხარების გამხელებელს ნამდვილად აღარ ჰგავდა. მეუღლესთან განშორებამ გასულ საფეხბურთო სეზონში უარყოფითად იმოქმედა „რომას“ ძირითად მეკარე ფრანჩესკო ანტონიოლიზეც. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც ეჭვიანობის ნიადაგზე, იგი ცოლმა მიატოვა და მშობლიურ ჩეზენას მიაშურა.

მაგრამ არიან ისეთი მოთამაშეები, რომლებიც განქორწინებას სულაც არ დაუნაღვლიანებია. მაგალითად, მას შემდეგ, რაც ბრაზილიელი ემერსონი მეუღლეს სონიას გაეყარა, იგი უფრო შთამბეჭდავად ათამაშდა.

გასული წელი ოჯახური ცხოვრების თვალსაზრისით წარუმატებელი აღმოჩნდა სიმონე ინძაგისთვისაც, რომელიც ალესია მარკუცის დაშორდა. ამ უკანასკნელის მენეჯერი კი იუწყება, რომ ფეხბურთელი და შოუბიზნესის წარმომადგენელი მეგობრულ ურთიერთობას ინარჩუნებენ და კვლავაც ხვდებიან ერთმანეთს: „ეს დიდი სიყვარული იყო, რომელიც მეგობრულად დასრულდა. ისინი კვლავაც აგრძელებენ ერთმანეთთან ურთიერთობას, ოღონდ, ახლა უკვე მხოლოდ განქორწინების პროცედურისა და მათი ვაჟიშვილის ტომაზოს ალიმენტის საკითხის განსახილველად“.

პირად ცხოვრებაში იმედი გაუცრუვდა ჯონათან ძებინასაც, რომელსაც 2004 წლის დასაწყისში, მსახიობ რომინა მონდელოსთან ჰქონდა რომანი. ამ უკანასკნელმა კი, მოულოდნელად, გადაწყვეტილება შეიცვალა და სხვა მამაკაცზე იქორწინა (ფეხბურთელისა და მსახიობის ურთიერთობა – არც მეტი არც ნაკლები – ერთი თვე გრძელდებოდა).

გერმანიაში „განქორწინებათა მარათონში“ პირველობა არავისთვის დაუთმია მიუნხენის „ბაიერნს“. ოლივერ კანის სკანდალის მერე, საყოველთაო ყურადღების ცენტრში მოექცა თომას ჰელმერი, რომელსაც გერმანიის ეროვნულ ნაკრებში 68 მატჩი აქვს ჩატარებული. 12-წლიანი თანაცხოვრების შემდეგ, იგი ცოლს რეჯინას გაშორდა და მას ორივე შვილი – 12 წლის კიმი და 5 წლის დავიდი დაუტოვა. ასეთი გადაწყვეტილება ჰელმერმა მას შემდეგ მიიღო, რაც მსახიობ იასმინ ფილალისთან გაბა რომანი. განქორწინების პროცესს კი, მშვიდად ნამდვილად არ ჩაუვლია. რეჯინა აცხადებდა, რომ მისი ყოფილი ქმარი ალიმენტების გადახდას არიდებდა თავს, ხოლო ფეხბურთელის ადვოკატის მტკიცებით – ჰელმერს ამას ვერავითარი კანონი ვერ დაავალდებულებდა.

სწორედ იმ პერიოდში, „ბავარიის“ ყოფილმა მთავარმა მწვრთნელმა ოტმარ ჰიტცფელდმა ყველა გააფრთხილა, რომ თუ კორესპონდენტები და პაპარაცები ოლივერ კანზე ნადირობას არ შეწყვეტდნენ, გოლკიპერი შეიძლებოდა, გუნდის მიღმა აღმოჩენილიყო. მასმედიის წარმომადგენლები მას შემდეგ შეუდგნენ ოლივერის თვალთვალს, რაც გოლკიპერმა და მისმა ყოფილმა მეუღლემ სიმონემ საჯაროდ განაცხადეს – ერთად ყოფნას აღარ ვაპირებთო. იმ დროიდან მოყოლებული, კანი სასტუმროში ცხოვრობდა და შინაც ხშირად მიდიოდა, რათა თავისი პატარა ვაჟიშვილი დავიდი მოენახულებინა...

■

ჯულტჰარდი საკუთარ ავტოს ვერ იტანს



ახალი წლის დღეებში, მოულოდნელი განცხადება გააკეთა „ფორმულა-1“-ის მრბოლელმა დევიდ კულტჰარდმა: ის თურმე, საკუთარ ავტომობილს ვერ იტანს და ამის მიზეზს ძალზე მარტივად ხსნის: მრბოლელი მოძრაობის წესების დაცვასა და რაც მთავარია, სიჩქარის შეზღუდვას ვერ ეგუება. ამიტომ მისთვის ჩვეულებრივ ტრასაზე მოძრაობა, რბილად რომ ვთქვათ, მოსაწყენია. კულტჰარდის თქმით, ის წელიწადში მხოლოდ 3 ათას კილომეტრს გადის. Red Bull-ის პილოტი იმასაც უსვამს ხაზს, რომ „არაფორმულური“ მანქანების მართვა „სამეფო რბოლების“ არც სხვა წარმომადგენლებს იზიდავს. მაგალითისთვის, კულტჰარდს რალფ შუმახერი მოჰყავს და არცთუ ისე უსაფუძვლოდ: შუმახერ-უმცროსის ცოლი კორა აცხადებს, რომ მისი მეუღლე მოძრაობის წესებში ვერ ერკვევა და ხშირად საავარიო სიტუაციასაც ქმნის.

■

ფეხბურთელებს შორის საუკეთესო უკანალის მფლობელი

2004 წლის მიწურულს ჩატარებული სპეციალური გამოკითხვის შედეგების მიხედვით, „მანჩესტერ იუნაიტედის“ ნახევარმცველი რაიან გიგზი ყველაზე სექსუალური უკანალის მფლობელ ფეხბურთელად დაასახელეს. „ეს ყველაზე უცნაური წოდებაა, რომელიც ჩემთვის ოდესმე მოუნიჭებიათ. ამ „ტიტულს“ არასოდეს მივიღებ. ადრე თაყვანისმცემელი გოგონებისგან ხშირად ვიღებდი წერილებს, მაგრამ აღნიშნულ ამპლუაში ყოფნა ჩემი უმცროსი მეგობრებისთვის დამითმია“, – ამბობს გიგზი, რომელსაც სტეისი კუკთან შეხვედრამდე, არაერთი საყვარელი ჰყავდა, მაგრამ ამ გოგონამ ფეხბურთელი იმდენად მოხიბლა, რომ რაიანმა მისი ხელიდან გაშვება არ მოინდომა და წყვილი მალე დაქორწინდა კიდეც, ხოლო ორი წლის წინ, მას შვილიც შეეძინა.



■

მარისა ტომეი: შემთხვევითი „ოსკარი“ არ არსებობს

„ჩემს ოჯახში ისეთი არავინ იყო, რომ მთელი ცხოვრება ხელოვნებისათვის მიეძღვნა. გადავწყვიტე, რომ პირველი მე ვყოფილიყავი“

მარისა ტომეი 1964 წლის 4 დეკემბერს დაიბადა. მისი ოჯახი მანჰეტენის ფეშენებელურ ბინაში ცხოვრობდა. მამა სასამართლოს ჩინოვნიკი იყო, დედა კი ინგლისური ენისა და ლიტერატურის პედაგოგი. მშობლები მთელ დღეებს სამსახურში ატარებდნენ და პატარა მარისა ბებიის ანაბარა იყო დარჩენილი. სწორედ ბებია რიტა იქცა მისთვის ყველაზე ახლობელ ადამიანად, რომელმაც მარისას სამსახიობო კარიერის ჩამოყალიბებაში უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშა.

პატარა მარისა არქეოლოგობაზე ოცნებობდა, მაგრამ ეს ოცნება უკვალოდ გაქრა, როდესაც თორმეტი წლისა ბროდვეის ერთ-ერთ წარმოდგენას დაესწრო. პატარა გოგონა დრამატულმა ხელოვნებამ ისე გაიტაცა, რომ ეს სფერო მისი ცხოვრების მთავარ ორიენტირად იქცა. მას შემდეგ სასკოლო წარმოდგენებში მონაწილეობის შანსს ხელიდან არასოდეს უშვებდა. სწავლისაგან თავისუფალ დროს კი მუდამ სხვადასხვა კინოსინჯსა და საზაფხულო ფესტივალებში მონაწილეობას ანდომებდა.

1982 წელს, როდესაც მარისამ სკოლა დაამთავრა, მის ანგარიშზე უკვე რამდენიმე სპექტაკლში ნათამაშები როლი იყო. 18 წლისამ მშობლიური ნიუ-იორკი დატოვა და სწავლა ბოსტონის უნივერსიტეტში განაგრძო. პირველი კურსის დახურვის შემდეგ სტუდენტური ცხოვრებისადმი ყოველგვარი ინტერესი დაკარგა და მომავალზე ოცნებას მისცა თავი. ამ ოცნებებში ის თავს მუდამ ცნობილ მსახიობად ხედავდა. მოვლენათა ამგვარი განვითარება მარისას მშობლებს არ მოსწონდათ: ისინი დაჟინებით მოითხოვდნენ, რომ მას სწავლა გაეგრძელებინა, მაგრამ გოგონას მფარველ ანგელოზად საყვარელი ბებია მოევლინა, რომელმაც მარისას კერძო აგენტი დაუქირავა. შედეგმაც არ დააყოვნა და სულ მალე ახალგაზრდა მსახიობს ხელთ ჰქონდა კონტრაქტი, რომლის წყალობითაც სერიალში „ვიდრე დედამიწა ბრუნავს“ ახალგაზრდა მაცდუნებლის როლი მიიღო. ნორჩმა დებიუტანტმა ამ სატელევიზიო სერიალს თავისი ცხოვრების წელიწად-ნახევარი მიუძღვნა.

აქედან მოყოლებული, მარისა ტომეის პროფესიული აღმასვლა დაიწყო. სწავლა საბოლოოდ დაივიწყა. ტელევიზიაში შექმნილმა საინტერესო სახემ მარისას გზა კინოშიც გაუკვალა. 1985 წელს მეთ დილანთან ერთად ითამაშა ფილმში „პაწია ფლამინგო“. კიდევ რამდენიმე ფილმში გადაღების შემდეგ მარისა არჩევანის წინაშე დადგა: მას ან თეატრი უნდა აერჩია, ან ტელევიზია. მალე საბოლოოდ დარწმუნდა, რომ მისი მომავალი კინოსთან იყო დაკავშირებული. ტომეი ეკრანს ფილმით – „ოსკარი“ დაუბრუნდა, სადაც მისი პარტნიორი სილვესტერ სტალონე იყო. ამას მოჰყვა ტრილერი „ზანდალი“ ნიკოლას კეიჯთან ერთად, ხოლო კომედიაში „ჩემი ბიძაშვილი ვინი“ განსახიერებული გმირისათვის ამერიკის კინოაკადემიის პრემია მიიღო, რის გამოც მის გარშემო სერიოზული სკანდალი აგორდა. მარისა ტომეიმ და მასზე ბევრად უფრო გამოცდილმა კონკურენტმა ვანესა რედგრეივმა ოქროს ქანდაკება ვერ გაიყვეს. ბევრი თვლიდა, რომ ახალგაზრდა ტომეი ნიჭით ვანესას ვერ შეედრებოდა და „ოსკარს“ არ იმსახურებდა. ჰოლივუდელი კოლეგებისა და პრესის ამგვარმა შეფასებამ ახალგაზრდა მსახიობს უდიდესი ტკივილი მიაყენა და მან უკან დაიხია. მიუხედავად ამისა, ოცნებაზე საბოლოოდ უარის თქმა და ჰოლივუდის სამუდამოდ მიტოვება მაინც ვერ შეძლო. თეატრის სცენაზე გატარებული რამდენიმე წლის შემდეგ, მარისა ტომეი მაინც კინოში ბრუნდება,



მაგრამ ამაოდ. 90-იანი წლების დასაწყისში იგი ერთ-ერთ ყველაზე ნიჭიერ დამწყებ მსახიობად ითვლებოდა, მაგრამ დიდ ეკრანზე ხელმეორედ დაბრუნების შემდეგ მარისამ თავისი რეპუტაციის აღდგენა ვერ შეძლო. წარუმატებლობას წარუმატებლობა მოსდევდა, მისი ფილმები ყველასათვის შეუმჩნეველი რჩებოდა, მაგრამ მსახიობი ჯიუტად აგრძელებდა თამაშს და მომავალს იმედით შეჰყურებდა. ამ მძიმე პერიოდის ფილმებიდან მაინც გამოირჩევა ბიოგრაფიული სურათი – „ჩაპლინი", სასიყვარულო დრამა – „დაუმორჩილებელი გული", მელოდრამები – „მხოლოდ შენ" და „პერესების ოჯახი". მარისა ტომეის წარმატება ვერც ისეთ გახმაურებულ პროექტებში მონაწილეობამ ვერ მოუტანა, როგორებიც იყო „ოთხი ოთახი", „დამური ამბორი" და „ბედნიერი მოულოდნელობანი". ჩავარდნების ხანგრძლივი სერია 2000 წელს დასრულდა, როდესაც მსახიობმა ფილმში – „დამკვირვებელი" დოქტორი ბეილმანის საინტერესო სახე განასახიერა. ეს წარმატება კიდევ უფრო განმტკიცდა ფილმებით, „რა სურთ ქალებს" (2000) „ვიღაც, შენსავით" (2001). ამავე წელს გამოვიდა დრამა „საძინებელში" ამ ფილმში მარისამ მარტოხელა დედა განასახიერა. ამ როლით მარისა ტომეის მსახიობური შესაძლებლობანი სრულად წარმოჩინდა. კინოსურათი „ახალი ინგლისელების" შესახებ მოგვითხრობს, რომელთაც მოულოდნელად თავს უბედურება დაატყდათ, ნაღვლითა და ტრაგედიით დამძიმებული მოწიფული ადამიანები თავის ჭეშმარიტ სახეს ავლენენ. სურათმა მარისას „ოსკარის" მეორე ნომინაცია მოუტანა, მან დაამტკიცა, რომ არც პირველი „ოსკარი" იყო შემთხვევითი.

მისი ბოლო ნამუშევრებია: „გურუ" ჰიტერ გრეჰემთან ერთად, „უბრალო ამბორი" რონ ელდარსთან ერთად, ფილმი „ელფები", სადაც მარისა ტომეის პარტნიორობას ჯუდ ლოუ უწევს და კევინ ბეიკონის რომანტიული სურათი Loverzboy.

1999 წელს მარისამ მსახიობი დანა ეშბრუკი გაიცნო. ისინი რამდენიმე წლის მანძილზე ერთად ცხოვრობდნენ, არავინ იცის, რა ურთიერთობა აკავშირებთ მათ დღეს, მაგრამ ფაქტია, რომ მარისას ხშირად ხედავენ ცნობილ სცენარისტთან ფრენ პუგლიზთან ერთად. მისი პირადი ცხოვრების სხვა დეტალები საზოგადოებისა და პრესისათვის სრულიად უცნობია, ინტიმური წვრილმანებიდან ჟურნალისტებისათვის მხოლოდ ის ფაქტია ცნობილი, რომ მსახიობს მარჯვენა ფეხის ტერფს ეგვიპტური სიმბოლო, ღმერთი რას თვალის გამოსახულების სვირინგი უმშვენებს, რომელსაც, გადმოცემის მიხედვით წარმატება მოაქვს.

მსახიობს პირად ცხოვრებაზე საუბარი არ უყვარს. მაგრამ მის შემოქმედებასთან დაკავშირებულ შეკითხვებს ზოგჯერ მაინც პასუხობს.

— მარისა, შენი კარიერა ოდნავ სტეროტიპული ხომ არ გეჩვენება?

— დიახ, ხშირად მსგავს როლებს ვთამაშობ. ასე უფრო იოლია, მაგრამ მეორე მხრივ რაღაცნაირ კონვეიერს წააგავს. ამ დონეზე დარჩენა შეუძლებელია. წინ უნდა წავიდე, რაღაც ახლის შექმნა მსურს. სწორედ ამიტომ ჩემი საყვარელი ფილმებია – „პერესების ოჯახი" და „საძინებელში". ეს სურათები ძლიერ განსხვავდება იმისგან, რასაც ჩვეულებრივ ვთამაშობ ხოლმე. ძველი ამპლუისაგან ჩემი უკანასკნელი როლებიც გამოირჩევა. ასე რომ გამიმართლა, რადგან ერთ ადგილზე არ გავიყინე.

— კომედიასა და დრამას შორის ბალანსირებას მუდამ ახერხებ, როგორ აკეთებ ამას?

— ეს ჩემთვის შესანიშნავი სტიმულია. ეკრანზე მუდამ ერთი და იმავე გრძნობების თამაში არ შემიძლია. ჟანრის ცვლა ძალებს მმატებს და შემდეგ უკვე განვლილს განახლებული ძალით ვუბრუნდები. დრამა და კომედია ერთი შეხედვით ძალზე განსხვავდება, მაგრამ მათდამი მიდგომა ერთნაირია – ნებისმიერ ემოციას წრფელი გამომსახველი საშუალებები ესაჭიროება. განსხვავებული მხოლოდ სიტუაციის აგების სტილისტიკა და რიტმია.

— სამსახიობო ხელოვნება ვინ შეგაყვარა?

— ბავშვობაში თეატრში მშობლებს ხშირად დავყავდი. თავიდანვე თეატრალურ ატმოსფეროში ვიზრდებოდი. ჩემი ძმა თეატრალურ სტუდიაში სწავლობდა და მას მეც მივბაძე, შემდეგ კი ყველაფერი თავისთავად მოხდა. ხელოვნება ყოველთვის მიტაცებდა. მიუხედავად სიყვარულისა, ჩემს ოჯახში ისეთი არავინ იყო, რომ მთელი ცხოვრება ხელოვნებისთვის მიეძღვნა. გადავწყვიტე, რომ პირველი მე ვყოფილიყავი.

■



მელ გიბსონმა კუნძული შეიძინა

მელ გიბსონმა ფილმით – „ქრისტეს ვნებანი“ იმდენი ფული იშოვა, რომ ფიჯის რაიონში მდებარე, მაგოს მოზრდილი კუნძულის ყიდვა გადაწყვიტა.

ქრისტეს მიწიერი ცხოვრების უკანასკნელი საათების შესახებ გადაღებული სურათი, „ოქროს გლობუსის“ ნომინაციებს შორისაც ვერ მოხვდა, რამაც მსახიობს გული დასწყვიტა, მაგრამ ფილმის ჩვენების უფლებისა და DVD და ვიდეოკასეტების გაყიდვით შემოსული უზარმაზარი თანხით კი ნამდვილად შეუძლია, რომ ინუგეშოს თავი.

გასაკვირი არაა, რომ მან სასტუმროების ქსელის მფლობელ იაპონურ ფირმას წყნარი ოკეანის ამ პატარა კუნძულში 15 მლნ დოლარი იოლად გადაუხადა. ამ შენაძენით გიბსონმა ჯონი დეპის „რეკორდი“ მოხსნა, რომელმაც წელს კარიბის ზღვის ერთ-ერთ პატარა კუნძულში 3 მლნ დოლარი გადაიხადა. ■

ქვედა საცვალი – მერაია ქერის საჩუქარი მსუქნებს

ავსტრალიელი კოლეგის, კაილი მინოუგის მაგალითით შთაგონებულმა მერაია ქერიმ ქალის ქვედა საცვლების მოდური კოლექციის შექმნა გადაწყვიტა. ავსტრალიელმა „ცეროდენამ“ თავის კოლექციას Love kylie დაარქვა. მერაიას ახალ სერიას კი Kiss kiss ეწოდება. ამ კოლექციის გაყიდვა 2005 წელს დაიწყება. „მერაია ქალის სექსუალური ქვედა საცვლების კოლექციის გამოშვებას აპირებს, მაგრამ ეს მხოლოდ ახალი ალბომის ჩაწერის შემდეგ მოხდება. ეს კოლექცია ნებისმიერი წონისა და ფორმის ქალს დააკმაყოფილებს“ – განაცხადა მომღერლის ერთ-ერთმა მეგობარმა. ■

კელი ოსბორნის ახალი ხაზი

კელი ოსბორნი მაყურებლის სამსჯავროზე ტანსაცმლის ახალი ხაზის

გამოტანას აპირებს. ამ მიზნით, მომღერალმა უკვე ახალი სადიზაინერო კომპანია – Stiletto Killers დააარსა.

მულტფილმების გმირებითა და წარწერებით – I`m Not With Stupid Anymore („სულელი უკვე აღარა ვარ“) და Just Break Up With Me („უბრალოდ დამშორდი“) – დამშვენებული სპორტული შარვლებისა და მაისურების, კაპიუშონიანი ტოპებისა და სხვა ტანსაცმლის შემენა ამერიკულ მაღაზიების ქსელში – Hot Topic იქნება შესაძლებელი. 2005 წლისთვის კელი ოსბორნი თავის მოდელებს ევროპაშიც წარადგენს. ■

ჯეი ლო „საპნის ოპერის“ პროდიუსერია

მსახიობმა და მომღერალმა ჯენიფერ ლოპესმა ტელეპროდიუსერობას მიჰყო ხელი. ცნობილი ვარსკვლავი „საპნის ოპერის“ გადაღებას აპირებს. ფილმის მოქმედება ჯეი ლოს უსაყვარლეს ადგილებში – მაიამის სამხრეთ პლაჟზე განვითარდება.

თავად მსახიობი ფილმში თამაშს არ აპირებს. ის მხოლოდ აღმასრულებელი პროდიუსერი იქნება. სერიალს ამერიკული ტელეარხი UPN გადაიღებს. ტელებიზნესთან შეხება ჯენიფერ ლოპესს ადრეც ჰქონია. ამერიკული ტელევიზიის ერთ-ერთმა არხმა კომედიური სერიალი უჩვენა, რომელშიც ჯენიფერის დიდებისაკენ მიმავალი ეკლიანი გზა იყო ნაჩვენები. ■

ჰოლიუდელი მორფმოქმედი

კინომსახიობი ნიკ ნოლტი ლოთობითა და ხულიგნური საქციელითაც არის ცნობილი. 2 წლის წინ არაფხიზელ მდგომარეობაში მანქანის მართვისთვის იძულებითი სამუშაოც კი მიუსაჯეს. ახლა კი, როგორც ამერიკული პრესა იუწყება, 15 წლის გოგონას მშობლებმა მასზე საჩივარი შეიტანეს: ისინი სექსუალური ძალადობით მიყენებული ზარალის ანაზღაურებას მოითხოვენ. მსახიობი თავის სახლში ხშირად მართავს მხიარულ თავყრილობას. ამ წვეულებაზე, როგორც წესი, უხვადაა სასმელი და ნარკოტიკი. სწორედ ერთ-ერთ ასეთ საღამოზე, ნიკ ნოლტს ნარკოტიკებით გაბრუებულ გოგონასთან სქესობრივი კავშირი დაუმყარებია. ჯერ კიდევ საკითხავია, შეიძლება თუ არა, ამას გაუპატიურება ეწოდოს, მაგრამ თუ ეს ასე მოხდება, 63 წლის მსახიობს დიდი უსიამოვნებები ელის. ■

კალიფორნიის გუბერნატორი კინოში მრუნდემა



არნოლდ შვარცენეგერს პოლიტიკურ ასპარეზზე პაუზის გაკეთება სურს, რათა დროებით ჰოლივუდს დაუბრუნდეს. ყოფილი „მისტერ სამყარო“ აცხადებს, რომ კომედიაში – „ბიჭუნა და მე“ თამაშს აპირებს. ფილმის ავტორი და პროდიუსერი მისი მეგობარი ტომ არნოლდი იქნება. შვარცენეგერის გმირი, სახელგანთქმული მსახიობი, ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბიჭუნასთან მეგობრობს, რომელიც ბოევიკში მონაწილეობაზე ოცნებობს. ამ სურათში ლინდა ჰემილტონიც ითამაშებს, რომელიც ფილმებში – „ტერმინატორი“, „ტერმინატორი-2“ და „განკითხვის დღე“ შვარცენეგერის პარტნიორი იყო.

არნოლდ შვარცენეგერის ბოლო სურათი – „80 დღე დედამიწის გარშემო“ კინოგაქირავებაში ჩავარდა, მაგრამ კალიფორნიის გუბერნატორი იხტიბარს არ იტეხს. გამორიცხული არ არის, რომ მან „ტერმინატორის“ მეოთხე ფილმშიც მიიღოს მონაწილეობა. ამ სურათის ავტორებმა მესამე „ტერმინატორის“ რეჟისორთან ჯონათან მოსტოვთან მოლაპარაკება უკვე გამართეს. ახალი ფილმის სცენარზე ჯონ ბრანკატო და მაიკლ ფერისი მუშაობენ. სურათს კომპანია Intermedia დააფინანსებს. ამ კომპანიის პრესმდივნის განცხადებით, იგი „არნოლდს და მის ხალხს“ უკვე ესაუბრა. შვარცენეგერის მრჩეველმა კი აღნიშნა, რომ თუკი გუბერნატორი გადასაღებ მოედანს დაუბრუნდება, ის მხოლოდ ეპიზოდურ როლებს ითამაშებს.

„ტერმინატორის“ სერიალი კინოს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული პროექტია. „ტერმინატორი-2“-ისა და „განკითხვის დღის“ შემოსავალმა 500 მლნ დოლარს მიაღწია, „ტერმინატორი-3“-ისა და „მანქანების აჯანყების“ შემოსავალი კი 427 მლნ დოლარი იყო. არნოლდ შვარცენეგერმა კალიფორნიის გუბერნატორად არჩევისას განაცხადა, რომ სამსახიობო კარიერას დროებით წყვეტდა, მაგრამ თავის ინტერვიუებში, კინოში დაბრუნების შესაძლებლობას არასოდეს უარყოფდა. ■

U2 როკ–ენ–როლის დიდების დარბაზში შედის

სახელგანთქმულმა ირლანდიურმა როკჯგუფმა U2, რომელიც 20 წლის მანძილზე, მუსიკალური კრიტიკოსებისა და მსმენელთა სიყვარულითა და აღიარებით სარგებლობდა, თავის კარიერაში კიდევ ერთ წარმატებას მიაღწია: 2005 წელს, ჯგუფი როკ-ენ-როლის დიდების დარბაზში შევა. U2-თან ერთად ეს პატივი ჩიკაგოელ ბლუზმენს ბადი გაის, სოულის მომღერალს პერსი სლეჯს, ჯგუფებს – Pretenders-სა და O'Jays-ს ერგო. დაჯილდოების საზეიმო ცერემონია ნიუიორკში, 14 მარტს ჩატარდება. პრეტენდენტებს შორის იყვნენ Sex Pistols, Stooges, პატი სმიტი და სხვები, მაგრამ მათ კენჭისყრის პროცედურა ვერ გადალახეს. როკ-ენ-როლის დიდების დარბაზის ბაზა ოჰაიოს შტატის ქალაქ კლივლენდში მდებარეობს. ■

ელვის პრესლის ქალიშვილმა მამის მთელი ქონება გაყიდა

ლიზა მარი პრესლიმ მამის ქონების უდიდესი ნაწილი გაყიდა, მათ შორის – როკ-ენ-როლის მეფის სახელის გამოყენების უფლება, ფოტოსურათები, მუსიკალური კატალოგები და პირადი ნივთები. გარიგების ფასმა 100 მლნ დოლარი შეადგინა. კომპანია Elvis Presley Enterprises Inc-მა განაცხადა, რომ მისი აქტივების 85% კომპანია SFX Entertainment-ის დამფუძნებელმა, ცნობილმა ბიზნესმენმა რობერტ სილერმანმა შეიძინა. 2003 წელს, ელვის პრესლის ქონება 45 მილიონად იყო შეფასებული. სილერმანი ირწმუნება, რომ უფრო აგრესიული მარკეტინგის მეშვეობით, პრესლის სახელს უკეთესად აამუშავებს. ბიზნესმენმა აღნიშნა, რომ ელვის პრესლის საკმაოდ დიდი ადგილი უკავია ამერიკულ კულტურაში და უახლოეს წლებში მისდამი ინტერესი არ განელდება.

აღსანიშნავია, რომ აწ განსვენებულ ცნობილ ადამიანთა სიაში პრესლი ისევ პირველ ადგილს იკავებს. ჟურნალი Forbes ყოველწლიურად აქვეყნებს გარდაცვლილ გამოჩენილ ადამიანთა შემოსავლების რეიტინგს. ამ სიას 40 მლნ დოლარის შემოსავლით კვლავ ელვის პრესლი უდგას სათავეში. მართალია, 42 წლის ასაკში დაღუპული მომღერლის გარდაცვალებიდან 27 წელი გავიდა, მაგრამ იგი ფულს მაინც „შოულობს“. მოსალოდნელია, რომ პრესლის ბრენდის შემოსავალი კიდევ უფრო გაიზრდება, მაშინ, როდესაც საფირმო ტანსაცმლის ახალი ხაზი ამუშავდება – და პრესლის ცხოვრებისადმი მიძღვნილი ბროდვეული მიუზიკლი გამოვა.

ლიზა მარი პრესლი როკ-ენ-როლის მეფის ერთადერთი შვილი და ამდენად, მთელი ქონების ერთადერთი მემკვიდრეა. მან მართალია, თითქმის მთელი ქონება გაყიდა, მაგრამ გრეისლენდის ცნობილი სახლი, სადაც 1977 წელს, ელვის პრესლი გარდაიცვალა, ლიზა მარიმ თავისთვის დაიტოვა. მომღერლის მამული კი, სადაც ყოველწლიურად 650 ათასი ტურისტი ჩადის, სილერმანის განკარგულებაში გადადის. კომპანია Elvis Presley Enterprises, მომღერლის ქვრივმა პრისცილა პრესლიმ 1980 წელს დააარსა. სილერმანმა კომპანია SFX Entertainment 1977 წელს შექმნა და მას 2000 წლამდე მართავდა. შემდეგ კი იგი Clear Channel Communications-მა შეიძინა. ■

ლუბა ელიათვილი

ძვირფასი მკვლელი ჯა ჩიპოლინო

(დასაწყისი იხ. „გზა“ 52,53)

ჟურნალ „რეიტინგის“ ჟურნალისტი მარიანა ნიორაძე, მეტსახელად ნიორა, სარედაქციო დავალების შესრულებისას, „დინამოს“ სტადიონზე, ცნობილი ბიზნესმენისა და მეცენატის მოსე კრიხელის მკვლელობის ერთადერთი მოწმე და მისი უკანასკნელი სიტყვების გამგონე ხდება. ამ დღიდან იწყება მისი ფათერაკებიანი თავგადასავალი: იმ საღამოსვე, ჟურნალისტს ვიღაც ტელეფონით დაურეკავს, რაღაც კასეტების დაბრუნებას მოსთხოვს და დაემუქრება — ტელეფონის „შნურზე“ ჩამოგკიდებო... ამასობაში, როგორც გახმაურებული დანაშაულის ერთადერთი თვითმხილველი, ის საყოველთაო ყურადღების ცენტრში მოექცევა და მიღებული მუქარის მიუხედავად, მეორე დღეს, რედაქციაში, როგორც ნამდვილ გმირს შეეფერება, სახეგაბრწყინებული გამოცხადდება...

სამსახურში მისვლისთანავე, რედაქტორი გამოიძახებს და 2 გამომძიებელს გააცნობს. მათი თხოვნით, მარიანა ჩვენებას დაწერს. ცოტა ხანში, შეფი შესთავაზებს — თუ დაღლილი ხარ, შეგიძლია, დღეს შინ წახვიდეო, რასაც ნიორა სიამოვნებით დათანხმდება და უმალ სტადიონისკენ გაეშურება: მას გაახსენდება მომაკვდავი ბიზნესმენის სიტყვები: მანდ არის, მესამე კაბინაში, ღვთის მადლით, მოვასწარი შენახვაო. სტადიონის ტუალეტში, წყლის ავზში ის მართლაც, იპოვის კონვერტს... იქიდან გამოსვლის შემდეგ, ავეჯის ბაზრობაზე ნიორას მოეჩვენება, რომ ნაცრისფერლაბადიანი საეჭვო კაცის სილუეტს მოჰკრა თვალი. საღამოს კი, მას შინ ისევ დაურეკავს უცნობი და ჰკითხავს — გაგახსენდა, სად შეინახე კასეტებიო?..

„დამიბრუნე ჩემი ძვალი“ — გამახსენდა ჩემი ბავშვობის კოშმარი. როდესაც 6 წლის ვიყავი, რომელიღაც უპასუხისმგებლო ნათესავმა საბჭოთა სტამბაში დაბეჭდილი საბავშვო კომიქსების წიგნი მაჩუქა. კომიქსები იმ პერიოდში ისეთი იშვიათობა იყო, რომ წიგნმა ძალიან დამაინტერესა. დღესაც არ ვიცი, როგორ გამოეპარა წიგნი დედაჩემის მახვილ თვალს. მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელო, გეტყვით, რომ ნახატების ქვეშ, თითო ფრაზით, საწყალი კაცის ისტორია იყო მოყოლილი, რომელიც ერთხელ სახლში მიდიოდა და გზაზე ძვალი იპოვა. საწყალ კაცს ძალიან გაუხარდა. ძვალს ხელი დასტაცა და სახლისაკენ გაქუსლა.

„დამიბრუნე ჩემი ძვალი!“ — მოესმა უეცრად. იგი არ შეშინდა და ძვლისგან წვნიანის მოხარშვა დააპირა. „დამიბრუნე ჩემი ძვალი!“ — გაიგონა კვლავ. საწყალმა კაცმა წვნიანი ვეღარ მოხარშა, ძვალი მაგიდაზე დატოვა, თავზე ჩაჩი დაიხურა და დასაძინებლად დაწვა. „დამიბრუნე ჩემი ძვალი!“ — ჩაესმა ძილში, მეხივით მგრგვინავი ხმა. საწყალი კაცი საწოლიდან წამოხტა, ძვალს ხელი დასტაცა, გზაზე გაიქცა და იმ ადგილას დადო, სადაც იპოვა... მოკლედ, დედაჩემის ცენზურის გვერდის ავლით, ასეთი სულელური წიგნი წავიკითხე. სურათებიც საშინელი იყო. განსაკუთრებით, ის საწყალი კაცი, შიშისაგან გადიდებული თვალებით და ყალყზე დამდგარი თმით, ძვალს რომ მიარბენინებს უკან. არ ვიცი, რა მორალი ჰქონდა ამ „შედევრს“, მაგრამ ალბათ, მის გამომცემელს გულუბრყვილოდ ეგონა, რომ ამ ამბის წაკითხვის შემდეგ, ბავშვები სხვის ნივთებს აღარ მიისაკუთრებდნენ. კაცმა არ იცის, შესაძლოა, მიაღწია კიდეც მიზანს. რაც შემეხება მე, ნაპოვნი ძვლის ამბავი ხშირად მესიზმრებოდა და სწორედ იმ კომიქსის გმირის გამომეტყველებით ვიღვიძებდი გულგახეთქილი. ახლაც, ეს ფრაზა გამახსენდა, რაც იმას ნიშნავს, რომ სატელეფონო ხულიგანმა მიზანს მიაღწია — ხასიათი გამიფუჭა და გულში შიში ჩამისახა. იხტიბარი არ გავიტეხე. ხავერდოვანი ბარიტონის პატრონთან შეხვედრა საინტერესო საღამოს მპირდება და ვიღაც სულელს უფლებას არ მივცემ, ეს საღამო გამიფუჭოს. მოკლედ, სუნამოც დავიპკურე და სახლიდან ამაყად თავაწეული გამოვედი.

მივდივარ და მაღალქუსლიან, კრემისფერ „სალვატორე ფერიჯამოს“ ფეხსაცმელს მივაბაკუნებ. ჩანთაც კრემისფერი მაქვს, არაფრით დავიწუნები. მარჯანიშვილის მოედანზე ჩამოვბაკუნდი. „მაკდონალდსთან“ გაჩერებულ ტაქსიში ჩავხტი.

— ვაჟა-ფშაველას დასაწყისში, „შტუტგარტთან“, — ვუთხარი მძღოლს. მაღაზია „დიადემას“ ჩავუარეთ. ერთი სული მაქვს, ისეთ დროს მოვხვდე მოედანზე, რომ ამ მაღაზიაშიც შევიარო. ორი კვირის წინ აქ ძალიან ლამაზი მარგალიტისთვლიანი ბეჭედი ვნახე. მალე დედაჩემის დაბადების დღე მოდის და თუ მამაჩემს ეჟვანს შევაბამ, იქნებ, ერთად ვუყიდოთ. ბეჭედს ოქროს დელფინის ფორმა აქვს, რომელსაც კუდი პირთან აქვს მიტანილი, პირით კი, მარგალიტი უჭირავს. ჩემი მშობლები გაყრილები არიან, მაგრამ კარგ ურთიერთობას ინარჩუნებენ. მამაჩემის ამჟამინდელი მდგომარეობიდან გამომდინარე, მას დედასთვის ათასლარიანი საჩუქრის გაკეთება არ უნდა გაუჭირდეს. აქ ერთი დელიკატური მომენტია: როგორ აღიქვამენ ბეჭდის ჩუქების ფაქტს დედაჩემის ახალი ქმარი თორნიკე და მამაჩემის ახალი ცოლი ანანო. ჩემს მამინაცვალს რაც შეეხება, კიდევ არაფერი, მისი შემოქმედებითი ბუნებისათვის ამგვარ პირობითობებს მნიშვნელობა არა აქვს. აი, ანანო კი, დიდ ყურადღებას აქცევს ამგვარ ფორმალობებს და ბეჭდის ჩუქებას აუცილებლად გააპროტესტებს. თვითონ ამაყად ატარებს „ცოლქმრობის ატრიბუტს“ — მამის ნაჩუქარ ბრილიანტისთვლიან ბეჭედს... ღმერთო ჩემო, ბეჭედი — აი, რა მეხამუშა ტელეეკრანზე: მოკლულს ხელზე მარტო საათი ეკეთა, ბეჭედი კი აღარსად იყო. იქნებ, გამოძიებამ წინასწარ მოხსნა სამკაული, რომ არ დაკარგულიყო და კამერები მერე შეუშვა ცხედრის გადასაღებად?.. მაგრამ მაშინ, საათი რატომ დაუტოვეს?.. სად წავიდა კობრისთავიანი ბეჭედი?..

ის გამომძიებელი ტყუილად არ მაეჭვებს, თანაც, მეორე, ცივსისხლიანიც ცუდად მიყურებდა. ახლა შეიძლება, თავიდანაც მომიშორონ, როგორც არასა-

სურველი მოწმე. სიუჟეტში ისიც ითქვა, რომ კრიხელს, ნათესავების მოთხოვნით, კრემაციას თბილისში ჩაუტარებენ, ამერიკაში კი, მის ნეშტს ურნით გაგზავნიან. ურნაზე ცოტა უფრო დიდ ადგილს მისი დიპლომატი დაიკავებს. ნეტავ, თუ მიხვდებიან მისი ახლობლები, რომ ბეჭედი აღარ დაუბრუნდათ?..

— აგერ, „შტუტგარტთან“ მოვედით, — მეუბნება მძღოლი. მიყვარს „პრეგოს“ შინაურული ატმოსფერო. ჩემი მხრიდან დიდი სისულელე იყო, უცხო ადამიანისთვის ამ პიცერიაში შეხვედრის დათქმა. ჟურნალისტები აქ ხშირად „ტუსოვკობენ“. ვაი და, ჩემი ნაცნობი, სამარცხვინო აღმოჩნდეს? ხომ დავრჩები ასე, მწვანე კოსტიუმში გამოწყობილი, საქვეყნოდ თავმოჭრილი!.. მინის კარი შევაღე და დარბაზი მოვათვალიერე. პიცის საცხობიდან მეორე, ჩემს საყვარელ მაგიდასთან, ახალგაზრდა, მოკ-

ლედ თმაშეკრეჭილი, სიმპათიური მამაკაცი ზის. დამინახა თუ არა, წამოდგა და სკამი გამოსწია. ისე გამიღიმა, მაშინვე მივხვდი, სანდრო თოფურიძე უნდა იყოს. ჩემი ამ საღამოს თანამგზავრის შესახედაობით კმაყოფილი, ხალისიანად გავემართე მაგიდისკენ.

— დაბრძანდით, მარიანა, — მითხრა და ფეხზე წამოდგა, როგორც კი მივუახლოვდი.

ჩვენს წრეში ზრდილობიანი მამაკაცი იშვიათობაა, — გავიფიქრე და სკამს მოვერგე.

— თუ შეიძლება, მაკო დამიძახეთ, მე ხომ არ გეძახით ალექსანდრეს!

— დიდი სიამოვნებით, — მიღიმის სანდრო და მენიუს მაწვდის.

— არ მშია, მხოლოდ წყალს დავლევ, — ვიპრანჭები და მენიუს არ ვართმევ.

— თუ გნებავთ, მე გეტყვით, რის შეკვეთას ვაპირებ და რაც არ მოგეწონებათ, თავი გამიქნიეთ. „პიცა“ ოთხი ყველით, „რავიოლი“, ყველით და სოკოთი, მანამდე კი, „თინუსის“ სალათა „პრიმავერა“ და „კალიფორნია“. დესერტზე მერე ვიფიქროთ.

— კიდევ ვინმეს ველოდებით? — ვკითხულობ და არ ვიმჩნევ, რომ ჩემი მსუბუქი წონა უმადობის შედეგი სულაც არ არის — უფრო, ჯიშის ბრალია: გვარში ზედმეტ წონას არავინ შეუწუხებია, ჭამა კი ყველას გვიყვარს.

— ნუ გეშინიათ, თუ რაიმეს ვერ მოერევით, მე დაგეხმარებით. სამუშაო დღის ბოლოს, მადას არ ვუჩივი, — მიღიმის სანდრო და ოფიციანტს შეკვეთას აძლევს. ასე, 35 წლამდე იქნება. იმ ტიპის მამაკაცებს მიეკუთვნება, რომლებსაც ასაკი მაინცდამაინც არ ეტყობათ. წაბლისფერი თმა აქვს და ნაცრისფერი თვალები. ალბათ, ამინდის მიხედვით, თვალის ფერიც ეცვლება.

— ხომ არ შეგეზიზღებით, ნივრიანი ლოკოკინაც რომ შევუკვეთო?

— სულაც არა, ცოტას მეც შეგეცილებით მაგ დელიკატესში, — ვაგრძელებ მარიაჟობას და მსიამოვნებს, რომ ჩემნაირი გემოვნება აქვს.

— ხომ არ შეგიშლით, მაგიდაზე დიქტოფონი რომ დავდო და ინტერვიუც ჩავწერო? — მეკითხება სანდრო.

— რას დალევთ? — თავზე წამოგვადგა ოფიციანტი.

— ლიმონიან წყალს, — ვამბობ მე.

— ორ ლიმონიან წყალს, — ამატებს ჩემი ახალი ნაცნობი და მეკითხება:

— როგორ მოხვდით იმ დღეს სტადიონზე?

ჰოდა, მეც დავიწყე. სანამ სალათებს შევექცეოდი, ჩემი ფოტოგრაფობის, მტრედებისა და ბუკლეს პიჯაკის ამბავი მოვყევი. პიცის ორი ნაჭერი მომაკვდავთან ურთიერთობის მძიმე სცენებს „დაემთხვა“ და ყელში სიმწრით გადამდიოდა. რესპონდენტის როლი არცთუ ისე უინტერესო აღმოჩნდა.

— შეგიძლია სიტყვასიტყვით გაიხსენო, რა გითხრა კრიხელმა სიკვდილის წინ? — მკითხა უეცრად სანდრომ, რომელიც ამ დროს, ლუკმას აჭრიდა პიცას. დანა აუცდა და თეფშზე უსიამოვნოდ გაიღრჭიალა. ამ ხმამ უცებ გამომაფხიზლა. ბავშვობიდან მეზიზღება მინაზე ლითონის ღრჭიალის ხმა. გავჩუმდი. ისეთი გამომეტყველება მივიღე, თითქოს ვიხსენებ, თან გამალებული ვფიქრობ, გამომძიებელს ყველაფერი ალალად მოვუყევი და უეცრად, ბეჭედი გაქრა. ახლა კიდევ, ამ უცხო კაცს აინტერესებს... ზედმეტი გულწრფელობა დამღუპავს.

— მითხრა, აუზზე მანოლის გადაეცი, „იმან“ მომკლაო. ახლაც არ მესმის, ან რომელ აუზზეა ლაპარაკი, ან მანოლი ვინ არის. — ვთქვი და თვალი თვალში გავუყარე.

— მეტი არაფერი უთქვამს?

— არა, — პირველ ჩვენებას ვაწვები მე და ჩანთის პატარა ჯიბეში შენახული გასაღები მახსენდება. — სულ ეს იყო ჩემი სევდიანი თავგადასავალი.

— სურათები სად წაიღე? იქნებ, სურათები მაინც მომცე და ცოტა საინტერესოს გავხდი სტატიას.

— სურათები რედაქციაშია, უფრო სწორად — გამომძიებელთან. ნეგატივიც კი არ დამიტოვეს, — შევჩივლე გულწრფელად. — დილით იყვნენ რედაქციაში და შენ რომ ახლა „ჩვენებას გაძლევ“, მანამდე იმათ მოვუყევი ეს ყველაფერი, — ფამილიარულ ტონზე გადავედი მეც.

— გამომძიებელი ვინ არის? — მკითხა და მაგიდაზე დადებულ ხელზე ხელი დამაფარა. „დონჟუანების ცნობილი ჟესტია“, — გავიფიქრე, მაგრამ ხელის გამოცლის სათანადო მიზეზი ვერ ვიპოვე და ვზივარ ასე შტერივით. ამ დროს, ცხელი ლოკოკინაც მოგვიტანეს და ხელიც გავითავისუფლე.

გულმოდგინედ ჩავარჭვე ხის წკირი ნივრით შეზავებულ რბილ სხეულში, თან ვცდილობ, ცხიმი არ დავღვარო. ჩემი კავალერიც საქმითაა გართული.

— დრო თუ გაქვს, შეგვიძლია, ისეთ ადგილას წავიდეთ, კარგი ყავის დასალევად, სადაც ცეკვაც შეიძლება, — ისევ მიღიმის სანდრო და მზრუნველად მიღებს თეფშზე „რავიოლის“. იტალიური პელმენია, ძალიან თხელი და სიფრიფანა,

შიგნით ისპანახია, გარედან – ან სოკოს სოუსი აქვს მოსხმული, ან გახეხილი ყველი. სანდრომ სოკოიანი გადმომიღო, მე ყველიანი დავამატე და რიგრიგობით შევექცევი ნელ-ნელა.

– იცი, უკვე გვიანია, სადაცაა, 10 გახდება. დილით ადრე უნდა გავიღვიძო, – თავიდან ვიცილებ, საღამოს ცეკვაში გატარების პერსპექტივას და ცოტა გული მწყდება: სხვა სიტუაციაში რომ გამეცნო და ასეთი დაძაბული არ ვიყო, ცეკვა, მართალი გითხრათ, ძალიან მიყვარს და კარგადაც გამომდის. დილით კი, მართლაც, უთენია ვარ ასადგომი. პარიზის რეისს უნდა მივუსწრო, რომლითაც კრიხელის ნეშტს ამერიკის გზას გაუყენებენ. გამომძიებლების გაცილების შემდეგ, რედაქტორმა დამიბარა და მთხოვა, თემა ისევ მე განვაგრძო: ერთი-ორი ნათესავის ვერსიაც ჩავიწერო და სტატია მოვამზადო. ამას ჩემზე უკეთ, რა თქმა უნდა, ჩვენი „კრიმინალისტი“ გიორგი მანწკავა გააკეთებდა, მაგრამ „დიპლომატი“ მთავარი რედაქტორი მაშინვე მიხვდა, რომ ჩემი, როგორც თვითმხილველის ამბიციას შელახავდა, თუ თემას სხვას გადააბარებდა და ამ მიზეზით, ღამის, უფრო სწორად – დილის 5 საათზე აეროპორტში მომიწევს ყურყუტი...

– ეზოში ნუ შემომყვები, – ვემშვიდობები სანდროს, რომელმაც სახლში რატომღაც ტაქსით წამომიყვანა, თუმცა, კაფეში წაყვანას თავისი მანქანით მპირდებოდა. როდესაც მანქანიდან გადმოსულმა, კარი გალანტურად გამომიღო და ხელიც შემომაშველა, კიდევ ერთხელ ვინანე, რომ ნაპოვნი გასაღების ამბავი დავუმალე და საცეკვაოდ არ წავყევი.

– ჰო, მართლა, იქნებ, ეს ინფორმაცია გამოგადგეს: მკვლელობის შემდეგ, ვიღაც ტიპი მირეკავს და მემუქრება, რომ ჩამომახრჩობს, თუ რაღაც კასეტებს არ დავუბრუნებ.

– ვინ არის? – დამისვა სულელური შეკითხვა, აშკარად ჩემი გულახდილობით დაბნეულმა.

– ჩემი ვარაუდით, უსიამოვნო გარეგნობის, სახენაიარევი მამაკაცი უნდა იყოს, – მეტი იდუმალება შევიტანე ნათქვამში და უმწეო მზერა მივაპყარი. ძლიერ მამაკაცებს უყვართ, საფრთხეში ჩავარდნილი ქალების დაცვა. ვნახოთ, როგორ ჩააბარებს ამ ტესტს სანდრო...

– ეს სახენაიარევი საიდან გაჩნდა? – ყურები ცქვიტა სანდრომ. – თუ გინდა, ვიპოვი და ჭკუას ვასწავლი.

– ახლა ვერ გეტყვი, ვინაა, – გავინაზე მე. – თუ საჭირო გახდა, დახმარებას თვითონ გთხოვ.

– შენი ფანჯრები რომელია? – მკითხა სანდრომ.

– აი, ისინი, – თითით მიწიდან სანახევროდ ამოწეული ფანჯრები დავანახვე. – თუ სურვილი გაქვს, ღამე ჩემს ფანჯრებთან გაათიო ჩემს დასაცავად და სერენადები მიმღერო, მოგიწევს, მიწაზე დაჯდე და ორმოში ჩამომძახო, ასე რომ, არ გირჩევ.

– მაგ მხრივ რთულია. სამაგიეროდ, ყვავილების მორთმევაა ადვილი. მოდილიანი უყრიდა ანა ახმატოვას ფანჯრიდან ვარდებს...

ვერ ვხვდები, შეიძლება თუ არა, ეს ფრაზა რომანტიკული ურთიერთობის დასაწყისად ჩავთვალო და ამიტომ, თითის წვერებზე ვიწევი, ლოყაზე ვკოცნი და ბანალურად ვემშვიდობები:

– დიდი მადლობა სასიამოვნო საღამოსათვის.

– კარგად ვხვდები, ჩემს წინადადებას – შენს დასაცავად ღამე შენს სახლში გავათენო და იატაკზე დავიძინო შენს ფერხთით – უარით უპასუხებ.

– მართალი ხარ.

– ხომ შეიძლება, ისევ დაგირეკო მაინც?

თანხმობის ნიშნად, თავს ვუკრავ და ეზოში შევდივარ. შუშაბანდის გაღებამდე, მესმის ტელეფონის წკრიალი. დედაჩემი რეკავს. რომელიღაც მეექვსე გრძნობით ყოველთვის ვხვდები ამას. თუმცა, ამჯერად შევცდი. მამაკაცია. პირველი „ალო“-ს გაგონებაზე ვიფიქრე, სანდროს გაახსენდა, რომ თავისი კოორდინატები არ დამიტოვა და ამიტომ დარეკა-მეთქი, მაგრამ ირაკლი მაღრაძე აღმოჩნდა.

– სად ხარ, ნიორ? მობილურზეც გირეკავ და არ მპასუხობ.

ეტყობა, ჩანთაში ღრმად ჩავარდნილი ტელეფონის ხმა ვერ გავიგე.

– ინტერვიუს ვაძლევდი „პრეგოში“, „დილის ცნობარისთვის“.

– ვინ გელაპარაკა?

– სანდრო თოფურიძე.

– ეგეთი არ გამიგია, – მომიჭრა შეფმა. – ხომ ყოჩაღად ხარ? 4 საათისთვის, მანქანას გამოგიგზავნი, აეროპორტში წასასვლელად. ხომ არ გეშინია? – უეცრად ისეთი თბილი და შინაურული გახდა ჩემი მრისხანე შეფი, რომ ტირილი მომინდა.

– არ მეშინია. მაგრამ იმ საზიზღარმა ტიპმა ისევ დამირეკა. ამას გარდა, ერთი უცნაური რამ აღმოვაჩინე და უნდა გითხრათ. – მივახალე უცებ. – ტელევიზორში რომ შევხედე კრიხელს, კობრისთავიანი ბეჭედი აღარ ეკეთა. უცნაური, დიდი, კობრისთავიანი თვლიანი ბეჭედი.

– შეხედე, როგორი დაკვირვებული ყოფილხარ, – შემაქო შეფმა. – ჰოდა, აეროპორტში რომ წახვალ, იქაც ყურადღებით იყავი. თუ რამე საეჭვო შენიშნე, ჩემი ნომერი აკრიბე. მობილური სულ ჩართული მაქვს. ნომერი ხომ გახსოვს?

– მახსოვს, აბა რა, – ვუდასტურებ და გულთბილად ვემშვიდობებით ერთმანეთს.

კიდეც მახსოვს და შეფის ნომერი ტელეფონში პირველ ნომრადაც მაქვს ჩაწერილი. მართალია, დარეკვით იშვიათად ვრეკავ, მაგრამ როცა მენიუს ჩავუყვები, ყოველთვის მსიამოვნებს პირველი ნომრის გასწვრივ ლათინური ასოებით დაწერილი IRAKLIM -ს წაკითხვა. ჩვენი შეფი, მართალია, მკაცრია, მაგრამ სამაგიეროდ, ძალიან სამართლიანი, უაღრესად განათლებული და მშვენიერი იუმორის პატრონია. თან, ხუმრობა და ღმეჭა თვითმიზნად არა აქვს ქცეული, მაგრამ როცა ხუმრობს, მართლაც, ძალიან კარგად გამოსდის. იმასაც გეტყვით, რომ საქართველოსთვის ცოტა უცნაური სოციალური სტატუსი აქვს: მარტოხელა მამაა. 7 წლის ლუკა ჰყავს, რომლის დანიელი დედა, ბავშვის გაჩენიდან ორ წელიწადში, სამშობლოში გაიქცა, კარიერის გასაკეთებლად და საკუთარი ცხოვრების მოსაწყობად. ირაკლი კი, მას შემდეგ, ბავშვს მარტო ზრდის, რაც ჩვენი შინაბერა ქალებისა და ახალბედა ჟურნალისტი გოგონების ცრემლიან აღფრთოვანებას იწვევს. აი, ასეთი გამოჩენილი შეფი მყავს, რომელიც ჩემზე სულ 5 წლითაა უფროსი. თუ ამას იმ დეტალსაც დავამატებთ, რომ იგი მაღალი, ქერა და ცისფერთვალებაა, შეიძლება, გაგიკვირდეთ კიდეც, რატომ არ შემიყვარდა. მაგრამ ჯერ ერთი, ცისფერ თვალებს უხეშჩარჩოიანი სათვალე უფარავს, მეორეც – ასეთი „უგზო-უკვლოდ განათლებული“ მამაკაცები ყოველთვის ცოტას მძაბავენ. მესამე და მთავარი – ჩემი უშუალო უფროსი, მაგული ამირიძეც კი, მთელი რედაქციის გაუთხოვარი და ზოგიერთი გათხოვილი ქალის მსგავსად, მასზეა შეყვარებული, მე კი მათ კოლექტივში ასეთივე სტატუსით ყოფნა ცოტათი მეხამუშება...

ტელეფონმა ისევ დაიწკრიალა. ამჯერად, ნამდვილად დედაჩემია. მის ამოცნობას დიდი ინტუიცია არ სჭირდება, რადგან ჩემს მობილურზე დაფიქსირებული 15 უპასუხო ზარიდან 11 მისი აღმოჩნდა, ერთი – უცხო და ორი – ირაკლი მაღრაძის.

– სადა ხარ, მაკო?.. მთელი დღეა გეძებ!.. – ტრადიციული შესავალი ამჯერად, დედაჩემმა გამიმეორა. მოკლედ, ნამდვილი ძებნილი ვარ.

– „პრეგოში“ ვიყავი. რა მოგივიდა?

– სად გაქუსლე თავქუდმოგლეჯილ-

მა?.. გური გადაგირევია. შენი ონკანისთვის ნაწილები მოიტანა და შინ დაგიტოვა. ხვალ მოვა, ორისთვის. გასაღები ისევ იქ დაუტოვე. კატლეტები გაგიკეთე, მოდი და წაიღე. ხვალ კვირაა, ახალ ტყემალსაც გაგატან. საჭმელი ხომ უნდა გქონდეს სახლში! ამდენი ყავის სმით, კუჭს გაიხვრეტ. კიდევ, თბილი ქურთუკი ვნახე შენთვის, ჩემი სახლის ქვეშ, მაღაზიაში. იქაც შეიხედე, იქნებ, მოგეწონოს.

მე, იმის ნიშნად, რომ ყურადღებით ვუსმენ, დროდადრო ვეპასუხები და თან, კარს ვკეტავ. ტელეფონი საძინებელში გავიტანე. მობილური დასატენად შევაერთე და სარკმელი გამოვაღე. ფანჯარას ჩემი კატა, მარიანა მისდგომია. სეხნიები ვართ. მარიანა კნუტი რომ იყო, მაშინ მოვიშინაურე. ახლა მოზრდილი კატაა, მთელი დღე ქუჩაში დაძრწის, ღამით მოდის და ჩემს ფეხებთან იძინებს. მე ზრდილობისათვის „ბოლფოს“ ფხვნილს ვაყრი, რწყილების და ტკიპების მოსაშორებლად. ამას წინათ, ვეტერინართანაც მყავდა მიყვანილი, ცოფის აცრა გავუკეთე. ჩემი ეჭვი, რომ მარიანას სქესი შემეშალა, ვეტერინარმაც დაადასტურა. მეც სახელი გადავუკეთე და მირიანი დავარქვი, მაგრამ კატამ ახალი სახელი ვერ იგუა და ისევ მარიანას დაძახებაზე მეხმიანება. მარიანას ვეფხვივით ოქროსფერი ბეწვი და სხვადასხვა ფერის თვალები აქვს. ვცხოვრობთ ასე, მეგობრულად.

მაღვიძარა 4 საათზე დავაყენე და ლოგინში შევძვერი. ნეტავ, ხვალ ვინმე საეჭვოს თუ გადავეყრები, კრიხელის ურნის გადასვენებისას?.. საბანი წავიხურე და ძილს მივეცი თავი.

ბატონი შოთა გერმანული პუნქტუალობით გამოცხადდა დანიშნულების ადგილზე – ჩემი ფანჯრების წინ. გასაღებს სამალავში ვტოვებ გურისთვის, საუზმობას, რასაკვირველია, ვერ ვასწრებ. სახლიდან გავარდნისას, ვაშლს დავტაცე ხელი და მანქანაში შევხტი. ორი ცალი უნდა წამომეღო, – გავიფიქრე მაშინვე, როგორც კი ბატონ შოთას მივესალმე და მივხვდი, რომ ირა აბრამიშვილის გაზრდილი შვილი ნამდვილად ვერ მოვახერხებ უდარდელად ვახრამუნო ვაშლი, როცა მძღოლისთვის არ მაქვს. ვაშლს ჩანთაში ვტენი, თვალში ისევ ტუალეტში ნაპოვნი გასაღები მომხვდა. ნეტავ, ალი-ბაბას რომელ ჯადოსნურ გამოქვაბულს აღებს ჩემი გასაღები?.. უცებ რომ აღმოჩნდეს, აკურატულად ჩალაგებული, მწვანე დოლარებით გავსებული კეისი სადმე „კამერა ხრანენიაშია“, სიამოვნებით წარმოვიდგინე, როგორ შევდივარ აეროპორტის ბარგის შემნახველ განყოფილებაში, როგორ ვიღებ კეისს და ხელოვნური მარმარილოს იატაკზე საქმიანად მივბაკუნობ... ოცნებამ კარგ გუნებაზე დამაყენა. რას გავაკეთებ, ასეთი კეისი რომ ვიპოვო?.. „ვიყიდი კარგ მანქანას, ავიშენებ ფანტასტიკურ სახლს, გავემგზავრები ესპანეთში და ჯანდაბას ჩემი დიეტა!“ – დამიტრიალდა თავში სარეკლამო რგოლი. თუმცა, სტოპ! ფული ხომ სხვისია და თანაც, როგორც წესი, ასეთ, რბილი ტყავის კეისებს სისხლიანი კვალი მოჰყვება ხოლმე. და საერთოდ – არსებობს კი სადმე ასეთი კეისი?.. საინტერესოა, ფილმებისთვის ჩემოდანში ნამდვილ ფულს დებენ თუ სპეციალურად ამზადებენ ყალბ დოლარებს?.. გონებაში რომელიღაც ბოევიკის კადრი ამომიტივტივდა და მერე, საკუთარი თავიც დავინახე: ოცნების სახლში, ცისფრად დაფერილი აუზის შუაგულში, გასაბერ ლეიბზე მოტივტივე. თავი წყალში მაქვს გადავარდნილი, შუბლზე აკურატული ნახვრეტი მატყვია, ეფექტურად მოლივლივე, ოქროსფერი თმის გარშემო კი, წყალი თანდათან სისხლისფრად იღებება.

– მოვედით, – შემატყობინა ბატონმა შოთამ და ჩემი ტკბილ-მწარე ოცნებების ბურანიდან გამომიყვანა. ერთი, დედაჩემთან უნდა მივიდე და ჩემი განცდების შესახებ ვუამბო: იქნებ, ფსიქოთერაპიამ მიშველოს, თორემ, ნამდვილად არის ჩემში რაღაც მაზოხისტური. აბა, რატომ უნდა დაასრულო ფულით სავსე ჩემოდანზე ოცნება საკუთარი სიკვდილის არცთუ ისე „იდილიური“ სურათით?..

აეროპორტის შესასვლელში სანდროს გადავეყარე:

– შენც კრიხელის გადასვენებაზე მოხვედი? – ვკითხე ჩურჩულით.

– არა, წიგნი გავატანე მეგობართან, ვენის რეისზე, – მიპასუხა, რატომღაც შემცბარმა.

– „პაკა“, – ხელი დავუქნიე და დარბაზში შევედი.

აეროპორტში კრიხელის გადასასვენებლად მოსული ხალხი მაშინვე შევნიშნე. ეს შავებში ჩაცმული ქალი ალბათ, მისი დაა. როგორც გაზეთებში წერდნენ, სწრაფი კვების კაფეების მეპატრონე, გავლენიანი ქალბატონია. მწუხარედ დახრილი თავისა და დროდადრო თვალთან მიტანილი თეთრი ცხვირსახოცის მიუხედავად, გუშინ საღამოს სტილისტთან შევლა არ დავიწყებია: თმა საგულაგულოდ აქვს დავარცხნილი და მხრებთან, სახის მიმართულებით – მომრგვალებული. ყურებზე კი, კარატნახევრიანი ბრილიანტის საყურე უციმციმებს. რამდენიმე ჭაღარაშერეული, სოლიდური გამომეტყველების მამაკაცი, კიდევ ერთი, შედარებით ახალგაზრდა ქალი, ერთიც მხარბეჭიანი ახალგაზრდა მამაკაცი – როგორც ჩანს, პირადი მცველი უნდა იყოს. ხელში მოგრძო, ყავისფერ ქაღალდში კარგად შეფუთული ყუთი უჭირავს. ალბათ, სწორედ ეს არის გადასასვენებელი ურნა.

ნეტავ, ახლა რას იზამენ, ჩემოდანივით აწონიან და ესკალატორზე ბარგთან ერთად შეასრიალებენ?.. – გავიფიქრე და უსიამოვნოდ გამაჟრიალა. ამასობაში, ჯგუფს საქმიანად მიუახლოვდა ვიღაც ახალგაზრდა მამაკაცი და რაღაცის განმარტება დაუწყო შავოსან ქალბატონს. პოზიცია შევიცვალე. ძალიან მინდა, საუბრიდან რაიმე გავიგონო. შავოსანმა ამოისლუკუნა, ცხვირსახოცი თვალებთან მიიტანა, შემდეგ უხერხუ-



ლად მიეფერა ყავისფერ ყუთს და ორი ახალგაზრდა ყუთიანად აეროპორტის კიბეს აუყვა. მეორე სართულზე, ადმინისტრაციის ოთახს მიადგნენ. როგორც ჩანს, პილოტებს გაატანენ, – გავიფიქრე ჩემთვის და გამოსალაპარაკებლად საბაბის ძებნა დავიწყე.

– უკაცრავად, თქვენ კრიხელის ნათესავები ბრძანდებით? – ვკითხე ასე, 60 წლის თეთრულვაშა, სიმპათიურ ჭაღარა მამაკაცს, რომელიც სხვებზე უფრო გულგახსნილ ადამიანად მომეჩვენა. მან ისე გამომხედა, თითქოს აბეზარი მათხოვარი ვიყავი.

– მაპატიეთ ჩემი ცნობისმოყვარეობა, – არ ვუღალატე ჟურნალისტიკაში დამკვიდრებულ წესს – როცა კარს მოგიხურავენ, ფანჯრიდან რომ უნდა გადაძვრე. – ჟურნალისტი ვარ, მარიანა ნიორაძე. ის ვარ, ბატონი კრიხელი სიკვდილის წინ რომ დაელაპარაკა.

ჩემმა ბოლო სიტყვებმა აშკარად გაუღვიძა ცნობისმოყვარეობა დაღუპულის ნათესავებს. დამ ყურადღებით გამომხედა, მის გვერდით მდგარი ახალგაზრდა ქალი კი, მომიახლოვდა და ხელი გამომიწოდა.

– მე მისი ქალიშვილი ვარ, მაგდა. მადლობელი ვარ, რომ დაგვაფასეთ და მობრძანდით. ძალიან იწვალა? – მკითხა და თვალები აუწყლიანდა.

– იცით, მე ასე არ მომჩვენებია. თვალები რომ გაახილა, იმედი მომეცა, რომ იცოცხლებდა... – დავიწყე სისულელეების როშვა.

– თქვენც დღევანდელი რეისით მიფრინავთ? – არ დავივიწყე პროფესიონალური მოვალეობა. – მოგეხსენებათ, მკითხველებს დეტალები აინტერესებთ.

– ამ რეისით წავალ, აქ აღარაფერი მესაქმება. – ცივად მომიჭრა მაგდამ, თვალებზე ცხვირსახოცი მიიდო და ზურგი შემაქცია.

ამასობაში, პირადი დაცვა და საქმიანი ახალგაზრდა კაციც მოგვიახლოვდნენ. გამომშვიდობების ცერემონია დაიწყო. კრიხელის ქალიშვილი საქმიან ახალგაზრდასთან ერთად რეგისტრაციის გასავლელად შევიდა, შავოსანი ქალბატონი, დაცვის წევრი და დანარჩენი გამცილებლები მანქანებისკენ გაემართნენ. უეცრად, გაზეთებისა და ჟურნალების გასაყიდ სტენდთან ჩემი ძველი ნაცნობი, უშიშროების გამომძიებელი, გველისთვალება ლევანი დავინახე. იქნებ, ამისგან მაინც გავიგო რამე, თორემ, ჩემი სისხამი დილის მოგზაურობა პრაქტიკულად, უშედეგოდ შეიძლება ჩავთვალო, – გავიფიქრე და თავხედურად მივაჭერი ცივსისხლიან ნაცნობთან.

– რა არის ახალი? ძიებაში წინ თუ წაიწიეთ?

– რამდენიმე ვერსიაზე ვმუშაობთ, – არ დამზარდა პასუხს ლევანი. – დეტალებს, სამწუხაროდ, ძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ვერ გაგიმხელთ, – გამიღიმა გამომძიებელმა. მოულოდნელად აღმოვაჩინე, რომ თბილად და სასიამოვნოდ გაღიმებაც შესძლებია.

– ის ახალგაზრდა ვინ არის, საქმიანად რომ დარბის კრიხელების გარშემო? – ინფორმაციას ვაგროვებ...

– მოსე კრიხელის სიძეა, – არ დამამადლა პასუხი ლევანმა. – ყავა ხომ არ დაგველია? დილას თქვენც ჩემსავით საუზმის გარეშე დარჩებოდით, – შემომთავაზა უეცრად.

– დიდი სიამოვნებით, – გავხალისდი მეც. მეორე სართულზე მდებარე კაფესკენ ავუყევით კიბეს. ზემოდან დავინახე, რომ ცნობათა ბიუროსთან მდგარი ახალგაზრდა, ქერა გოგონა ადგილიდან მოსწყდა და კიბისკენ წამოვიდა.

ამ ქალს ყურადღება შემოსვლისთანავე მივაქციე. მხრებზე დაფენილი, ერთი შეხედვით ბუნებრივი ქერა თმა და დიდი, ცისფერი თვალები ძნელი იყო, შეუმჩნეველი დაგრჩენოდა. თუ ამას ტოპმოდელის სიმაღლეს და ე.წ. „გლანდებიდან დაწყებულ“ ფეხებს მივამატებთ, ახალგაზრდა ქალი ნამდვილად პოდიუმიდან გადმოსულივით გამოიყურებოდა. რაც აეროპორტში შემოვედი, იგი სულ ცნობათა ბიუროსთან იდგა, გულმკერდზე ხელებგადაჯვარედინებული.

– რას დალევ? ჩაის თუ ყავას? – მკითხა ლევანმა.

– ჩაის ლიმონით, – ვუპასუხე.

– ნამცხვარიც ხომ გინდა?

– არა, გმადლობთ, – ვუპასუხე და ახლაღა მივხვდი, რომ შესაკვეთად, ბართან უნდა მივსულიყავი.

– თუ არ შეწუხდებით, ერთი მარილიანი თხილიც ამიღეთ, – დავაწიე გზაში. ძალიან გავუთამამდი ამ ცივთვალება ტიპს. უეცრად, უცნაური რამ მოხდა: ჩემს მოპირდაპირე მხარეს მოკალათებულმა, გრძელფეხება ლამაზმანმა ნაფაზი დაარტყა, ბარისკენ მიტრიალებულ ლევანს ელვისუსწრაფესად გახედა და თვალი ჩამიკრა. გაკვირვებაც ვერ მოვასწარი, ისე გაჩნდა ჩემს მაგიდასთან.

– Ты тоже за паспортом приходила? – მკითხა შეთქმულის ინტონაციით და 19 ნომერი „შანელის“ სურნელი შემომაფრქვია.

– За каким паспортом? – შევუბრუნე კითხვა.

– Избавься от этого типа и поговорим, – ელვისებური მზერა ისროლა ქერათმიანმა ლამაზმანმა დახლისკენ მიმავალი ლევანის მიმართულებით და სასწრაფოდ მოშორდა მაგიდას.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ჯორჯო არმანის სტილი — ზომიერი, ელეგანტური — ანუ „არ უნდა იყო უცებ შესამჩნევი, მაგრამ აუცილებლად უნდა იყო დასამახსოვრებელი“... როგორ უნდა მოვიქცეთ, რომ არმანის ეს სიტყვები ყოველდღიურ ცხოვრებაში, განსაკუთრებით კი, ისეთ სადღესასწაულო წვეულებებზე გავითვალისწინოთ, სადაც გვინდა, რომ საკუთარი თავი სრულფასოვნად წარმოვაჩინოთ? ამას რომ მივაღწიოთ, დიზაინერთა რჩევებს უნდა დავუგდოთ ყური. გამომდინარე იქიდან, რომ 2005, მამლის წელია, მოდაშია ჭრელი ფერები, ოლონდ ზომიერად ჭრელი — აღნიშნავს ავთანდილ ცქვიტინიძე, რომელიც პირველად შეხვდა ახალ წელს მეუღლესთან ერთად და ფიქრობს, რომ ეს 2005 მისთვის განსაკუთრებით ბედნიერი წელი იქნება.

რა ფერებში გამოვეწყოთ საახალწლო დღეებსა და მამლის წელიწადში

სოფო ჭონიშვილი

— წინასაახალწლო დღეებში როგორი განწყობა გქონდათ?

– უკვე მერამდენე წელია, ჩემი საქმიანობის გამო, წინასაახალწლოდ ყოველთვის გადარბენაზე ვარ. მიუხედავად იმისა, რომ ეს ყველაფერი სახალისოა, ძალიან დამღლელიცაა. ვოცნებობ ხოლმე იმაზე, რომ წყნარად ვიყო ახალი წლის დღეებში



მიუხედავად იმისა, რომ ეს ყველაფერი სახალისოა, ძალიან დამღლელიცაა



და უფრო მეტი დრო დავუთმო საკუთარ თავს იმისათვის, რომ მომზადებული შევხვდე ახალ წელს. იმედი მაქვს, რომ ოდესმე ასეც იქნება. მიუხედავად ამისა, განწყობა საოცრად კარგი მქონდა. მიმაჩნია, რომ ახალი წელი ყველაზე სასიამოვნო დღესასწაულია.

— რამდენად აქტიურად ემზადებოდნენ შოუბიზნესის წარმომადგენლები დღესასწაულისთვის ახალი სამოსის შეძენის თვალსაზრისით? თუ შეიკერეს თქვენთან საკონცერტო კოსტიუმები ან წვეულებისთვის ტანსაცმელი?

— საკმაოდ აქტიურად ემზადებოდნენ. მაგრამ შარშანდელთან შედარებით, ეტყობა, წელს ნაკლები კონცერტი გაიმართა და ძირითადად, გადაღებებისთვის იკერავდნენ.

— ცნობილი ადამიანებიდან ვინ შეიკერა თქვენთან სამოსი?

— „ქუჩის ბიჭებმა“, ეკა კახიანმა, ნინი ბადურაშვილმა, ნინი ქარსელაძემ, თამუნა ამონაშვილმა... ძალიან ბევრმა — ყველას ვერც ჩამოვთვლი.

— მამალი რა ფერების ტანსაცმელში სიარულს „გვავალდებულებს“?

— ძალიან მოდაშია ჭრელი ფერები, ოღონდ — ზომიერად ჭრელი. ეკლექტიკური ფერები მოდაში აღარ არის. აქტუალურია ლიმონის ფერი და ბორდოსფერი, არ გამორიცხება შავი ფერი, მით უმეტეს, რომ ქართველების საყვარელი ფერია. ასევე მოდაშია ნაცრისფერი და ცისფერი. რაც შეეხება სილუეტებს — არის ძალიან ქალური, დავარდნილი ქსოვილები, შიფონი, აბრეშუმი, ატლასი, რომელსაც ზემოთ ავსებს ხავერდი. მოდაშია ასევე მყარი ატლასის დამუშავებული პიჯაკები ან ზედატანი. რაც შეეხება მკაცრი სილუეტების მოყვარულ ქალბატონებს, მათაც გავახარებ: მოდაშია მამაკაცური შარვლები, რომელსაც წინ გვირისტები აქვს დარტყმული, ბრტყელი აბშლაგით, დაბალ სათავეზე და ერთღილიანი პიჯაკები, რომლებიც პირდაპირ საცვლებზე ჩაიცმევა.

— ახალი წლის დღეებში თუ გაქვთ დაგეგმილი ჩვენება?

— ახალ წლის დღეებში ჩვენება არა მაქვს. ფაქტობრივად, ჩვენებას „ვაწყობ“ სხვადასხვა კონცერტზე, ტელეეკრანზე, რადგან 7 იანვარს, შობის დღესასწაულზე შარდენზე ერთ-ერთ ბარში ბევრ მომღერალს ჩემი შეკერილი სამოსი ეცმევა. ჩემი მოსკოვური ჩვენების ფოტოგამოფენა გაიხსნება და მთელი წლის განმავლობაში ამ ბარში იქნება. შედგება ახალი მენიუ, სადაც წარმოდგენილი იქნება ფოტოები ჩემი კოლექციებიდან.

— ნაძვის ხის მორთვაში თუ მონაწილეობდით?

— მე ნაძვის ხეს, როგორც წესი, არ ვრთავ. ყოველთვის რაღაც ლამაზ კომპოზიციებს ვაკეთებდი. შემეძლო ახლაც გამეკეთებინა, მაგრამ ამის დრო არ მქონდა. ოჯახის ყველაზე პატარა წევრმა — ლიზიმ მორთო წელს ნაძვის ხე, მე მხოლოდ აწყობაში დავეხმარე.

— მეკვლედ ვინ გყავთ ხოლმე ახალი წლის ღამეს?

— ჩემი ოჯახის წევრები არიან ხოლმე მეკვლეები — უფრო ხშირად, ჩემი ძმა და დედაჩემი. წელს ახალ ოჯახში ხათუნა — ჩემი მეუღლე იყო მეკვლე. რაიმე განსაკუთრებული ჩვევები არ გვაქვს, როგორც ყველა ოჯახი, ისე ვხვდებით ახალ წელს. სუფრაზე არის გოზინაყი და ის კერძები, რაც უნდა იყოს; ძირითადად, ტკბილი სუფრა გვაქვს. ახალ წელს ჩვენს ოჯახში შევხვდით, შემდეგ, ჯერ ჩემს მშობლებთან, მერე ხათუნას მშობლებთან ვიყავით სტუმრად. წელს პირველად შევხვდით ახალ წელს ერთად და იმედია, ბედნიერი იქნება ჩვენთვის 2005 წელი. ■

ერთგული მკითხველი

თქვენ, ერთგულ მკითხველს, უთუოდ გემახსოვრებათ ჩვენი ჟურნალის სხვადასხვა ნომერში დაბეჭდილი წერილების შინაარსი და არც ამ ტესტის კითხვებზე გაგიჭირდებათ პასუხის გაცემა...

1. რა ეწოდება კამეჩის ხმიანობას?

ა) როყინი;
ბ) ყროყინი;
გ) ზმუილი.

2. რას ეძახინ საყვარელ, სასურველ ადამიანს?

ა) ნანდაურს;
ბ) ყონაღს;
გ) ჩოყლაყს.

3. რამდენი „ოსკარი“ აქვს მიღებული ცნობილ ამერიკულ მხატვრულ ფილმს — „ცეკვა მგლებთან ერთად“?

ა) არც ერთი;
ბ) 11;
გ) 7.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

გადაცემის — „ფარული კამერა“ წამყვანს ალეკო მალხაზიშვილსა და მის კოლორიტულ „გამღვიძებელს“ ნიკა გრიგოლიას ნაახალწლევს ინტერვიუსთვის ალეკოს ოჯახში ვესტუმრე. საწყლები, ამ ახალი წლის ორომტრიალით ისე იყვნენ გადაღლილები, რომ ჩემს ლოდინში ერთმანეთისთვის თავები მიედოთ და იქვე, მისაღებ ოთახში დივანზე ტკბილად ჩასძინებოდათ. აბა, ასეთ შანსს ხელიდან როგორ გავუშვებდი?.. მაგიდაზე ალეკოს პატარა შვილის რძიანი ბოთლი იდგა, ავიღე და მძინარე წყვილს ზედ დავასხი... სამწუხაროა, რომ ეს კადრები „ფარულ კამერაში“ ვერ მოხვდება. სამაგიეროდ, ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა ამ მომენტის დაფიქსირება მოახერხა...

„ფარული კამერის“ ჯგუფს სამომავლოდ „ფარული გეგმები“ აქვს

ნათია ქივიძე

— რა თქმა უნდა, საუბარი ახალი წლის თემით უნდა დავიწყოთ. სად და როგორ შეხვდით მამლის წელს?

ალეკო:

— ძალიან ცუდად შევხვდი. ეს ახალი წელი იმით გამოირჩეოდა, რომ არავისთან დარეკვის ხალისი არ მქონდა, რადგან 31-ში ჩემს პატარა შვილს სიცხემ აუწია და ვირუსი დღემდე ვერ მოვიშორეთ. თუმცა, ახალი წლის ღამეს, 12 სთ-ის მერე ჩემს უბანში მცხოვრები მეგობრები მესტუმრნენ: გიგა ნასარიძე, ოთო ლომთაძე და ა.შ.

ნიკა:

— ალეკოსგან განსხვავებით, მე შვილი არ მყავს, ამიტომ ამ ახალ წელს, ძალიან კარგად შევხვდი. შევყარებულთან და მეგობრებთან ერთად თავისუფლების მოედანზე ვიყავი და აქეთ-იქით დავბორიალებდით. ერთ რამეს მოგიყვებით, რა!.. ახალი წლის დადგომამდე ცოტა ხნით ადრე, მოტოციკლეტი ვიყიდე. ჰოდა, მე და ჩემმა მეგობარმა ჩავიცვით სანტა-კლაუსის კოსტიუმები და ქალაქში ამ მოტოციკლით დავდიოდით. ხალხს ეგონა, რომ მერიამ დაგვიქირავა. ბიზნესმენები მოდიოდნენ და გვთხოვდნენ — ღამეში 60 ლარს გადაგიხდით და სანტა-კლაუსი გამოძახებით იყავითო. აბა, უარს როგორ ვეტყოდით?! ვთანხმდებოდით და ვითომ ჩვენს ტელეფონის ნომრებს ვაწერინებდით, სინამდვილეში კი, თითქმის მთელი ჩემი საახლობლოს ნომრები ჩავაწერინე და იმათ ურეკავდნენ — სანტა-კლაუსი გამოძახებით ხართო?.. ისე, რომ წავსულიყავით, ცოტა ფულს ხომ მაინც ვიშოვიდით!..

— ახალი წლის ღამეს, რა სურვილები ჩაიფიქრეთ?

ალეკო:

— მთელ ჩემს ოჯახს ძალიან გვინდოდა, შეგვეძინა ფოტოაპარატი და ახალი წლის ღამეს, თოვლის ბაბუამ გვაჩუქა. საერთოდ, მე თოვლის ბაბუების არ მჯერდა, მაგრამ თურმე ყოფილან. ბავშვობაში, თოვლის ბაბუა მხოლოდ გაკვრით მყავს ნანახი. ერთხელ მშობლებმა მითხრეს — შენთან თოვლის ბაბუა მოვა და საწოლთან საჩუქარს დაგიტოვებსო. მეც დავწექი, თვალები მაგრად დავხუჭე, ვითომ მეძინა და ველოდებოდი. ცოტა წამთვლიმა, მაგრამ თვალები უცებ დავაჭყიტე და წითელ რაღაცას მოვკარი თვალი. გავიხედე და მაგიდაზე სათამაშოები და ტკბილეული ეწყო.

ნიკა:

— მე თოვლის ბაბუების არ მჯერა, რადგან ჩემი თოვლის ბაბუა ალეკოა. საახალწლოდ კი ჩავიფიქრე, რომ ამ ჩემი თოვლის ბაბუისგან ბევრი ფული მინდა. ჯანმრთელობა მთავარი არ არის — მთავარია, ბევრი ფული მქონდეს!..

ალეკო:

— მაშინ, მე არ ვყოფილვარ შენი თოვლის ბაბუა. ისე, ბადრი პატარკაციშვილი რომ გააღვიძო?.. ა, როგორი აზრია?!.

— თქვენი გენერალური დირექტორისთვის გეთხოვათ ფული. იქნებ, კარგი თოვლის ბაბუა აღმოჩნდეს.

ნიკა:

— არა. ნიკა ტაბატაძეს ამას წინათ 5 ლარი ვთხოვე და არ მასესხა. ეგ რა თოვლის ბაბუობაა?!.

— 31 იანვრის დილის გადაცემაში არაჩვეულებრივად გაითამაშეთ ნინო არაზაშვილის გაღვიძების სცენა...

ნიკა:

— მგონი, არ გავვითამაშია... იმ ღამეს, სამსახურში დავრჩი. დილით მითხრეს — ნინო ძალიან დაღლილია, სტუდიაში ჩასთვლიმა, მიდი და წყალი დაასხიო. მეც შევედი და დავასხი. არა მგონია, ნინოს ეს წინასწარ სცოდნოდა. დედა მომიკვდეს — ეგ სცენარი თუ არსებობდა, ეგეც არ ვიცი. ყველაფერი სპონტანურად მოხდა. კრემზე რომ მითხრა — დაყნოსეო, — კი მივხვდი, რომ სახეზე უნდა შემოეტყეპებინა, მაგრამ პირდაპირ ეთერში ხომ არ დავიწყებდი ყვირილს, არ შემატყეპო-მეთქი!.. ავდექი და დავსუნე. რადგან გიჟობაა, გიჟობა იყოსმეთქი! — ვიფიქრე... იმ დღეს, რაც ტანსაცმელი მეცვა, ჩემი გარდერობის ერთადერთი ხელი სუფთა ტანსაცმელი იყო და მაგ ამბის მერე, ის ერთიც დამესვარა. ავდექი და ეს შარვალი ვიყიდე, ახლა რომ მაცვია, რადგან შინ სუფთა აღარაფერი მქონდა. ეგ რომ მცოდნოდა, რამეს ისეთს მაინც ჩავიცვამდი, გასარეცხს...

ალეკო:

— რაც შეეხება იმ კადრებს, სადაც მე და ნიკა ერთმანეთს ვაღვიძებთ, ეგ ჩვენს გადაცემაში უნდა გასულიყო და

მაგიდაზე ალეკოს პატარა შვილის რძიანი ბოთლი იდგა, ავიღე და...

ტაშტის რახუნით შევუვარდი საძინებელში და გავაღვიძე...

დილით რატომ გავიდა, ვერ გეტყვით. ხალხს ჰგონია, რომ ყველაფერი დადგმული სცენარია, მაგრამ ასე არ არის. ნიკა ნამდვილად გავაღვიძე. ესაა, რაც ეთერში ნახეთ, მაგრამ მეორე დღეს, კიდევ გავაღვიძე. სამწუხაროდ, ოპერატორმა ამის გადაღება ვერ მოასწრო, არადა, ის უფრო კარგი კადრი იყო.

ნიკა:

— ცხოვრებაში პირველად ვინც გავაღვიძე, ალეკო იყო. ეს იდეა ერთ საღამოს, ალეკოს დაებადა და გადავწყვიტეთ, რომ გაღვიძების რუბრიკა შემოგვეღო ჩვენს გადაცემაში. იმ ღამეს აქ, ალეკოსთან დავრჩი და დილით ალეკოზევე გამოვცადე, მაინტერესებდა, როგორი გამოვიდოდა ეს რუბრიკა. ტაშტის რახუნით შევუვარდი საძინებელში და გავაღვიძე. მაშინ უფრო მაგარი რეაქცია ჰქონდა, ვიდრე ახლა, რადგან ამის შემდეგ, ისევე, როგორც მე, ალბათ ყოველთვის ჰქონდა ეჭვი, რომ ერთ მშვენიერ დღეს გავაღვიძებდი. ასეც მოვიქეცი. მაგრამ მე ორჯერ მეტი სიმწარე შემხვდა, რადგან წინაღამეს რომ გამაღვიძა, მეორე დღეს, ამის ეჭვი აღარ მქონია და სკამებზე გემრიელად მეძინა...

31-ში ჩემს პატარა შვილს სიცხემ აუწია და ვირუსი დღემდე ვერ მოვიშორეთ (ბავშვებთან ერთად)

— ახლა ვინ გყავთ გასაღვიძებელთა სიაში?

ალეკო:

— მაგას ვერ გეტყვით, რადგან ამის შემდეგ, ის კაცი აღარ დაიძინებს. ისე, ძალიან ბევრი გვირეკავს და ამის მიხედვით დგინდება გასაღვიძებელთა სია. მერე, რაღაც კრიტერიუმებით ხდება მათი შერჩევა.

ნიკა:

— მთავარი კრიტერიუმი კი, თვითონ ის ადამიანია, რადგან ის არ უნდა იყოს ქურდი, ყაჩაღი და ძებნილი... ისე, ბინ ლადენი თუ იქნება, ძალიან დიდი სიამოვნებით გავაღვიძებთ, არა, ალექს?

ალეკო:

— დანარჩენ სცენარს კი, ერთ მშვენიერ ოთახში ვიგონებთ. იქ ცხოვრობენ: კურდღელი, ქათამი, მე, ბაკურა, ნიკა და ცქიტო (ირაკლი ცქიტიშვილი). ეს არის მთელი ჩვენი ოჯახი. პრინციპში, ფაქტობრივად, იმ ოთახში ცხოვრობენ კურდღელი, ქათამი და გრიგოლია, ხოლო დანარჩენები მხოლოდ მივდივართ და მოვდივართ... სხვათა შორის, ძალიან ბევრი ადამიანი გვირეკავს და გვეკითხება — რამდენი უნდა გადავიხადოთ, რომ ვინმე გავაღვიძოთო? ამ დროს, ერთ თეთრსაც არ ვიღებთ.

ნიკა:

— ალეკოს სულ ვეუბნები — მოდი, გადასახადი დავაწესოთ-მეთქი, რადგან მაინც ყველა რეკავს და გვეკითხება. ჰოდა, ბარემ იყოს. წარმოიდგინე, რამდენ ფულს ვიშოვიდით!..

— ცნობილ პიროვნებებს რატომ არ აღვიძებთ?

ნიკა:

— ჩვენთან ძალიან უცნაური ცნობილი პიროვნებები არიან, რადგან „უტყდებათ" ასეთი ხუმრობები. ისინი სნობები არიან... ჩვენ სამსახურში ერთი მაგარი სნობი გვყავს — ბაკურ სვანიძე. რაღაც უცნაურ შენიშვნებს გვაძლევს ხოლმე. თქვენ ცნობილი ადამიანები ხართ და ასე უნდა გეცვათ, ასეთი მეგობრები უნდა გყავდეთო, — და ა.შ.

ალეკო:

— ამიტომ, ჩვენ მის გემოვნებაზე ვმუშაობთ. ჩვენთვის მთავარი ის კი არ არის, რომ გადაცემა ხალხს მოეწონოს — მთავარია, რომ ბაკურას მოეწონოს, რადგან ის განაგებს გემოვნებას თბილისში. თუ ის იტყვის, რომ კარგია, ჩვენც მისი აზრის ქვეშ ვექცევით.

— მახსოვს, ერთ-ერთ პირველ გადაცემაში გაღვიძებულს თქვენი ხუმრობა არ მოეწონა. ასეთი შემთხვევა ხშირად გქონიათ?

ნიკა:

— არა, ასეთი შემთხვევები თითქმის არ გვაქვს. რომელზეც შენ ამბობ, ის იყო მესამე გადაცემა. იმ ბიჭმა ვერაფერი გაიგო, წარმოდგენა არ ჰქონდა, თუ რა ხდებოდა. ცოტა შეზარხოშებული იყო და ძალიან გაუკვირდა ეს ყველაფერი.

ალეკო:

— სხვათა შორის, ეგ ბიჭი, მეგონა, გაგიჟდა, რადგან ლოგინიდან წამოხტა და აივანზე გავარდა. ვიფიქრე, არ გადახტეს-მეთქი და სერიოზულად შემეშინდა. ეგ ხომ „ტრუსიკიანმა" კაცმა გააღვიძა და ამის გამო შეშფოთდა...

ნიკა:

— ასეთ კაცს რომ დაინახავდა, აბა, როგორი რეაქცია ექნებოდა?..

— ქუჩაში „ფარულ კამერას" რომ იღებთ, თქვენი ხუმრობებიდან გამომდინარე, წესით, ყველა უნდა ხვდებოდეს, რომ თქვენ ხართ.

ალეკო:

— საახალწლო გადაცემაში სანტაკლაუსები რომ იყვნენ, მაშინ ვერავინ ვერაფერს მიხვდა. სხვა დროს, უფრო ხვდებიან ხოლმე. სიმართლე რომ გითხრა, ბევრ ახალგაზრდას ვიღებთ ხოლმე, მაგრამ ეთერში ვერ ვუშვებთ, რადგან ისინი თავიდანვე ყველაფერს ხვდებიან, ჰოდა ასე, „მუღამი" აღარ აქვს. ხანდაზმულები ვერ ხვდებიან და უფრო კარგი გამოდის.

— ძველი სტილით ახალი წლისთვის იმავე გადაცემას გაიმეორებთ თუ ახალს მოამზადებთ?

— არა, გავიმეორებთ, რადგან დასვენება გვჭირდება, თან, ხალხმაც უნდა დაისვენოს, თორემ, „ახალ წლებში", როცა ყველა გალეშილია, მათზე ხუმრობა ცოტა საშიშია.

ნიკა:

— თანაც, მომავალში, „ფარული გეგმები" გვაქვს და ამაზე ჯერ ვერ ვილაპარაკებთ... ■

Prada ხალასი ფერებითა და სიცოცხლით სავსე სამყარო

არავის სურდა მისი აღიარება, უფრო მეტიც — მას დასცინოდნენ და წარუმატებლობას უქადდნენ. დღეს კი აგატა რუის დე ლა პრადა მსოფლიოში სახელგანთქმული დიზაინერია. მას სამეფო კარის წვეულებებზე იწვევენ; მისი მეგობრები არიან პედრო ალმოდოვარი და ორლეანელი მეფის ასული; ევროპაში ცნობილი ოჯახის შვილები კი, როგორც წესი, მხოლოდ Agatha Ruiz de la Prada-**ს მარკის ტანსაცმელს ატარებენ.**

სასაცილო გოგონა

მიუხედავად იმისა, რომ იმ დროს, როდესაც აგატა ქვეყნიერებას მოევლინა, ესპანეთში დიქტატორ ფრანკოს რეჟიმი მძვინვარებდა, პატარა გოგონას მაინც საოცრად მშვიდი და უღრუბლო ბავშვობა ჰქონდა. აგატა და მისი ორი და — ანა და იზაბელა წარჩინებულ და ძალზე შეძლებულ ოჯახში აღიზარდნენ. მათი ბაბუა ცნობილი მეცენატი იყო და სახელი იმით გაითქვა, რომ ანტონიო გაუდის არაერთი არქიტექტურული შედევრის სპონსორი გახლდათ. აგატას მამა ხუან რუის დე ლა პრადა ესპანეთში ცნობილი არქიტექტორი იყო — სამშობლოში მას 70-ზე მეტი შენობა აქვს აგებული. არქიტექტურის გარდა, ხუან რუისის ინტერესების სფეროში თანამედროვე მხატვრობით გატაცებაც შედიოდა და მთელ თავისუფალ დროს ის სწორედ სურათების კოლექციონერობას უთმობდა. დღესდღეობით მისი კოლექცია უმსხვილეს კერძო კოლექციად ითვლება მთელ ესპანეთში. აგატას დედა წარმოშობით არისტოკრატიული ოჯახიდან იყო და მარკიზა დე კასტელდოსრიუსის ტიტულისა და ბარსელონაში მდებარე მდიდრული სასახლის მემკვიდრე გახლდათ.

ბავშვობა დამთავრდა მაშინ, როცა მშობლები გაიყარნენ და აგატა ოჯახური უსიამოვნებებისგან შორს, პარიზის კერძო პანსიონში გაგზავნეს. იმ დროისთვის ფრანკოც აღესრულა და ესპანეთის სამეფო ტახტზე ალფონსო მეცამეტის შვილიშვილი ხუან კარლოს პირველი ავიდა. ესპანეთმა შვებით ამოისუნთქა. ნორჩ აგატა დე ლა პრადას პარიზი მომხიბლავ ქალაქად სულაც არ მოეჩვენა, დედასთან დაბრუნდა და მოკლე ხანში, მთელი ორი წლით, ამერიკაში გაემგზავრა. იქიდან დაბრუნების შემდეგ კი საბოლოოდ მადრიდში დასახლდა.

მიუხედავად იმისა, რომ მშობლები ქალიშვილის მოდითა და დიზაინერობით გატაცებას კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდნენ, 20 წლის აგატამ მადრიდში, დიზაინერ პეპე რუბიოს სტუდიაში განაგრძო სწავლა. ბედის ირონიით ქალიშვილს მომავალი პროფესიის არჩევაში, სწორედ მშობლებმა შეუწყვეს ხელი. აგატა დღემდე იგონებს, თუ როგორი ინტერესით ისმენდა მამის მონათხრობს მიროს, ფონტანსა და გორდილიოს შესახებ. პატარა აგატას უსაყვარლესი საქმიანობა კი მამამისის კოლექციაში არსებული სურათების თვალიერება გახლდათ. ხელოვნებისადმი მისი სიყვარული ყოვლისმომცველი იყო — მას გრაფიკაც აინტერესებდა და ავანგარდისტთა ტილოების მკვეთრი ფერებიც ხიბლავდა. ის ყოველი ადამიანის ხელოვნებით გარემოცვასა და ყოველი სახლის მუზეუმად ქცევაზე ოცნებობდა. გამოსავალიც მარტივად მოძებნა: თანამედროვე ხელოვნებისა და მოდის შერწყმა მან ნახატის ქსოვილზე გადატანით შეძლო. მის პირველ კოლექციას ასეც ერქვა — Trajes pintados („ფაფერადებული კოსტიუმები“). ახალგამომცხვარმა მოდელიერმა ეს კოლექცია ბებიამისის, მარკიზა მარია კასტელდოსრიუსის სასახლეში წარმოადგინა.

ესპანეთში ახალგაზრდა დიზაინერზე ალაპარაკდნენ. 1981-დან 1985 წლამდე ერთიმეორის მიყოლებით იმართებოდა აგატა დე ლა პრადას დეფილეები. ამავე პერიოდში გახსნა მან მადრიდში საკუთარი სტუდიაც, სადაც თავისი კოლექციების ესკიზებზე დღემდე განაგრძობს მუშაობას. მოკლე ხანში კი, დიზაინერის სტუდიასთან არსებული მაღაზია — Agatha Ruiz de la Prada — გახსნა. იმხანად, ამ პაწაწინა მაღაზიას ნამდვილ ბუტიკს ვერავინ უწოდებდა („აგატა რუის დე ლა პრადას“ მარკის პირველი ოფიციალური მაღაზია მოგვიანებით, 90-იან წლებში გამოჩნდა), მაგრამ იქ შესაძლებელი იყო ახალგამომცხვარი დიზაინერის ტანსაცმლის კოლექციებიდან ზოგიერთი ნივთის შეძენა. აგატა საკმაოდ ნაყოფიერი დიზაინერი აღმოჩნდა. მადრიდში მოდელიერის საფირმო სტუდიის გახსნიდან ოთხი წლის შემდეგ, იქ არა მარტო ტანსაცმლის, არამედ ფეხსაცმლის, კოლგოტების, ლოგინის თეთრეულის, სასპორტო საქონლისა და საცურაო კოსტიუმების ყიდვაც გახლდათ შესაძლებელი. თუმცაღა, ნამდვილად არ შეიძლება იმის თქმა, რომ მოდელიერ აგატა რუის დე ლა პრადას კარიერა უღრუბლოდ წარიმართა. მისი კოლექციებისთვის დამახასიათებელი მკვეთრი ფერების, უჩვეულო ფასონებისა და ქსოვილზე მარტივი, თითქოსდა ბავშვური ხელით შესრულებული მხიარული ნახატების მისაღებად, თვით ნათელ, მზიან ესპანეთშიც კი ყველა როდი აღმოჩნდა მზად. პირველი 10-12 წლის განმავლობაში, მოშურნეებისა და არაკეთილმოსურნეთაგან აგატას გამუდმებით უწევდა შემდეგი სიტყვების მოსმენა: „არა, ამ საქმიდან არაფერი გამოგივა. აბა, ამას ვინ იყიდის?“ მას უმტკიცებდნენ, რომ მის მიერ შექმნილი უმსგავსო ტანსაცმელი და გულებით, ვარსკვლავებითა და ნახევარმთვარეებით შემკული სულელური ფეხსაცმელები მხოლოდ საკარნავალო კოსტიუმად თუ გამოდგებოდა, ხოლო ახირებულნახატებიანი ჭურჭელი კი საერთოდ არავის არაფერში სჭირდებოდა.

თუმცა, ერთი რამ უდავოდ ფაქტია, აგატასთვის მუდამ სულერთი იყო ის, თუ რას ფიქრობდნენ მასზე ირგვლივმყოფები. ყოველთვის, ახალგაზრდობაშიც და ახლაც, მაღალი საზოგადოების თავყრილობებს,

წვეულებებსა თუ მოდების ჩვენებებს ის საკუთარი დიზაინით შექმნილი სამოსითა თუ აქსესუარებით სტუმრობდა – მოდელიერი სწორედ იმ ჭრელაჭრელა, უჩვეულო ფასონის კაბებსა თუ შარვლებს, ყვავილებით, გულებითა და ნახევარმთვარეებით შემკულ ფეხსაცმელს, ნაირფერად კოლგოტებსა და სხვადასხვა კალიბრის ლინზებიან, ვეებერთელა სათვალეს ატარებს. დეფილეებზე ყოფნისას ზოგჯერ მეტისმეტად თვალში საცემია მისი უჩვეულო მაკიაჟი – სტაფილოსფერი პომადა და უსაშველოდ გრძელი, ხელოვნური წამწამები. დიზაინერს საკმაოდ მჭიდრო ურთიერთობა აქვს მწვანეების პარტიასთან და ერთხელ საპარლამენტო არჩევნებშიც იყარა კენჭი. მოდელიერს ეს ნაბიჯი არაკეთილმოსურნეებმა კიდევ ერთ გამოხდომად ჩაუთვალეს.

„ხუთშაბათობები აგატასთან ერთად"

მიუხედავად ყველაფრისა, ესპანური ტემპერამენტისა და თავისებური ხასიათის აგატას არც გული გაუტეხია და არც უკან დაუხევია. ის, რომ მისი დიზაინით შექმნილი სამოსი ადამიანებს ღიმილის ჰგვრიდა, აგატას სულაც არ აღელვებდა. უკვე 1986 წელს დე ლა პრადა მსოფლიო პოდიუმზე გამოვიდა: პუბლიკისა და კოლეგების ნეგატიური დამოკიდებულების მიუხედავად, მისი კოლექციის პირველი საერთაშორისო ჩვენება საფრანგეთის ქალაქ ბორდოში შედგა.

1988 წლიდან კი დაიწყო მისი სხვა კომპანიებთან თანამშრომლობა: მთელ ევროპაში ცნობილი ფეხსაცმლის ფირმა Camper-ისთვის დე ლა პრადამ სახლის ჩუსტების კოლექციის დიზაინი შექმნა; 1991 წელს, წარმოადგინა ჭურჭლის პირველი კოლექცია ფირმა Bidasoa-სთვის; ერთი წლის შემდეგ კი, საათების მწარმოებელი ერთ-ერთი უმსხვილესი ფირმისთვის – Swatch – სევილიაში დეფილე მოაწყო. მოდელიერის სრულიად უჩვეულო და ამასთან, ძალზე იოლად საცნობი სტილი, მეტად ახლობელი და მისაღები აღმოჩნდა ცნობილი ახალგაზრდული ბრენდისთვის. თავად დიზაინერი კი Swatch-ის ფილოსოფიამ და დემოკრატიულმა ფასებმა მოხიბლა. იმავე 1992 წელს დე ლა პრადამ პარფიუმერიაშიც სცადა ბედი – წარმოებაში ჩაეშვა მისი პირველი არომატი – Corazon, რომელიც კომპანია Gal-ისთვის იყო განკუთვნილი.

ამავე დროს, Agatha Ruiz de la Prada-ს მარკის ტრიუმფული სვლა, უკვე მსოფლიო მასშტაბით გრძელდებოდა. 1989 წელს აგატა ბერლინსა და მადრიდში გამართულ „დაუმთავრებელი კაბის შოუში" (Vestidos inacabados) მონაწილეობს. ერთიმეორის მიყოლებით იმართება მისი კოლექციის ჩვენება ოსაკაში (1990), ბერლინში (1991) და კიოტოში (1992), სადაც Lady from Spain-მა (კოლექციის დასახელება) უკვე ყველა აალაპარაკა.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენებების გამო აგატა რუისს გამუდმებით უხდებოდა მოგზაურობა, ის არც თავის მადრიდულ სტუდიას აკლებდა ყურადღებას. დედაქალაქელი ინტელექტუალებისთვის აგატა აწყობდა საღამოებს, რომელიც საზოგადოებამ Los Jueves de Agatha („ხუთშაბათობები აგატასთან ერთად") სახელით მონათლა. ამ საღამოებზე მადრიდელ ხელოვანთა ბოჰემა იყრიდა თავს. ესპანეთის დედაქალაქის მაღალი საზოგადოების ცხოვრებაში ეს „ხუთშაბათობები" ღირსშესანიშნავ მოვლენად იქცა. არაკეთილმოსურნეებმაც არ დააყოვნეს და აგატას თვითრეკლამაში დასდეს ბრალი, მაგრამ პრადამ არც ეს გაკილვა ჩააგდო აინუნში.

აი, მსოფლიოს აღიარება კი აგატას ისევ და ისევ ბავშვებმა მოუტანეს. 1995-96 წლების საბავშვო ტანსაცმლის კოლექციას, რომელიც დიზაინერმა ესპანეთის უნივერმაღების უმსხვილესი ქსელის – El Corte Ingles – შეკვეთით შექმნა, უდიდესი წარმატება ხვდა წილად. თავდაპირველად, საბავშვო ტანსაცმლის ესკიზების შემუშავების იდეა მოდელიერს სულაც არ მოეჩვენა მომხიბლავად, მან უარის თქმაც კი დააპირა, მაგრამ საბედნიეროდ, გადაიფიქრა. Agatha Ruiz de la Prada-ს მარკის მოზრდილთა ტანსაცმლის პოპულარობა ხომ სწორედ საბავშვო კოლექციის წარმატებამ განაპირობა. საბავშვო კოლექციის წარმატებულ ჩვენებას ქალის ტანსაცმლის სერიის თვალის დახამხამებაში გაყიდვა მოჰყვა, ამას კი – აქსესუარების, ბიჟუტერიისა და საიუველირო ნაწარმის ბუმი. ყოველივე ეს იმავე El Corte Ingles ქსელის შეკვეთა გახლდათ.

ლურჯზე ლურჯი მომწვანო წითელი შარმი

„მხოლოდ მემოდელეობა მოსაწყენია!" – გადაწყვიტა ერთ მშვენიერ დღეს აგატა რუისმა და 90-იანი წლების დასაწყისში სხვადასხვა სფეროს დიზაინერობას მოჰკიდა ხელი: ავეჯი, სახლისა და საბაზანო ოთახის აქსესუარები, ლოგინის თეთრეული, საკანცელარიო ნივთები, კერამიკული ფილები, ფეხსაცმელი, სათვალე, ბავშვთა საღღესასწაულო კოსტიუმები, შპალერები, უნიტაზის ავზები, რადიატორები, სათამაშოები (სხვათა შორის, მისი თოჯინები ამერიკულ მკერდსავსე ბარბიზე ბევრად მომხიბლავად გამოიყურება) – აი, იმის ვრცელი ჩამონათვალი, რაც დიზაინერის ინტერესების სფეროში მოექცა. ამასთან, ის საკუთარი თავის ერთგული დარჩა – ყველაფერს, რაც კი მისი ხელიდან გამოდიოდა, მკვეთრი შეფერილობა ჰქონდა და იმავე ყვავილების, ვარსკვლავებისა თუ ნახევარმთვარის ფორმას იღებდა.

ამჟამად აგატა არა მარტო ესპანეთის ერთ-ერთი ცნობილი დიზაინერია, არამედ ის მეოთხე ადგილზეა ქვეყნის ყველაზე პოპულარულ ქალებს შორის და ერთადერთია, ვისაც ესპანური მოდის ყველაზე ექსცენტრიკული ქალბატონის სახელით მოიხსენიებენ. ამ ზაფხულს, მან იტალიაში უცხოეთის ყველაზე მოდური დიზაინერის ტიტული მოიპოვა. ყველაზე ცნობილი ჟურნალები (და არა მარტო ესპანური პრესის) გამუდმებით ბეჭდავენ სტატიებს მის შესახებ. თუმცაღა, დღესაც მოიძებნებიან ადამიანები, რომლებიც პრესას მიკერძოებაში ადანაშაულებენ: თითქოსდა, ყოველივე ეს დე ლა პრადას ქმრის, გაზეთ El Mundo-ს დამაარსებლისა და მთავარი რედაქტორის უშუალო ჩარევის გარეშე არ მომხდარა.

თუმცა ესპანელთა უმრავლესობა არად დაგიდევთ ამგვარ წვრილმანებს და დიდი ენთუზიაზმით ყიდულობს ყველაფერს, რასაც კი დიზაინერი ქმნის. ესპანეთში ვერ იპოვით ოჯახს, „აგატა რუის დე ლა პრადას" მარკის ერთი ნივთი მაინც რომ არ ჰქონდეს, იქნება ეს კალმისტარი, გულსაბნევი თუ წინდა. მისი დიზიანით შექმ- ნილი ამა თუ იმ ნივთის ქონა, ძალზე პრესტიჟული და პოპულარული გახლავთ. მისი ღვაწლისა და ნიჭის აღიარებაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ „აგატა რუის დე ლა პრადას" კოლექციის – Homage to Chilida – ჩვენება ერთ-ერთ მადრიდულ მუზეუმში შედგა.

არცთუ იშვიათად აგატა ბინების დეკორირებას, ტელესტუდიების გაფორმებას, მსხვილი ფირმებისთვის PR-აქციებისა და ჩვენებების მოწყობას ჰკიდებს ხელს. მაგალითად, ატლანტის ოლიმპიადის დროს, მან კომპანია Swatch-ს (რომელთანაც საკმაოდ მჭიდრო მეგობრობა აკავშირებს)

ფრიად შთამბეჭდავი ჩვენება მოუწყო, მადრიდსა და სტოკჰოლმში კი კომპანია Absolut-ს მოუწყო პრეზენტაცია – Absolut Ruiz de la Prada.

90-იანი წლების ბოლო, პროფესიული თვალსაზრისით, დიზაინერისთვის განსაკუთრებულად დატვირთული გამოდგა: 1997 წელს აგატამ კომპანია Pamesa-სთვის შექმნა კერამიკული ფილების არაჩვეულებრივი

კოლექცია, AMAT-ისთვის – ფურნიტურის ხაზი, ორ წელიწადში გამოვიდა სათვალეების სერია Optim-ისთვის და შესანიშნავი ხალიჩები Nani Marquina-სთვის. Marie Claire-მა აგატას საცურაო კოსტიუმებისა და წინდების კოლექცია შეუკვეთა, Hierba Monesal-მა კი – შინ ჩასაცმელი მოსახერხებელი სამოსი. „აგატა რუის დე ლა პრადას“ დიზაინით შექმნილი ნივთების გამოშვების უფლების მოსაპოვებლად მწარმოებლებმა ლამის ომი გააჩაღეს. პრადას განსაკუთრებით კარგად აეწყო ურთიერთობა Absolut-თან: 2000 წელს პარიზში მან საზოგადოებას წარუდგინა კოლექცია – Absolut Mandrin შემდეგ კი შექმნა ავანგარდული კაბა... „აბსოლუტის“ ბოთლისთვის!

მიუხედავად დიზაინერის დიდი დატვირთვისა, „აგატა რუის დე ლა პრადას“ მოდების სახლს დამაარსებლის ყურადღება ერთი წუთითაც არ მოჰკლებია. 1998 წელს, აგატამ პარიზში, Pont Neuf-ზე საკუთარი მაღაზია გახსნა და იმ დღიდან მოყოლებული, ხან საფრანგეთის დედაქალაქში ცხოვრობს, ხანაც – მადრიდში. საკუთარი დეფილეების მომზადებასა და სხვა კომპანიებთან თანამშრომლობას აგატა ვირტუოზულად უთავსებს ერთმანეთს. ბორდოში მდებარე სარსის მუზეუმში მან თავისი ნამუშევრების რეტროსპექტული გამოფენა მოაწყო. ამას მოჰყვა ჩვენებები მადრიდსა და მალაგაში, აღლუმი ვაშინგტონში, შემდეგი კი პარიზში ცოცხალი ყვავილებისგან შექმნილი ასეულობით კაბის კოლექციის ტრიუმფული ჩვენება იყო.

დიზაინერის ნამუშევრებით სერიოზულად დაინტერესდა კომპანია G'ell Lamadrid, რომელიც მეთხედ საუკუნეზე მეტია, რაც საოჯახო ნივთებს აწარმოებს, – ამის შედეგად, ქვეყნიერებას მოევლინა მხიარულნახატებიანი შპალერების კოლექცია, რომელმაც ესპანელთა დიდი მოწონება დაიმსახურა. ერთ წელიწადში, შპალერებს დრაფირებული ქსოვილები დაემატა. ბავშვებმა „დეიდა გატასგან“ ხასხასა ფერის კალათები, წიგნის ნაირფერად მოხატული გადასაკრავები და ყინულკარამელის არომატის მქონე Nube მიიღეს საჩუქრად.

„არომატების სამყაროში“ აგატას განსაკუთრებული გამარჯვებები ელოდა წინ: Corazon-ის წარმატების შემდეგ, დახლებზე არანაკლებ წარმატებული საბაზანო ხაზი – Flor გამოჩნდა, ამას მოჰყვა Aqua, რომელმაც აგატას პრესტიჟული „პარფიუმერიული ოსკარი“ და მასობრივი არომატების კატეგორიაში FIFI Awards-ის არაერთი ვილდო მოუტანა. მან ასევე საუკეთესო შეფუთვისა და საუკეთესო სარეკლამო კამპანიების კატეგორიებშიც მოიპოვა პრიზები.

მსოფლიოს აგატიზაცია

თავისი ოცდახუთწლიანი მოღვაწეობის მანძილზე, აგატა დე ლა პრადამ ვადოსნური ცისარტყელას ფერები და ორიგინალური ფორმა მიანიჭა ყველაფერს, რაც კი დიზაინის სფეროში შეიძლება მოიაზროს ადამიანმა: ტანსაცმელს, აქსესუარებს, ავეჯს, ინტერიერს. ესპანეთში დიზაინერის ყოვლისმომცველი საქმიანობის აღმნიშვნელი სპეციალური ტერმინიც კი შექმნეს – „აგატიზირება“.

აგატა დე ლა პრადა მოდისადმი თამამი და ოპტიმისტური მიდგომის მოყვარულთ, 2005 წლის გაზაფხულ-ზაფხულის კოლექციაში ტრაპეციის ფორმის მკვეთრი ფერის კაბებს, ნარინჯისფერი, მკვეთრი ცისფერი, ფირუზისფერი, ალისფერი, პატარძლისყვავილისფერი და ნაზი სალათისფერი ტიულისგან შეკერილ, ჰაეროვან ქვედაბოლოებსა და ყვავილებისა და გულის ფორმის შლაპებს სთავაზობს. მის კოლექციაში ასევე შედის საღამოს ოქროსფერი კაბები, გულის ფორმის მწვანე კაბები, ვეებერთელა ჟოლოსფერი ყვავილებით შემკული სრულიად წარმოუდგენელი ფასონის ყვითელი ქვედაბოლოები – ასე რომ, როგორც ყოველთვის, იუმორის გრძნობა აგატას არც ამჯერად ღალატობს. არანაკლებ გაუმართლათ მამაკაცებს – დე ლა პრადა მათ ლიმონისფერ, ფორთოხლისფერ და ცისფერ ტონებში გადაწყვეტილ ფართოზოლებიან და სხვადასხვა ზომის კოპლებიან კოსტიუმებს სთავაზობს. „ადამიანებს მე ახალ ცხოვრებისეულ კონცეფციას ვთავაზობ, რომელიც ფაქტობრივად, თითქმის შეუმჩნეველი, წვრილმანი ელემენტებისგან შედგება. მაგრამ ეს არის ხალასი ფერებითა და სიცოცხლით სავსე სამყარო!“ – ღიმილით ამბობს დიზაინერი.

ბოლო ექვსი წლის მანძილზე, აგატას გამუდმებით სთავაზობენ სულ ახალ-ახალი მაღაზიის გახსნას. პარიზში გამართული pret-a-porter-ს კვირეულებზე ყოველთვისაა წარმოდგენილი მისი ხალისიანი კოლექციები. ის თანამშრომლობს სხვადასხვა კომპანიასთან, რომლებსაც მისი სახელის გამოყენებით საკმაოდ სოლიდური მოგება აქვთ; მაგრამ ერთი რამ ყველასათვის კანონია – მათი კომპანიის კონცეფცია აუცილებლად უნდა ემთხვეოდეს დიზაინერის ფილოსოფიას. კლიენტები ანგარიშს უწევენ მის აზრს და ხასიათის უცნაურობებსაც აპატიებენ. ეს ქალბატონი ხომ ბიზნესშიც კი ყველასაგან განსხვავებულია: ის არასოდეს იღებს მაღაზიას ოჯარით, ამას, სოლიდური თანხის გადახდას და მის საკუთარ მფლობელობაში შეძენას ამჯობინებს. ის ამბობს, რომ საუკეთესო ადგილას მდებარე მაღაზის ოჯარით ასაღებად, წარმოუდგენელი ხარჯის გაწევაა საჭირო, ამის უფლებას კი ის თავს ვერ მისცემს. ბევრს ეს სისულელედ მოეჩვენება, მაგრამ დიზაინერს მიაჩნია, რომ ასე უფრო მოსახერხებელია. ბოლოს და ბოლოს, ის ხომ აგატაა. ■

თქვენი და თქვენი ოჯახის ჯანმრთელობისთვის

მამლის წლის დადგომასთან დაკავშირებით, საგანგებოდ ვესტუმრეთ ცნობილ პარაფსიქოლოგს, დალი ავაგუმაშვილს, პოპულარული ქართველი მომღერლის გია ავაგუმაშვილის დას. ქალბატონ დალის რაც აქამდე უწინასწარმეტყველებია, ყველაფერი ასრულდა, ამდენად მკითხველთათვის საინტერესო იქნება მისი პროგნოზი 2005 წელთან დაკავშირებით.

დალი ავაგუმაშვილი:

მამალი გამოგვაღვიძებს... ხსნა მხოლოდ ღოცვაშია!

ნანა სისაური

— რაც წინასწარ თქვით ცხვრისა და მაიმუნის წლებზე, ყველაფერი ახდა. საინტერესოა, როგორი იქნება მამლის წელი?

— როცა ჟურნალისტები ამას წერთ, ხალხს ჰგონია, რომ ან მკითხავი ვარ, ან ნათელმხილველი, მაგრამ ცდებიან. შეიძლება, ვიღაც, სრულიად უცხო ადამიანი გავაჩერო ქუჩაში და წინასწარ გავაფრთხილო, ვუთხრა, რაც ელის; ეს ინფორმაცია ჩემგან დამოუკიდებლად მოდის, მაგრამ ვინმე საგანგებოდ რომ დამივდეს და მკითხოს თავისი მომავლის შესახებ, ვერაფერს ვეტყვი... რაც შეეხება 2005 წელს, მამალი ყველას გამოგვაღვიძებს, ვინც არ დაიზარებს და გამოფხიზლდება, მამლაყინწასავით თავს წამოყოფს, მას ღმერთი შეეწევა. კატაკლიზმებს კვლავაც უნდა ველოდეთ, ჩვენი ხსნა მხოლოდ ლოცვაშია. ქართველი ერი თავის დროზე, რწმენამ გადაარჩინა და დღესაც ღმერთის სიყვარული გვიხსნის განსაცდელისაგან. ლოცვა გაჭირვებულის წამალია, ღვთის წინაშე აღვლენილი მხურვალე ვედრება ნებისმიერ სიძნელეს გადაგვალახვინებს. როცა უზენაესს სურს ჩვენი შეჯანჯღარება, სულიერი გამოფხიზლება, სენს ან სიღარიბეს, ანდა სხვა რაიმე განსაცდელს მოგვივლენს ხოლმე. თუ იმ დროს ღვთის გმობას არ დავიწყებთ და გულით ვილოცებთ, მკურნალიც გამოჩნდება და მხსნელიც. ეშმაკმა მიგვაძინა, რწმენა გაგვინელა. მამალი ყველას გაგვაღვიძებს, გამოგვაფხიზლებს, რათა ცხვრები თხებად არ გადავიქცეთ. გაასმაგებით უნდა ვილოცოთ, ვინაიდან ხსნა მხოლოდ ლოცვაშია! პოლიტიკური მოსაზრებების გამო რწმენის უარყოფა დიდი ცოდვაა, თუ გადარჩენა გვსურს, სულიერად უნდა გავძლიერდეთ... შარშან, 19 დეკემბერს, ნიკოლოზობის დღეს, მცხეთას წავედი და სვეტიცხოველში ვილოცე. უკან გვიან დავბრუნდი. თბილისში მომავალმა უნებლიეთ ცას ავხედე და დავინახე წითელი, უფრო სწორად, ცეცხლისფერი ღრუბლებით გამოსახული უზარმაზარი ჯვარი, რომლის თავიც მცხეთას დაჰყურებდა, ტანი კი — თბილისს... ღმერთი გვაფრთხილებს, თუ შევისმენთ, უთუოდ შეგვეწევა. ამ ბოლო დროს, წინა წლებთან შედარებით, იმდენ უცნაურ შემთხვევას გადავწყდი, რომ გაოგნებული ვარ... საგრძნობლად იმატა თვითმკვლელობის სურვილით შეპყრობილთა რიცხვმა.

— ხალხი ველარ უძლებს სიდუხჭირეს, ეკონომიკურმა კრიზისმა და უმუშევრობამ ბევრი სულიერად გატეხა...

— თქვენ წარმოიდგინეთ, ხშირად, უფულობა და სიღარიბე არ არის თვითმკვლელობის მიზეზი... მშვენიერი ახალგაზრდა ქალბატონი მოვიდა ჩემთან დახმარების სათხოვნელად. შესანიშნავი ოჯახი აქვს, შეძლებული მეუღლე ჰყავს, მატერიალურად უზრუნველყოფილია, მაგრამ მაინც სიკვდილი უნდა. ერთხელ უკვე გადახტა მტკვარში, თავის დასახრჩობად; საბედნიეროდ, გადაარჩინეს. ქმრის დაჟინებული თხოვნით, მის მხსნელს მეორე შვილი მოანათვლინეს. გავიდა დრო და ქალს ისევ გაუჩნდა თვითმკვლელობის სურვილი...

— რა მიზეზით?

— რწმენა აქვს, მაგრამ სისტემატურად არ ლოცულობს, ეკლესიურად არ ცხოვრობს, მოუნანიებელმა ცოდვებმა სული დაუმძიმა, აურა ისე დაუბინძურდა, რომ სასოწარკვეთამდე მივიდა და თავის მოკვლა გადაწყვიტა. სულის გასაძლიერებლად მოუვლინა მას უფალმა განსაცდელი და ღვთის ნებამ ჩემთან მოიყვანა. ლოცვებით გავათავისუფლე ნეგატიური ენერგიისგან, ბიოველი გავუსუფთავე, ავუხსენი, რატომაც სურს თავის მოკვლა და რას ითხოვს მისგან უფალი.

— ახლა როგორ არის?

— მიხვდა, რომ მისი წამალი ლოცვა და ეკლესიური ცხოვრებაა. აღსარების ჩაბარება და ზიარების მიღება ყველასთვის აუცილებელია. ეკლესიურმა ცხოვრებამ ქალს მსოფლმხედველობა შეუცვალა და სხვა ადამიანად აქცია, სულიერი სიმძიმისგან გათავისუფლებული, უფლის გზას შეუდგა, დამშვიდდა, დაწყნარდა და თავის მოკვლაზე აღარ ფიქრობს.

— სამწუხაროდ, მოლასთან ქრისტიანებიც მიდიან დახმარების სათხოვნელად, რაც საკმაოდ მძიმე ცოდვად ითვლება...

— მოლები არაბულ შავ მაგიას იყენებენ, ქრისტიანთა დასახმარებლად. ასე რომ, დროულად დამიკავშირდნენ, ვინც შეცდა და ჯადო შეუკვეთა... ამას წინათ, 8 წლის ბიჭი მომიყვანეს, ავსულთაგან შეპყრობილი. ბავშვის დედამ და ბებიამ მოლას თავიანთი ქმრების გამოსათაყვანებლად ჯადო გააკეთებინეს, რითაც უწმიდურს შეეკრნენ და შედეგმაც არ დააყოვნა — ერთადერთი შვილი, მემკვიდრე და გვარის გამგრძელებელი ავსულმა შეიპყრო.

— რა ქნას ცოლმა, თუ მის ქმარს სხვა ქალი უბნევს თავგზას?

— მოლასთან წასვლა, ჯადოს გაკეთება და სულის წარწყმედა გამოსავალი არ არის. ლოცვა მჩხიბავობაზე გაცილებით ძლიერი იარაღია... ქალბატონს, რომლის მდიდარ ქმარსაც ქონების გამო, ვიღაც გოგო გადაეკიდა, მოლასთვის არ მიუმართავს, დამირეკა და მთხოვა, მელოცა მისი ოჯახის სიმტკიცისა და კეთილდღეობისთვის. ღვთის შეწევნით, ლოცვის ძალამ ისე განმუხტა დაძაბული სიტუაცია, რომ მეორე თაფლობის თვე დაუდგათ. კაცი გონს მოეგო, ახალგაზრდა საყვარელი მიატოვა და ახლა ბედნიერი ცოლქმრობა აქვთ... ამას წინათ, ახალგაზრდა ქალმა მთხოვა დახმარება. მას შემდეგ, რაც ქმარს გაეყარა, ყოფილი რძლის ოჯახში დასაბრუნებლად, დედამთილი ჯადოებს უკეთებდა, ბედი ჩაუკეტა, ხელმეორედ რომ არ გათხოვილიყო. ქალმა მომიტანა ქმრის დედის ნაჩუქარი, მოჯადოებული ნივთები. მაგიური ზემოქმედება ლოცვით განეიტრალდა თუ არა, ბედიც გაეხსნა: დედამთილის გულის გასახეთქად, ქალი საზღვარგარეთ გათხოვდა.

— უწინ ჯადოს ძირითადად, ქალები უკვეთდნენ მჩხიბავებს, მაგრამ ახლა, ამბობენ, მამაკაცებიც გააქტიურდნენო, მართალია?

— სამწუხაროდ, ასეა! ერთმა შეწუხებულმა დედამ ამერიკიდან დამირეკა. მისი ოჯახი 9 წლის წინ წავიდა საქართველოდან. ქმარს კარგი სამსახური აქვს, მოქალაქეობაც მიიღეს, დიდებული სახლი შეიძინეს — მოკლედ, მდიდარი ოჯახია. მათ ერთადერთ ქალიშვილს, თბილისიდან ახალჩასულმა ემიგრანტმა, მაგიური ზემოქმედების წყალობით, ტვინი აუმღვრია, თავი შეაყვარა და ცოლად შეირთო. სიძემ შეძლებული ოჯახი გაკოტრებამდე მიიყვანა. მშობლები მიხვდნენ, რატომაც იქორწინა მათ ქალიშვილზე ახალგაზრდა კაცმა, რომელსაც მადა თანდათან ეხსნებოდა და სახლიდან გააგდეს. ჯადოს ზემოქმედების ქვეშ მყოფმა შვილმა დედ-მამა შეიზიზღა, ისე ცუდად იყო, თავის მოკვლა სურდა. შეწუხებულმა ქალმა დამირეკა და დახმარება მთხოვა. შვიდი ლოცვის

შემდეგ, სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა – ჯადოს მოხსნამ მისი შვილი გონს მოიყვანა და დაძაბული ურთიერთობა განმუხტა. სხვათა შორის, საკმაოდ ხშირად მირეკავენ თურქეთში, საბერძნეთსა და რუსეთში გადასახლებული ქართველები. ყველას სიამოვნებით ვეხმარები... ჩემს ძმასა და ანსამბლ „ოთხი გიას“ წევრებს ვიღაც-ვიღაცები აწუხებენ და სთხოვენ, რომ მათთვის განსაკუთრებულად ვილოცო... ჩემთვის ყველა ადამიანი ერთნაირია, ფულიანი და უფულო, უმუშევარი და დიდი თანამდებობის პირი. დარეკონ, წინასწარ ჩაეწერონ და მათაც ისეთივე გულმოდგინებით დავეხმარები, როგორითაც სხვებს. რა უფლება მაქვს, ვინმე გამოვარჩიო, ღვთის მადლი ყველამ თანაბრად უნდა მიიღოს.

— შეგიძლიათ, დედის თხოვნით, ილოცოთ შვილზე, თუ მან ამის შესახებ არაფერი იცის?

– არა, ადამიანი პირადად უნდა მოვიდეს! ვისაც უფლის მადლის მიღება სურს, ვინც ხსნას ელის, ის მიიღებს კიდეც. ვერ ვილოცებ კაცზე, რომელსაც რწმენა არა აქვს, რადგანაც ძალას უფალი მხოლოდ კონკრეტულ პიროვნებასთან უშუალო კონტაქტის დროს მაძლევს. საერთოდ, ყველაფერი ღვთის ნებაა, ბედისწერას ვერსად გავექცევით... ამასთან დაკავშირებით, ფრიად უჩვეულო შემთხვევა გამახსენდა – ქალი, რომელსაც მენოციკლი 5 წლის განმავლობაში შეწყვეტილი ჰქონდა, მოულოდნელად დაფეხმძიმდა და აბორტი გაიკეთა.

— მერამდენე ორსულობა იყო?

– ქორწინებიდან ერთი წლის თავზე, გოგონა შეეძინა, მაგრამ ამის შემდეგ მენოციკლი შეუწყდა და 5 წლის განმავლობაში აღარ დაფეხმძიმებულა. თქვენ წარმოიდგინეთ, 4 თვის თავზე, ბავშვი იძრა.

— როგორ? აბორტი ხომ გაიკეთა?!

– დიახ, მუცელი მოიშალა, მაგრამ ბავშვი მაინც იძრა.

— ეტყობა, ტყუპი იყო და ერთი, ოპერაციის დროს დაიმალა...

– ვერაფერს გეტყვით, მაგრამ ნაყოფი უკვე იმხელა იყო, რომ იძულებული გახდა, გაეჩინა. ქალს ძლიერი სისხლდენა ჰქონდა, ძლივს ამშობიარეს ვაკუუმით. დაიბადა 7-თვიანი ბიჭი, 1,600 კგ, რომელსაც ცენტრალური ნერვული სისტემა მოშლილი ჰქონდა, გულში კი „ხვრელი“ აღმოაჩნდა.

— რას გულისხმობთ?

– გულში გაუფილტრავი სისხლი შედიოდა, სარქველი ხვრელივით ჰქონდა. ბიჭს გაჩენის დღიდან, უშედეგოდ დაატარებდნენ ექიმებთან. ერთხელაც, წლინახევრის ასაკში, მარჯვენა მუხლზე ორი ხუთქიმიანი ვარსკვლავი გამოესახა, ერთი – მკაფიოდ, მეორე – შედარებით მკრთალად.

— რანაირად გამოესახა ვარსკვლავები?

– გეგონებოდათ, ამოუწვესო... მკრთალი ვარსკვლავი ერთ დღეში გაუქრა, მკაფიო კი, 3 დღის შემდეგ გაუჩინარდა. სასწაული მოხდა: წარმოიდგინეთ, ბავშვი, ყველასათვის მოულოდნელად, გამოჯანმრთელდა – ნერვული სისტემაც მოუწესრიგდა და გულიც. ექიმები საკუთარ თვალებს არ უჯერებდნენ. ბიჭი ღვთის ნებით განიკურნა, ასე რომ, უფლის განგებას წინ ვერავინ აღუდგება.

— ბოროტ ძალთაგან შეპყრობილებსაც ლოცვით შველით?

– რა თქმა უნდა! საუბედუროდ, უწმინდური უკვე ისეა გაძლიერებული, რომ მსხვერპლს პირადად ეცხადება, უხილავი აღარ არის. ქმარმა და დედამთილმა კახეთიდან ჩამომიყვანეს 3 შვილის დედა, არაჩვეულებრივი ახალგაზრდა ქალი – შორენა. სასწაულებრივად მოხვდა ჩემთან: მისი შვილების ექიმმა, პედიატრმა, რომელიც წლების წინ ყოფილა ჩემთან დახმარების სათხოვნელად (ძლივს გავიხსენე, ვინ იყო), სიზმარში მნახა.

— საიდან დაესიზმრეთ?

– მიუხედავად იმისა, რომ ქალს საერთოდ არ უფიქრია ჩემზე, სრულიად მოულოდნელად გამოვეცხადე თურმე, სიზმარში და ვუთხარი: თქვენი მეზობელი შორენა აღარსად წაიყვანონ, ჩემთან მოვიდეს და ვუშველი-მეთქი. გაოცებული ქალი დილაუთენია გადასულა მეზობლებში და სიზმარი უხარებია, თან დაუმატებია – წინასწარ დარეკე და ისე მიდი, თორემ, იმდენი ხალხი ჰყავს, რომ ვერ მიგიღებსო. მართლაც, ღვთის ნებით მოხვდა შორენა ჩემთან. ქმარსა და დედამთილს სად არ დაჰყავდათ სბრალო ქალი, რომელსაც უზარმაზარი ეშმა თავისი ბრჭყალებით სხეულსა და სახეს უკაწრავდა. უწმინდური მხოლოდ მაშინ ეცხადებოდა შორენას, როცა ის ოთახში მარტო იყო, სხვების თანდასწრებით თავს არ ავლენდა, ამიტომ ქმარსა და დედამთილს ქალი ვერ არწმუნებდა თავის სიმართლეში. ოჯახის წევრებს არ სჯეროდათ, რომ ეშმა მას ფიზიკურად ეხებოდა და თავისი ბრჭყალებით კაწრავდა... ერთი სიტყვით, უწმინდურს მხოლოდ შორენა ხედავდა, ამიტომ ქმარმა ცოლი ფსიქიატრთან მიიყვანა.

— რა დიაგნოზი დაუსვეს ექიმებმა?

– პათოლოგია ვერ დაუდგინეს, მაგრამ ქმარს უთხრეს – ალბათ, თვითონ იკაწრავს სახესა და სხეულს ფრჩხილებითო და ურჩიეს, ძირში დააჭერითო. ქმარმა დაიჯერა ექიმის ნათქვამი, იფიქრა, როცა მარტო ვტოვებთ, მაშინ იხელთებს ხოლმე დროსო და გადაწყვიტა, ექიმის რჩევით, ცოლი ფსიქიატრიულ საავადმყოფოში დაეწვინა. მაგრამ შორენას დედამთილმა შვილს ამის უფლება არ მისცა. ქალს გული უგრძნობდა, რომ მისი რძალი ჯანმრთელი იყო და სჯეროდა, რომ სიმართლეს ამბობდა. შორენას ქმარმა ფრჩხილები ორივე ხელზე ძირში დააჭრა და გვერდიდან არ შორდებოდა, მაგრამ საპირფარეშოში შესვლისთანავე გამოეცხადა ეშმა განმარტოებულ ქალს და სახე ჩამოჰკაწრა. ორივე ლოყა დასისხლიანებული ჰქონდა, მისი კივილი ცას სწვდებოდა. ქმარი დარწმუნდა, რომ შორენას მართლაც, უწმინდური ეცხადებოდა და ფსიქიატრიულში აღარ დაწვინა... როცა მეზობელმა სიზმარში ნანახი უამბო, ცოლი მაშინვე მანქანაში ჩასვა და თბილისში ჩამოიყვანა. ლოცვის ძალამ უწმინდური ჯერ დააპატარავა, ბოლოს კი გააქრო. იმ პერიოდში, როცა შორენა ჩემთან დადიოდა, რამდენჯერმე დაესიზმრა დაუძლურებული ეშმა, რომელიც ეხვეწებოდა – დალისთან აღარ მიხვიდე, შელოცვილი მაისური გაიხადე, ველარ მოგკარებივარო. მას მერე, რაც ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა, შორენამ სიზმარში ანგელოზების გუნდი ნახა. სწორედ მათ უთხრეს, სახელობით ნათლიად აირჩიე, ვინც ჩვენ შენამდე მოგიყვანაო. ასე რომ, შორენა ჩემი ნათლული გახდა.

— ლოცვით ორგანული დაავადებებიც იკურნება?

– როცა პაციენტის ჩივილები ორგანული პათოლოგიითაა გამოწვეული, რა თქმა უნდა, პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე ვერ ავიღებ, ამ შემთხვევაში ექიმს უნდა მიაკითხოთ. მაგრამ თუ ადამიანი თავს ცუდად გრძნობს, უარყოფითი ენერგიის ზემოქმედების შედეგად, ლოცვებით განიკურნება. მოკლედ, მხოლოდ მაშინ ვკიდებ ხელს პაციენტს, თუ ექიმის დიაგნოზის თანახმად, ორგანული დაავადება არ აღენიშნება.

— ლოცვით ოჯახური კონფლიქტების მოგვარებაც შეიძლება?

– რა თქმა უნდა! ოჯახში უკიდურესად დაბინძურებული აურის მქონე ერთი ადამიანიც სავსებით საკმარისია იმისათვის, რომ დანარჩენებს სიცოცხლე გაუმწაროს, ურთიერთობები დაძაბოს და ყველას თავბედი აწყევლინოს. უარყოფითად დამუხტული აურა ლოცვებით იწმინდება და შესაბამისად, ადამიანიც მშვიდდება, წყნარდება, ჰარმონიული ხდება. აქედან გამომდინარე, ჩხუბისა და აყალმაყალის მიზეზს აღარ ეძებს, თავისიანებს კარგად ექცევა. მსგავს შემთხვევებში, გაცილებით ეფექტურია ოჯახის თითოეული წევრისა და ბინის აურის გაწმენდა, რათა შინაურებში მშვიდობა საბოლოოდ დამკვიდრდეს.

P.S. ქალბატონი დალი წინასწარ ჩაწერის გარეშე არავის იღებს! ჩაწერა ხდება ტელეფონით. დარეკეთ ყოველდღე, კვირის გარდა, დილის 9 სათიდან 16 საათამდე. საკონტაქტო ტელეფონები: 96.79.00; 8(99) 10.73.06; 8(77) 71.97.67.

R

Avant ახალ ხიგს ხსნის

გერმანული ფირმა სამოდელო რიგს აფართოებს. ცოტა ხნის წინ, მან ახალი მოდელის – Audi S4 Avant – ფოტოსურათები გამოამზეურა. ეს გახლავთ უნივერსალი, რომელიც S4-ის სპორტული მოდიფიკაციის ბაზაზე აიგო.

ავტომობილი V ტიპის 8-ცილინდრიანი, 4,2 ლ სამუშაო მოცულობის ძრავათი იქნება აღჭურვილი და 334 ცხ.ძ. სიმძლავრეს განავითარებს. მისთვის განკუთვნილია ორნაირი გადაცემათა კოლოფი – ექვსსაფეხურიანი მექანიკური და ავტომატური – Tiptronic. 100 კმ/სთ სიჩქარეს, მექანიკურ გადაცემათა კოლოფით აღჭურვილი Audi S4 Avant 5,8 წმ-ში, Tiptronic-ით აღჭურვილი კი – 5,9 წმ-ში განავითარებს. მისი მაქსიმალური სიჩქარე 250 კმ/სთ-ია, ამიტომ მანქანას სიჩქარის ელექტრო-შემზღუდავიც დაერთვება თან. სპორტულ უნივერსალს ქსენონის მაშუქები ექნება. კონსტრუქტორებმა სამუხრუჭე სისტემა – S4 Avant კიდევ უფრო გააძლიერეს.

სალონს სპორტული სავარძლები – Recaro დაამშვენებს. მასში ნატურალური ხის მასალისა და ალუმინისგან დამზადებული უამრავი მოხდენილი დეტალია, ხოლო საჭე ტყავგადაკრული აქვს. მანქანის სახურავზე კი, მზის ბატარეაა დამონტაჟებული, რომელიც ძრავას გამორთვის შემდეგ, ვენტილაციის სისტემას კვებავს.

Audi S4 Avant-ის საბაზო კომპლექტაციაში მაღალი კლასის აუდიოსისტემა შედის. მშობლიურ გერმანიაში ამ მანქანის ფასები 54.400 ევროდან (მექანიკურ გადაცემათა კოლოფით აღჭურვილი ვერსია) იწყება. Tiptronik-ით აღჭურვილი Avant 56.800 ევრო ეღირება. ■

SSangYong Rodius-ს ფსევდონიმი მიანიჭეს

ცოტა ხანში, კორეული ფირმა ევროპის ბაზარზე თავის ახალ მოდელს – Rodius-ს გამოიტანს. ევროპელთათვის განკუთვნილი, ამ მოდელის ვერსია – Stavic – ყველგანმავლისა და მოცულობითი ვენის ჰიბრიდს წარმოადგენს. ის პირველად, იტალიის ქალაქ ბოლონიაში გამართული მოტოშოუს დროს წარდგა ავტომოყვარულთა წინაშე და ბევრი მნახველის მოწონება ხვდა წილად.

Rodius/Stavic-ის პარამეტრები ასეთია: სიგრძე – 5,6 მ, სიგანე – 1,91 მ, სიმაღლე – 1,82 მ. გაბარიტებით ის სულ ცოტათი ჩამორჩება ევროპული ვენების „პიონერს“ – Renault Espace-ს.

კორეაში მომხმარებელს ამ მანქანის 11-ადგილიან ვერსიას სთავაზობენ, ევროპულ ბაზარზე კი – 7-ადგილიანს. ახალი SsangYong აღჭურვილია 2,7 ლ მოცულობის 5-ცილინდრიანი დიზელის ძრავათი, რომელსაც კორეული ფირმა „მერსედესის“ ლიცენზიით აწარმოებს. მისი სიმძლავრე 165 ცხ.ძ-ს შეადგენს. მანქანის მაქსიმალური სიჩქარეა 170 კმ/სთ. ევროპელ მომხმარებელს ამ ავტომობილს 30 ათას ევროდ შესთავაზებენ. ბოლოს დავძენთ, რომ მას ორი – სრულამძრავიანი და წინაამძრავიანი მოდიფიკაცია ექნება. ■

Mitsubishi დეტროიტში მიემგზავრება

დეტროიტის საერთაშორისო ავტოსალონზე, რომელიც მიმდინარე თვეში გაიმართება, იაპონური ავტოგიგანტი რამდენიმე ახალ მოდელს წარმოადგენს. მათ შორისაა სპორტული პიკაპი – Raider და კუპე – Eclipse. Raider-ს ძარას დინამიკური, „კუნთოვანი“ სილუეტი აქვს, რომელიც ავტომობილის სიმძლავრეს უსვამს ხაზს. პიკაპი აღჭურვილი იქნება 3,7 ლ სამუშაო მოცულობის 6-ცილინდრიანი და 4,7 ლ მოცულობის 8-ცილინდრიანი ძრავათი. მანქანას ასევე 2 გადაცემათა კოლოფი ექნება: ექვსსაფეხურიანი მექანიკური და ოთხსაფეხურიანი ავტომატური.

Raider-ს ამერიკული ფესვები აქვს: ის Dodge Dakota-ს პლატფორმაზეა აგებული და ამერიკულ ბაზარზე გასატანადაა განკუთვნილი. პიკაპის გაყიდვა 2005 წლის შემოდგომისთვისაა დაგეგმილი.

ჩრდილოამერიკული მყიდველისთვისაა გათვალისწინებული აგრეთვე Eclipse-ც. ოთხადგილიანი სპორტული კუპე აღჭურვილია 2,4 ლ მოცულობის 4-ცილინდრიანი ან 3,8 ლ მოცულობის 6-ცილინდრიანი ძრავათი. ამ მოდელს ამერიკელი დილერები Raider-ზე ადრე – ზაფხულში მიიღებენ. ორივე მანქანას ამერიკაში მდებარე იაპონური ავტოგიგანტის ქარხნები გამოუშვებენ.

■

შეიტყო სიტყვაში ქაღალდებით ოფლშეწყვეტილ ადამიანად

ბავშვობაში ირაკლი ჩარკვიანი ახალ წელს ბაბუასთან ხვდებოდა ხოლმე. მეფობის სურვილი მას იმ დროიდანვე მოჰყვება. ამ და სხვა საინტერესო ამბებს ცნობილი მომღერლის ცხოვრებიდან ქვემოთ შეიტყობთ.

ლევან ებრალიძე

– ჩემთვის ახალი წელი იმით არის მნიშვნელოვანი, რომ ადამიანს რაღაც ახლის დაწყების შეგრძნება უჩნდება. როგორც ორშაბათს გგონია, რომ შეგიძლია, ყველაფერი თავიდან დაიწყო, იგივე ძალა აქვს ახალ წელს, დაბადების დღეს. ახალი წელი გაძლევს შესაძლებლობას, რომ თავიდან დაიბადო. მეც მგონია, რომ ახალ ციკლს დავიწყებ. ყოველ შემთხვევაში, რამდენიმე ანტურაჟული, აქსესუარული დეტალი იქნება, რომელიც ამას ცხადყოფს. პირველი ის, რომ მე ირაკლი ჩარკვიანი აღარ ვიქნები, ჩემს მუსიკას და ნაწარმოებებს ეწერება „მეფე“. ეს პროცესი უკვე დაიწყო ანუ ჩემი პროდუქცია არა ირაკლი ჩარკვიანის, არამედ – „მეფის“ ან „მეფე მიუზიკლის“ საკუთრება იქნება. ადამიანი სახელთან ერთად ძალიან ბევრ იმ დეტალს იცვლის, რომელიც ასოციაციურად დაკავშირებულია სახელთან, ბიოგრაფიასთან და ა.შ. ხდება განახლება. ეს არის მთავარი, რაც მინდა, რომ ახალ წელს მოხდეს.

— „მეფე“ რატომ აირჩიეთ?

– მეფობის შეგრძნება ჩემში ბავშვობიდანვე იყო. ბაბუაჩემი ცეკას პირველი მდივანი იყო ანუ – მეფე. აქედან გამომდინარე, ბავშვობაში ეს სულ აკვიატებული მქონდა და ვამბობდი – მეფე ვარ-მეთქი! იმიტომ კი არა, რომ განდიდების მანიით ვარ შეპყრობილი, უბრალოდ, ეს ჟღერადობა ჩემთვის უფრო მისაღებია, ვიდრე ირაკლი ჩარკვიანი, რომელიც თავისი არსით, დაიღალა „ხმარებით“: იმდენჯერ იხმარეს ეს სახელი და გვარი და იმდენი ზიანი მიაყენეს, თავიანთი ენერგიით და სხვადასხვა ხერხით, რომ მინდა, დავასვენო, ცოტა ხანს, „თაროზე შემოვდო“...

— ზოგს არ მოსწონს, არ უყვარს თავისი სახელი. თქვენც ეს ხომ არ გჭირთ?

– არა, მე ძალიან მომწონს და მიყვარს ჩემი სახელი, მაგრამ საყვარელი საგნებიც იღლებიან, საყვარელი ტანისამოსიც გბეზრდება, იგივეა ამ შემთხვევაშიც, რაც არ ნიშნავს „არსიყვარულს“.

— ახალი წლის მიმართ ბავშვობის ემოციები დღესაც გაქვთ?

– ვთვლი, რომ მე საერთოდ დავრჩი ბავშვად. იმიტომ, რომ ვისაც ვუყურებ, ისინი უფრო დაბერდნენ, ვიდრე მე. ადამიანების უმრავლესობა 20 წლის მერე ბერდება. ეს ქალებში განსაკუთრებით ჩანს ხოლმე. მამაკაცებშიც ასეა. მე ბავშვი ვარ და ვიქნები. არასოდეს დავბერდები, იმიტომ, რომ არ მინდა.

— თოვლის ბაბუის გჯერადათ?

— ახლაც მჯერა და თვითონ ვარ თოვლის ბაბუა.

— რა საჩუქრები მოჰქონდა ხოლმე?

— იმდენნაირი, რომ აღარც მახსოვს. ჩემთვის მნიშვნელოვანი ის საჩუქრები არ იყო — მთავარია, თვითონ რწმენა, რომ თოვლის ბაბუა მოვა, სიხარული, რომ ელოდები, როგორც ღმერთს — ის ხომ არ ჩანს, არ იცი, რა არის, მაგრამ რომ არსებობს, კარგია, სასიამოვნოა. თოვლის ბაბუა ღმერთია ფაქტობრივად. თუ თოვლის ბაბუა ღმერთი არ არის, ის დემონია. მე მირჩევნია, რომ ღმერთი იყოს, ვიდრე დემონი.

— რაკი თოვლის ბაბუა ხართ, დასაჩუქრებაც გეყვარებათ.

— დასაჩუქრება იმდენად მიყვარს, რამდენადაც ადამიანებში მოლოდინს აღვძრავ. შეიძლება, არაფერი აჩუქო, მაგრამ თუ აღძარი საზოგადოებაში მოლოდინი და ადრენალინი გამოიყო, ამით ადამიანები უკვე ბედნიერები იქნებიან. თუ გაქვს უნარი, რომ ადამიანი გააბედნიერო, ე.ი. შენ უკვე ხელოვანი ხარ. არა აქვს მნიშვნელობა პროდუქტს — მთავარია პროცესი, ის, თუ რამდენად შეგიძლია, გაუკეთო ადამიანს ჯადო — კარგი გაგებით, რა თქმა უნდა.

— ანუ ხელოვნებაში მთავარი კითხვაა „როგორ“ და არა — „რა“?

— რა თქმა უნდა, „რა“ არის თავისთავადი. ეს საუკუნეების განმავლობაში ერთი და იგივეა და არის გარკვეულწილად შენი პროდუქტი, რომელსაც სახლში ამზადებ — ჩაქაფული იქნება ეს, ხინკალი, „ღვთაებრივი კომედია“ თუ „რომეო და ჯულიეტა“. „როგორ“ — ეს ინდივიდუალურია. ჩაქაფული ჩაქაფულია, მაგრამ რამდენ წიწაკას და ტყემალს უზამ, ეს არის მთავარი. არსებობს კლასიკური „რომეო და ჯულიეტა“. ის ყოველთვის იყო და იქნება. შექსპირმა სახელი დაარქვა. მანამდე ერქვა, დავუშვათ, „ლალი და ფხალი“. კაცს ქალი ყოველთვის უყვარდა, ოჯახები ყოველთვის ჩხუბობდნენ. ხელოვანი თუ ხელოვანია, სახელებს არქმევს და როგორ არქმევს და რა დოზით — აი, ეს არის მთავარი.

— ახალ წელს შინ ხვდებით ხოლმე?

— შინ ვხვდები, მაგრამ მერე მივდივარ ხოლმე. წელს ამ მაგიურ დროს, 12-დან დილამდე, ჩემს შვილთან და მეუღლესთან ერთად სახლში ვიყავი. უკვე იმ ასაკში ვარ, რომ აღარ მინდა, სადღაც წავიდე და კონცერტები ვმართო. პირველში და ორში აუცილებლად მივდივარ ხოლმე ტრადიციულ სადილზე მშობლებთან.

— სვამთ?

— ძალიან ცოტას. ალკოჰოლს თითქმის არ ვსვამ, იშვიათი შემთხვევის გარდა. თუ ვსვამ, ორ-სამ ჭიქა ვისკის. ღვინოებში კარგად ვერკვევი, მაგრამ მირჩევნია, შევაფასო, ვიდრე ბევრი დავლიო.

— რომელიმე ახალი წელი განსაკუთრებით ხომ არ დაგამახსოვრდათ?

— ერთხელ, 31-ში 12 საათზე გავიღვიძე და ბერლინში აღმოვჩნდი, რომელიღაც დისკოთეკაზე. არადა, მახსოვს — რომ დავიძინე, მოსკოვში ვიყავი...



31-ში 12 საათზე გავიღვიძე და ბერლინში აღმოვჩნდი, რომელიღაც დისკოთეკაზე. არადა, მახსოვს — რომ დავიძინე, მოსკოვში ვიყავი...

— ფილმის გმირივით მოგსვლიათ...

— ზუსტად. ცოტა მეტი დავლიე, ჩამეძინა და ჩემმა ამხანაგმა წამიყვანა თვითმფრინავით.

— საახალწლო კერძებიდან რომელი გიყვართ?

— დიდი მჭამელი არა ვარ. ახალგაზრდა როცა ხარ, უფრო გშია, გამორჩეულად გიყვარს ჭამა. ახლა, ამ ასაკში, კი ვამბობ — ბავშვი ვარ-მეთქი, მაგრამ ხომ არიან ისეთი ბავშვები, ჭამა რომ არ უყვართ! მეც ასე ვარ. ახლა, უცებ რომ წარმოვიდგინე, ვთქვათ, საცივი რომ ვჭამო, შეიძლება მოვკვდე, რატომ — არ ვიცი... ძალიან მძიმეა ჭამა. კარგი იქნებოდა, კოსმონავტებს რომ აქვთ, ისეთი აბები დალიო და მთელი დღე აღარ მოგშივდეს. თვითონ ჭამის ესთეტიკა და თამაშები მომწყინდა. როგორც ირაკლი ჩარკვიანის სახელი და გვარი, ზუსტად ეგრევე მომწყინდა სუფრასთან ჯდომის რიტუალი, ვიღაც იდიოტებთან ან არაიდიოტებთან ლაპარაკი.

— ბუნებით ხართ ასეთი, ყველაფერი რომ გბეზრდებათ?

— რაღაცები ძალიან მალე მბეზრდება, რაღაცები — გვიან. ადამიანს ძალიან ბევრი დრო ეხარჯება ჭამასა და იმაზე ფიქრში, თუ რა უნდა ჭამოს. ძალიან მენანება ის დრო, რაც შემიძლია, მუსიკისთვის და სხვა, უკეთესი იდეებისთვის გამოვიყენო. არ მსიამოვნებს, მაღაზიაში წასვლა და რაღაცების ყიდვა. არადა, რაც პატარა ბავშვი მყავს, მიწევს. ამიტომ, კაცობრიობა უნდა მივიდეს იმ აზრამდე, რომ ჭამა არ არის საჭირო. არ არის მნიშვნელოვანი, დანა-ჩანგალი მარჯვენა ხელში გეჭირება თუ მარცხენაში. ეს ტრადიციები აღარ იარსებებს. იქნება ყუთები — დააჭერ ხელს, ჩამოვარდება აბი, გადაყლაპავ და მთელი დღე თავისუფალი იქნები. არც ჩაი გენდომება, არც — ყავა, მხოლოდ — ხელოვნება.

— ამ პრინციპით, ძილიც არ გეყვარებათ.

— ძილიც დროის კარგვაა. დღეში 6-7 საათი მკვდარი ხარ. სიკვდილი ისედაც ჩქარა მოდის და ძილისთვისაც რომ არსებობდეს ორგანიზმის რეაქტიული დასვენების აბები, კარგი იქნებოდა.

— ყველაზე ძვირფასი თქვენთვის დროა?

— დრო ძვირია, დრო ფულია, დრო არ არსებობს.

— 2004 წელი როგორი იყო თქვენთვის?

— სავსე. ჩემი ალბომი გამოვიდა სახელით — „სავსე“. როცა რაღაცას ვამბობ, მერე ის სიტყვა ხორცს ისხამს. ეს წელი მართლა „გასუქდა“ და ისეთი

„ფუმფულა“ და „ღიპიანი“ გახდა, რომ „ქონები დაედო“... ამ ალბომმა გაამართლა. როგორც წესი, ყოველთვის წინასწარ ვამბობ, მერე რა უნდა მოხდეს. ენერგეტიკულადაც სავსე ვიყავი. არ მქონია ისეთი პერიოდი, რომ დაცლილი და დავარდნილი ვყოფილიყავი. მინდა, შემდეგი წელიც სავსე იყოს, მაგრამ არ ერქვას „სავსე“, იმიტომ, რომ ეს ჩემი მეფობის წელია. მეფე, არა მგონია, იყოს სავსე, მეფე უნდა იყოს მკაცრი!


ცოლ-შვილთან ერთად

— 2004 — სავსე, 2005 — მკაცრი?

— 2005 იქნება მკაცრი, მაგრამ ზუსტი. მეფობას უყვარს კატეგორიულობა. იმიტომ, რომ ძალიან ბევრია, ვისაც ავჯანყების მოწყობა უნდა. ბევრია რევოლუციონერი, მათი კონტროლია საჭირო. მეფეს ყოველთვის ემუქრება ტახტიდან ჩამოვარდნა, ამიტომ „კონტროლი“ არის ის ერთადერთი მყარი სიტყვა, რომელსაც წელს ყველაზე ხშირად ვიხმარ...

— რევოლუციები არ გიყვართ?

— მიყვარს რევოლუციების ჩახშობა, რომლებიც ჩემს წინააღმდეგაა. მე თვითონ რევოლუციონერი ვარ.

— ნაძვის ხეს დგამთ ხოლმე?

— კი, მაგრამ ამას სერიოზული დატვირთვა არა აქვს. მე არა ვარ სათამაშოების გიჟი. ჩემს ნაძვის ხეს კონცეპტუალური აქვს ის, რომ ჩათვალე — ყოველი ტოტი არის ცოცხალი არსება, ის მოდის სტუმრად და ესაჭიროება ჰალსტუხი. ამიტომ, ძალიან ბევრი ჰალსტუხი მქონდა და თითოეულ ტოტზე დავკიდე. ამით მინდოდა მეთქვა, რომ ბუნება ცოცხალია და ითხოვს უფრო მეტ ყურადღებას კაცობრიობისგან. ნაძვის ხე მიდის ადამიანთან, რომ დაანახვოს და აუხსნას, რომ ის არის ცოცხალი. თუმცა, ჩემი ნაძვის ხე, რა თქმა უნდა, ნატურალური არ არის. ნატურალურ ნაძვის ხეს არასოდეს ვდგამ სახლში.

— ბაბუათქვენი თქვენს ოჯახთან ერთად ხვდებოდა ხოლმე ახალ წელს?

— უფრო, მე ვხვდებოდი ბაბუაჩემთან. იმიტომ, რომ მშობლები არ იყვნენ ხოლმე შინ. ხოლო რაც გავიზარდე, მათთან ერთად არასდროს ვხვდები.

— ოჯახიდან გამომდინარე, ბავშვობა ალბათ, განსხვავებული გქონდათ. შემოქმედებაც განსხვავებული გაქვთ. თქვენი პიროვნება თუ მიგაჩნიათ ასეთად?

— რა თქმა უნდა, განსხვავებული ვარ სხვებისგან. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ის ვარ, რაც ვარ. ამაზე იმოქმედა გენეტიკურმა ფაქტორმა (მნიშვნელოვანია, საიდან და როგორ მოდიხარ), მერე გარემომ. აი, ამ კონტექსტში გამოდის ინდივიდუალობა... ყველა განსხვავებულია, მაგრამ ხელოვანია ის, ვინც ამას უფრო მძაფრად გრძნობს და გამოხატავს სხვადასხვა ხერხით.

— რა გაქვთ საერთო და განსხვავებული თქვენ, მამათქვენს და ბაბუათქვენს?

— არაფერი. იმიტომ, რომ მამაჩემი აბსოლუტურად განსხვავებული პერსონაჟია, დრამატურგის თვალით რომ შევხედოთ, ბაბუაჩემი ხომ — საერთოდ... თუმცა, მე და ბაბუაჩემს საერთო ალბათ მეფობის სურვილი გვაქვს. მამაჩემს ეს სურვილი, ჩვენგან განსხვავებით, არასოდეს ჰქონია, ყოველ შემთხვევაში, მე არ მიგრძნია. მგონი, უფრო იმის სურვილი ჰქონდა, რომ მეფესთან ახლოს ყოფილიყო... მე კი, ყოველთვის თავად ვიყავი მეფე, ჩემს თავზე ვიღებდი ყველაფერს. ბაბუაჩემის შემთხვევაშიც იმავენაირად იყო საქმე. მან თქვა და მიაღწია იმას, რისი მიღწევაც უნდოდა — ანუ იყო მაშინდელი საქართველოს მეფე.

— რა არის თქვენთვის მთავარი?

— ჩემთვის ყველაზე მთავარია, რომ ადამიანმა არ დაკარგოს სიყვარულის შეგრძნების უნარი. ეს უნარი მდგომარეობს სისუფთავეში. ადამიანი მნიშვნელოვანია არა იმით, თუ რამდენი იცის და რამდენი წიგნი აქვს წაკითხული, არამედ იმით, თუ რამდენად სუფთაა, რამდენად არ გააბინძურა გარემომ. არა აქვს მნიშვნელობა, გენიოსია თუ მათხოვარი — მთავარია, როგორ შეინარჩუნა თავი ამ გარემოში, როგორ გადარჩა. ასეთები რეალურად, ძალიან ცოტანი არიან. ადამიანების უმრავლესობა სუსტია იმისთვის, რომ გარემოს წნეხს არ დაექვემდებაროს. ამიტომ არიან უკვე 20 წლის ასაკში ბებრები. მათ ცხოვრებას მერე, აზრი ეკარგება. ინფორმაციას აღარ იღებენ, საკუთარ თავში იკეტებიან, სულიერად კვდებიან. მსოფლიოში ერთი პროცენტია სუფთა...

— ბედნიერი ხართ თუ მიგაჩნიათ, რომ ბედნიერება შინ გაქვთ?

— მე ბედნიერი ვარ იმით, რომ მინდა, ვიყო ბედნიერი. აბსოლუტურად ბედნიერი ადამიანი არ არსებობს, ეს სიცრუეა. ყველაზე ბედნიერი ალბათ, სიკვდილის მერე არიან... აბსოლუტური არაფერი არსებობს. არსებობს მხოლოდ მიდრეკილება და სურვილი ბედნიერების. ამიტომ, ამ თვალსაზრისით, ბედნიერი ვარ. როცა ეს სურვილი ქრება, ადამიანი, ფაქტობრივად, კვდება.

— შემოქმედების მხრივ 2005 წელს რა გეგმები გაქვთ?

— ახლა გამოვიდა ჩემი სინგლი, რომელშიც სამი ახალი კომპოზიცია შედის. მალე გამოვა მეორე სინგლიც. ხოლო გაზაფხულზე ან შემოდგომის დასაწყისში გამოვა ახალი ალბომი, რომელსაც ერქმევა „მეფე“. ასე რომ, მეფობას მომზადება ესაჭიროება, ასე უცებ ვერ გახდები... ■

მოლოდინი სიხარულისა — იგივე სიხარულია.

ლესინგი



ფრაზა

გენიალური

ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲐᲡᲢᲠᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲒᲜᲝᲖᲘ

(10 - 16 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ, 2005 Წ.)

ᲛᲔᲠᲫᲘ – 21/III-20/IV

ᲥᲐᲚᲘ: მამაკაცისგან შემოთავაზებული საქმიანი წინადადება წარმატებას მოგიტანთ. შეგიძლიათ, ამ კვირაში თამამად გაეშუროთ სამსახურის საძებნელად – ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე მიაღწევთ წარმატებას.

ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲘ: თუ ახალი წელი მაინცდამაინც მხიარულად ვერ გაატარეთ, შეგიძლიათ, ამ კვირას ყველა დანაკლისი აინაზღაუროთ. უახლოეს დღეებში ხალისიანი განწყობილება და სიურპრიზები გელით.

ᲙᲣᲠᲝ – 21/IV-21/V

ᲥᲐᲚᲘ: უმჯობესია, ეს დღეები საყვარელ საქმიანობას დაუთმოთ. კარგი კვირაა ხელოვანთათვის. თავი მაქსიმალურად უნდა შეიკავოთ ალკოჰოლისგან და ხალხმრავალ ადგილებსაც მოერიდოთ.

ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲘ: ამ კვირაში ფორტუნა თქვენს მხარეზე იქნება. გამოიყენეთ ეს დღეები მნიშვნელოვანი საქმეების მოსაგვარებლად. შინ ყოფნას არ გირჩევთ. იაქტიურეთ და მიღწეული შედეგით თვითონაც გაოცდებით.

ᲛᲐᲠᲩᲮᲝᲕᲘ – 22/V-21/VI

ᲥᲐᲚᲘ: აუცილებელია, სამსახურში სწორი გადაწყვეტილება მიიღოთ. სიფრთხილე გამოიჩინეთ ახალგაცნობილ ადამიანებთან ურთიერთობისას. ნუ იქნებით ზედმეტად გულახდილი.

ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲘ: გაიცნობთ საინტერესო ადამიანებს, მაგრამ რადგან ამ კვირაში თქვენი მოტყუება ძალზე ადვილია, სიფრთხილისკენ მოგიწოდებთ. უმჯობესია, საერთოდ შეიკავოთ თავი დოკუმენტაციაზე მუშაობისგან.

ᲙᲘᲠᲩᲮᲝᲕᲘ – 22/VI-22/VII

ᲥᲐᲚᲘ: სიმშვიდე შეინარჩუნეთ ოჯახში და თავი აარიდეთ კონფლიქტურ სიტუაციას სამსახურში – თუ დარწმუნებული არა ხართ, რომ თქვენი ჩარევით მდგომარეობა გაუმჯობესდება.

ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲘ: პირად ცხოვრებაში იმედგაცრუება არ აგცდებათ, თუ ყურს არ დაუგდებთ საყვარელ ქალს. თქვენი ურთიერთობა ახალ ფაზაში შევა, თუ მის შენიშვნებს გაითვალისწინებთ.

ᲚᲝᲛᲘ – 23/VII-23/VIII

ᲥᲐᲚᲘ: მოსალოდნელია კოლეგებთან კონფლიქტური დიალოგი. არ აჰყვეთ პროვოკაციას, გამოიჩინეთ მოთმინება და მოვლენები თქვენდა სასიკეთოდ შეიცვლება.

ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲘ: არ დაგეგმოთ საქმიანი შეხვედრები. უმჯობესია, დაისვენოთ და ყურადღება საკუთარ ჯანმრთელობას დაუთმოთ. დროის უმეტესი ნაწილი ოჯახურ გარემოში გაატარეთ.

ᲥᲐᲚᲬᲣᲚᲘ – 24/VIII-23/IX

ᲥᲐᲚᲘ: ეს კვირა მრავალ სასიამოვნო მოულოდნელობას გპირდებათ. ხელსაყრელი დღეებია კომერციული ოპერაციების ჩასატარებლად. პირად ცხოვრებაშიც სიახლე გელით: ჰორიზონტზე ახალი თაყვანისმცემელი გამოგიჩნდებათ.

ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲘ: მოგეცემათ შანსი, კვლავ გააოცოთ ქალბატონები თქვენთვის ჩვეული გალანტურობით. ისეთი რომანტიკული საღამო გელით, რომ კარგი იქნება, თუ მანამდე, რამდენიმე ლექსს გაიმეორებთ.

ᲡᲐᲡᲬᲝᲠᲘ – 24/IX-23/X

ᲥᲐᲚᲘ: გადახედეთ თქვენს გარდერობს. მისი განახლების დროა. იქნებ, უპრიანია, იმიჯიც შეიცვალოთ და ახალი გეგმების ხორცშესხმაზეც იზრუნოთ. გაითვალისწინეთ მამაკაცების რჩევები.

ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲘ: ბევრი საქმიანი შეხვედრა გელით. ნუ მიიღებთ ნაჩქარევ გადაწყვეტილებას. კვირის ბოლოს, თუ დაღლილობას იგრძნობთ, მეგობართა წრეში დაისვენეთ, ოღონდ, ამ დროს, საკუთარ საქმიანობაზე ნაკლები ილაპარაკეთ.

ᲦᲠᲘᲐᲜᲙᲐᲚᲘ – 24/X-22/XI

ᲥᲐᲚᲘ: თქვენს ცხოვრებაში მოსალოდნელია ცვლილებები, რომლებსაც მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება მოჰყვება. ნუ გაასესხებთ დიდ თანხას. ამ კვირაში, ახლობელთა მხოლოდ მორალური მხარდაჭერით შემოიფარგლეთ.

ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲘ: ყოველი ნაბიჯის გადადგმისას, სიფრთხილე გამოიჩინეთ. საშიშროება ქალის სახით გამოგეცხადებათ და თუ მის წინაშე სისუსტეს გამოიჩენთ, უსიამოვნება არ აგცდებათ.

ᲛᲔᲗᲠᲔᲛᲔᲚᲘ – 23/XI-21/XII

ᲥᲐᲚᲘ: გამოიჩინეთ შრომისმოყვარეობა და წარმატება გარანტირებული გექნებათ. თუ აქტიურობას და ამასთანავე, პასუხისმგებლობის გრძნობას გამოავლენთ, ხელმძღვანელობა უეჭველად დაგიფასებთ.

ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲘ: არავითარი მეგობრები, ფულისა და დროის ფლანგვა და მით უმეტეს, აზარტული თამაშები! ამ კვირაში, თქვენი საზრუნავი, მოზომილი ნაბიჯები და ოჯახზე ზრუნვა უნდა იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, სერიოზული პრობლემები არ აგცდებათ.

ᲗᲮᲘᲡ ᲠᲥᲐ – 22/XII-20/I

ᲥᲐᲚᲘ: საინტერესო ადამიანებთან შეხვედრა გელით, ამიტომ სასურველია, თავი მოიწესრიგოთ და საახალწლო სუფრაზე მირთმეული ნოყიერი კერძების შედეგად მომატებული წონის დაკლებაზე იზრუნოთ.

ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲘ: პირად ცხოვრებაში წარმატება გელით. სამაგიეროდ, საკუთარ ჯანმრთელობას ამ კვირაში განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოეკიდოთ. კარგი განწყობილება დიდხანს გაგყვებათ.

ᲯᲔᲠᲜᲬᲣᲚᲘ – 21/I-19/II

ᲥᲐᲚᲘ: თვის ბოლომდე, მერწყულ ქალებს ბიზნესში დიდი წარმატება ელის. თუმცა, ამ წარმატებამ თავბრუ არ უნდა დაგახვიოთ და არ უნდა აჩქარდეთ გადაწყვეტილების მიღებისას. ამ კვირაში წამოწყებული ახალი საქმე უეჭველად წარმატებას მოგიტანთ.

ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲘ: შესაძლოა, წინათ დაშვებული შეცდომა გაიმეოროთ და ამის მიზეზი ის ქალი იყოს, რომელიც წარსულიდან გამოგეცხადებათ და სასიამოვნო სიურპრიზსაც შემოგთავაზებთ...

ᲗᲔᲕᲖᲘᲗᲘ – 20/II-20/III

ᲥᲐᲚᲘ: ამ კვირაში, ჭორიკანების სამიზნედ იქცევით. თქვენ გარშემო აგრესიული ფონი ძლიერდება და სასურველია, სიმშვიდე შეინარჩუნოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, უსიამოვნება არ აგცდებათ.

ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲘ: კარგი კვირაა კოლექტიური საქმიანობისათვის. მეტი დრო დაუთმეთ შვილებს, ოჯახს და საშინაო პრობლემების მოგვარებას. შეგიძლიათ, ოჯახის წევრები ერთობლივ პროექტებშიც ჩააბათ.



ბელადობა, ბატონობა
მამლების ჩხუბი
ქართველი პოეტი
ქართველი პიანისტი
მონღოლი ვარისკაცი
ხის ფეხსაცმელი
ნალების ამკრავი
საყოველთაო ლოცვა
ლაოსის ფულის ერთეული
პარიზის კოშკი
მრგვალწვერა ხანჯალი
ებრაელთა მოძღვარი
რკინის ნახშირბადთან ნაერთი
ჰოკეის სათამაშო დისკო
ხვიარა მცენარე
დროის მონაკვეთი კრივში
ფრანგი მწერალი
ძველესპანური სამანძიანი ხომალდი
მხედრის ტხემზე დასაჯდომი მოწყობილობა
წარწერა კინოფილმის კადრზე
დიდი საყვირი
პარიზის აეროპორტი
წინასწარმეტყველი ქალი ძვ. რომში
ვულკანური მასა
ჰუნების ბელადი
საზღვაო გემის ქონების განმგებელი
რაიმე საქციელის გამომწვევი მიზეზი
ინდურის ნაშიერი
ქალაქი იტალიაში
ქედი რუსეთში
აბეზარი ფოტოგრაფი
კავკასიელ მთიელთა სოფელი
იტალიური ღვეზელი
ბრაზილიური პატარა ცხვირფართო მაიმუნი
ქიმიური ელემენტი
მბმბ. გარდამავალი პერიოდი





22-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-ბ; 2-გ; 3-ბ; 4-ბ.
47-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-ა; 2-ა; 3-გ.

ანეკდოტები

***

ორი დაქალის დიალოგი:

— სად მიდიხარ?

— უშიშროებაში, წესრიგი უნდა დავამყარო.

— ვა, შენ რა მაგარი ხარ!

— ჰო... დამლაგებლად ვმუშაობ.

***

— ერთხელ მომიწია მივლინებიდან სახლში მოულოდნელად დაბრუნება...

— მერე?

— მივვარდი „შკაფს“ — ცარიელია, ლოგინის ქვეშ — არაფერი, მაცივარში — იქაც არაფერი...

— მერე ცოლმა რა თქვა?

— არ მყავს მე ცოლი... შე კაცო!.. გამქურდეს პირწმინდად!..

***

რესტორანში:

— აფიციანტ!..

— ჰა!..

— დედიშენისა!..

— მომაქვს, ბატონო, მომაქვს!..

***

— ჰოლმს, მართალია, რომ თქვენ ბასკერვილების ძაღლი გყავთ ნანახი?

ჰოლმსი აწოდებს ჩიბუხს უოტსონს:

— აი, უოტსონ, გასინჯეთ და გაოცდებით, კიდევ რამდენ რამეს დაინახავთ...

***

— გუშინ მეგობარი იყო მოსული და 2 წუთში კომპიუტერი გამიტეხა.

— ვაა... ჰაკერია?

— არა, დეგენერატი!

***

ქართველ ყაჩაღებში მოდაშია ახალი თამაში — „ვის აქვს 50.000?“

***

— საინტერესოა, თქვენს ატელიეში გადაღებულ სურათებზე ყველა ასე გულიანად რატომ იცინის?

— თქვენ ეტყობა, ჩვენი ფოტოგრაფი არ გინახავთ...

***

— ქობულეთის მერე, ძალიან დაგიმრგვალდა სახე და ლოყებიც დაგეჩნა. ალბათ კარგად ჭამდი?

— არა ბიჭო, ცოლის და სიდედრის ლეიბებს ვბერავდი ყოველდღე...

***

მეგრელი ცოლ-ქმარი ერთად წვანან და ცოლქმრულ მოვალეობას ასრულებენ.

ქმარი:

— რო წევხარ და ხმას არ იღებ, ტელევიზორში მაინც არ უყურებ, როგორ ყვირიან ქალები, მაგალითად.

ცოლი:

— რასაც ისინი ყვირიან, მეც უნდა ვიყვირიო?

ქმარი:

— კი, უნდა იყვირიო.

ცოლი:

— მეტყვი, როდის ვიყვირიო?

ქმარი:

— გეტყვი.

ცოტა ხნის შემდეგ...

ქმარი:

— ჰე, აბა, მიდი იყვირე!

ცოლი:

— მი-შა! მი-შა! მი-შა!..

***

საკანში ერთად სხედან საათისა და ძროხის ქურდები. ძროხის ქურდმა საათის ქურდის გაშაყირება გადაწყვიტა და ეუბნება:

— ვერ მეტყვი, რომელი საათია?

— ზუსტად არ ვიცი, მაგრამ მგონი, ძროხის მოწველის დროა!

***

ახალგაზრდა ჩინოვნიკის ტონით განაწყენებული მრავალშვილიანი დედა უზრდელ სახელმწიფო მოხელეს ანამუსებს.

— სხვათა შორის, მე 11 შვილის დედა ვარ და ჩემს ქმართან საუბრისას...

— ...ვა, ქალბატონო, თქვენ საუბარსაც ასწრებთ?!.

***

მიხო შვილს:

— უფრო მეტი უნდა იმაცადინო, ჯოო... მე ხუთოსნობასა არ გთხოვ, მარა მამბეზრდა მშობელთა კრებებზე ფსევდონიმით სიარული... ვაჰ!..

***

გასულ კვირას გამართულ კონკურსში — „2004 წლის საუკეთესო ბიზნესმენი“ — გაიცა ორი პრიზი მეორე ადგილისთვის, ორიც — მესამე ადგილისთვის. პირველი ადგილისთვის საკმარისი თანხის გადახდა არავინ მოინდომა.

***

ავადმყოფი გურული უძილობას უჩივის:

— წუხელ, ძამა, ბარე 12-ჯერ მაინც გამეღვიძა, მარა მერე, ერთხელაც ვერ დევიძინე.

***

სარეკლამო რგოლიდან:

— ჩვენთან მარჯვენა ფეხსაცმელს თუ შეიძენთ, მარცხენას უფასოდ მიიღებთ!

***

ციხის უფროსი — მინისტრს:

— უფროსო, ამ საკანში ჩვენი სიამაყე გენიოსა ზის. ჩვენთან პირველად რომ მოხვდა, წერა-კითხვა არ იცოდა, ახლა კი დოკუმენტების გაყალბებისთვის დაიჭირეს.

***

მიხო სიჩქარის გადაჭარბებისთვის დაავჯარიმეს. პოლიციელმა ქვითარი გამოუწერა და მისცა:

— რა ჯანდაბად მინდა თქვენი ქვითარი?!.

— ჯოო... ასეთ თორმეტს რომ შაგროვებ, ოქრუაშვილისგან ველოსიპედს მიიღებ... მააშ!..

***

დიალოგი მეტროში:

— თუ ძმა ხარ, ნუ მომაგლიჯე ბარძაყი... ბოლო ლარიანი პიჯაკის ჯიბეში მიდევს...

რამდენად კომუნიკაბელური ადამიანი ბრძანდებით?

ყველასათვის ცნობილია, რომ გულღია ხასიათი ადამიანს სხვებთან ურთიერთობას უიოლებს, ეს კი, როგორც კარიერაში, ისე ყოველდღიურ ცხოვრებაში წარმატების საწინდარია. უპასუხეთ ტესტის შეკითხვებს და შეიტყვეთ, რამდენად კომუნიკაბელური ადამიანი ბრძანდებით.

1. როდესაც თქვენთვის არცთუ ისე კარგად ნაცნობ ადამიანებთან ერთად ერთ სუფრაზე ხვდებით, თქვენ...

ა) ინიციატივას საკუთარ ხელში იღებთ და თანამეინახეთ საინტერესო სასაუბრო თემას სთავაზობთ – 1;

ბ) სუფრის ერთ-ერთი წევრის მიერ წამოწყებულ საუბარს აქტიურად უბამთ მხარს და ახალ თემებსაც სთავაზობთ თანამეინახეთ – 2;

გ) უმეტესად, მსმენელის როლში ხართ და საუბარში ჩაბმას დუმილს ამჯობინებთ – 3.

2. გხიბლავთ თუ არა უცნობ ადამიანებთან კონტაქტის დამყარება?

ა) ახალი კონტაქტის დამყარების არც ერთ შანსს არ უშვებთ ხელიდან – 1;

გ) ჭეშმარიტებად მიგაჩნიათ ის გამოთქმა, რომელიც ღაღადებს: ძველი მეგობარი ორ ახალ მეგობარს სჯობსო! – 3;

გ) თუკი ეს საქმეს სჭირდება, არც ახალ ნაცნობობაზე ამბობთ უარს – 2.

3. თუკი მოულოდნელად მოხდება ისე, რომ სრულიად მოუმზადებლად აუდიტორიის წინაშე მოგიწევთ გამოსვლა, უფრო მეტად სავარაუდოა, რომ...

ა) დაიბნევით და სიტყვასაც ვერ დაძრავთ – 3;

ბ) გამალებით დაიწყებთ იმაზე ფიქრს, თუ როგორ გამოხვიდეთ მდგომარეობიდან და რა თქვათ – 2;

გ) დიდ სიამოვნებას მოგანიჭებთ ის, რომ რაღაც კონკრეტულ საკითხზე თქვენი ნაზრევის სხვებისთვის გაზიარების საშუალება მოგეცათ – 1.

4. გაქვთ თუ არა იმის უნარი, რომ კონფლიქტისა და რაღაც მანიპულაციების გარეშე გადაარწმუნოთ თანამოსაუბრე?

ა) საეჭვოა, რომ შეძლოთ – 2;

ბ) თუკი რამეში ბოლომდე დარწმუნებული ხართ, ვინმეს დასარწმუნებლად საჭირო სიტყვების მოძებნა ნამდვილად არ გაგიჭირდებათ – 1;

გ) რა საჭიროა ამაო ძალისხმევა? მოვა დრო და ის ადამიანი თავად დარწმუნდება თქვენს სიმართლეში – 3.

5. რაიმე თავშესაქცევი ამბებისა და ანეკდოტების მოყოლა თუ შეგიძლიათ?

ა) რა საჭიროა ასეთი სისულელეებით გონების გადატვირთვა? – 3;

ბ) დიდი სიამოვნებით ისმენთ სხვის მიერ მოყოლილ თავშესაქცევ ამბებსა თუ ანეკდოტებს, მაგრამ არასოდეს იმახსოვრებთ – 2;

გ) ნებისმიერი ცხოვრებისეული სიტუაციისთვის შესაფერისი მხიარული ამბავი და ანეკდოტი ყოველთვის მზად გაქვთ – 1.

6. თუკი თქვენ შემოგთავაზებენ მენეჯერის ადგილს, კონკრეტულად კი — ნაწარმის გაყიდვას მოგანდობენ, რას იზამთ?

ა) შესაძლოა, რომ დათანხმდეთ – 2;

ბ) უარს იტყვით – 3;

გ) დიდი სიამოვნებით ცდით ბედს ამ ასპარეზზე – 1.

ტესტის შედეგები

6-9 ქულა: ისეთ ადამიანებს, როგორიც თქვენ ხართ, როგორც წესი, „საზოგადოების სულად და გულად“ მოიხსენიებენ. თქვენ გაქვთ იმის უნარი, რომ ადამიანები კეთილად განაწყოთ თქვენ მიმართ. უმთავრესი კი, მაინც ის გახლავთ, რომ თქვენ ილუზიების სამყაროში არ ცხოვრობთ და ადამიანებს იღებთ ისეთებად, როგორებიც ისინი სინამდვილეში არიან.

10-14 ქულა: თავისუფლად და კომფორტულად თავს მხოლოდ ახლო ნაცნობ-მეგობრების წრეში გრძნობთ. თუკი მოულოდნელობები იჩენს თავს და თქვენ ამჩნევთ, რომ სიტუაციაზე კონტროლს კარგავთ, როგორც წესი, ნერვიულობთ და წონასწორობას კარგავთ. ამას იოლად გამოასწორებთ, თუკი თქვენთვის არცთუ ისე კარგად ნაცნობ ადამიანებთან ხშირად იქონიებთ კონტაქტს.

15-18 ქულა: საკუთარ თავში ჩაკეტილი და გაუბედავი ადამიანი ბრძანდებით. თუკი ამის გამოსწორება გსურთ, ხშირი კონტაქტი იქონიეთ ნაცნობ თუ უცნობ ადამიანებთან. ცოტა ხანში იგრძნობთ, რომ შედარებით უფრო კომუნიკაბელური გახდით. რაც უფრო ხშირად ისაუბრებთ სხვადასხვა კატეგორიის ადამიანებთან, მით უფრო მალე მიხვდებით, თუ რა მშვენიერია საკუთარი სიხარულის, ეჭვებისა თუ აზრების, სხვებისთვის გაზიარება. მაგრამ თუკი თქვენ მიგაჩნიათ, რომ ყოველგვარი ზედმეტი კონტაქტის გარეშეც ძალზე კომფორტულად გრძნობთ თავს, იცოდეთ — საკუთარ თავს ართმევთ იმის შესაძლებლობას, რომ ცხოვრებაში შეხვდეთ ისეთ ადამიანს, რომელიც თქვენს გაგებას შეძლებს.

ჯუნგლებში გიგანტური ტარაკანი იპოვეს

ტარაკანი, რომელიც კალიმანტანის ჯუნგლებში იპოვეს 10 სმ სიგრძისაა. მეცნიერთა თქმით, ის ამ სახეობის ნიმუშებს შორის ყველაზე დიდია. ექსპედიციის წევრებმა, რომლებმაც კალიმანტანის კუნძულზე 5 კვირა გაატარეს, რეკორდული ტარაკნის გარდა, ფაუნის არაერთი სხვა იშვიათი ნიმუში აღმოაჩინეს, მათ შორის – 6,5 სმ სიგრძის მრავალფეხა, მიკროკიბორჩხალა, 2 სახეობის ლოკოკინა და რამდენიმენაირი თევზი. მეცნიერთა თქმით, კალიმანტანი – იგივე ბორნეო – ფლორისა და ფაუნის თვალსაზრისით, მსოფლიოს ერთ-ერთი უმდიდრესი რეგიონია. მაგრამ იმის გამო, რომ მას ბუნების დაცვის თვალსაზრისით, განსაკუთრებული სტატუსი არა აქვს მინიჭებული და იქ ხეტყის უკონტროლო ჭრა-დამზადება მიმდინარეობს, ბევრი საინტერესო ნიმუში ნადგურდება. „თუ სასწრაფოდ არ ვიღონეთ რაიმე, იქ ფლორისა და ფაუნის უამრავი სახეობა ისე განადგურდება, რომ მის შესახებ ადამიანები ვერაფერს შეიტყობენ“, – აღნიშნა ექსპედიციის წევრმა ერთ-ერთმა მკვლევარმა.

არგენტინაში XIX საუკუნეს უბრუნდებიან...

ქვეყნის ზოგიერთ ქალაქში ეტლებით მოძრაობის აღორძინებას მიჰყვეს ხელი. ეს არა მარტო რეტრო-ტრანსპორტის სიყვარულით აიხსნება, არამედ მოსახერხებლად და იაფად მიიჩნევენ. ახალი მოდის ინიციატორებად, დაბა ფუენტე-დე-მარკესი ითვლება, რომელიც არგენტინის დედაქალაქიდან სულ 60-ოდე კილომეტრში მდებარეობს. მისი თითქმის მთელი მოსახლეობა ეტლებსა და ფაეტონებში გადავიდა: სწორედ ამ ტრანსპორტით დაჰყავთ შვილები სკოლებში, საკუთარი მამულების დასათვალიერებლად და მეზობელ ქალაქში საყიდლებზეც დადიან. დაბაში ამ ტრანსპორტის კარგი ოსტატიც ჰყოლიათ, რომელიც არა მარტო მის შეკეთებაში, არამედ ეტლების დამზადებაშიცაა დაოსტატებული. ■

ბრანდოს სიკვდილის შემდეგ, გასაყვნილებაში სდებენ ბრალს



მარლონ ბრანდოს ყოფილი თანაშემწე ქალი აწ გარდაცვლილ მსახიობს მის მიმართ გამოჩენილ სექსუალურ ძალადობაში ადანაშაულებს და სასამართლო წესით, მისი მემკვიდრეობიდან 3,5 მლნ დოლარის მიღებას ცდილობს. ბრანდო 2004 წლის პირველ ივლისს, 80 წლის ასაკში გარდაიცვალა. მისი ქონება 26,8 მლნ დოლარად შეფასდა. მოსარჩელე – ჯო ენ კორალსი ირწმუნება, რომ მასთან მუშაობის პერიოდში, 2000 წლის დეკემბრიდან 2004 წლის მარტამდე, მსახიობს არაერთხელ უცდია ჯო ენთან ინტიმური კავშირის დამყარება, რის გამოც, სამუშაო მისთვის სრულიად აუტანელი ხდებოდა. გარდა ამისა, ბრანდოს თურმე, ქალისთვის მიცემული პირობაც დაურღვევია, რომლის თანახმადაც, მისი სახელი მსახიობის მემკვიდრეებს შორის უნდა ყოფილიყო დასახელებული... ■

მართლმსაჯულება სულ უფრო ჰუმანური ხდება

ჩილელი პაბლო როდრიგეს გონსალესი ცოლთან გაყრის შემდეგ, საფრანგეთში გადავიდა საცხოვრებლად და რამდენიმე წელი, არც უნახავს თავისი ქალიშვილი და არც ალიმენტი გადაუხდია. მიუხედავად ამისა, სანტიაგოს სასამართლომ მისი თხოვნა ყურად იღო და შვილთან ურთიერთობის ნებაც დართო. უჩვეულო ამ ამბავში ის გახლავთ, რომ მამ-შვილის დაკონტაქტება ინტერნეტის მეშვეობით უნდა მოხდეს. ამიტომ, სასამართლომ დააკისრა გონსალესს, გოგონასთვის კომპიუტერისა და ვებკამერის ყიდვა. „ეს გადაწყვეტილება იმაზე მეტყველებს, რომ მართლმსაჯულება სულ უფრო ჰუმანური ხდება და უფრო და უფრო უახლოვდება თანამედროვე წარმოდგენების მიხედვით კანონის ინტერპრეტაციას“, – თქვა სასამართლოს გადაწყვეტილებით კმაყოფილმა, როდრიგესის ადვოკატმა. ■

ფოტოკუთხეები

b 122/46

იყიდეთ ერთხელ, იკითხეთ მთელი წელი

„კვირის პალიტრამ"
გამოსცა ცხოვრებისეული ცხრის ყვავილანი

არ გამოგრჩეთ!



კალენდრის ბითუმად შეძენის მსურველებმა
დარეკეთ 36-35-75, 899-10-66-54